

დამანა მელიქიშვილი

ქართული ზმნის უღლების სისტემა

Damana Melikishvili

Conjugation System of
Georgian Verb



გამომცემლობა
„ლოგოს პრესი“

თბილისი
2001

რედაქტორები: პროფ. დოქტ. ელენე ბაბუნაშვილი
პროფ. დოქტ. იოსტ გიპერტი

რეცენზენტები: პროფ. დოქტ. თედო უთურგაიძე
პროფ. დოქტ. ვახტანგ იმნაიშვილი
პროფ. დოქტ. გიორგი გოგოლაშვილი

© გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, 2001

© დამანა მელიქიშვილი, 2001

ISBN 99928-883-5-0

გამომცემლობა „ლოგოს პრესი“

ი. ჭაუჭავაძის გამზირი 13, თბილისი, 380079

ტელ. 25-02-58, ელ.ფოსტა logos@caucasus.net

წინასიტყვა

ქართული ზმნის უღლებების სისტემის აღწერაზე მუშაობა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მასალაზე დაყრდნობით დაიწყო 1976 წლიდან.

1978 წელს ნაწილი ამ შრომისა (აქტივის უღლებების სისტემა თანამედროვე ქართულში ზმნური მოდულებითა და ცხრილებით) დაიბეჭდა ჟურნალ Georgica-ს №1-ში (იენა – თბილისი). შედარებით ვრცელი ვარიანტი გამოქვეყნდა 1979 წელს საქართველოს მეცნ. აკადემიის „მაცნეს“ №1-ში (თბილისი).

მუშაობის გაგრძელების საშუალება მომეცა მას შემდეგ, რაც 1996 წელს INTAS-ის მიერ გამოცხადებულ კონკურსში წარდგენილი პროექტის გამარჯვების შედეგად მოვიპოვე გრანტი (INTAS project 96-0123).

პროექტში მონაწილეობდნენ:

1. გერმანიიდან – იოჰან ვოლფგანგ გოეთეს უნივერსიტეტის შედარებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტი: პროფ. დოქტ. იოსტ გიპერტი (პროექტის კოორდინატორი), ასისტ. ბერნარდო კრისტოფი.

2. საფრანგეთიდან – აღმოსავლური ენებისა და ცივილიზაციების ნაციონალური ინსტიტუტი: პროფ. დოქტ. გიორგი შარაშიძე, პროფ. დოქტ. დომინიკ გოტიე-ელიგულაშვილი; დოც. ნანა მეტრეველი.

3. საქართველოდან – იე. ჯაგახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: პროფ. დოქტ. დამანა მელიქიშვილი (პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი), უფრ. მასწ. ეთერ ჩხოტუა.

4. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია: გ. წყერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნ. თანამშრომელი მარინე ივანიშვილი, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნ. თანამშრომელი ნინო ჯორბენაძე, მართვის სისტემების ინსტიტუტის მეცნ. თანამშრომელი ნინო ამირეზაშვილი, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ასპირანტი ბექა თოფურია.

უღრმეს მადლობას მოვახსენებ INTAS-ის ორგანიზაციას თანადგომისა და ფინანსური ხელშეწყობისათვის; ასევე, დიდ მადლობას მოვახსენებ პროექტის კოორდინატორს, ფრანკფურტის იოჰან ვოლფგანგ გოეთეს უნივერსიტეტის შედარებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორს, პროფ. დოქტ. იოსტ გიპერტს, გულითადი თანამშრომლობისა და მუშაობის ოპერატიული წარმართვისათვის.

დამანა მელიქიშვილი
თბილისი, 2000

PREFACE

I have been working on the description of the Conjugation System of Georgian Verb since 1976. The first part of the work comprising active verb models and conjugation tables was published in *Georgica* (1, 1978) in German. A more detailed version of this article appeared in the scientific journal of the Academy of Sciences of Georgia, 'Matsne' (Tbilisi, 1979).

It was not possible to continue this work in subsequent years until in 1996, I took the opportunity to submit a project to INTAS and obtained a grant to finish my research work in this field.

The participants of the project are:

1. Prof. Dr. Jost Gippert (coordinator), Bernardo Christophe – Institut für Vergleichende Sprachwissenschaft der Johann Wolfgang Goethe-Universität Frankfurt/M.;

2. Prof. Dr. G. Sharashidzé, Maître de conférences d'Etudes géorgiennes et caucasiques, Dr. Dominique Gauthier-Eligoulachvili, Maître de langue de Géorgien, Dr. Nana Met'reveli – Institut National des Langues et Civilisations Orientales (INALCO), Paris;

3. Ivane Javakhishvili Tbilisi State University: Prof. Dr. Damana Melikishvili (author and leader of the project), Senior Lecturer Eter Chkhotua;

4. Georgian Academy of Sciences: Research Fellow Marina Ivanishvili (G. Tsereteli Institut of Oriental Studies), Research worker Nino Jorbenadze (Arn. Chikobava Institute of Linguistics), Research worker Nino Amiresashvili (Institut of Control Systems), Graduate student Beka Topuria (K. Kekelidze Institut of Manuscripts).

I would like to thank INTAS for supporting and financing the project. My special thanks are due to the coordinator of the project, Prof. Dr. Jost Gippert (Director of the Institute of the Comparative Linguistics, Johann Wolfgang Goethe University, Frankfurt am Main), for his cooperation as well as his efficient and flexible guidance.

*ექვნიება ჩვენი დიდი
მასწავლებლების –
აკაკი შანიძის,
არხოლდ ჩიქობავას,
ვარლამ თოფურის –
ნათელ ხსოვნას*

შესავალი

ცნობილია, რომ ზმნა ქართული ენის გრამატიკის ყველაზე რთული ნაწილია. ქართული ენის შესწავლისას ზმნური ფორმების წარმოება არაქართველთათვის (უცხოელთათვის) მთავარ სიძნელეს წარმოადგენს.

ქართულ ენას რომ სწავლობდა, ცნობილმა ლინგვისტმა პუგო შუხართმა აღიარა, რომ, ვინც ქართული ზმნა იცის, მან თითქმის იცის ქართული ენაო. თუ რა მნიშვნელობა აქვს ზმნას ქართულ ენაში, მან შესანიშნავად გამოხატა შემდეგი სიტყვებით: „ზმნა ქართული ენის სულიაო“.

ქართული ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა ძირითადად აგლუტინაციური ტიპისაა: ყოველ გრამატიკულ კატეგორიას საკუთარი მორფოლოგიური ფორმანტი შეესაბამება და მთლიანად ფორმა ადვილად იშლება გამჭვირვალე მნიშვნელობების მქონე მორფემებად თვით ძირეულ მორფემამდე (მაგ. *ა-მ-ა-შენ-ებ-ინ-ებ-დ-ე-ბ*). ეს თითქოს უნდა აადვილებდეს ზმნის ფორმაციების შესწავლას, მაგრამ ქართული ზმნის უღლების კატეგორიათა აღწერისა და შესწავლის სირთულეს მაინც ქმნის მთელი რიგი შემდეგი გარემოებებისა:

1. მართალია, ქართული ზმნის მორფოლოგია ძირითადად აგლუტინაციური ტიპისაა (მაგ. *ს₁* პირის ნიშანი ყველა დროის, კილოსა და გვარის, ასევე მრავლობითი რიცხვის ფორმაშიც არის გ-პრეფიქსი, განსხვავებით ევროპული ენებისაგან, სადაც პირის ნიშნები საზიაროა დროის, კილოსა თუ გვარისა და მრავლობითი რიცხვის კატეგორიებთან და ამ კატეგორიების მიხედვით ცვალებასთან ერთად განიცდიან ცვლილებას), მაგრამ მასში ხშირია

ფლექსიური ტიპის ფაქტები – როგორც არქაული მოვლენების ნაშთები (მაგ. ფუძის ხმოვნის აბლაუტი: *ვერხ* – *ვერიხე*; *ს*₃ პირის სუფიქსური გამოხატვა და დიფერენცირება დრო-კილოთა ფორმების მიხედვით; ასევე, *ს*₃-ში მრავლობითი რიცხვის ნიშანთა განსხვავებულობა: *წერ-ს* – *წერ-ა* – *წერ-ენ* – *წერ-ეს*), ასევე ფლექსიისაკენ მიდრეკილი მორფოლოგიური ინოვაციები (მაგ. პასივის მოდელის საბოლოო ფორმირება აწმყოში *ს*₃ -ა სუფიქსით (*შენდებ-ა*, *თბებ-ა*), ნაცვლად ძველი -ს სუფიქსისა (*შენდებო-ს*, *ტყები-ს*), რომელიც არ განსხვავდებოდა გვარების მიხედვით; ამავე დროს, ფუძის ხმოვნის ფუნქციური მონაცვლეობიდან, ე.ი. ფლექსიური ტიპიდან თანდათან სუფიქსურ სისტემაზე გადასვლის ტენდენცია (*გლეჯს* > *გლიჯ-აგ-ს* – *დაგლიჯ-ა*).

ამგვარად, ქართული ზმნის ფორმათა განვითარება სისტემის სხვადასხვა რგოლებში ერთდროულად ორ საპირისპირო ტენდენციას გვიჩვენებს: ერთი მხრივ, ფლექსიური ტიპის (ფუძის ხმოვნის აბლაუტის) მოშლის ტენდენციას (აწმყო-წვეუტილის თემებში) და, მეორე მხრივ, კი აგლუტინაციიდან ფლექსიისაკენ გადასვლის ტენდენციებს (ენებითი გვარის მოდელის ჩამოყალიბების პროცესი).

2. ქართული ზმნის უმთავრეს თავისებურებად, განსხვავებით ევროპული ენებისაგან, გახაზავენ ზმნის პირის გამოხატვის სისტემაში სუბიექტურის გარდა ობიექტური პირის ასახვას (პოლიპერსონალიზმს), რაც, თავის მხრივ, იწვევს ქართული სინტაქსური სტრუქტურა-მექანიზმის (სახელსა და ზმნას შორის პირისა და ბრუნვების მიხედვით მართვისა და რიცხვში შეთანხმების მექანიზმის) განსხვავებას ევროპული ენების ზმნასა და სახელს შორის სინტაქსური ურთიერთობის სტრუქტურა-მექანიზმისაგან. აქედანვე გამომდინარეობს კონვერსიისა და ინვერსიის სპეციფიკური სინტაქსურ-მორფოლოგიური გამოვლინება ერთმანეთისაგან განსხვავებული სინტაქსური კონსტრუქციებით (რომელთაც ჩვენ დიათეზებს ვუწოდებთ), რაც განსაზღვრავს კიდევც ქართული ზმნის უღლების ტიპების განსხვავებას.

3. ქართული ზმნა შეიცავს აზრის გამოხატვის ისეთ მორფოლოგიურ საშუალებებს, რომლებიც უცხოა ევროპული ენებისათვის. ევროპული ზმნისათვის ნაცნობი და დამახასიათებელი მორფოლოგიურ-სინტაქსური კატეგორიების გარდა (დრო, კილო, გვარი, გარდამავლობა), რომ არაფერი ეთქვათ თვით ამ კატეგორიების ფორმალური გამოხატვისა თუ სემანტიკური თვალსაზ-

რისით განსხვავების შესახებ ევროპული ენის ზმნის ამავე კატეგორიებისაგან, ქართულ ზმნას შეუძლია მორფოლოგიურად გამოხატოს პირთა შორის კორელაციების სხვადასხვა სახე: დესტინაციური რელაცია ანუ ევრსია (მაგ. კუთვნილება-დანიშნულებითი შინაარსისა სუბიექტსა და ობიექტს ან ობიექტებს შორის (*ვიშენებ მე მას, იშენებს ის მას; ეუშენებ მე მას მას, მიშენებს ის მე მას*); ლოკაციური რელაცია (*აზის, ახტება, აწერს*), კაუზაციური რელაცია (*აშენებინებს ის მას მას*). ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ ქართული ზმნა მთელი წინადადების შინაარსის შემცველია, წინადადებაა მინიატურაში.

4. ქართული ზმნის უღლება (აქტივისა და პასივისა) ძირითადად მწყობრსა და სიმეტრიულ სისტემაში თავსდება, არსებითად გაწონასწორებული და უნიფიცირებულია (რაც ანალოგიის ძლიერი მოქმედების შედეგია). მაგრამ ამ სისტემაში შემოჭრილია არქაული ნაკლები (დეფექტური) უღლების ანომალური ტიპები, რომლებიც სისტემის გარეთ რჩებიან. მათგან დიდი ნაწილი სიცოცხლის შესანარჩუნებლად ანალოგიის გავლენით ზოგადი სისტემის რგოლებში ექცევა და სიცოცხლისუნარიანი და პროდუქტიული ხდება.

5. ზმნის უღლების სისტემის სიმეტრიისაკენ მიდრეკილება ამ სისტემის მდგრადობის ძირითადი პირობაა, რასაც ანალოგიის პროცესი აწესრიგებს და რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ენის გამძლეობას – თვითარსებობას. მაგრამ სისტემის შიგნით მოქმედებს საპირისპირო პროცესებიც, რომლებიც არღვევენ სისტემის რგოლებს, ესენი კი ენის განვითარების მანძილზე კელაე და კელაე სიმეტრიისაკენ მიისწრაფვიან და ეს დაუსრულებელი პროცესი სისტემის უნიფიცირების, რღვევისა და კელაე გაწონასწორებისა, აქტუალურია ქართული ზმნის უღლების თანამედროვე, სინქრონიული სისტემის შიგნით, რომელშიც ხშირად თანაარსებობენ ძველი და ახალი ლიტერატურულ-ნორმირებული და დიალექტურ-ხალხური ფორმები.

6. ამავე დროს, ქართული ზმნის მრავალმხრივი ფორმალურ-სემანტიკური გენერაციისა და რეგენერაციის უზარმაზარი პოტენცია ბადებს ახალ-ახალ სემანტიკური ხასიათის ნიუანსებს, რაც, თავის მხრივ, ფორმათა გადააზრიანებას (რეინტერპრეტაციას) და ფორმანტების ისტორიულად ჩამოყალიბებული ფუნქციების შეცვლას იწვევს. ძველიდან ახალი ქართულისაკენ მიმდინარე ეს პროცესები, თუ შეიძლება ითქვას, ჩვენ თვალწინ ხდება:

– ზოგი კატეგორია იკარგება და მისი ნიშანი სხვა ფუნქციას იძენს (მაგ. ინკლუზიის კატეგორიის გუ- პრეფიქსმა I ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვის გამოხატვის ფუნქცია შეიძინა); ზოგი კატეგორია განაგრძობს არსებობას, მაგრამ მისი ნიშანი სხვა პარადიგმულ ოპოზიციაში ახალ ფუნქციას იძენს და, ამგვარად, ერთი მორფემა ზმნის უღლების თანამედროვე სისტემაში რამდენიმე ფუნქციით იტვირთება (მაგ. o- პრეფიქსის ძირითადი რეფლექსიური შინაარსიდან → აქტივის სასუბიექტო ქცევა, საიდანაც კონვერსიით → ერთპირიანი რეფლექსიური პასივის ფუნქცია: *და-ი-ხატა მან ის* → *და-ი-ხატა ის*; ასევე რეფლექსიური მედიოაქტივის (აეტოტივის) უსრული ასპექტის აორისტ-ფუტურუმის გამოხატვის ფუნქცია: *შე-იწუხა მან თავი* → *იწუხა მან* → *იწუხებს ის*; ირიბი ობიექტის სამიმართებო (ე.წ. სასხვისო ქცევის ანუ საობიექტო ვერსიის) გ- პრეფიქსმა იტვირთა რელატიური პასივის მარკერის ფუნქცია; [შ]ი- და ჯ- საობიექტო მიმართების პრეფიქსები მიწერია ტიპის სტატიკური ფორმის ინვერსიით მიღებული აქტივის I რეზულტატივის (*და-მ-იწერ-ია დაუწერ-ია*) კონფიქსის შემაღგენელი პრეფიქსული ნაწილი გახდა, ისევე, როგორც საობიექტო მიმართების (ვერსიის) გ- პრეფიქსი პასივში – აქტივის II რეზულტატივის მახასიათებელი წყვეტილის -ე სუფიქსთან ერთად: წყვეტილი: *დამ-ე-ხატა ის მე*, *დამ-ე-ხატ-ე შენ მე*, მაგრამ: II რეზულტატივი: *დამ-ე-ხატა მე ის*, *დამ-ე-ხატ-ე მე შენ*. ინვერსიის შედეგად მ-ს რიგის პრეფიქსები სუბიექტური პირის მარკერებად იქნა გაგებული, ხოლო გ-ს რიგისა – ობიექტური პირისად და სხვ.

ამგვარად, ახალი მორფოლოგიური კატეგორიების ფორმირება, ერთი მხრივ, აფიქსთა ფუნქციების გადააზრიანებას და, მეორე მხრივ, აფიქსთა პოლისემანტიზმს იწვევს.

ყოველივე ეს ართულებს ქართული ზმნის უღლებადი ფორმების ერთ მთლიან სისტემაში მოქცევას, მის აღწერას და აქედან – სწავლებასაც, რადგანაც იგი ქმნადობის პროცესშია და მისი სხვადასხვა რგოლები ტრანსფორმაციას განიცდიან. მაგრამ ამ დუდილში მაინც გამოიყოფა მდგრადი და სტაბილური, მყარი და სიმეტრიული ფორმალურ-სემანტიკური სისტემა, რომლის აღწერასაც ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი.

ქართული ზმნის უღლების სისტემასთან დაკავშირებით მრავალი მნიშვნელოვანი ნაშრომია შექმნილი, რომლებშიც ბევრი საკითხი სხვადასხვაგვარადაა მოწოდებული და გადაწყვეტილი.

ყველა თვალსაზრისს (ეხება ეს გრამატიკულ კატეგორიათა კვალიფიკაციასა თუ კლასიფიკაციას) თავისი საფუძველი და არგუმენტაცია ახლავს და უფლება აქვს მეცნიერული აზრის მიმოქცევაში არსებობისა (იხ. ბიბლიოგრაფია).

ჩვენ მიერ წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი საკლასიფიკაციო პრინციპები გამომდინარეობს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რეატომეულის ზმნური ბაზის ანალიზიდან და ეფუძრება, რომ ერთ-ერთი შესაძლებელი ვარიანტია ქართული ზმნის უღლების სისტემის აღწერისა ამ სისტემაში უცხოელ ლინგვისტ-სპეციალისტთა უკეთ გარკვევის მიზნით.

ნაწილი I

ქართული ზმნის ზოგადი ღახასიათება

§1. სტატიკა და დინამიკა

ქართული ზმნის ძირითადი საკლასიფიკაციო პრინციპია დაყოფა სტატიკურ და დინამიკურ ზმნებად. სტატიკური ზმნა გამოხატავს საგნის მდგომარეობას ან მოქმედების მდგომარეობას (*აქვს, დგას, ზის, წევს, სძინავს, კანკალებს, წუხს, ყვირის, ცხოვრობს, ხატია, წერია, გღია...*). დინამიკური ზმნა კი – მოქმედების პროცესს (*აკეთებს – კეთდება, ათეთრებს – თეთრდება – უთეთრდება, ხატავს – იხატება –ეხატება, აბამს – იბმება – ებმება, ათბობს – თბება – უთბება, შლის – იშლება – ეშლება*).

სტატიკური ზმნები განვითარების უძველეს საფეხურს და ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის უძველეს ნაწილს წარმოადგენენ. სტატიკური ზმნა, თავისი შინაარსიდან გამომდინარე (რამდენადაც იგი მდგომარეობას აღნიშნავს), პრინციპში დროის მიხედვით უცვლელი უნდა იყოს, მაგრამ დინამიკური ზმნების უღლების განვითარებული სისტემის ანალოგიით აწარმოებს დრო-კილოთა ფორმებს. საფიქრებელია, რომ სტატიკური ზმნები ბაზაა დინამიკური ზმნების წარმოებისა ე.წ. კაუზატიური წესით: (*წუხს – ა-წუხებ-ს, დგას – ა-დგ-ენ-ს, ტირის – ა-ტირ-ებ-ს, გღია (ძვ. ჰგდიეს) – ა-გდ-ებ-ს*). სტატიკური ზმნები, როგორც უძველესი ფორმაციისა, ღარიბია მორფოლოგიური კატეგორიებით (ხშირად ირეგულარულია). დინამიკური ზმნები აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენენ, მორფოლოგიური კატეგორიებით მდიდარია და ძირითადად რეგულარული წარმოება აქვთ – უღლების სისტემა ნორმალურად და სიმეტრიულად აქვთ განვითარებული.

§2. აბსოლუტურობა და რელატიურობა

ქართული ზმნა, სტატიკურია ის თუ დინამიკური, შეიძლება იყოს აბსოლუტური, ე.ი. შეიწყობდეს მხოლოდ ერთ პირს და რელატიური – შეიწყობდეს ერთზე მეტ პირს. სტატიკური: *ხატია ის – მიხატია ის მე – უხატია ის მას, წუხს ის – უწუხს ის მას.* დინამიკური: *ვიხატები მე, ვხატავე მე მას, ვიხატავე მე მას, ვუხატავე მე მას მას, ვახატეინებ მე მას მას; ეწუხდები მე, ვაწუხებ მე მას – ვაწუხებინებ მე მას მას.*

სტატიკური ზმნა ორზე მეტ პირს ვერ შეიწყობს და ვერც გამოხატავს. დინამიკურმა შეიძლება შეიწყოს ორი, სამი და იშვიათად ოთხი პირიც, მაგრამ ერთდროულად შეუძლია გამოხატოს მხოლოდ ორი (*მ-ხატავე-ს ის მე, მ-იხატავე-ს ის მე მას, და-მ-იჭირა მან მე, და-მ-იჭირა მან მე ის, მი-მ-ამსგავე-ს მან მე მას, მო-მ-ამსგავე-ს მან მე ის; მი-მ-აგდ-ო მან მე მას, მო-მ-აგდ-ო მან მე ის, მ-იჭმი-ა მან მე მას ის*).

გამოხატულ პირთაგან ერთი სუბიექტია, ორი ობიექტი – პირდაპირი ან ირიბი.

§3. პირისა და რიცხვის გამოხატვის სისტემა

როგორც ზემოთ ითქვა, ქართულ ზმნაში, განსხვავებით ინდოევროპული ზმნისაგან, სათანადო ნიშნით გამოიხატება როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირებიც (ე.წ. პირმიმართი აქტანტები, ე.ი. აქტანტები, რომელთაც ზმნაში საკუთარი მარკერები აქვთ).

მორფოლოგიური ტიპოლოგიის თვალსაზრისით, ქართული ზმნა ძირითადად აგლუტინაციური აგებულებისაა, რაც ნიშნავს იმას, რომ ყოველ კატეგორიას თავისი ნიშანი აქვს, თუმცა, როგორც ზემოთაც ითქვა, არის ფლექსიური ტიპის ნიმუშებიც.

პირის გამოხატვის პრინციპი ქართულ ზმნაში ძირითადად პრეფიქსულია, რიცხვისა კი – სუფიქსური. თუმცა არის გამონაკლისები, რასაც თავისი მიზეზები აქვს და ახსნაც მოეპოვება, რისთვისაც დაგეჭირდება ქართული ენის ისტორიიდან სათანადო საკითხების მოკლე განხილვა.

თუ ამოვალთ ერთპირიანი გარდაუვალი ზმნების აგებულებიდან (*ვ-არ, ვ-ტირი, ვ-იმაღები* და სხვ.) და ასევე, ორვალენტიანი და სამვალენტიანი (ორპირიანი) დინამიკური ზმნების აგებულებიდან (*ვ-აკეთებ, ვ-ათბობ, ვ-ხატავ, ვ-უკეთებ, ვ-უთბობ, ვ-უხატავე*), სადაც სემანტიკურსა და გრამატიკულ ელემენტთა შორის პირ-

დაპირი შესაბამისობაა, ე.ი. მორფოლოგიური სუბიექტი უღრის რეალურად მოქმედ პირს (აგენსს), პირის ნიშანთა ცხრილი წარმოგვიდგება შემდეგნაირად:

სუბიექტური პირის ნიშნების ცხრილი

მხ. რ.	მრ. რ.
I ე-	ე - თ
II Ø, ხ- (ს-, ჰ-)*	Ø, ხ- (ს-, ჰ-) - თ
III -ს, -ა, -ო	-ენ/-ან, -ნ, -ნენ, -ეს

ობიექტური პირის ნიშნების ცხრილი

მხ. რ.	მრ. რ.
I მ-	მმ-
II გ-	გ- - თ
III ჰ-, ს-, Ø-	ჰ-, ს-, Ø- - თ*

S₂-ის ძირითადი ნიშანი ისტორიულად არის ჰ- პრეფიქსი. Ø- და ს- მისი პოზიციური ვარიანტებია. თანამედროვე ქართულში S₂-ის ნიშანი საერთოდ დაკარგულია ფონეტიკური მიზეზით და ნორმის მიხედვით არის Ø-. ჰ*- და ს*- პრეფიქსი S₂-ის ნიშნად ახალ სალიტერატურო ქართულში შეიძლება შეგვხედდეს XIX-ისა და XX საუკუნის დასაწყისის მწერლებთან. რაც შეეხება ხ- პრეფიქსს, ის გამომონაშთის სახით დარჩენილია ორ ზმნაში (სამ ფორმაში) ხ-არ, (წა) ხ-ვალ, (წა) ხ-ვედ. მას V-VII სს. ე.წ. „ხანმეტ“ ტექსტებში ვხვდებით S₂ და O₃-ის ნიშნად. იგი წარმოადგენს ჰ- პრეფიქსის პოზიციურ ვარიანტს, ისევე, როგორც ს-, რომელიც ჰ-სგანაა მიღებული დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ-ს წინ. ჰ- დარჩენილია ბ, ფ, პ, გ, ქ, კ და ყ ბგერების წინ, მაგრამ, როგორც ვთქვით, თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, S₂-ის ნიშანი დღეს არის Ø.

როგორც ტაბულიდან ვხედავთ, პირის გამოხატვის პრინციპი დარღვეულია სუბიექტური უღლების III სუბიექტურ პირში, რიცხვის გამოხატვისა კი ობიექტური უღლების I ობიექტურ პირში. III სუბიექტური პირის ნიშნებში ორი დარღვევაა: ჯერ ერთი, პრეფიქსის ნაცვლად პირის ნიშნად სუფიქსია, მეორეც, დარღვეულია აგლუტინაციის პრინციპი. ერთი პირისათვის სამი ნიშანია: მათგან -ა და -ო აორისტში (წყვეტილში) იხმარება. -ო მიღებულია ა-სგან

ფონეტიკური ცვლილებების შედეგად ძირითადად უხმოვნო ძირიან ფორმებში (ვაო) აქვე-ა → აქვა → აქო (სადაც -ვე წყვეტილის თემის უძველესი სუფიქსია, რომელიც დღესაც ცოცხალია ქართლ-კახურ დიალექტში: გაეაკეთევი, წავიღევი...). მაგრამ -ს და -ა სუფიქსების ხმარება განაწილებულია სხვადასხვა დრო-კილოს მიხედვით, ე.ი. პრინციპი ფლექსიურისას ჰგავს. გარდა ამისა, მრავლობით რიცხვშიც რამდენიმე სუფიქსია, რომელიც ჩაენაცვლება ჩამოცილებულ პირის ნიშნებს და მათი ხმარება განაწილებულია დრო-კილოებისა და გვარების მიხედვით (იხ. უღლების ტაბულები), დაახლოებით ისე, როგორც ეს ფლექსიურ (ვეროპულ) ენებშია¹.

ერთი შესაძლებელი ახსნა ამ ანომალიისა არის ის, რომ ისტორიულად Σ_3 -ის ნიშანი სხვა ფუნქციისა უნდა ყოფილიყო. კერძოდ, ჩრდილო კავკასიური ენების (მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე ქართული შერეული დიალექტის, წოვათუშურის) მაგალითის მიხედვით ჩანს, რომ კლასოვანი უღლებიდან პირიან უღლებზე გადასვლისას პირის ნიშნებით (ნაცვალსახელოვანი ელემენტების გაცვეთის შედეგად) ფორმდება პერსონალური I და II პირები. III პირი გაუფორმებელია. კლასის კატეგორიის გამომხატველი სუფიქსი, მას შემდეგ, რაც კლასოვანი უღლება პირიანმა შეცვალა, გაგებულ იქნა III სუბიექტური პირის ნიშნად. მიზეზი პირის გამოხატვის პრეფიქსული პრინციპის დარღვევისა და ეს უნდა იყოს. არსებობს ამ ანომალიის სხვაგვარი ახსნაც.

რაც შეეხება ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვის პრეფიქსით გამოხატვას (რაც აგრეთვე ანომალიაა), ეს გამოწვეულია იმით, რომ გვ- (<გუ-<გმ-) პრეფიქსი წარმოშობით ინკლუზივის (<გ+მ = O_2+O_1) ნიშანია, რომელიც თავისთავად ერთზე მეტ პირს გამოხატავდა და სწორედ ამის გამო ქართული ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ქართული ზმნის პირთა გამოხატვის სისტემაში ინვერსიის პროცესის შედეგად მრავლობითი რიცხვის ნიშნად იქნა გაგებული, რაც აფექტური (გრძნობა-აღქმის) შინაარსის სტატიკურ ზმნებში სახელობითბრუნვიანი პასიური აქტანტის (მორფოლოგიური სუბიექტის) სინტაქსური ძალის დასუსტებასა და მიცემითბრუნვიანი აქტანტის (მორფოლოგიური ირიბი ობიექტის), რომელიც ამგვარ ზმნებში, ჩვეულებრივ, პერსონალური პირია, ლო-

¹ კერძოდ, -ს აქტივისა და მედიოაქტივის აწმყოში და კავშირებითის ყველა ფორმაში, ხოლო -ა ყველა ტიპის ზმნის უწყვეტელში, წყვეტილში, I და II რეზულტატივებში, ასევე, პასივის აწმყოში.

გიკურ (რეალურ) სუბიექტად (აგენსად) გადააზრიანებას ანუ ინვერსიას მოჰყვა.

პირთა კომბინაციების ტაბულები

ტაბულა №1

ვეზრდები მე მას

O \ S	1. მე	2. შენ	3. მას	1. ჩვენ	2. თქვენ	3. მათ
1. მე	–	გეზრდები	*ეზრდები	–	*გეზრდებით	*ეზრდები
2. შენ	მეზრდები	–	*ეზრდები	გვეზრდები	–	*ეზრდები
3. ის	მეზრდება	გეზრდება	*ეზრდება	გვეზრდება	*გეზრდებათ	*ეზრდება
1. ჩვენ	–	*გეზრდებით	*ეზრდებით	–	*გეზრდებით	*ეზრდებით
2. თქვენ	მეზრდებით	–	*ეზრდებით	გვეზრდებით	–	*ეზრდებით
3. ისინი	მეზრდებიან	*გეზრდებიან	*ეზრდებიან	გვეზრდებიან	*გეზრდებიან	*ეზრდებიან

ტაბულა №2

ვზრდი მე მას

O \ S	1. მე	2. შენ	3. მას	1. ჩვენ	2. თქვენ	3. მათ
1. მე	–	გზრდი	*ეზრდი	–	*გზრდით	*ეზრდი
2. შენ	მზრდი	–	*ზრდი	გეზრდი	–	*ზრდი
3. ის	მზრდის	გზრდის	*ზრდის	გეზრდის	*გზრდის	*ზრდის
1. ჩვენ	–	*გზრდით	*ეზრდით	–	*გზრდით	*ეზრდით
2. თქვენ	მზრდით	–	*ზრდით	გეზრდით	–	*ზრდით
3. ისინი	მზრდიან	*გზრდიან	*ზრდიან	გეზრდიან	*გზრდიან	*ზრდიან

შენიშვნა: წარმოდგენილ ტაბულებში ვარსკვლავით აღნიშნულია ფორმები, რომლებიც ერთმანეთს ემთხვევა.

კომბინაცია $S_1 \rightarrow O_1, S_2 \rightarrow O_2, S_3 \rightarrow O_3$ საობიექტო მიმართებიდან სასუბიექტო (რეფლექსივის) მიმართების ფორმად იქცევა: მიზრდი მე შენ მას, ეუზრდი მე მას მას, მაგრამ: მე (ჩემთვის) ვიზრდი მას, შენ (შენთვის) იზრდი მას, ის (თავისთვის) იზრდის მას.

ტაბულა №3

ეუზრდი მე მას მას

O \ S	1. მე 3 მას/მათ	2. შენ 3 მას/მათ	3 მას 3. მას/მათ	1. ჩვენ 3 მას/მათ	2. თქვენ 3. მას/მათ	3. მათ 3. მას/მათ
1. მე	-	გიზრდი	*ეუზრდი	-	*გიზრდით	*ეუზრდი
2. შენ	მიზრდი	-	*უზრდი	გვიზრდი	-	*უზრდი
3. ის	მიზრდის	გიზრდის	*უზრდის	გვიზრდის	*გიზრდით	*უზრდის
1. ჩვენ	-	*გიზრდით	*ეუზრდით	-	*გიზრდით	*ეუზრდით
2. თქვენ	იზრდით	-	*უზრდით	გვიზრდით	-	*უზრდით
3. ისინი	მიზრდიან	*გიზრდიან	*უზრდიან	გვიზრდიან	*გიზრდიან	*უზრდიან

ტაბულა №4

მომამსგავსა მან მე ის

O \ S	1. მე 3 ის/ისინი	2. შენ 3. ის/ისინი	3 მას 3 ის/ისინი	1. ჩვენ 3 ის/ისინი	2. თქვენ 3. ის/ისინი	3. მათ 3. ის/ისინი
1. მე	-	მოგამს- გავსე	*შევამს- გავსე	-	*მოგამს- გავსეთ	*შევამსგა- ვსე
2. შენ	მომამსგავსე	-	*მიამს- გავსე	მოგევამს- გავსე	-	*მიამსგა- ვსე
3. მან	მომამსგავსა	მოგამს- გავსა	*მიამს- გავსა	მოგევამს- გავსა	მოგამს- გავსათ	*მიამსგა- ვსა
1. ჩვენ	-	*მოგამს- გავსეთ	*შევამს- გავსეთ	-	*მოგამს- გავსეთ	*შევამსგა- ვსეთ
2. თქვენ	მომამსგავსეთ	-	*მიამს- გავსეთ	მოგევამს- გავსეთ	-	*მიამსგა- ვსეთ
3. მათ	მომამსგავსეს	*მოგამს- გავსეს	*შევამს- გავსეს	მოგევამს- გავსეს	*მოგამს- გავსეს	*შევამსგა- ვსეს

ტაბულა №5

მიმამსგავსა მან მე მას

O \ S	1. მე 3 მას/მათ	2. შენ 3 მას/მათ	3 ის 3 მას/მათ	1. ჩვენ 3 მას/მათ	2. თქვენ 3 მას/მათ	3. ისინი 3 მას/მათ
1. მე	-	მიგამს- გავსე	*შევამსგა- ვსე	-	*მიგამს- გავსეთ	*შევამს- გავსე
2. შენ	მიმამსგავსე	-	*მიამსგა- ვსე	მიგევამს- გავსე	-	*მიამს- გავსე
3. მან	მიმამსგავსა	მიგამს- გავსა	*მიამსგა- ვსა	მიგევამს- გავსა	*მიგამს- გავსათ	*მიამს- გავსა
1. ჩვენ	-	*მიგამს- გავსეთ	*შევამსგა- ვსეთ	-	მიგამს- გავსეთ	*შევამს- გავსეთ
2. თქვენ	მიმამსგავსეთ	-	*მიამსგა- ვსეთ	მიგევამს- გავსეთ	-	*მიამს- გავსეთ
3. მათ	მიმამსგავსეს	*მიგამს- გავსეს	*შევამსგა- ვსეს	მიგევამს- გავსეს	*მიგამს- გავსეს	*შევამს- გავსეს

როგორც ტაბულებიდანაც ჩანს, S_1O_2 და S_2O_1 კომბინაციების დროს ზმნაში წარმოდგენილია ობიექტური პირის მარკერი. ხოლო S_3O_1 , S_3O_2 და S_3O_3 კომბინაციების დროს კი ორივე პირის – სუბიექტისა და ობიექტის აღნიშვნის (მარკირების) შესაძლებლობაა, რადგანაც S_3 -ის მარკერი სუფიქსია და ყველა დანარჩენ შემთხვევაში კი პირის ნიშნები პრეფიქსებია. ამავე დროს, ადვილი შესამჩნევია, რომ მოთხრობითში დასმული აქტანტი (აქტიური ზმნის მორფოლოგიური სუბიექტი, რომელიც რეალურად აგენსია) სტაბილურად ვ-ს რიგის ნიშნებით გამოიხატება ($S_1 - ვ$, $S_2 - \emptyset$, $S_3 - -ს, -ა, -ო$); მიცემითში დასმული აქტანტი მ-ს რიგის ნიშნებით ($O_1 - მ$; $O_2 - გ$; $O_3 - ჰ, ს, \emptyset$); სახელობითში დასმულ აქტანტს კი ორივე რიგის ნიშანი გამოხატავს ფუნქციის შესაბამისად: როცა სახელობითში დასმული აქტანტი აგენსის (რეალური სუბიექტის) როლს ასრულებს, იგი ვ-ს რიგის ნიშნითაა გამოხატული და ასეთ შემთხვევაში ის კომბინაციაშია მიცემითბრუნვიან აქტანტთან, ხოლო სახელობითში დასმული აქტანტი, რომელიც კომბინაციაშია მოთხრობითბრუნვიან აქტანტთან (აორისტში), ყოველთვის პაციენსია და გამოხატულია მ-ს რიგის ნიშნებით. პირობითად ეს შეიძლება ასეთი ფორმულით წარმოვადგინოთ:

1. nom. / nom. (ვ-)

2. nom. / nom. (ვ-) + dat. / dat. (მ-)

3. nom. / erg. (ვ-)+dat. / nom. (მ-)

4. nom. / erg. (ვ-)+dat. / nom. (მ-)+ dat. / dat. (∅-ა)

5. nom. / erg. (ვ-)+dat. / nom. (∅) + dat. / dat. (მ-ა)

გარკვეული სემანტიკის ზმნებში ფორმასა და ფუნქციას შორის პირდაპირი შესაბამისობა დარღვეულია ინვერსიის პროცესის შედეგად.

§4. ინვერსია ქართულ ზმნაში დიაქრონიული და სინქრონიული ასპექტით

ინვერსიის პროცესს ქართულ ზმნაში საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ეს მოვლენა ქართული ენის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტია. ინვერსიის პროცესი ქართული ზმნის ბუნებიდან, კერძოდ, მისი პოლიპერსონალიზმიდან გამომდინარე კანონზომიერი პროცესია. სწორედ ინვერსიის პროცესი გახდა ერთ-ერთი მიზეზი და საფუძველი ქართული ენის სინტაქსში იმ დიდი ძვრებისა, რომლებმაც ენის სისტემაში სხვა

ცვლილებებთან ერთად გამოიწვია მიცემით ბრუნვაში დასმული პერსონალური პირის მიერ ზმნის რიცხვში შეთანხმების უნარის მოპოვება და, მაშასადამე, რიცხვში შეთანხმების ფორმალური პრინციპის სემანტიკურით შეცვლა. ამ ცვლილებამ ძველი ქართული მკვეთრად გამოიჯნა ახალი ქართულისაგან.

რა არის ინვერსია? ზმნაში ინვერსია ვლინდება პირის ნიშანთა ფუნქციების შებრუნებაში. სწორედ ასე და მხოლოდ ასე ესმის ინვერსია აკაკი შანიძეს. მისი აზრით, „გარდაუვალმა ზმნებმა საზოგადოდ ინვერსია არ იცის“ („საფუძვლები“, §241). იგი ინვერსიულად მიიჩნევს მხოლოდ აქტივთა III სერიის ფორმებს I სერიის ფორმების მიმართ. მაგრამ ეს შედეგია, გამოხატულებაა გარკვეული პროცესისა და არა საფუძველი, მიზეზი, არსი. სწორედ ამგვარად, ისტორიული განვითარების კუთხით განიხილავენ ინვერსიას არნოლდ ჩიქობავა და ეარლ ამ თოფური.

რა არის ინვერსიის საფუძველი? რაში მდგომარეობს ინვერსიის პროცესის არსი? არის თუ არა ინვერსია გრამატიკული მოვლენა?

ნებისმიერი სტატიკური ზმნის რელატიური ფორმა რომ ავიდლოთ, დაეუშვათ, *მიწერია ის მე* (ძე.: *მიწერიეს იგი მე*), როგორც სტატიკური ზმნა, იგი არ შეიცავს მოქმედი პირის გაგებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რადგანაც ეს ზმნა მდგომარეობას გამოხატავს და არა მოქმედებას, მას არ გააჩნია რეალურად მოქმედი პირის (მოქმედების აგენსის) გაგება, ე.ი. რეალური (ლოგიკური) სუბიექტი, თუმცა მორფოლოგიურად სახელობითში დასმული აქტანტი გამოხატულია სუბიექტის ნიშნით (S₃-ა), ხოლო მიცემითში დასმული – ობიექტის ფორმანტით (O₁-მ), მაგრამ მორფოლოგიური სუბიექტი რეალურად უმოქმედოა.

ამრიგად, სტატიკურ ზმნათა მორფოლოგიური სუბიექტი რეალურად პასიურია; ობიექტი სინტაქსური თვალსაზრისით მასთან თანასწორუფლებიანია (ისიც მმართავია, მასაც საკუთარი ნიშანი აქვს ზმნაში), ამავე დროს, ეს ობიექტი ყოველთვის აღმქმედი, მქონებელია, მგრძნობელია, განმცდელია, მოლაპარაკეა და ამიტომ ხშირად *სულიერ*, *კერძოდ კი პერსონალურ პირს* (ადა-მიანს) გამოხატავს, მაშინ, როდესაც მასთან კომბინაციაში მყოფი გრამატიკული სუბიექტი, ჩვეულებრივ, აღქმის, ქონების, გრძნობის, განცდის საგანია (რეალური ობიექტია), ამიტომ ხშირად უსულთა (ცხადია, ამ თვალსაზრისით გადამწყვეტია თავად ზმნის სემანტიკა). სწორედ ამის გამო მორფოლოგიური ობიექტი, როგორც რეალურად აქტიური პირი (მდგომარეობის ან მოქმედების განმც-

დელი) მეტყველის ცნობიერებაში წინ იწევს და თავისი აქტიურობით აჭარბებს მორფოლოგიურ სუბიექტს. ამგვარად, მოლაპარაკის ცნობიერებაში საფუძველი ყურება ინვერსიის პროცესს. ე.ი. ამ პროცესს საფუძვლად უდევს ფსიქოლოგიური ფაქტორი: პოლიპერსონალური ბუნების მქონე რელატიური სტატიკური ზმნა (რომლის მორფოლოგიური სუბიექტი და მორფოლოგიური ობიექტი¹ სინტაქსურად თანასწორუფლებიანია; ორივე მმართვეია, რეალურად კი აქტიური MO მეტი უფლებით სარგებლობს, ვიდრე პასიური MS) მისი ფორმის ინვერსიული შინაარსით გაგების შესაძლებლობას იძლევა.

პირის ნიშანთა ფუნქციების ინვერსიის მიზეზი არის პოლიპერსონალური ბუნების გარკვეული ტიპის ზმნებში რეალურად პასიური არაპერსონალური სუბიექტისა და რეალურად აქტიური პერსონალური ობიექტის არსებობა; ინვერსიის პროცესის არსი მდგომარეობს მოლაპარაკის ცნობიერებაში შინაარსობლივი მხარის წინ წამოწევაში და შესაბამისად აქტიური პირის სათანადო ფორმალურ (გრამატიკულ) გააქტიურებაში.

როგორც ვნახეთ, ინვერსიის პროცესი ისახება ცნობიერების სფეროში და იგი ლოგიკის სფეროში რჩება მანამ, სანამ არ მოხდება მისი ფორმალური გამოხატვა, მორფოლოგიზაცია. როდესაც ეს ლოგიკური პროცესი ფორმალურ გამოხატულებას პოვებს, მაშინ იგი უკვე შეიძლება ჩაითვალოს გრამატიკულ მოვლენად.²

¹ ქვემოთ ტერმინები სათანადო სიმბოლოებით იქნება წარმოდგენილი: მორფოლოგიური სუბიექტი – MS, მორფოლოგიური ობიექტი MO, რეალური სუბიექტი RS და რეალური ობიექტი RO.

² სხვათა შორის, მიცემითში დასმული სახელის სუბიექტად გაგების ტენდენცია გრძნობა-აქქმის გამოხატეველ ზმნებში თავს იჩენს ევროპული ენების ზმნებშიც: მხედველობაში გვაქვს შემდეგი მაგალითები: *мне кажется, мне нравятся* და სხვ. ასევე შეიძლება მოვიყვანოთ ფრანგული ზმნის მაგალითებიც: *il me sunble, il me plait*. მაგრამ ინვერსია აქ არ შეიძლება იყოს გრამატიკული მოვლენა, რადგანაც რუსულში, ისევე როგორც ფრანგულში, მიცემითში დასმული სახელი მოკლებულია სინტაქსურ უფლებებს: მას არა აქვს ზმნის პირში მართვისა და რიცხვში შეთანხმების უნარი. ინდოევროპული ზმნა მონოპერსონალურია, ხოლო ინვერსიის ლოგიკური სფეროდან გრამატიკულ სფეროზე (გამოხატულების პლანზე) გავეცილება შესაძლებელია მხოლოდ პოლიპერსონალური ბუნების ზმნებში, სადაც ირიბი ობიექტი გრამატიკულად სუბიექტის თანასწორუფლებიანია: მმართვეია, შემთანხმებელია და, ამდენად, მას აქვს უნარი ზმნაში თავისი თავის გარკვეული ფორმანტით (მარკერით) აღნიშვნისა.

როდის უნდა მომხდარიყო ინვერსიის პროცესის მორფოლოგიზაცია (გრამატიზაცია)?

ენახოთ ეს სტატიკური წერ-ო-ა (წერ-ო-ე-ს) ტიპის ზმნის რელატიური (მიწერია<მიწერიეს) ფორმების შინაარსის განვითარების მაგალითზე. ამ ტიპის ზმნა სტრუქტურის მიხედვით (R-ო-ე) ქართული ენის განვითარების იმ ეტაპის ამსახველი ჩანს, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული დროთა სამწევრა სისტემა და ზმნურ ფორმათა დაპირისპირება ასპექტურ სისტემას ეყრდნობოდა: განგრძობითი = დიურატიული – წვევტილი = მომენტობრივი (იხ. §6-7). მაშასადამე, ისტორიულად იგი II სერიის მარტივ თემას უნდა განეკუთვნებოდეს. სანამ ამ ტიპის ზმნაში რეალურად აქტიური პირის გაგება არ არსებობდა, იგი სტატიკური შინაარსისა იყო. მიცემითში დასმული პერსონალური პირის (აღამიანის) რეალურად გააქტიურებასთან ერთად ეს ფორმა დინამიკურ შინაარსს იძენს: რეალურად აქტიური პირის არსებობა დინამიკური ზმნის მთავარი ლოგიკური მახასიათებელია. ამგვარად, განსხვავებით სტატიკური შინაარსის მიწერია (ის მე) ფორმისაგან, რეალურად აქტიური პირის შემცველი მიწერია (მე ის) იძენს დინამიკურ შინაარსს. იგი უკვე გამოხატავს არა მდგომარეობას, არამედ მოქმედებას. მაგრამ როგორ მოქმედებას? თავდაპირველად იგი ითავესებს ორ შინაარსს: თავისი ამოსავალი ფორმისას – სტატიკურს და ახალს – დინამიკურს, კერძოდ, გამოხატავს დინამიკას წარსულში და სტატიკას აწმყოში ანუ: წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგს აწმყოში.

ამგვარად, სტატიკურ ზმნათა ინვერსიამიწინილ ფორმებში ისახება პერფექტული შინაარსის გაგება და დასაბამი ეძლევა პერფექტულ დროთა ფორმების განვითარებას ქართული ზმნის უღლების სისტემაში.

სტატიკურ ზმნათაგან განვითარებულმა დინამიკურმა შინაარსმა თანდათან ფორმალური გამოხატულებაც პოვა: მიწერიეს ტიპის ფორმებს დაერთო ზმნისწინი, და-მიწერიეს, რაც შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ ტიპის ზმნებმა ინვერსიის შედეგად დინამიკური შინაარსი შეიძინეს. ზმნისწინის დართვა, დინამიკურობის მაჩვენებელი ერთ-ერთი ფორმალური მახასიათებლის (ნიშნის) გაჩენა ამ ფორმებს კიდევ უფრო უმკვიდრებს დინამიკურ შინაარსს პერფექტულობის ნიუანსით — იგულისხმება დინამიკა წარსულში; ეს ფორმები გამოხატავენ წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგს, რეზულტატს. ამიტომ მათ შეიძლება რეზულტატიური ფორ-

მეტი ეწოდოს. ამგვარად, მას შემდეგ, რაც *დაუნწერიეს (მას იგი)* ზმნაში მიცემითში დასმული სახელი გააზრებულ იქნა მოქმედების აგენსად და თვით ზმნამ კი მიიღო დინამიკური შინაარსი, იგი ბუნებრივად იქცა გაგრძელებად იმ დინამიკური გარდამავალი ზმნის პარადიგმისა, რომელშიც სახელობითში დასმული შესაბამისი პირი არის როგორც რეალური სუბიექტი (აგენსი), ისე მორფოლოგიური სუბიექტი: აწმყოს ჯგუფის ძირითადი ფორმა *ეწერ (მე მას) – წერს (იგი მას)*; აორისტის ჯგუფის ძირითადი ფორმა *დაეწერე (მე იგი) – დაწერა (მან იგი)*, და ბოლოს, პერფექტული ჯგუფის ძირითადი ფორმა – *დამიწერიეს → დამიწერია (მე იგი) – დაუნწერიეს → დაუნწერია (მას იგი)*, რომელიც გამოხატავს წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგს აწმყოში (აწმყოს რეზულტატივი). აქედან განვითარდა ამ ფორმათა ერთ-ერთი ძირითადი (დღეს ყველაზე გამოკვეთილი) შინაარსობლივი ნიუანსი უნებლიობა-უნახაობა, თურმეობითობა, ე.წ. უნახავე ან უნებლიე აქტის გაგება: აწმყოში ვხედავთ შედეგს იმ მოქმედებისას, რომელიც წარსულში მომხდარა. და ასე გაგრძელდა მთელს სისტემაში კანონზომიერად: იმავე სტატიკური ზმნის წყვეტილის ფორმამ მოგვცა დინამიკურად გააზრებული ფორმა *დამეწერა (მე იგი)*, რომელმაც გამოხატა წინარე წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგი წარსულ დროში (აქედან – ნამყოს რეზულტატივი, ანუ ნამყო წინარეწარსული); შესაბამისად – იმავე სტატიკური ზმნის II კავშირებითის ფორმის ინვერსიისა და გადინამიკურების გზით მივიღეთ მესამე ფორმაც – *დამეწეროს (მე იგი)*, სადაც წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგი ჩანს მომავალში (მყოფადის რეზულტატივი – III კავშირებითი).

ამგვარად, სტატიკურ ზმნათა ინვერსიაქმნილმა გადინამიკურებულმა (დინამიკურად გადააზრებულმა) ფორმებმა გააგრძელეს აქტიურ დინამიკურ ზმნათა პარადიგმა და შეაესეს ის ხარვეზი, რომელიც ქართული ზმნის უღლების სისტემას კქონდა: კერძოდ, წარმოიშვა პერფექტულ დროთა ფორმები: *გამიკეთებებს = გაკეთებული მაქვს*. მაგრამ პარადიგმის გაგრძელება და შევსება ასე მარტივად არ დასრულებულა. ჯერ ერთი, ეს შეეხო არა მხოლოდ გარდამავალ ზმნებს, არამედ მოიცვა ქართული ზმნის უღლების მთელი სისტემა: კერძოდ, ანალიზური, აღწერითი წარმოების სტატიკურმა ფორმებმა: *დახატულ ვარ – დახატულ ვიყავ – დახატულ ვიყო* ტიპისა მოგვცა გარდაუვალი დინამიკური ზმნის აწმყოს, ნამყოს და მყოფადის რეზულტატიური სინთეტური ფორმები: *დაეხატულვარ, დაეხატულ ხარ, დაეხატულ არს > დაეხატულა*, საიდანაც

შემდგომ იმავე მიზეზით, რაც ზემოთ, განვითარდა უნებლიობის, „თურმეობითის“, უნახაობის შინაარსი (რამაც, სხვათა შორის, წყვეტილის ფორმებს შეუნარჩუნა არსებობა).

ხოლო, რაც შეეხება დინამიკურ გარდამავალ (პირდაპირგარდამავალ) ზმნათა პარადიგმის გაგრძელებას, როგორც მოსალოდნელი იყო, შენაცვლებულმა სტატიკურმა ფორმებმა (*მიხატის, მიკეთის...*) აწმყოს თემის ანალოგიით პარადიგმა გაასწორეს (გააწონასწორეს) და დაირთეს დინამიკურობის კიდევ ერთი ნიშანი – აწმყოს ფორმების მახასიათებელი შესაბამისი თემატური სუფიქსები (*ეხატ-ავ – დამიხატ-ავ-ს, ვაკეთ-ებ – გამიკეთ-ებ-ის*), რითაც ფორმალურადაც დაემსგავსნენ მათ (-ებ თემატურ სუფიქსიან ზმნებში).

ეს პროცესი უფრო შორს წავიდა და ანალოგიით გაერცვლდა ე.წ. II თურმეობითის (იგივე II რეზულტატივის) ფორმებზეც: ძე. *გამეკეთა → გამეკეთ-ებ-ია → გამეკეთ-ებ-ინ-ა*.

ამგვარად, სტატიკურ ზმნათა ინვერსიის შედეგად ქართული ზმნის უღლების სისტემაში თანდათან ჩამოყალიბდა დრო-კილოთა სრულიად ახალი ჯგუფი, რომელიც დღეს III სერიის სახელითაა ცნობილი. ამ ჯგუფის ფორმები ისტორიულად წარმოადგენენ არა შესაბამის დინამიკურ გარდამავალ ზმნათა ინვერსიულ ფორმებს, არამედ თავიანთი წინაპარი, ამოსავალი სტატიკური ზმნებისა – *მიწერია (ის მე) > (და)მიწერია (მე ის)*. *მიწერია (ის მე)* ფორმის ინვერსიულად გააზრებამ მოგვცა *(და)მიწერია (მე ის)* შებრუნებული კონსტრუქციის დინამიკური ზმნა, რომელიც დღეს დინამიკური *ეწერ (მე მას)* ფორმის გაგრძელებას წარმოადგენს, მაგრამ არა მისი ინვერსიით მიღებულ ფორმას. დინამიკურ გარდამავალ ზმნებს აქტიური სუბიექტი აქვთ. აქედან ცხადია, რომ აქტიურსუბიექტიან ზმნებში ინვერსიის პროცესისათვის ისტორიული თვალსაზრისით საფუძველი არ არსებობს. ამ ზმნათა გრამატიკული სუბიექტი ყოველთვის ემთხვევა რეალურ სუბიექტს, იგი საკმაოდ აქტიურია იმისათვის, რომ არ დაუთმოს ზმნაში თავისი ადგილი ობიექტს. სწორედ იმიტომ, რომ *დამიწერია* ზმნის ახალი კონსტრუქცია მოგვცა *მიწერია* ზმნის პირების ფუნქციათა შებრუნებულმა, ინვერსიულმა გააზრებამ, დაირღვა რელატიურ სტატიკურ ზმნებში პირთა შორის არსებული დესტინაციური მიმართება (*მიწერია ის მე > დამიწერია მე ის*) და I რეზულტატივის რელატიურმა საობიექტო ქცევის ფორმებმა (*დაუწერია, გაუკეთებია*) დაკარგეს ქცევის (ვერსიის) კატეგორიის გაგება. ამიტომვეა, რომ III სერიაში სამპირიანი ფორმები არ არსებობს.

ამგვარად, III სერიაში სამპირიანმა ფორმებმა კი არ დაკარგეს პირი და იქცნენ ორპირიანებად, არამედ მათ არასოდეს ჰქონიათ მესამე პირი, რადგანაც ისინი წარმოშობით ორპირიანი სტატიკური ზმნებია, რომელთაც პირების ფუნქციათა ინვერსია განიცადეს.

ამას სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ დღეს სტატიკურ ფორმათა ინვერსიის გზით მიღებული გარდამავალი ზმნების რეზულტატივის ფორმების (*მეწერა, გამეკეთებინა*) გვერდით ჩამოყალიბდა ისეთი ინვერსიული ფორმებიც, რომლებიც მიღებულია უკვე არა სტატიკურ ზმნათა ინვერსიის შედეგად, არამედ გარდამავალ სამპირიან, ჩვეულებრივ, კაუზატიურ ფორმათა ინვერსიის შედეგად. მხედველობაში გვაქვს განსხვავებული კონსტრუქციის მქონე ომონიმური წყვილები: *გამაგებინა მან მე ის – რომ // ნეტავი გამაგებინა მე ის; ჩამაგდებინა (ორმოში) მან მე ის – რომ // ნეტავი (ხელში) ჩამაგდებინა მე ის; გამაკეთებინა მან მე ის – რომ // ნეტავი გამაკეთებინა მე ის; მაჩვენა მან მე ის – რომ // ნეტავი მაჩვენა მე ის* და სხვ. როგორ მივიღეთ მეორე რიგის ფორმები? სამპირიანმა კაუზატიურმა ფორმებმა დაკარგეს გრამატიკული სუბიექტი – მაკაუზირებელი პირი და სუბიექტად დარჩა მოქმედების შემსრულებელი, რეალურად მოქმედი პირი. კაუზატიურ ფორმათა ინვერსიის ეს ფაქტი არ ეწინააღმდეგება არც იმ აზრს, რომ ინვერსიის საფუძველი პასიური სუბიექტის მქონე ზმნებშია: ცნობილია, რომ კაუზატიური ფორმების გრამატიკული სუბიექტი მოქმედების რეალური შემსრულებელი კი არ არის, არამედ ხელმძღვანელია, ინიციატორია, ხოლო მოქმედების რეალური, ფაქტიური, უშუალო შემსრულებელი კი ირიბი ობიექტია. ამგვარად, ინვერსიის ძირითადი პირობა აქაც დაცულია. MS პირის დაკარგვას და ინვერსიის პროცესის განვითარებას ამ ფორმებში, ეფექტობთ, ხელი შეუწყო გარდამავალ ზმნათა რეზულტატივის ფორმებმა (*გამეკეთებინა მე ის*), რომელთაც, როგორც ცნობილია, კავშირებითი (*ინატვრითი*) კილოს გაგება შეიძინეს. სწორედ მათი გავლენით უნდა მიეღო კაუზატიურ *გამაკეთებინა* ფორმასაც კავშირებითი (*ინატვრითი*) კილოს გაგება და პირის დაკარგვის შედეგად ინვერსიული შინაარსიც. ამგვარად, II რეზულტატივის (*რომ გამეკეთებინა (მე ის)*) ფორმის გვერდით გაჩნდა (*რომ გამაკეთებინა (მე ის)*) ფორმა, რომელიც, განსხვავებით პირველისაგან, განმარტოებით დგას, არ გააჩნია სხვა მწკრივის ფორმები და არც MS პირის მიხედვით ცვა-

ლების უნარი¹. ანალოგიური ვითარება გვაქვს ნატვრითი, მოჩვენებითობის, მიჩნევითობის, უნებლიობის სემანტიკის აქტივის ა-R-ებ მოდელის ზმნებში, რომელთაც, დაკარგეს რა მორფოლოგიური სუბიექტი, ინვერსიული შინაარსი შეიძინეს: *რა გაყვირებს, რა გატირებს, რა გამღერებს, „ურემო, რა გაჭიჭინებსო“* (= *ნეტავ რატომ ყვირი, რატომ ტირი, რა სიმღერის გუნებაზე ხარ, „რას ჭიჭინებს“*) და სხვ.

როგორც ვნახეთ, სტატიკურ ფორმებს თანდათან ემატებოდა ახალი ფორმალური ნიშნები. დინამიკურობისა და მათი ინვერსიის პროცესი საბოლოოდ დასრულდა მაშინ, როდესაც მიცემითში დასმულმა სახელმა, როგორც რეალურად აქტიურმა, მოქმედმა პირმა, ფორმალურადაც გაამყარა თავისი უფლებები: თავისი არსებობა სუბიექტის მრავლობითის თ სუფიქსით აღნიშნა ზმნაში²; მაშინ, როდესაც სახელობითში დასმულმა გრამატიკულმა სუბიექტმა საბოლოოდ დაკარგა ზმნის რიცხვში შეთანხმების უნარი, როგორც ლოგიკურად პასიურმა პირმა. დღეს გვაქვს *დაუწერია-თ მათ ისინი* და არა *დაუწერი-ან მათ იგიინი*, როგორც ძველ ქართულში იყო. ამგვარად, ფორმალური შეთანხმების პრინციპი, რაც ძველი ქართული ენისათვის იყო დამახასიათებელი, ახალში შეცვალა სემანტიკურმა პრინციპმა – შინაარსობლივად, ლოგიკურად საფუძველდებულმა წესმა: ზმნას რიცხვში ითანხმებს რეალურად აქტიური (რომელიც, ჩვეულებრივ, სულიერია, ადამიანია) პირი, ლოგიკური სუბიექტი (ისტორიულად მორფოლოგიური ობიექტი, რომელსაც, როგორც მიცემითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილ სახელს, ძველ ქართულში ზმნის რიცხვში შეთანხმების უნარი არ ჰქონდა) და ვეღარ ითანხმებს მორფოლოგიური სუბიექტი, რომელსაც, როგორც სახელობითში დასმულ სახელს, ისტორიულად ზმნის რიცხვში შეთანხმების უნარი ჰქონდა (იგი ზმნაში აჩენდა მრავლობითის იმავე -ნ (<ენ) ნიშანს, რომელსაც თვითონვე შეიცავდა: *მე წავიკითხ-ენ წიგნ-ნ-ი, მან წავიკითხ-ნ-ა წიგნ-ნ-ი*).

I ობ. პირმა ამისათვის ადრევე, ძველ ქართულშივე გამოიყენა ზმნაში არსებული ყოფილი ინკლუზივის კატეგორიის ნიშანი გუ³.

¹ ინვერსიული შინაარსი აქვს მხოლოდ ობიექტური პირების მიხედვით მონაცვლე ფორმებს: *გამაკეთებინა, გაგაკეთებინა, გააკეთებინა*.

² იგულისხმება II და III MO პირი.

³ გე (<გუ) პრეფიქსი წარმოშობით ინკლუზივის კატეგორიის ნიშანია, რომელიც მრავლობითობის გაგებას შეიცავდა (O₁+O₂ გუ<გმ). ამ კატეგორიის მოშლის

II ობიექტური პირის მრავლობითის გამოხატვა ზმნაში უფრო მოგვიანებით, ქართული სალიტერატურო ენის განვითარების გარდამავალ პერიოდში დასრულდა, ხოლო III პირისა ჯერაც არ დასრულებულა.

ამგვარად, მას შემდეგ, რაც *დამიწერია, გამიკეთებია, დამიხატავს* ფორმებში მიცემითში დასმულმა სახელმა თავისი მრავლობითობა აღნიშნა ზმნაში, ფორმალურად დასრულდა ამ ზმნათა ინვერსიის პროცესი და, შეიძლება ითქვას, მოხდა ამ პროცესის მორფოლოგიზაცია. დღეს ამ ფორმებში ისტორიული სუბიექტის ნიშნები გამოხატავენ ობიექტს და პირიქით, ობიექტის ნიშნებს სუბიექტურ პირთა გამოხატვის ფუნქცია აკისრიათ.

ზემოთქმული ეხებოდა სტატიკურ ზმნათა ინვერსიის გზით მიღებულ გარდამავალ ზმნათა მესამე სერიის ფორმებს.

ახლა ენახოთ, ანალოგიურია თუ არა ვითარება აფექტურ, გრძნობა-აღქმის გამომხატველ მიყვარს ტიპის სტატიკურ ზმნებში.

ის ფაქტი, რომ გრძნობა-აღქმის გამომხატველ ზმნებთან ქართულში მიცემითში დასმული სახელია გაგებული სუბიექტად, თავის დროზე კარგად შენიშნა ნიკო მარმა. თავის „ძირითად ტაბულაებში“ მან ცალკე ადგილი მიუჩინა და გამოყო განსაკუთრებული, „ობიექტური წყობის“ მქონე ზმნების ჯგუფი, რომელიც არსებითად განსხვავდება დანარჩენი ზმნებისაგან. ასეთივე ინტერპრეტაცია მისცა ამ ტიპის ზმნებს მორის ბრიერმაც, მარის თანავეტორობით 1931 წელს პარიზში ფრანგულ ენაზე გამოცემულ ნაშრომში „ქართული ენა“. დაბოლოს, ამ ტიპის ზმნათა ჩამოყალიბების პროცესის არსის გაგება მძლავრი მეცნიერული არგუმენტაციით და უხვი ენობრივი მასალის საფუძველზე მოგვეცა არნოლდ ჩიქობავამ თავის ფუძემდებლურ ნაშრომებში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ და „მარტივი წინადადებების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში“. ამ ნაშრომებში საკითხი გაცილებით უფრო ფართოდ ისმის: ქართული სალიტე-

შემდეგ გუ-პრეფიქსის რუდიმენტის სახით არსებობამ ზმნაში რამდენადმე ხელი შეუწყო მიცემითში ნაგულისხმევი I ობ. პირის მიერ ზმნის რიცხვში შეთანხმების უფლების გაძლიერებას და ამ გზით სტატიკურ ზმნათა ინვერსიის პროცესის დაჩქარებას, პროცესისა, რომელიც სწორედ O₁ ფორმებში უნდა ჩასახულიყო თავდაპირველად. გან-მ-ახლ-ნ-აქან-გ-უ-ახლ-ნ-ა ფორმათა თანაარსებობა ქველ ქართულში (ზოგჯერ ერთსა და იმავე ხელნაწერში) მიუთითებს იმ პერიოდში ამ პროცესის ლაბილურობაზე. ისევე, როგორც დღეს -თ / Ø-ის მონაცვლეობა უსულო O₂ ირიბი ობიექტის შემთხვევაში: *გავეცება მათ (სახელებს) ბოლო // გავეცება-თ მათ ბოლო.*

რატკურო ენის განვითარების მთელ მანძილზე მიცემითი ბრუნვის სინტაქსური როლის გაძლიერება და შესაბამისად – სახელობით-ში დასმული ობიექტის სინტაქსური როლის შესუსტება, რაც მოიცავს ჩვენთვის საინტერესო ზმნებსაც და, საერთოდ, ინვერსიის პროცესის ჩასახვასა და განვითარებას ქართულ ზმნაში. ქართული ენის გრამატიკის ამ მეტად საჭირობოროტო და სადავო საკითხს ვარლამ თოფურიაშვილმა სპეციალური წერილი უძღვნა, რომელშიც აღნიშნავს, რომ „გრძობა-აღქმის გამომხატველი ობიექტური წყობის მქონე საშუალო გვარის ზმნები ანალოგიურ ვითარებას გვიჩვენებენ გარდამავალ ზმნათა III სერიის ფორმებთან: ეს ზმნებიც ინვერსიულია“.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ინვერსიის პროცესისათვის ხელსაყრელი პირობებია სწორედ სტატიკურ ზმნაში, რომელთანაც შეწყობილი მიცემითში დასმული აქტანტი, ჩვეულებრივ, სულიერია, ადამიანია. ქართული ზმნის პოლიპერსონალური ხასიათი (რომელიც მდგომარეობს მორფოლოგიური სუბიექტისა და მორფოლოგიური ირიბი ობიექტის თანასწორ სინტაქსურ ძალაში) და, ამავე დროს, სტატიკური ზმნის მორფოლოგიური სუბიექტის პასიურობა იწვევს რეალურად აქტიური მორფოლოგიური ობიექტის (რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, ამგვარ ზმნებში ჩვეულებრივ, აღმქმელი, განმცდელი, მქონებელი, მგრძობელია) ფორმალურ გააქტიურებასაც, რაც საბოლოოდ პირის ნიშანთა ფუნქციების შებრუნებაში ვლინდება. არის თუ არა დღეს რომელიმე *მაქეს*, *მიყვარს*, *მძულს*, *მწამს*, *მომწონს*, და სხვ. ამავე ტიპის უგვარო სტატიკურ, ანუ ე.წ. „მედიაპასივ“ (ჩვენი კლასიფიკაციით III დიათეზის) ზმნებში მანის რიგის ნიშნები სუბიექტის გამომხატველი და, პირიქით ვინის რიგისა – ობიექტის გამომხატველი? სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ტიპის ზმნებში ინვერსია დღეს უკვე გრამატიკული მოკლენაა, თუ იგი ჯერ კიდევ მხოლოდ ლოგიკური კატეგორიაა? როგორც ა. შანიძე აღნიშნავს „ქართული გრამატიკის საფუძვლები“ 240-ე პარაგრაფში, „პირის ნიშანთა კვალიფიკაცია სათანადო პირთა მოქმედების როგორცაა ზეა დამყარებული“. თუ ამ განსაზღვრას დავეყრდნობით, საკითხი მარტივად გადაწყდება. *მაქეს* (*მე ის*), *მიყვარს* (*მე ის*) *მომწონს* (*მე ის*), *მიჭირს* (*მე ის*) ტიპის ზმნებში ობიექტური პირის ფორმანტით გამოხატული აქტანტი (გრამატიკული ობიექტი) – მოლაპარაკის ცნობიერებაში აქტიურად, მოქმედად არის გააზრებული (ინვერსიის პროცესი ამ ტიპის სტატიკურ ზმნებში უფრო ადრე თუ არა, *მიწერია* ტიპის სტატიკურ

ზმნებზე გვიან არ დაწყებულა). მაშ, ზემოთ მოყვანილი განსაზღვრის მიხედვით გამოდის, რომ *მიყვარს* ტიპის ზმნაში მსუბიექტურს აღნიშნავს, რადგანაც სათანადო პირი (მე) რეალურად აქტიურია. და პირიქით, - სუბიექტური პირის ნიშანია, რადგანაც შესაბამისი პირი სახელობით ბრუნვაში (ის) პასიურია. ამგვარად, ამ ფორმებში ადგილი აქვს პირის ნიშანთა ფუნქციების ინვერსიას და ამიტომ მოცემული შემთხვევებისათვის მ-პრეფიქსს შეგვიძლია მიეცეთ M სუბიექტური პირის ნიშნის კვალიფიკაცია, ხოლო -ს სუფიქსს კი - M სუბიექტური პირის ნიშნისა. ამგვარად, გრძნობა-აღქმის გამომხატველი ზმნები ინვერსიულად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ლოგიკური მოვლენის გრამატიზაცია ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი ფორმალურ გამოხატულებასაც პოუვს.

გრძნობა-აღქმის გამომხატველ ზმნებში მიცემითში დასმული აქტანტის (ლოგიკური სუბიექტის) მრავლობითობა ფორმალური თვალსაზრისით სათანადოდ არის აღნიშნული. მის აღნიშვნას ისევე დიდი ხნის ისტორია აქვს, როგორც დამიწერია ტიპის ზმნებში. ინვერსიის პროცესი I პირიდან, აქტიური პირიდან დაიწყო: მაქვს, მიყვარს... ტიპის ზმნებში მიცემითში დასმულმა I პირმა ძველსავე ქართულში მოიპოვა ზმნის რიცხვში შეთანხმების უნარი, ამის აღსანიშნავად მას ჰქონდა ინკლუზივის ნიშანი გუ-; ძველ ქართულში *გუაქვს ჩუენ* და *მაქვს ჩუენ* ფორმათა პარალელურ ხმარებაში ასახული უნდა იყოს მიცემითში დასმული სახელის მიერ ზმნის რიცხვში შეთანხმების ძალის მოპოვებისა და მისი უფლებების დამკვიდრებისთვის ბრძოლის სურათი, დაახლოებით ისეთივე ჭიდილისა, როგორიც არის დღეს ინვერსიულობისაკენ გადახრილი ზმნების MO_3 პირის მრავლობითის ფორმებში: *ეკვეცება მათ ის/ეკვეცება-თ მათ ის: ეკარგება მათ ის/ეკარგება-თ მათ ის*. ხოლო XII საუკუნის გელათის სალიტერატურო სკოლის ძეგლებში (დღეს კი იმერულსა და რაჭულ დიალექტებში) აფექტურ, გრძნობა-აღქმის გამომხატველ ზმნებში მიცემითში დასმული II და III პირების მრავლობითობა -ყე სუფიქსით აღინიშნება (*გესმის-ყე თქუენ, გიყუარს-ყე თქუენ, უყუარს-ყე მათ, გძინავს-ყე თქუენ, ძალ-გიც-ყე თქუენ, ძალ-უც-ყე მათ-*), რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სტატიკურ ზმნებში მიცემითში დასმული პერსონალური პირის გააქტიურების, ე.ი. ინვერსიის პროცესის ფაქტს ქართული ენის ისტორიაში. უფრო გვიან, საშუალ ქართულში კი მიცემითში დასმული MO_2 და MO_3 (იმავე RS_2 და RS_3)-ის მრავლობითობა ზმნაში აღნიშნულ იქნა ისტორიული სუბიექტის მრავლობითის

-თ სუფიქსით: *გაქვთ თქვენ ის, ისინი, გიყვართ თქვენ ის, ისინი* (მდრ. ძვ. *გქონ-ან შენ / თქუნ, იგინი, გიყუარ-ან შენ / თქუნ, იგინი*).

ამგვარად, ამ ტიპის ზმნებში, ზუსტად ისევე, როგორც *მიწერია* ტიპის ზმნებში, რეალურ სუბიექტად (აგენსად) გააზრებული გრამატიკული ობიექტი, როგორც აქტიური პირი, იძენს ზმნის რიცხვში შეთანხმების უნარს. და, თუ ძველ ქართულში სახელი ზმნას ფორმალური ნიშნების მიხედვით ითანხმებდა (*დაწერ-ნ-ა მან წიგნ-ნ-ი, უყუარ-ან მას იგინი*), თანდათან შეთანხმების სინტაქსური მექანიზმი იცვლება – დღეს სახელი ზმნას ითანხმებს უკვე შინაარსობლივი, ლოგიკური და არა ფორმალური თვალსაზრისით. ამიტომაც მიცემითის სინტაქსური როლი ძლიერდება, სახელობითისა კი სუსტდება. . .

ამგვარად, *აქვს, უყვარს* ტიპის სტატიკურ ზმნათაგან თანდათან ინვერსიის საფუძველზე ჩამოყალიბდა ახალი ტიპის დიათეზის ინვერსიული კონსტრუქციის ზმნები, რომლებიც, სტატიკური ზმნებისაგან განსხვავებით, შეიცავენ აქტიურ პირს; დინამიკურ ზმნათაგან კი განსხვავდებიან იმით, რომ მათი ისტორიული გრამატიკული სუბიექტი არ ემთხვევა რეალურ სუბიექტს, არამედ რეალურად იგი ობიექტს (მოქმედების პაციენსს) წარმოადგენს. ფუნქციების ამგვარი შეცვლა გამოიხატა იმით, რომ მიცემითში დასმულმა სახელმა, როგორც სუბიექტმა, ზმნაში მრავლობითის ნიშანი გააჩინა, რაც აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ დასახელებული ზმნები თავის წინაპარ, ამოსავალ ფორმებთან შეპირისპირებით ინვერსიულეობა. ამ ზმნებს (წერია ტიპის) სტატიკურ ზმნებსა და დინამიკურ ზმნებს შორის საშუალო ადგილი უჭირავთ. ისინი, თუ შეიძლება ითქვას, გამოხატავენ არა უბრალოდ მდგომარეობას, არამედ გარკვეული სულიერი მოქმედების: სიყვარულის, სიძულვილის, წყენის, გაჭირვების (რაც პერსონალური პირის, ადამიანის დამახასიათებელია) მდგომარეობას.

უემოთ არაერთხელ მოგვიხდა აღნიშვნა, რომ ინვერსიის საფუძველი და პირობები სტატიკურ ზმნებშია, რადგანაც რეალურად პასიური გრამატიკული სუბიექტი აქვთ. რომ მართლაც პასიური სუბიექტის არსებობა იწვევს ინვერსიას, ეს იქიდანაც ჩანს, რომ დღეს ვნებითი გვარის დინამიკური ზმნებიც კი, რომელთაც პასიური სუბიექტი აქვთ, ტენდენციას იჩენენ ინვერსიისაკენ (*მაგ. ეხატებათ მათ მომავალი, ეკვეცებათ მათ ბოლო, ეკითხებათ მათ*

ლექცია...)¹, მაშინ როდესაც ამ ტენდენციისაგან თავისუფალია დინამიკური ვნებითისავე, ოღონდ აქტიურსუბიექტიანი ზმნები, როგორცაა: *ემალება ის მათ, ეშველება ის მათ, ეტმასნება ის მათ, აცხრება ის მათ, ახტება ის მათ, ეჩხუბება ის მათ...* (იხ. ინდექსი, პარადიგმა №11 (45)).

ამგვარად, ინვერსიის პროცესი დღესაც მოქმედი პროცესია და სულ უფრო იფართოებს მოქმედების არეს. იგი მოიცავს სულ უფრო ფართო ჯგუფს საერთოდ პასიურსუბიექტიანი (არაპერსონალურსუბიექტიანი) ზმნებისას და თანამედროვე ქართული ენის ზმნის უღლების სისტემაში მტკიცედ იმკვიდრებს თავის ადგილს. ეს პროცესი ენის განვითარების შინაგან კანონზომიერებათა ერთერთი გამოვლინებაა და ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ძირითად ხაზს მიჰყვება.

ქართული ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, როდესაც ინვერსიის ყველა ლაბილური შემთხვევა სტაბილური გახდება, ამ ფორმათა ინვერსიის საკითხი, ალბათ, მხოლოდ ისტორიულ გრამატიკას შემორჩება, პრაქტიკულ გრამატიკაში კი მიყვარს ტიპის ზმნებში სუბიექტური პირის ნიშნებად კვალიფიცირებული იქნება „მანის რიგის“ ნიშნები (მ-, გ-, ჰ-, ს-) და სუბიექტად – მიცემითში დასმული სახელი, ხოლო ობიექტური პირისად – „ვინის რიგისა“ (ვ-, ძ-, -ს, -ა, -თ) და ობიექტად – სახელობითში დასმული სახელი.

ზემოთ შევხებთ პირის ნიშანთა ფუნქციების ისტორიულ შენაცვლებას. რაც შეეხება ფორმალურ გამოხატულებას, სურათი უცვლელი დარჩა, ძალაშია ფორმულები:

1. nom. / nom. (ვ-)
2. nom. / nom. (ვ-) + dat. / dat. (მ-)
3. nom. / erg. (ვ-) + dat. / nom. (მ-)

ამათგან მეორე ფორმულაში ზემოთ აღწერილ შემთხვევებში მარტივი წინადადების ევოლუციის პროცესში მოხდა ცვლილება: დაირღვა პირდაპირი შესაბამისობა სემანტიკასა და მორფოლოგიურ ელემენტებს შორის, მოხდა პირის ნიშანთა ფუნქციების შენაცვლება, რომელსაც ჩვენ ინვერსიას ვუწოდებთ.

¹ ამ ჯგუფს მიეკუთვნება ე.წ. გუნების, შესაძლებლობის, მიჩნევის ვნებითებიც (*მეზღვრება, მეკმევა, მეცოტაეება*), რომელთაგან პირველს დაკარგული აქვს MS: *ემღვრება* მას.

§5. პირიანობა, ვალენტობა, გარდამავლობა, პირთა
მიმართების სახეები
(დესტინაცია-პოსესიურობა, ლოკაცია, კაუზაცია)

ქართულ ზმნას, ისევე, როგორც ვეროპულს, შეიძლება შეეწყოს ერთზე მეტი პირი. იმის მიხედვით, თუ რამდენი აქტანტის შეწყობა შეუძლია ზმნას, განისაზღვრება მისი ვალენტობა. იგი შეიძლება იყოს ერთ, ორ, სამ ან ოთხვალენტიანიც კი. მაგრამ ვეროპული ზმნისაგან განსხვავებით, ქართულ ზმნაში სათანადო ნიშნებით, გარდა მოქმედი აქტანტისა ანუ აგენსისა (სუბიექტური პირისა), გამოიხატება სამოქმედო ანუ პაციენსი – ობიექტური (როგორც პირდაპირი, ისე ირიბი) აქტანტიც. ამ მხრივ (ე.ი. სინტაქსური ძალის თვალსაზრისით) ქართული ზმნის პირმიმართი აქტანტები – სუბიექტი და ობიექტები თანასწორუფლებიანებია. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული ზმნა იუღელის როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირების მიხედვით და, აქედან გამომდინარე, განსხვავებით ვეროპული ზმნისაგან, მაგალითად, ორვალენტიან (ორპირიან) ზმნას, რომელიც იცვლება სუბიექტური და ობიექტური პირების მიხედვით, ნაცვლად მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის ექვსი ფორმისა (როგორც ეს ერთვალენტიან – ერთპირიან ზმნაშია), აქვს 18 განსხვავებული ფორმა (ე.ი. სამჯერ მეტი, ვიდრე ერთპირიანს). ამდენივე განსხვავებულ ფორმას იძლევა სამვალენტიანი ზმნაც, რადგანაც ერთდროულად მასში გამოიხატება სუბიექტთან ერთად მხოლოდ ერთ-ერთი ობიექტი – პირდაპირი ან ირიბი.

გარდამავლობა ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში განისაზღვრება ზმნაში პირდაპირი ობიექტის არსებობით. პირდაპირი ობიექტი სემანტიკურად უახლოესი ობიექტია, რომელზეც პირდაპირ გადადის სუბიექტის მოქმედება (ზმნით გამოხატული მოქმედება). ფორმის თვალსაზრისით კი გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტიც და სუბიექტიც ბრუნვაცვალებადია. სუბიექტის ბრუნვებია: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი; პირდაპირი ობიექტის ბრუნვები კი სახელობითი და მიცემითი. გარდაუვალი ზმნა შეიძლება იყოს ერთპირიანიც (აბსოლუტური) და ორპირიანიც (რელატიური). ერთპირიანში შესაბამისად გამოიხატება ერთი პირი – სუბიექტი, ორპირიანში კი სუბიექტი და ირიბი ობიექტი. გარდამავალი ზმნა პირდაპირი ობიექტის გარდა შეიძლება შეიცავდეს ირიბ ობიექტსაც, რომელიც გამოხატულია იმავე ნიშნით, რითაც პირდაპირი ობიექტი (*მ-ხატავს ის მე – მ-ი-ხატავს ის მე მას*).

სამი პირის შემცველი ზმნების უმრავლესობა პირდაპირი ობიექტის მიხედვით ცვლის უნარს მოკლებულია (როგორცაა მაგალითად, საობიექტო მიმართების, ე.წ. „სახეისო“ ვერსიის ფორმები: მიშენებს – *ეუშენებ, მითბობს – ეუთბობ* და სხვ.). ასეთ ზმნებში პირდაპირი ობიექტი ყოველთვის III პირია. მეორე ჯგუფის ზმნები უფრო ხშირად ლოკატიური (ე.წ. საზედაო) მიმართებისაა. ისინი პირდაპირი ობიექტის მიხედვითაც იცვლებიან და ირიბი ობიექტის მიხედვითაც და აღნიშნავენ ამ ობიექტებს სათანადო მარკერით. იცვლება ირიბი ობიექტის მიხედვით: *მომცა მან მე ის, მომგვარა მან მე ის, მომაჩენა მან მე ის, მომართვა მან მე ის, მომახმარა მან მე ის, მომაგლო მან მე ის, დამაეიწყა მან მე ის, მომამსგავსა მან მე ის, მომაწერა მან მე ის, დამომახატა მან მე ის, მომაჭყლიტა მან მე ის, მომასრისა მან მე ის, მომაკარა მან მე ის, გამატანა მან მე ის, დამალაპარაკა მან მე ის, წამაჩხუბა მან მე ის, შემატოვა მან მე ის, შემატყუა მან მე ის* და სხვ.

იცვლება პირდაპირი ობიექტის მიხედვით: *მიმცა მან მე მას, მიმგვარა მან მე მას, მიმაჩენა მან მე მას, მიმართვა მან მე მას, მიმახმარა მან მე მას, მიმაგლო მან მე მას, დამაეიწყა მან მე მას, მიმამსგავსა მან მე მას, მიმაწერა მან მე მას, მიმახატა მან მე მას, მიმაჭყლიტა მან მე მას, მიმასრისა მან მე მას, მიმაკარა მან მე მას, გამატანა მან მე მას, დამალაპარაკა მან მე მას, წამაჩხუბა მან მე მას, შემატოვა მან მე მას, შემატყუა მან მე მას...* პირდაპირი და ირიბი ობიექტი ერთი და იმავე ნიშნებით გამოიხატება ზმნაში, მაგრამ ერთდროულად სამივე აქტანტის მიხედვით ზმნა ვერ იცვლება. როცა ირიბი ობიექტის მიხედვით ხდება ცვლა, გამოიხატება ირიბი ობიექტი, ხოლო პირდაპირი არა, და პირიქით. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ირიბი ობიექტის არსებობაზე ლოკატიური მიმართების დროს მიუთითებს ა- პრეფიქსი, ასე რომ მეორე შემთხვევაში (ე.ი., როცა უღლება ხდება პირდაპირი ობიექტის მიხედვით, ირიბის არსებობაცაა მითითებული: მი-მ-ა-ჭყლიტა მან მე მას, შე-მ-ა-ტოვა მან მე მას, სადაც მ- I ობ. პირის ნიშანია, ა- კი ზოგადად ირიბისა. პირველ შემთხვევაში კი (მო-მა-ჭყლიტა მან მე ის) ორივე პრეფიქსი ირიბის მარკერია, ოღონდ მ-, გ- კ-/ს/O კონკრეტულად I, II და III პირისა, ხოლო ა- ზოგადად ირიბისა. ამგვარად, ირიბის არსებობა ორივე შემთხვევაშია გამოხატული, პირდაპირისა კი მხოლოდ II შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ ირიბი ობიექტის სამიმართებო ა- პრეფიქსი ყოველთვისაა წარმოდგნილი ა-R-ებ სტრუქტურის ძველი კაუზატივის ფორმებში, სადაც ხშირად

ირიბი ობიექტი გაუჩინარებულა: ალაპარაკებს ის მას მას მაქთან), (ვა)სასუბრებს ის მაქთან), აჩხუბებს ის მას მაქთან), აომებს ის მას მაქთან), ათანხმებს ის მას მაქთან) და სხვ. ამ კაუზატივებს, ჩვეულებრივ, ჟ პრეფიქსიანი აქტიურსუბიექტიანი „პასივები“ შეესაბამებათ: ელაპარაკება ის მას, ესაუბრება ის მას, ეჩხუბება ის მას, ეთანხმება ის მას და სხვ.

ამგვარად, ევროპული გარდამავალი ზმნის მარტივ ფიქსირებულ კონსტრუქციას (S – ნომინატივში და O პირდაპირი – აკუზატივში) ქართულში გარდამავალი ზმნის რთული, აწმყო-წყვეტილში ცვალებადი კონსტრუქცია შეესაბამება (S სახელობითი-მოთხრობითი; O.პ. მიცემითი-სახელობითი): I სერიაში (აწმყო-ყოფადის ჯგუფში) სუბიექტი სახელობითშია, პირდაპირი ობიექტი კი – მიცემითში; წყვეტილის ჯგუფში (II სერია) სუბიექტი მოთხრობითშია (რომელსაც ერგატივსაც უწოდებენ), ხოლო პირდაპირი ობიექტი – სახელობითში. რეზულტატივების ჯგუფში (III სერიაში) სუბიექტი მიცემითშია, პირდაპირი ობიექტი კი – სახელობითში: ზრდის დედა შეიღს – გაზარდა დედამ შეილი – გაუზრდია დედას შეილი.

რამდენადაც პირდაპირი და ირიბი ობიექტები ქართულ ზმნაში თანაბარი უფლებებით გამოიხატება ერთიდამავე მარკერებით, ამდენად, ვარჩევდით გველაპარაკა ქართულ რელატიურ ზმნებში ირიბ და პირდაპირ გარდამავლობაზე. ასეთ შემთხვევაში ერთპირიანი აბსოლუტური აგებულების ზმნა გარდაუვალია, ორვალენტიანი (ორპირიანი) რელატიური აგებულებისა – შეიძლება ირიბგარდამავალი და პირდაპირგარდამავალი იყოს იმის მიხედვით, თუ როგორ ობიექტს შეიცავს, სამვალენტიანი ზმნა კი ერთდროულად – პირდაპირ და ირიბგარდამავალი. ეს უკანასკნელი შეიწყობს სამ პირს (სუბიექტურს, პირდაპირსა და ირიბ ობიექტებს). მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, ერთდროულად სამივე პირის მიხედვით ცვლის უნარი არა აქვს: როცა იცვლება პირდაპირი ობიექტური პირის მიხედვით, მასთან ერთად ირიბი უცვლელია და პირიქით (იხ. ტაბულა № 4,5).

ამგვარად, ქართული ზმნა პირთა გამოხატვის თვალსაზრისით შეიძლება იყოს ერთ ან ორპირიანი, თუმცა მასში გამოხატვის უნარი ორივე ობიექტს აქვს, მაგრამ არა ერთდროულად. გარდაუვალი ზმნა შეიწყობს ერთ პირს (სუბიექტს), ირიბგარდამავალი – ორ პირს (სუბიექტს და ირიბ ობიექტს). მას ორივე პირის მიხედვით ცვლის უნარი აქვს. ამგვარად, ქართული ზმნა შეიძლება შეიწყობ-

დეს ერთ პირს – მაშინ იგი აბსოლუტური აგებულებისაა და აუცილებლად გამოხატავს მასში შემავალ სუბიექტურ პირს (*ეჩხატებო*); რელატიური შეიძლება იყოს ორვალენტიანი ან სამვალენტიანი: ორპირიანი || ორვალენტიანი – გარდაუვალი (ირიბგარდამავალი – *ეხატავ მე მას*), ან გარდამავალი (პირდაპირგარდამავალი – *ეხატავ მე მას, მხატავს ის მე*), სამვალენტიანი – აუცილებლად გარდამავალი (პირდაპირ და ირიბგარდამავალი – *ეუხატავ მე მას მას, მიმგვარა მან მე მას, მომგვარა მან მე ის*).

სამვალენტიანი ფორმა მიიღება ა) საობიექტო მიმართებით: კუთვნილება-დანიშნულებითი (დესტინაციურ-პოსესიური) სემანტიკით, რაც O_1 და O_2 -ში *o*-პრეფიქსით არის აღნიშნული, ხოლო O_3 -ში *უ*-პრეფიქსით: *ხატავს ის მას – მიხატავს ის მე მას, გიხატავს ის შენ მას, უხატავს ის მას მას*; ბ) ლოკატიური სემანტიკით ირიბი ობიექტის სამიმართებო *ა*-პრეფიქსის დართვით: *მიმატყლიტა მან მე მას – მომატყლიტა მან მე ის, მიმაბარა მან მე მას – მომაბარა მან მე ის*; ან უბრალოდ შესაბამისი პირის ობიექტური ნიშნით: *მიმგვარა მან მე მას – მომგვარა მან მე ის, მიმცა მან მე მას – მომცა მან მე ის*; გ) კაუზაციური მიმართების *ა*-ინ-ებ, *ა*-ვე-ინ-ებ, კონფიქსებით: *გრეხს ის მას – აგრეხინებს ის მას მას, წერს ის მას – აწერინებს ის მას მას, აპობს ის მას – აპობინებს ის მას მას, ხატავს ის მას – ახატეინებს ის მას მას, შლის ის მას – აშლეეინებს ის მას მას, აკეთებს ის მას – აკეთებინებს ის მას მას*.

ორპირიანი კონსტრუქციის გარდაუვალი (ირიბგარდამავალი) ფორმები იქმნება საობიექტო მიმართების (ვერსიის) პასივების საშუალებით (*ვეზრდები მე მას – მეზრდება ის მე; ეუჩერდები მე მას – მიჩერდება ის მე*), ასევე სტატიკური ზმნების, ე.წ. მედიოპასივების საობიექტო მიმართების ფორმებით (*მიეყარს მე ის, – ეუყეყარვარ მას მე, მიგღია მე ის – ეუგღიეყარ მე მას*).

ორპირიანი კონსტრუქციის გარდამავალ (პირდაპირგარდამავალ) ფორმებს ქმნიან სასუბიექტო მიმართების (ვერსიის) აქტივები (*ეიყარცხნი მე თმას, ეიშენებ მე სახლს*). სასუბიექტო მიმართების ფორმებში *o*-პრეფიქსით გამოიხატება პირდაპირი ობიექტის კუთვნილება-დანიშნულება სუბიექტისადმი. ამდენად, სასუბიექტო ვერსიის ზმნა ყოველთვის შეიცავს პირდაპირ ობიექტს, ყოველთვის ორვალენტიანია და ყოველთვის გარდამავალია (პირდაპირგარდამავალი). ასეთ ზმნებს, ჩვეულებრივ, პირდაპირი ობიექტის მიხედვით ცვლის უნარი არა აქვთ (ე.ი. ისინი, ჩვეულებრივ, სუბიექტური წყობისანი არიან). პირდაპირი ობიექტის მიხედვით ცვლა შეუ-

ძლიათ სასუბიექტო ვერსიის მცირერიცხოვან გარკვეული სემანტიკის ზმნებს (როგორიცაა, მაგ. *დამიჭირა მან მე, წამიყვანა მან მე, მომიშორა მან მე, მიმიკარა მან მე* და სხვ.). ასეთ შემთხვევაში მათი O_1 და O_2 პირის ფორმები ემთხვევა საობიექტო ვერსიის ფორმებს, რადგანაც სასუბიექტო მიმართებას სამივე პირთან გამოხატავს *o-პრეფიქსი* (*დამიჭირა მან მე, დაგიჭირა მან შენ, დაიჭირა მან ის*). საობიექტო მიმართებას კი O_1 და O_2 პირებთან იგივე *o-პრეფიქსი* გამოხატავს: O_3 -თან მიმართებას აღნიშნავს *უ-პრეფიქსი*, რითიც განსხვავდებიან კიდევ საობიექტო ვერსიის ფორმები სასუბიექტო ვერსიისაგან (*დამიჭირა მან მე ჩანთა, დაგიჭირა მან შენ ჩანთა, დაუჭირა მან მას ჩანთა*). განსხვავება შეწყობილ პირთა რაოდენობაშიც არის: სასუბიექტო მიმართების ფორმები ორვალენტიანი, საობიექტო მიმართებისა კი სამვალენტიანი:

სასუბიექტო მიმართება

- და-მ-ი-ჭირა მან მე*
- და-გ-ი-ჭირა მან შენ*
- და-ი-ჭირა მან ის*

- წამილო მან მე (ფიქრმა)*
- მომიყვანა მან მე*
- ამიგლო მან მე (მასხარად)*
- მომიგლო მან მე (ქვეშ)*
- ჩამიგლო მან მე (ხელში)*
- მომიკითხა მან მე*
- მიპოვა მან მე*

საობიექტო მიმართება

- და-მ-ი-ჭირა მან მე ის (ჩანთა)*
- და-გ-ი-ჭირა მან შენ ის*
- და-უ-ჭირა მან მას ის*

- წამილო მან მე ის (ტვირთი)*
- მომიყვანა მან მე ის (ბავშვი)*
- ამიგლო მან მე ის (ქუდი)*
- მომიგლო მან მე ის (ბავშვი)*
- ჩამიგლო მან მე ის (ბურთი)*
- მომიკითხა მან მე ის (საჭმელი)*
- მიპოვა მან მე ის*

სასუბიექტო მიმართების შემთხვევაში, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ზმნებისა, პირდაპირი ობიექტის მიხედვით იცვლება შემდეგი ზმნები: (*ჩა*)*მიბარებს*, (*მო/ვა*)*მიტაცებს*, (*მო*)*მიშორებს*, (*მო*)*მიცილებს*, (*და*)*მიფარავს*, (*მო/და*)*მიხმარს*.

ზემოთ თქმულიდან ჩანს, რომ *ა-*, *ი-*, *უ-*, *ე-* ხმოვან პრეფიქსების ძირითადი ფუნქცია ზოგადად ობიექტური პირის არსებობაზე მითითებაა, კერძოდ კი სუბიექტის ობიექტურ პირებთან გარკვეული (კუთვნილება-დანისწინულების, ლოკატიური და სხვ.) მიმართების გამოხატვაა, ხოლო, თუ რომელია კონკრეტულად ობიექტური პირი, რომელსაც მიემართება სუბიექტის მოქმედება, ამაზე სათანადო პირის ნიშანი (მარკერი) მიუთითებს. ხმოვანპრეფიქსებს ერთი და იმავე ზმნის III ობიექტური პირის სხვადასხვა ფორმაში

შეიძლება სათანადო ობიექტური პირის ნიშანი შეენაცვლოს, რადგანაც ხმოვნის წინ O_3 -ის მარკერი იკარგება: ძვ. *ა-ქუს* – *ა-ქუნდა*, მაგრამ ახ. *ა-ქეს* – *ჰ-ქონდა*; *ა-ფენია* – *ჰ-ფენია* – *ფ-ფინა*; *ჰ-პატრონობს* – *ჟ-პატრონებს*. მაგრამ I და II ობიექტური პირის ნიშნები ამ სამიმართებო პრეფიქსების წინ შენარჩუნებულია: *მაქეს* (>*მაქეს*) – *მაქუნდა* – *მქონდა*; *მაფენია* – *გაფენია*; *მეფინა* – *გეფინა*; *მპატრონობს* – *გპატრონობს*; *მიპატრონებს* – *გიპატრონებს*.

უღლების პარადიგმები აწმყოში

(პირთა ყველა შესაძლებელი კომბინაციებით)

1. აბსოლუტური ერთვალენტიანი // ერთპირიანი ზმნის უღლების პარადიგმა აწმყოში

S_1 ეიზრდები მე	ეიზრდებით ჩვენ
S_2 იზრდები შენ	იზრდებით თქვენ
S_3 იზრდება ის	იზრდებიან ისინი

2. ორვალენტიანი // ორპირიანი გარდაუვალი (ირიბგარდამავალი) ზმნის უღლების პარადიგმა აწმყოში

სუბიექტური უღლება

S_1O_3 ევზრდები მე მას (მათ)	ევზრდებით ჩვენ მას (მათ)
S_2O_3 ევზრდები შენ მას (მათ)	ევზრდებით თქვენ მას (მათ)
S_3O_3 ევზრდება ის მას (მათ)	ევზრდებიან ისინი მას (მათ)

ობიექტური უღლება

S_3O_1 მეზრდება ის მე	გვეზრდება ის ჩვენ
S_3O_2 გეზრდება ის შენ	გვეზრდებათ ის თქვენ
S_3O_3 ევზრდება ის მას	ევზრდებათ ის მათ
S_3O_1 მეზრდებიან ისინი მე	გვეზრდებიან ისინი ჩვენ
S_3O_2 გეზრდებიან ისინი შენ	გვეზრდებიან ისინი თქვენ
S_3O_3 ევზრდებიან ისინი მათ	ევზრდებიან ისინი მათ

S_1O_1 _____	_____
S_2O_1 მეზრდები შენ მე	გვეზრდებით შენ ჩვენ
S_2O_2 მეზრდება ის მე	გვეზრდება ის ჩვენ

S_1O_1 _____	_____
S_2O_1 მეზრდებით თქვენ მე	გვეზრდებით თქვენ ჩვენ
S_3O_1 მეზრდებიან ისინი მე	გვეზრდებიან ისინი ჩვენ

S_1O_2 გეზრდები მე შენ	გეზრდებით მე თქვენ
S_2O_2 _____	_____
S_3O_2 გეზრდება ის შენ	გეზრდებათ ის თქვენ
S_1O_2 გეზრდებით ჩვენ შენ	გეზრდებით ჩვენ თქვენ
S_2O_2 _____	_____
S_3O_2 გეზრდებიან ისინი შენ	გეზრდებიან ისინი თქვენ

3. ორგანულიანი // ორპირიანი (პირდაპირ) გარდამავალი ზმნის უღლების პარადიგმა აწმყოში

სუბიექტური უღლება

S_1O_3 ეზრდი მე მას (მათ)	ეზრდით ჩვენ მას (მათ)
S_2O_3 ზრდი შენ მას (მათ)	ზრდით თქვენ მას (მათ)
S_3O_3 ზრდის ის მას (მათ)	ზრდიან ისინი მას (მათ)

ობიექტური უღლება

S_1O_2 გზრდი მე შენ	გზრდით მე თქვენ
S_2O_2 _____	_____
S_3O_2 გზრდის ის შენ	გზრდით ის თქვენ
S_1O_2 გზრდით ჩვენ შენ	გზრდით ჩვენ თქვენ
S_2O_2 _____	_____
S_3O_2 გზრდიან ისინი შენ	გზრდიან ისინი თქვენ
S_1O_1 _____	_____
S_2O_1 მზრდი შენ მე	გეზრდი შენ ჩვენ
S_3O_1 მზრდის ის მე	გეზრდის ის ჩვენ
S_1O_1 _____	_____
S_2O_1 მზრდით თქვენ მე	გეზრდით თქვენ ჩვენ
S_3O_1 მზრდიან ისინი მე	გეზრდიან ისინი ჩვენ

S_3 მხოლოდითი

S_3O_1 მზრდის ის მე	გეზრდის ის ჩვენ
S_3O_2 გზრდის ის შენ	გზრდით ის თქვენ
S_3O_3 ზრდის ის მას	ზრდის ის მათ

S_3 მრავლობითი

S_3O_1 მზრდიან ისინი მე	გეზრდიან ისინი ჩვენ
S_3O_2 გზრდიან ისინი შენ	გზრდიან ისინი თქვენ
S_3O_3 ზრდიან ისინი მას	ზრდიან ისინი მათ

4. საობიექტო მიმართების სამუქალენტიანი // ორპირიანი
(პირდაპირ) გარდამავალი ზმნის უღლების პარადიგმა აწმყოში

ა) იცვლება სუბიექტური და ირიბი ობიექტური პირების მიხედვით:

სუბიექტური წყობა

$S_1O_3O_3$ ეუზრდი მე მას/მათ მას/მათ	ეუზრდით ჩვენ მას/მათ მას/მათ
$S_2O_3O_3$ უზრდი შენ მას/მათ მას/მათ	უზრდით თქვენ მას/მათ მას/მათ
$S_3O_3O_3$ უზრდის ის მას/მათ მას/მათ	უზრდიან ისინი მას/მათ მას/მათ

ობიექტური წყობა

$S_1O_1O_3$ _____	_____
$S_1O_2O_3$ გიზრდი მე შენ მას/მათ	გიზრდით ჩვენ შენ მას/მათ
$S_1O_3O_3$ ეუზრდი მე მას მას/მათ	ეუზრდით ჩვენ მას მას/მათ
$S_1O_1O_3$ _____	_____
$S_1O_2O_3$ გიზრდით მე თქვენ მას/მათ	გიზრდით ჩვენ თქვენ მას/მათ
$S_1O_3O_3$ ეუზრდი მე მათ მას/მათ	ეუზრდით ჩვენ მათ მათ მას/მათ
$S_2O_1O_3$ მიზრდი შენ მე მას/მათ	მიზრდით თქვენ მე მას/მათ
$S_2O_2O_3$ _____	_____
$S_2O_3O_3$ უზრდი შენ მას მას/მათ	უზრდით თქვენ მას მას/მათ
$S_2O_1O_3$ გვიზრდი შენ ჩვენ მას/მათ	გვიზრდით თქვენ ჩვენ მას/მათ
$S_2O_2O_3$ _____	_____
$S_2O_3O_3$ უზრდი შენ მათ მას/მათ	უზრდით თვენ მათ მას/მათ
$S_3O_1O_3$ მიზრდის ის მე მას/მათ	გვიზრდის ის ჩვენ მას/მათ
$S_3O_2O_3$ გიზრდის ის შენ მას/მათ	გიზრდით ის თქვენ მას/მათ
$S_3O_3O_3$ უზრდის ის მას მას/მათ	უზრდის ის მათ მას/მათ
$S_3O_1O_3$ მიზრდიან ისინი მე მას/მათ	გვიზრდიან ისინი ჩვენ მას/მათ
$S_3O_2O_3$ გიზრდიან ისინი შენ მას/მათ	გიზრდიან ისინი თქვენ მას/მათ
$S_3O_3O_3$ უზრდიან ისინი მას/მათ	უზრდიან ისინი მას/მათ

ბ) იცვლება სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის მიხედვით:

$S_1O_3O_3$ (მი)ვაბარებ მე მას/მათ მას/მათ	(მი)ვაბარებთ ჩვენ მას/მათ მას/მათ
$S_2O_3O_3$ (მი)აბარებ შენ მას/მათ მას/მათ	(მი)აბარებთ თქვენ მას/მათ მას/მათ
$S_3O_3O_3$ (მი)აბარებს ის მას/მათ მას/მათ	(მი)აბარებენ ისინი მას/მათ მას/მათ
$S_3O_1O_3$ (მი)მაბარებს ის მე მას/მათ	(მი)გვაბარებს ის ჩვენ მას/მათ
$S_3O_2O_3$ (მი)გაბარებს ის შენ მას/მათ	(მი)გაბარებთ ის თქვენ მას/მათ
$S_3O_3O_3$ (მი)აბარებს ის მას მას/მათ	(მი)აბარებს ის მათ მას/მათ
$S_3O_1O_3$ (მი)მაბარებენ ისინი მე მას	(მი)გვაბარებენ ისინი ჩვენ მას
$S_3O_2O_3$ (მი)გაბარებენ ისინი შენ მას	(მი)გაბარებენ ისინი თქვენ მას
$S_3O_3O_3$ (მი)აბარებენ ისინი მას მას	(მი)აბარებენ ისინი მათ მას

$S_1O_2O_3$ (მი)გაბარებ მე შენ მას	(მი)გაბარებთ ჩვენ შენ მას
$S_2O_2O_3$ -----	-----
$S_3O_2O_3$ (მი)გაბარებს ის შენ მას	(მი)გაბარებენ ისინი შენ მას
$S_1O_2O_3$ (მი)გაბარებთ მე თქვენ მას/მათ	(მი)გაბარებთ ჩვენ თქვენ მას/მათ
$S_2O_2O_3$ -----	-----
$S_3O_2O_3$ (მი)გაბარებთ ის თქვენ მას/მათ	(მი)გაბარებენ ისინი თქვენ მას/მათ
$S_1O_1O_3$ -----	-----
$S_2O_1O_3$ (მი)მაბარებ შენ მე მას/მათ	(მი)მაბარებთ თქვენ მე მას/მათ
$S_3O_1O_3$ (მი)მაბარებს ის მე მას/მათ	(მი)მაბარებენ ისინი მე მას/მათ
$S_1O_1O_3$ -----	-----
$S_2O_1O_3$ (მი)გვაბარებ შენ ჩვენ მას/მათ	(მი)გვაბარებთ თქვენ ჩვენ მას/მათ
$S_3O_1O_3$ (მი)გვაბარებს ის ჩვენ მას/მათ	(მი)გვაბარებენ ისინი ჩვენ მას/მათ

გ) იცვლება ირიბი ობიექტის მიხედვით:

$S_1O_3O_3$ (მი)ვაბარებ მე მას/მათ მას/მათ	(მი)ვაბარებთ ჩვენ მას/მათ მას/მათ
$S_2O_3O_3$ (მი)აბარებ შენ მას/მათ მას/მათ	(მი)აბარებთ თქვენ მას/მათ მას/მათ
$S_3O_3O_3$ (მი)აბარებს ის მას/მათ მას/მათ	(მი)აბარებენ ისინი მას/მათ მას/მათ
$S_3O_1O_3$ (მო)მაბარებს ის მე მას/მათ	(მო)გვაბარებს ის ჩვენ მას/მათ
$S_3O_2O_3$ (მო)გაბარებს ის შენ მას/მათ	(მო)გაბარებთ ის თქვენ მას/მათ
$S_3O_3O_3$ (მი)აბარებს ის მას/მათ	(მი)აბარებთ ის მათ მას/მათ
$S_3O_1O_3$ (მო)მაბარებენ ისინი მე მას/მათ	(მო)გვაბარებენ ისინი ჩვენ მას/მათ
$S_3O_2O_3$ (მო)გაბარებენ ისინი შენ მას/მათ	(მო)გაბარებენ ისინი თქვენ მას/მათ
$S_3O_3O_3$ (მი)აბარებენ ისინი მას მას/მათ	(მი)აბარებენ ისინი მათ მას/მათ
$S_1O_1O_3$ -----	-----
$S_1O_2O_3$ მოგაბარებ მე შენ მას/მათ	მოგაბარებთ ჩვენ შენ მას/მათ
$S_1O_3O_3$ მივაბარებ მე მას მას/მათ	მივაბარებთ ჩვენ მას/მათ მას/მათ
$S_1O_1O_3$ -----	-----
$S_1O_2O_3$ მოგაბარებთ მე თქვენ მას/მათ	მოგაბარებთ ჩვენ თქვენ მას/მათ
$S_1O_3O_3$ მივაბარებ მე მათ მას/მათ	მივაბარებთ ჩვენ მათ მას/მათ
$S_2O_1O_3$ მომაბარებ შენ მე მას/მათ	მომაბარებთ თქვენ მე მას/მათ
$S_2O_2O_3$ -----	-----
$S_2O_3O_3$ მიაბარებ შენ მას მას/მათ	მიაბარებთ თქვენ მას მას/მათ
$S_2O_1O_3$ მოგვაბარებ შენ ჩვენ მას/მათ	მოგვაბარებთ თქვენ ჩვენ მას/მათ
$S_2O_2O_3$ -----	-----
$S_2O_3O_3$ მიაბარებ შენ მათ მას/მათ	მიაბარებთ თქვენ მათ მას/მათ

5. სამველენტიანი კაუზატიური მიმართების ზმნის უღლება აწმყოში

სუბიექტური უღლება

$S_1 O_3 O_3$	ვაზრდევინებ მე მას/მათ მას/მათ	ვაზრდევინებთ ჩვენ მას/მათ მას/მათ
$S_2 O_3 O_3$	აზრდევინებ შენ მას/მათ მას/მათ	აზრდევინებთ თქვენ მას/მათ მას/მათ
$S_3 O_3 O_3$	აზრდევინებს ის მას/მათ მას/მათ	აზრდევინებენ ისინი მას/მათ მას/მათ

ობიექტური უღლება

$S_3 O_1 O_3$	მაზრდევინებს ის მე მას/მათ	გვაზრდევინებს ის ჩვენ მას/მათ
$S_3 O_2 O_3$	გაზრდევინებს ის შენ მას/მათ	გაზრდევინებთ ის თქვენ მას/მათ
$S_3 O_3 O_3$	აზრდევინებს ის მას მას/მათ	აზრდევინებს ის მათ მას/მათ

6. სასუბიექტო მიმართების (ვერსიის) ორველენტიანი ზმნის უღლება აწმყოში

მხოლოდ სუბიექტური წყობით

$S_1 O_3$	ვიზრდი მე მას/მათ	ვიზრდით ჩვენ მას/მათ
$S_2 O_3$	იზრდი შენ მას/მათ	იზრდით თქვენ მას/მათ
$S_3 O_3$	იზრდის ის მას/მათ	იზრდიან ისინი მას/მათ

სუბიექტური და ობიექტური წყობით

$S_1 O_3$	მოვიტაცებ მე მას/მათ	მოვიტაცებთ ჩვენ მას/მათ
$S_2 O_3$	მოიტაცებ შენ მას/მათ	მოიტაცებთ თქვენი მას/მათ
$S_3 O_3$	მოიტაცებს ის მას/მათ	მოიტაცებენ ისინი მას/მათ
$S_3 O_1$	მომიტაცებს ის მე	მოგვიტაცებს ის ჩვენ
$S_3 O_2$	მოგვიტაცებს ის შენ	მოგვიტაცებთ ის თქვენ
$S_3 O_3$	მოიტაცებს ის მას	მოიტაცებენ ის მათ
$S_3 O_1$	მომიტაცებენ ისინი მე	მოგვიტაცებენ ისინი ჩვენ
$S_3 O_2$	მოგვიტაცებენ ისინი შენ	მოგვიტაცებენ ისინი თქვენ
$S_3 O_3$	მოიტაცებენ ისინი მას	მოიტაცებენ ისინი მათ

§6. ზმნისწინთა სინთემა და შუნქცია, ღროისა და კილოს შორებათა ურთიერთმიმართების საკითხები

I. ზმნისწინის ძირითადი ფუნქცია არის სიერცეში ლოკალიზაციის – მიმართულებისა და ორიენტაციის ჩვენება.

ამ თვალსაზრისით ქართულში ზმნისწინთა საკმაოდ განვითარებული სისტემაა.

1) მი- ზმნისწინი გვიჩვენებს მიმართულებას იქითკენ – III პირისაკენ, მო- კი მიმართულებას აქეთკენ (I და მასთან ახლომყოფი II პირისაკენ): *მიდის – მოდის, მიფრინავს – მოფრინავს, მისწერა – მოსწერა.*

მო- ზმნისწინი დაერთვის ყველა სხვა ზმნისწინს აქეთა (I პირისკენ) მიმართულების საჩვენებლად. შეიძლება მი- ზმნისწინსაც დაერთოს იქით-აქეთ მოძრაობის საჩვენებლად: *მიმოსვლა, მიმოდის, მიმოივლის, მიმოიარა.*

2) ა- (<აღ-) ზმნისწინი აჩვენებს ა) ↑ ქვევიდან ზევით მიმართულებას. იქით: *ავიდა, აფრინდა, ადგა, ააგდო, ახტა.* აქეთ: *ამოვიდა, ამოფრინდა, ამოაგდო, ამოხტა.* ბ) განახლება-აღორძინებას: *აღდგა, აღორძინდა, აშენდა.*

3) და- უჩვენებს ა) ↓ ზევიდან ქვევით (ზედაპირზე) მიმართულებას: *დაეარდა, დაფრინდა, დააგდო, დახტა, დასტირის, დაჰყვირის.* ბ) მოქმედების ინტენსივობას – სიხშირეს, ჩვეულებითობას: *დადის, დაცურავს, დასრიალებს, დაბარბაცებს, დახტის, დაატარებს.* გ) ნეიტრალური: *დასყარა, დაიწყო, დახურა, დაინახა.*

4) შე- ◻ – გარედან შიგნით. იქით: *შევიდა (სახლში), შეძერა (ხერელში), შეაგდო (ბურთი ქარში, შიგნით).* აქეთ: *შემოვიდა, შემოძერა, შემოაგდო.*

5) ჩა- ◻ ზევიდან ქვევით შიდა სივრცეში (შიგნით) (*შე+და>შდა>შთა>ჩა*). იქით: *ჩაფრინდა, ჩაეარდა (ორმოში), ჩახტა (წყალში), ჩაიგდო (ხელში, კალათაში).* აქეთ: *ჩამოფრინდა, ჩამოეარდა, ჩამოხტა, ჩამოაგდო.*

6) გა- ◻→ (<გან:) ა) შიგნიდან გარეთ. იქით: *გავიდა, გაიტანა, გაძერა, გააგდო.* აქეთ: *გამოვიდა, გამოიტანა, გამოძერა, გამოაგდო.* ბ) ნეიტრალური: *გააკეთა, გააღო, გასყარა.* გ) ინტენსივობა, გრძივობა სივრცეში: *გაჰყვირის, გასძახის.*

7) წა- ა) მოქმედება მოლაპარაკისაგან იქით: *წავიდა, წამოიგდო (ზურგზე), წამოიხურა (საბანი).* ბ) ოდნობას, ზერელობას: *წაიხურა, წაისაუჯმა, წაიხემსა, წაიძინა, წაიხუმრა, წაიმღერა.*

8) გადა- გამოხატავს რაიმე დაბრკოლების გადალახვას. იქით: *გადავიდა, გადახტა, გადაიტანა, გადაიღო...* აქეთ: *გადმოვიდა, გადმოხტა, გადმოიტანა, გადმოიღო...*

II. ზმნისწინის მეორე ფუნქცია დერივაციულია. ზმნისწინთა მონაცვლეობა ხშირად იწვევს ზმნის შინაარსის შეცვლას: *გაგება (to understand) მოგება (to win), წაგება (to lose), დაგება (to lay), აგება (to build), ჩაგება (to sheathe); შეპყრობა (to catch), მიპყრობა (to attract), დაპყრობა (to conquer); მოგონება (to invent), გაგონება (to hear); მიღება (to except), წაღება (to take, to carry), გაღება (to open) გადაღება (to copy), აღება (to take); გაცემა (to give), დაცემა (to knock down), ჩაცემა (to stab); გაშლა (to spread), გადაშლა (to turn over), შეშლა (to disturb), წაშლა (to erase) მორჩენა, დარჩენა, გადარჩენა, დანახვა, მონახვა, შენახვა და სხვა.*

ზმნისწინის ძველი და ახალი ფორმები ზოგჯერ მნიშვნელობით განასხვავებენ ზმნებს: *ადგომა (the Easter) – ადგომა (to get up), ჩაგონება (to impress) – შთაგონება (to inspire), წარმოდგენა (to perform) – დადგენა (to decree), აღმოჩენა (to discover) – გამოჩენა (to demonstrate), წარსული (past) – წასული (to leave) და სხვ.*

III. გარდა ზემოთ განხილული ფუნქციებისა, მიმართულებისა და ორიენტაციისა, ზმნისწინს ახალ ქართულში აქვს სრული ასპექტის გამოხატვის ფუნქცია – აქედან მას მომავალი დროის გამოხატვაც დაეკისრა. ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ზმნისწინი არ განასხვავებდა მოქმედების სახეს: *აკეთებს – გააკეთებს, აშენებს – ააშენებს* გამოხატავდა უსრულ ასპექტს და აქედან ახლანდელ დროს. მოქმედების სრული და უსრული სახის (ასპექტის) გამოხატვა ხდებოდა აწმყო – წყვეტილის თემათა დაპირისპირებით (ოპოზიციით): *აკეთებს – გააკეთებს* ფორმებს უსრული ასპექტის მნიშვნელობა ჰქონდათ, *აკეთა – გააკეთა* ფორმებს – სრულისა. სალიტერატურო ენის ძეგლებში ზმნისწინის სრული ასპექტის ფუნქციით გამოყენების სიხშირე XI საუკუნიდან იზრდება (აღრინდელ ძეგლებში იშვიათი მაგალითები დასტურდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს პროცესი სალაპარაკო ენაში ადრევე დაიწყო).

ზმნისწინის სრული ასპექტის ფუნქციით გამოყენებამ გამოიწვია მომავალი დროის ფორმათა ახალ, ზმნისწინიან წარმოებაზე გადასვლა.

ძველ ქართულში თხრობითი კილოს მომავალი დრო გამოიხატებოდა დღევანდელი კავშირებითი კილოს მწკრივთა ფორმებით: *ვაკეთებდე – გაეაკეთებდე – ვაკეთო – გაეაკეთო*. ეს ფორმები თხრობითი კილოს მომავალ დროს გამოხატავდა ნებისმიერი სა-

ხის წინადადებებში, მაშინ, როდესაც კავშირებითი კილოს გაგება მათ მხოლოდ ქვეწყობილი კონსტრუქციის დამოკიდებულ ნაწილში ჰქონდათ, რაც მათი ამ ფუნქციის მეორეულობაზე მიუთითებს: ცნობილია, რომ პიპოტაქსური კონსტრუქცია ენის განვითარების გვიანდელ საფეხურზე ყალიბდება და წიგნური, მეცნიერული ენის პროდუქტია.

ვაკეთებდე – გავაკეთო

თხრობითი კილოს მომავალი დრო მარტივ და პარატაქსულ კონსტრუქციებში

კავშირებითი კილოს მომავალი დრო პიპოტაქსურ კონსტრუქციებში

გრამატიკული დროის კატეგორიის ჩამოყალიბება დაკავშირებულია სუბიექტური აღქმის ობიექტივაციის იმ საერთო ტენდენციასთან, რომელიც ადამიანის აზროვნების განვითარებას ახასიათებს. რაც შეეხება იმას, რომ ამ კატეგორიის კონკრეტული გამოვლინებები სხვადასხვა ენობრივ სისტემაში სხვადასხვაგვარია, ამას, როგორც ჩანს, ლინგვისტურ ფაქტორებთან ერთად ექსტრალინგვისტური ფაქტორებიც განსაზღვრავს: ამა-თუ იმ ეთნიკურენობრივი ჯგუფის (კოლექტივის) ცხოვრების პირობების შედეგად ჩამოყალიბებული აზროვნების სისტემა, ფსიქიკური წარმოდგენები, გეოგრაფიული გარემო, კონტაქტები სხვა ენებთან და სხვ.

ქართული ენის განვითარების უძველეს საფეხურებზე გრამატიკული დროის კატეგორიის ჩამოყალიბებამდე მოვლენათა შორის დროული მიმართება გამოხატული უნდა ყოფილიყო ასპექტური დაპირისპირებით (არნ. ჩიქობავა)¹: წყვეტილი (მომენტობრივი) და განგრძობითი (დიურატიული). აქედან – წყვეტილი მოიცავდა უკვე მომხდარს, მახსოვრობაში აღბეჭდილს, რაც თავისთავად წარსულს გულისხმობს, ხოლო განგრძობითი იმას, რაც ხდება: რთულ განუსაზღვრელ მდინარებას გაუდიფერენცირებელი სახით, რომელიც შეიცავს უშუალოდ აღქმადს ე.ი. ახლანდელს და აგრეთვე იმას, რასაც დასასრული არა აქვს, ე.ი. მომავლ შია შესაძლებელი.²

¹ სოკი ენა ახლაც კმაყოფილდება ორწევრიანი სისტემით, სადაც ასპექტური დაპირისპირებაა: „უწინარესი“ და „შემდგომი“, „წყვეტილი“ და „უწყვეტელი“.

² ახლანდელი დროის ფორმებს ეს გაუდიფერენცირებელი გაგება დღემდე შემორჩათ (ე.წ. „ზოგადი აწმყო“).

ეს მნიშვნელობები შესაბამისად უნდა გამოეხატა აორისტიკის (წყვეტილის) და ხოლმეობითი II-ის ფორმებს (ამიტომაც, რომ ძველ ქართულში ხოლმეობითი II-ის ფორმები გადმოწამის სახით მომავლსაც გამოხატავენ).

ახლანდელი დროის თანდათანობითმა კონკრეტიზაციამ და განსაზღვრამ გამოკვეთა და გამოყო მესამე მიმართება – შემდგომისა, მომავლისა. ამ მიმართების გამოხატვა არსებული ყალიბის – ფუძის სათანადო გაფორმებით მოხდა. ამგვარად, უნდა მიგველოდროთა სამი რიგი: წარსულისა (ნამყო ძირითადი ანუ წყვეტილი), ახლანდელისა (ე.წ. ხოლმეობითი II) და მომავლისა (ე.წ. კავშირებითი II).

მაგრამ მომავალი დრო, განსხვავებით ახლანდელისა და წარსულისაგან, რომლებიც მომხდარ ან არსებულ, რეალურ ფაქტს გადმოსცემენ, ჩვეულებრივ, გამოხატავენ ისეთ არარეალურ (ირეალურ) მოქმედებას, რომელიც, როგორც შესასრულებელი და არა ფაქტი, შესაძლებელია, სავარაუდოა, სათუთა, საეჭვოა. ამდენად, მომავალი დრო საფუძველშივე შეიცავს შესაძლებელსავარაუდო, თუობითი შინაარსის, ანუ კილოს ელემენტს, ნიუანსს. ამგვარად, მომავალი დროის გაგებას თან მოჰყვა შესაძლებლის, სათუთ, სასურველობის შინაარსის, ანუ კილოს გაგებაც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კილოს გაგება ჩანსახა მომავალი დროის წიადში, მის გაჩენასთან ერთად.

მაგრამ სათუთ-სავარაუდო კილო მისი გაჩენა-ჩამოყალიბების მომენტიანათვის, ცხადია, დღევანდელ შინაარსს არ შეიცავდა. მან თანდათანობით შეიძინა უფრო რთული ნიუანსები, რომელთაგან ყველაზე ნათლად გამოიკვეთა წინადადებათა ურთიერთმიმართების – დაქვემდებარების გამოხატვა (სახელიც ამ სინტაქსური ფუნქციის მიხედვით აქვს შერჩეული: **conjunctivus**, რაც „შემაკავშირებელს“ ნიშნავს. აქედანვეა ქართული სახელწოდებაც – „კავშირებითი“). ეს მოვლენა აღნიშნულია საენათმეცნიერო ლიტერატურაში.

განვითარების ამ საფეხურზე კავშირებითი კილო მკვეთრად ემიჯნება მომავალ დროს, ფორმა კი ორივესათვის კვლავ საერთო რჩება. ენა, როგორც ცნობილია, გრამატიკულ ომონიმიას ვერ იტანს. ძველ ქართულში შეიძლება თვალის გადევნება, თუ როგორ ისახება კავშირებითი კილოსა და მომავალი დროის ფორმალური გამიჯვნის ძლიერი ტენდენცია: კავშირებითი კილოს გადმოსაცემად -მცა ნაწილაკიანი თხრობითი კილოს ფორმები იხმარება

(*რამათაძე* გააკეთა). მომავალი დრო კი ჯერ აღწერითი – ინფინიტიური კონსტრუქციით (*მოსლვად არს, შესუმად არს*) ცდილობს საკუთარი, კილოსაგან დაცლილი მნიშვნელობის გადმოცემას, მაგრამ ეს გზა ფეხს ვერ იკიდებს, რადგანაც ფორმათა გამიჯვნის პროცესი დააჩქარა და საბოლოოდ დაასრულა ასპექტის კატეგორიის გამოსატვის სისტემის შეცვლამ, რის შედეგადაც აწმყოს ზმნისწინიანმა ფორმებმა, რომელთაც სრული ასპექტის გამოხატვა დაეკისრათ, მექანიკურად მომავალი დროის გადმოცემის უნარი შეიძინეს (ახლანდელი: *აკეთებს*, მომავალი: *გააკეთებს*. ისტორიული მყოფადის ფორმებში კი საბოლოოდ დროის გაგება დაიხრდილა და კავშირებითი კილოს ფუნქცია გახდა წამყვანი.

თანამედროვე ქართულში თხრობითი კილოს მომავალი დროის გადმოცემა აწმყოს ზმნისწინიან ფორმებს აკისრია, და, თუ არა ძველი ქართული წერილობითი საბუთები და ის გარკვეული შემთხვევები (ძირითადად ანდაზების ენაში), რომლებშიც დღევანდელი კავშირებითი კილოს ფორმებს გადმონაშთის სახით ნეიტრალური მომავლის გადმოცემის უნარი შერჩათ, ჩვენ ვერ დაეკანონებოდით, რომ ე.წ. კავშირებითი ფორმების ძირითადი ფუნქცია თხრობითი კილოს მომავალი დროის გადმოცემა იყო ოდესღაც. მთის კავკასიურ ენებში დღეს კავშირებითი კილოსა და მომავალი დროის ფორმათა ომონიმიის კვალი ზოგჯერ შემორჩენილია, და გამორიცხული არ არის, რომ მათ იქაც განვითარების მსგავსი გზა აქონდეთ გავლილი. ქართველურ ენათაგან კი დღეს თითქოს მხოლოდ ჭანურის ხოფურ კილოკავს შემორჩა ნაშთის სახით მომავალი დროის გამოხატვის ძველი სისტემის კვალი.

ბრძანებით კილოს თანამედროვე სალიტერატურო ქართულში (და ძველ ქართულშიც, თუ არ ჩავთვლით S₁-ის სპეციფიკურ სუფიქსებს და S₂-ის უნიშნო აორისტის ფორმას), საკუთარი ფორმა – „მწკრივი“ ანუ „ნაკეთი“ არ გააჩნია.

I და III პირები იყენებენ II კავშირებითის ფორმებს (*გაეკეთათ, ავაშენათ, დაემშვიდდეთ... გააკეთონ – გააკეთონ, დამშვიდდეს – დამშვიდდნენ, ირბინოს – ირბინონ*). ამასთან, I პირს მხოლოდ მრავლობითის ფორმა აქვს. II პირის მხოლობითი და მრავლობითი იყენებს წყვეტილის (აორისტის) ფორმებს (*გააკეთეთ, დამშვიდდი/თ, ააშენე/თ, ირბინე/თ*), რომელთაც თხრობითი კილოს აორისტის ფორმებისაგან განსხვავებით, მომავალი დროის გაგება აქვთ.

§7. ძართული ზმნის უღლებადი ფორმების სერიებად და
მწკრივებად დაჯგუფების პრინციპის შესახებ

ძველ ქართულ გრამატიკებში (ანტონი, გაიოზი, დ. ჩუბინაშვილი და სხვ.) ზმნის უღლებადი ფორმები დაჯგუფებულია ისე, როგორც ეს მიღებული იყო ბერძნულ-ლათინური ენების გრამატიკებში (აქედან დღესაც მოქმედებს ევროპული ენების გრამატიკებში): საკლასიფიკაციო პრინციპად აღებულია კილოს კატეგორია და თითოეული კილოს შიგნით გამოიყოფა დროთა გარკვეული ჯგუფები.

თანამედროვე ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ზმნის უღლებადი ფორმები სრულიად სხვა პრინციპითაა დალაგებული: ეკრძოდ, დრო-კილოთა გაერთიანებული ჯგუფების მიხედვით.

ზმნის უღლებადი ფორმების დრო-კილოთა ჯგუფებად დალაგების პრინციპი ქართულ გრამატიკაში პირველად ნიკო მარმა შემოიღო თავის „ტაბულებსა“ (1912 წ.) და „ძველი ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკაში“ (1925 წ.). თავის გრამატიკაში ნ. მარი კილოებს განიხილავს როგორც გარკვეულ დროებს. ამას ძველ ქართულში თავისი საფუძველი ჰქონდა: თხრობითი კილოს მომავალი დრო და კავშირებითი (სათუოსავარაუდებელი) კილოს მომავალი ერთი და იგივე ფორმით გადმოიცემოდა. კლასიფიკაციის ასეთი პრინციპი (წესი) განავითარა და სერიებისა და მწკრივების შესახებ მოძღვრების სახით ჩამოაყალიბა აკაკი შანიძემ. დრო-კილოთა თითოეულ ჯგუფს მან პირობითად „მწკრივი“ უწოდა, (არნ. ჩიქობავა – „ნაკეთს“ უწოდებს). მწკრივის ფორმა შეიცავს სხვადასხვა ელემენტებს. აქედან დროისა და კილოს გაგება ყველა მწკრივს ახლავს, ხოლო, რაც შეეხება სხვა კატეგორიებს, როგორცაა: (უნახავი|უნებლიე) აქტი, მრავალგზისობა, თანამდევრობა, ისინი მხოლოდ ზოგიერთ მწკრივს ახასიათებს. ერთი მწკრივის ფარგლებში თითოეული კატეგორია უცვალბებელია (მაგ. აწმყოში – დრო ახლანდელია, კილო თხრობითი; წყვეტილში (აორისტში) – დრო წარსულია, კილო თხრობითი; II კავშირებითში – დრო მომავალია, კილო კავშირებითი და სხვ. გამონაკლისია ხოლმეობით-პირობითის მწკრივი).

თანამედროვე ქართულში გამოყოფილია სულ 11 მწკრივი. აქედან 2 ძირითადია, დანარჩენი კი მათგან ნაწარმოები. 6 ეყრდნობა აწმყოს თემას (აწმყო, უწყვეტელი, აწმყოს კავშირებითი და შესაბამისად მათგან ნაწარმოები ფორმები – მყოფადი, ხოლმეო-

ბით-პირობითი, მყოფადის კავშირებითი) და ამიტომ გაერთიანებულია ერთ ჯგუფში, I სერიაში.

ორი მწკრივი ეყრდნობა მარტივ თემას (წყვეტილი და II კავშირებითი) და გაერთიანებულია II სერიაში. II ხოლმეობითის მწკრივი თანამედროვე სალიტერატურო ენაში აღარ არსებობს. მესამე მწკრივად აქვე შეიძლება მოგვეთავსებინა ბრძანებითიც, რომელიც იყენებს წყვეტილისა (II პირი) და კავშირებითის (I და II პირი) ფორმებს.

ისტორიული თვალსაზრისით წყვეტილის მარტივი ფუძე მიჩნეულია ამოსაველად აწმყოს თემატური ნიშნებით გართულებული ფუძისათვის (ხატ-ე → ხატ-ავე; აკეთ-ე → აკეთ-ებ).

დანარჩენი სამი მწკრივის ფორმები: I რეზულტატივი, II რეზულტატივი და III კავშირებითი თანამედროვე სახით შედარებით ახალი ჩამოყალიბებულია. როგორც ზემოთ ვნახეთ, ისინი წარმოშობით სტატიკური ზმნების (შესაბამისად – (უძვ. პერმანსივის) აწმყოს, წყვეტილის და II კავშირებითის) ინვერსიამნილი ფორმებია, რომლებიც დღეს დინამიკური გარდამავალი ზმნების პარადიგმის გაგრძელებაა. ამ ფორმებს ერთ ჯგუფში აერთიანებს წარმოების წესი და ინვერსიული კონსტრუქცია.

გარდა მორფოლოგიური ნიშნისა (საერთო თემა), ქართული ზმნის უღლებადი ფორმების სამ ჯგუფად დაყოფას სინტაქსური საფუძველიც აქვს. კერძოდ, პირდაპირი მიმართების გარდამავალი ზმნის კონსტრუქცია. მორფოლოგიური სუბიექტისა და მორფოლოგიური ობიექტის ბრუნვები სერიების მიხედვით იცვლება:


Series 1: S_{nom.} O_{dir. dat.} O_{ind. dat.}

Series 2: S_{erg.} O_{dir. nom.} O_{ind. dat.}

Series 3: S_{dat.} O_{dir. nom.} —

ამგვარად, ქართული ზმნის უღლებადი ფორმების სამ ჯგუფად (სერიად) დაყოფა გამართლებულია როგორც მორფოლოგიური, ისე სინტაქსური, როგორც ისტორიული, ისე სინქრონიული თვალსაზრისით. ამგვარი დაყოფა მოსახერხებელია სწავლების თვალსაზრისითაც. ასეთი კლასიფიკაციის მიხედვით შესრულებულ ტაბულებზე ხელისგულივით ჩანს ქართული ზმნის უღლების მთელი სისტემა და ამ სისტემის დამაკავშირებელი რგოლები (ძირეული და მათგან ნაწარმოები ფორმები).

სერიების ისტორიული ურთიერთმიმართების ტაბულა
ტაბულა №6¹



¹ ფუძე აღნიშნულია R სიმბოლოთი, თემატური სუფიქსი – th. suf., ზმნისწინი – prev. სიმბოლოთი.

ტაბულა №7
მედიაოპტივი

I სერია

აწმეოს ჯგუფი		
აწმეო [R] - Ø [R(ე)]- Ø [R] - th.suf	უწვეებელი [R] - th.suf -დ-ი [R] - Ø - ოდ-ი	აწმეოს კავშირებითი [R] - th.suf-დ-ე [R] - Ø -ოდ-ე
მყოფადის ჯგუფი		
მყოფადი ი-[R]-ებ prev.-ი- [R] – ებ prev.-[R] – th.suf.	ხლმეობით-პირობითი ი-[R] -ებ-დ-ი prev.-ი- [R] – ებ-დ-ი prev.-[R]-th.suf.-დ-ი	მყოფადის კავშირებითი ი-[R]-ებ-დ-ე prev.-ი- [R] – ებ-დ-ე prev.-[R] – th.suf.-დ-ე

II სერია

წვეებილი ი-[R]-ე ი-[R(ი)]-ე prev.[R]-ე	II კავშირებითი ი-[R]-ო; ი-[R(ი)]-ო prev. [R]-ო	ბრძანებითი ¹ I პ. – ო-თ II პ. – ე-თ III პ. – ო-ს/-ს
---	---	---

III სერია

I რეზულტატივი ი'უ-[R]ი (S ₁ -ა)	II რეზულტატივი ე[R]-(S ₁ -ა)	III კავშირებითი ე[R]-ო (S ₂ -ს)
---	--	---

¹ ბრძანებითისათვის სამივე ტაბულაში მოცემულია სამივე პირის ზოგადი ფორ-
მულა, რომელიც ყველა სხვა შემთხვევისათვის გამოდგება.

ტაბულა №8

აქტივი

I სერია

აწმყოს ჯგუფი		
აწმყო [R]- Ø [R(ე)]- Ø [R]- th.suf ა/ი/უ[R]-th.suf	უწვევბელი [R]- Ø-ღ-ი [R(ე)]- Ø-ღ-ი [R]- th.suf-ღ-ი ა/ი/უ[R]-th.suf-ღ-ი	აწმყოს კავშირებითი [R]- Ø-ღ-ე [R(ე)]- Ø-ღ-ე [R]- th.suf-ღ-ე ა/ი/უ[R]-th.suf-ღ-ე
მყოფადის ჯგუფი		
მყოფადი prev.-[R]- Ø prev.-[R(ე)]- Ø prev.-[R]- th.suf prev.-ა/ი/უ[R]-th.suf	ხლმეობით-პირობითი prev.-[R]- Ø-ღ-ი prev.-[R(ე)]- Ø-ღ-ი prev.-[R]- th.suf-ღ-ი prev.-ა/ი/უ[R]-th.suf-ღ-ი	მყოფადის კავშირებითი prev.-[R]- Ø-ღ-ე prev.-[R(ე)]- Ø-ღ-ე prev.-[R]- th.suf-ღ-ე prev.-ა/ი/უ[R]-th.suf-ღ-ე

II სერია

წვევბელი (prev.)-[R]-ე (prev.)-[R(ი)]-ე (prev.)-[R]-ე (prev.)-[R(ა)]-ე (prev.)-[R(ა)]- Ø (prev.)-[R(ე)]- Ø (prev.)-[R]-ი	II კავშირებითი (prev.)-[R]-ო (prev.)-[R(ი)]-ო (prev.)-[R]-ო (prev.)-[R(ა)]-ო (prev.)-[R(ა)]-ა (prev.)-[R(ე)]- ა (prev.)-[R]-ა	ბრძანებითი I კ. - ო/ა-თ II კ. - ე/Ø/თ III კ. - ო/ა-ს/-ს
---	--	--

III სერია

I რეზულტატივი prev.-ი/უ-[R]-ი-ვარ/ხარ/ა prev.-ი/უ-[R(ე)]-ი-ვარ/ხარ/ა prev.-ი/უ-[R]-ებ-ი-ვარ/ხარ/ა prev.-ი/უ-[R]-ა-ვარ/ხარ/ა prev.-ი/უ-[R]-ამ-ვარ/ხარ/ა	II რეზულტატივი prev.-ე[R]-ე prev.-ე-[R(ი)]-ე prev.-ე-[R]-ებ-ინ-ე prev.-ე[R]-ე prev.-ე-[R]-ი	III კავშირებითი prev.-ე[R]-ო prev.-ე-[R(ი)]-ო prev.-ე-[R]-ებ-ინ-ო prev.-ე-[R]-ო prev.-ე-[R]-ა
---	--	--

ტაბულა №9

პასივი

I სერია

აწმყოს ჯგუფი		
აწმყო [R]-ები [R]-დები ი/ე-[R]-ები ი/ე-[R]-მები	უწვევებელი [R]-ებ-ოდ-ი [R]-დ-ებ-ოდ-ი ი/ე-[R]-ებ-ოდ-ი ი/ე-[R]-მ-ებ-ოდ-ი	აწმყოს კავშირებითი [R]-ებ-ოდ-ე [R]-დ-ებ-ოდ-ე ი/ე-[R]-ებ-ოდ-ე ი/ე-[R]-მ-ებ-ოდ-ე
მყოფადის ჯგუფი		
მყოფადი prev.-[R]-ები prev.-[R]-დები prev.-ი/ე-[R]-ები prev.-ი/ე-[R]-მები	ხოლმეობით-პირობითი prev.-[R]-ებ-ოდ-ი prev.-[R]-დ-ებ-ოდ-ი prev.-ი/ე-[R]-ებ-ოდ-ი prev.-ი/ე-[R]-მ-ებ-ოდ-ი	მყოფადის კავშირებითი prev.-[R]-ებ-ოდ-ე prev.-[R]-დ-ებ-ოდ-ე prev.-ი/ე-[R]-ებ-ოდ-ე prev.-ი/ე-[R]-მ-ებ-ოდ-ე

II სერია

წვევებილი prev.-[R]-ი prev.-[R]-დ-ი prev.-ი/ე-[R]-ე prev.-ი/ე-[R(ა)]-ი/ი prev.-ი/ე-[R]-ი	II კავშირებითი prev.-[R]-ე prev.-[R]-დ-ე prev.-ი/ე-[R]-ი prev.-ი/ე-[R(ა)]-ა prev.-ი/ე-[R]-ა	ბრძანებითი I პ. - ი/ე-თ II პ. - ე/ი-თ III პ. - ი-ე-ს/ნ/ნ/ენ
---	--	--

III სერია

ერთპირობიანი		
I რეზულტატივი [R]-ულ/ილ-ვარ/ხარ/ა მ-[R]-არ-ვარ/ხარ/ა	II რეზულტატივი [R]-ულ/ილ-ვიყავ მ-[R]-არ-ვიყავ	III კავშირებითი [R]-ულ/ილ-ვიყო მ-[R]-არ-ვიყო
ორპირობიანი		
I რეზულტატივი [R(pres.act.)]-ი-ვარ/ხარ/ა	II რეზულტატივი [R(pres.act.)]-ოდ-ი ქვიყავ	III კავშირებითი [R(pres.act.)]-ოდ-ე ქვიყო

საჭიროა საგანგებოდ შეეჩერდეთ III სერიის მწკრივთა წარმოების წესზე, რადგანაც აქ ბევრი სირთულე იჩენს თავს.

როგორც ზემოთაც აღენიშნეთ, III სერიის ფორმები წარმოშობით რელატიური (საობიექტო ვერსიის) სტატიკურ ზმნათა დღევანდელი აწმყოს (უძველესი დიურატივის) წყვეტილის და II კავშირებითის ინვერსიული ფორმებია, შესაბამისად: I რეზულტატივი, II რეზულტატივი და III კავშირებითი. ამიტომ წინასწარ საჭიროა გავეცნოთ ე.წ. სტატიკური ვნებითის უღლების წესს.

ძველ ქართულში საობიექტო ქცევის სტატიკურ ზმნათა პარადიგმები ასეთია:

MS₁₋₂₃ M

*წეწწერიე მე მას
უწწერიე შენ მას
უწწერიე-ს იგი მას*

MS₃ MO₁₋₂₃

*მიწწერიე-ს იგი მე
გიწწერიე-ს იგი შენ
უწწერიე-ს იგი მას*

იგივე ფორმებია გარდამავალ ზმნათა (გარდა -აჲ და -ამ თემისნიშნინანებისა) I თურმეობითშიც. განსხვავება მხოლოდ ზმნისწინის დართვაშია: *და-უწწერიე მას მე – და-მიწწერიე-ს მე იგი*.

ძველსავე ქართულში S₃ პირში თავს იჩენს ახალი ქართული-სათვის დამახასიათებელი -ი-ა (*დამიწწერი-ი-ა*) დაბოლოება. სტატიკურ ზმნებთან -ია ჯერ კიდევ 864 წლის ხელნაწერ კრებულში „სინურ მრავალთაეში“ იჩენს თავს, ხოლო (პირდაპირ)გარდამავალ ზმნათა I რეზულტატივში იგი პაემეტ ტექსტებშიაც დასტურდება.

რაც შეეხება MS₁ და MS₂ პირის მეშველზმნიან ფორმებს (*დაეწწერი-ვარ*, *დაუწწერი-ხარ*), სალიტერატურო ენის ძეგლებში ისინი უფრო გვიან, X საუკუნის წერილობით ძეგლებში ჩნდებიან, თუმცა სალაპარაკო ენაში გაცილებით ადრე არიან საგულეველნი.

ამგვარად, ახალ ქართულში მივიღეთ ფორმები:

სტატიკური აწმყო (პირდაპირ)გარდამავალი I რეზულტატივი

ე-უწწერი-ვარ → და-ე-უწწერი-ვარ

უწწერი-ხარ → და-უწწერი-ხარ

უწწერი-ა → და-უწწერი-ა

-ა სუფიქსი S₃ პირის ნიშანია და გარკვეული კავშირი აქვს დინამიკური ვნებითის აწმყოს ფორმებში -ს სუფიქსის -ა სუფიქსით

* ძველ ქართულში უ-ს წინ S₁ გ-პრეფიქსი არ იწერებოდა.

შეცვლასთან (ვ. თოფურია). მართლაც, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ვნებითი გვარის ყველა ზმნაში S₃-ის -ს სუფიქსი შეცვალა -ა სუფიქსმა. ეს პროცესი ჩვენ ასე წარმოგვიდგება: მას შემდეგ, რაც სტატიკურ ზმნათა აწმყოს ინვერსიაქმნილმა ფორმებმა დინამიკური გაგება მიიღეს (ზმნისწინი დაირთეს და გააგრძელეს გარდამავალი დინამიკური ზმნების პარადიგმა), მათ წარსული (პერფექტი-რეზულტატივის) დროის გაგება შეიძინეს (გამოხატავენ მოქმედების პროცესს წარსულში), ხოლო, რადგანაც წარსული დროის ყველა ფორმაში S₃ პირის ნიშანი არის -ა (-ს - აწმყოს, მომავალს და II კავშირებითს ახასიათებს), ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ყველაზე ადრე სწორედ I რეზულტატივის ფორმებში (დაუპყრია) გეხედება S₃ პირის ნიშნად -ა სუფიქსი. შემდეგ, როგორც ჩანს, ანალოგიით, იგი გავრცელდა სტატიკური „ვნებითის“ აწმყოზე და აქედან - საერთოდ ვნებითი გვარის აწმყოზეც (იპყრობი-ს→იპყრობ-ა). თუმცა არ არის გამორიცხული ვიფიქროთ, რომ S₃ პირში -ა სუფიქსი ვნებითი გვარის ზმნებში -ს სუფიქსის ის დიალექტური ვარიანტი ყოფილიყო, რომელიც სალიტერატურო ენის ძეგლებში ადრე იშვიათად იჩენს თავს, შემდეგ კი, გარდამავალი პერიოდიდან, ამ დიალექტური წრის სალიტერატურო ენაში გაბატონებასთან ერთად მთლიანად აძევებს -ს სუფიქსს ვნებითი გვარის ფორმებში და უკვე ახალ ქართულში განუყოფლად ბატონობს.

რაც შეეხება მეშველზმნიანი ფორმების გაჩენას I და II პირში, ეს პროცესიც თავდაპირველად I რეზულტატივის ფორმებში უნდა ჩასახულიყო: მეშველი ზმნის დართვამ ხელი შეუწყო ამ ფორმათა გადინამიკურებას. შემდეგ, უფრო გვიან, მეშველი ზმნის დართვის ტენდენცია შეეხო სტატიკურ ზმნებსაც, რამაც ამ ზმნებს ზმნისათვის ყველაზე უფრო ტიპური თვისება - მოქმედების პროცესის გამოხატვის შინაარსი შესძინა. შდრ.:

ეზი - ეზივარ

ზი - ზიხარ

(ე)უპყრიე - ეუპყრი-ვარ

უპყრიე - უპყრი-ხარ

აშკარაა, რომ შინაარსით მეშველზმნიანი ფორმები უმეშველზმნო ფორმებს უპირისპირდებიან სტატუსის კატეგორიის მიხედვით. მართალია, ორივე რიგის ფორმა *ეზი - ეზივარ* მდგომარეობას გამოხატავს, მაგრამ II ფორმაში *ვარ* მეშველი ზმნის

დართვამ, თუ შეიძლება ითქვას, სტატიკურ ეზი ფორმას მობილური შინაარსი შესძინა. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გაგვახსენდეს, რომ წყვეტილის იჯდა, იდგა ფორმები (ძვ. ჯდა, დგა) დღეს შინაარსით გამოხატავენ არა აორისტიკის გაგებას (სადაც აქტიურობა, დინამიკა შედარებით აწმყოს ფორმებთან მიჩქმალულია), არამედ უწყვეტლის გაგებას (რომელიც ნორმალურ ზმნებში აგრძელებს აწმყოს თემას – ვაკეთებ – ვაკეთებდი), რომელშიც დინამიკა, მოქმედების პროცესი ხელშესახებია. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ისინი შერწყმულ წინადადებაში იხმარებიან არა მოსალოდნელი წყვეტილის ფორმასთან (იდგა და გააკეთა), არამედ უწყვეტლის ფორმასთან ერთად: იდგა და აკეთებდა, იდგნენ და ელოდნენ, იჯდა და ტიროდა და სხვ.

როგორც ზემოთ ვნახეთ, სტატიკური ზმნების ინვერსიის შედეგად ჩამოყალიბდა ახალი შინაარსის შემცველი ფორმები, რომლებიც დღეს სრულიად დამოუკიდებელ ოდენობად გამოიყოფა და III სერიის სახელწოდებითაა ცნობილი. მისი შემადგენელი მწკრივების ფორმები დღეს გაიაზრებიან როგორც იმ დინამიკური ზმნების ინვერსიული ფორმები, რომელთა პარადიგმასაც აგრძელებენ. ამიტომ ისინი თანდათან გაემიჯნენ თავიანთ ოდინდელ სინონიმებს და დაემსგავსნენ უღლების პარადიგმის საწყის, კერძოდ – გარდამავალი მოქმედებითი გვარის ზმნათა აწმყოს თემისნიშნიან ფორმას. ანალოგიის გაელენა გამოიხატა იმაში, რომ იმ ზმნათა აბსოლუტურმა უმრავლესობამ, რომელთაც აწმყოში თემატური სუფიქსი აქვთ (ებ-იან ზმნათა მცირე გამოწკლივისა და თბ-იან ზმნათა გარდა), დრო-კილოთა III ჯგუფშიც დაირთეს იგივე თემატური სუფიქსები, რომლებიც დასაწყის ფორმებს აქვთ აწმყოში.

თავდაპირველად ეს მოხდა I რეზულტატივში (სტატიკური აწმყო ძვ. ქ. მიკეთიეს → გარდამავალი დინამიკური I რეზულტატივი გამიკეთიეს → გამიკეთ-ებ-იეს),¹ ხოლო შემდეგ კი ანალოგია გავრცელდა II რეზულტატივსა და III კავშირებითზეც, მიუხედავად იმისა, რომ ისინი წარმოშობით წყვეტილისა და II კავშირებითის (და არა აწმყოს) ფორმებია (სტატიკური წყვეტილი ძველი და ახალი

¹ პირდაპირი მიმართების გარდამავალ ზმნათა III სერიის ყველა ფორმას არ მოეპოვება შესაბამისი სტატიკური ზმნა. სტატიკურ ზმნათა რიცხვი გაცილებით უფრო მცირეა, ვიდრე აქტივთა რიცხვი, ამ უკანასკნელთაგან კი III სერიის ფორმებს ყველა აწარმოებს, ცხადია, უნდა ვიყარაუდოთ, რომ პირდაპირი მიმართების გარდამავალ ზმნათა უმეტესობამ საერთო ყალიბის, (მოედლის) მიხედვით აწარმოა III სერიის ფორმები.

ქართული მეკეთა → დინამიკური, გარდამავალი, II რეზულტატივი, ძველი ქართული (გა)მეკეთა → ახალი ქართული გამეკეთებ-ი-ა → გამეკეთებ-ი-ნ-ა; ასევე: სტატიკური II კავშირებითი ძე.ქ. და ახ.ქ. მეკეთოს → დინამიკ. გარდამ. III კავშ. ძე.ქ. (გა)მეკეთოს → ახ.ქ. გამეკეთებ-იოს → გამეკეთებ-ინოს).

-აგ და -ამ სუფიქსიანი ზმნები ხმოლოდ I რეზულტატივში დაირთავენ ამ სუფიქსებს და ისიც უფრო III პირის ფორმებში: დამიბამს, დამიხატავს, რაც შეეხება I და II პირის ფორმებს, ნორმის მიხედვით უნდა იყოს დაეუბამეარ, დაუბამხარ, დაეუხატავეარ, დაუხატაეხარ, მაგრამ სალაპარაკო ენაში ძირითადად გაერცვლებულია უთემისნიშნო ფორმები დაეუბივარ, დაუბიხარ, დაეუხატივარ, დაუხატიხარ. ასე რომ, მიღებულია სამგვარი პარადიგმა: ორი სიმეტრიული და ერთი ნარევი:

1. დაეუბამეარ	2. დაეუბივარ	3. დაეუბივარ
დაუბამხარ	დაუბიხარ	დაუბიხარ
დაუბამს	დაუბია	დაუბამს

ამგვარად, ერთი მხრივ, S₃ პირის ფორმათა მყოფადის (დაუბამს ის მას მას) სამპირიან ფორმებისაგან განსხვავების ტენდენცია და, მეორე მხრივ, ზმნათა აბსოლუტური უმრავლესობის -ია დაბოლოებინან ფორმათა ანალოგია მოქმედებს მეორე პარადიგმის პერსპექტივის სასარგებლოდ.

რაც შეეხება -ობ თემატურნიშნიან და ებიანი ზმნების ვაქებ - მიქია, ვაგდებ - გადამიგდია ტიპის (უმარცვლო ძირიან) ფორმებს, მათ ჩვეულებრივ, წყვეტილის S₃ პირში ნიშნად აქვთ -ო სუფიქსი და არა -ა სუფიქსი, რომლებზეც ანალოგია არ გაერცვლებულა, ერთი შეხედვით, ისინი თითქოს წყვეტილის თემას ეყრდნობიან, რადგანაც აწმყოს თემატური ნიშნები (-ებ და -ობ) არა აქვთ. მაგრამ ეს მოჩვენებითია. ისინიც, ცხადია, სტატიკური აწმყოს ფორმათა ანალოგიითაა მიღებული. ამიტომ III სერიის მწკრივთა წარმოებაში თემისნიშნიან ზმნებში დღეს სტატიკური ზმნების კვალი ყოველთვის არ ჩანს. მაგალითად, I რეზულტატივში სტატიკურ ზმნებთან ნათესაობაზე მიგვანიშნებს I და II პირის MS (RO) ფორმების მეშველ ზმნიანი წარმოება: რადგანაც ცნობილია, რომ მეშველ ზმნიანი წარმოება ისტორიულად სწორედ სტატიკური ზმნებისთვისაა დამახასიათებელი.

რაც შეეხება ერთთემიან ზმნებს, აქ ანალოგია საობიექტო ვერსიის სტატიკური ზმნების აწმყოსთან აშკარაა ყველა პირში.

სტატიკური აწმყო

ერთთემიანები

*ე-უწერი+ვარ მე მას
უწერი-ხარ შენ მას
უწერი-ა ის მას*

*მიწერი-ა ის მე
გიწერი-ა ის შენ
უწერი-ა ის მას*

დინამიკური I რეზულტატივი:

*(და)ე-უწერი-ვარ მას მე
(და)უწერი-ხარ მას შენ
(და)უწერი-ა მას ის*

*და-მ-იწერი-ა მე ის
და-გ-იწერი-ა შენ ის
და-უწერი-ა მას ის*

ორთემიანები, რომლებიც განივითარებენ თემის ნიშანს:

*აეუშენებევარ მას მე
აუშენებიხარ მას შენ
აუშენებია მას ის*

*ამიშენებია მე ის
აგიშენებია შენ ის
აუშენებია მას ის*

ორთემიანები, რომლებიც არ განივითარებენ თემის ნიშანს:

*ეუქივარ მას მე
უქიხარ მას შენ
უქია მას ის*

*მიქია მე ის
გიქია შენ ის
უქია მას ის*

ფუძედრეკადი და ფუძეკუმშვადი ზმნები I სერიის თემით არიან წარმოდგენილნი:

*მოეუდრეკივარ მას მე
მოუდრეკიხარ მას შენ
მოუდრეკია მას ის*

*მომიდრეკია მე ის
მოგიდრეკია შენ ის
მოუდრეკია მას ის*

*გაეუშლივარ მას მე
გაუშლიხარ მას შენ
გაუშლია მას ის*

*გამიშლია მე ის
გაგიშლია შენ ის
გაუშლია მას ის*

ცალკე უნდა შევიჩერდეთ -ავ და -ამ თემისნიშნთან ზმნათა ფორმებზე I რეზულტატივში. სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით ეს სუფიქსები შენარჩუნებულია I რეზულტატივში:

*დაეუხატავევარ მას მე
დაუხატავხარ მას შენ
დაუხატავს მას ის*

*დამიხატავს მე ის
დაგიხატავს შენ ის
დაუხატავს მას ის*

*დაეუბამევარ მას მე
დაუბამხარ მას შენ
დაუბამს მას ის*

*დამიბამს მე ის
დაგიბამს შენ ის
დაუბამს მას ის*

მაგრამ ზეპირ მეტყველებაში ამ ფორმებს S_1O_3 – შემთხვევაში ტენდენცია აქვთ -ია დაბოლოებაზე გადასვლისა: *დამიხატია, დამიბია*. ხოლო, რაც შეეხება MO_1S_3 (*დაეუხატავეარ... დაეუბამეარ...*) ფორმებს, ისინი ამ სახით თითქმის არ იხმარებიან. უფრო გავრცელებული და გაბატონებული ფორმაა *დაეუხატი+ეარ, დაეუბი+ეარ*, რომლის კანონზომიერი გაგრძელებაა *დაუხატია, დაუბია* ფორმები. ია-ზე დაბოლოებული ფორმები, ჩანს, საბოლოოდ გაიმარჯვებენ, რადგანაც აქ მოქმედებს, ერთი მხრივ, მყოფადის ომონიმური ფორმებისაგან (*დამიხატავს ის მე მას, დამიბამს ის მე მას*) განსხვავების ტენდენცია და, მეორე მხრივ, I რეზულტატივში -ია-ზე დაბოლოებულ ზმნათა აბსოლუტურ უმრავლესობასთან ანალოგიის პროცესი, რაც სისტემის გაწონასწორებისა და უნიფიკაციისადმი ენის შინაგანი კანონითაა განპირობებული.

როგორც ვთქვით, I რეზულტატივის ფორმები წარმოშობით სტატიკურ ზმნათა საობიექტო ქცევის ფორმებია. საობიექტო ქცევის ნიშანი შენარჩუნებულია (*დამ-ი-წერია, დაგ-ი-წერია, და-უ-წერია*). მაგრამ, ცხადია, მას ეს გაგება დაკარგული აქვს. რადგანაც ინვერსიის შედეგად პირთა შორის მიმართება დარღვეულია: საობიექტო ქცევის სტატიკურ ზმნაში MS ეკუთვნის ან დანიშნულია MO-სთვის, გარდამავალი ზმნის I რეზულტატივის ფორმაში კი სტატიკური ზმნის მორფოლოგიური სუბიექტი რეალურ ობიექტადაა ქცეული, ხოლო მორფოლოგიური ობიექტი – რეალურ სუბიექტად.

II რეზულტატივი წარმოშობით რელატიური სტატიკური ვნებითის წყვეტილია:

სტატიკური ვნებითი

დინამიკური ვნებითი

მიწერია ის მე – მეწერა ის მე

მეწერება ის მე – ჩამეწერა მე ის

ვეწერთეარ მე მას – ვეწერე მე მას

ვეწერები მე (მას) – ჩავეწერე მე მას

მართლაც, ყველა ტიპის გარდამავალი ზმნის II რეზულტატივისა და III კავშირებითის ფორმები ემთხვევა შესაბამისი დინამიკური 9-პრეფიქსიანი ვნებითის წყვეტილისა და II კავშირებითის ფორმებს, ოღონდ კონსტრუქციას ინვერსიული:

დინამიკური ვნებითის
წყვეტილი

დაეხატე მე მას – დამეხატა ის მე
დაეხატე შენ მას – დაგეხატა ის შენ
დაეხატა ის მას – დაეხატა ის მას

გარდამავალი ზმნის II
რეზულტატივი

დაეხატე მას მე – დამეხატა მე ის
დაეხატე მას შენ – დაგეხატა შენ ის
დაეხატა მას ის – დაეხატა მას ის

გამონაკლისს წარმოადგენენ -ებ თემისნიშნიანი ზმნები (გარდა 17 უმარცველო ძირის მქონე ზმნისა): ჯერ ერთი, მათი შესაბამისი დინამიკური ვნებითი უფრო ხშირად სუფიქსიანია (დ- სუფიქსიანი) და არა პრეფიქსიანი (ი/ე-იანი), ხოლო I რეზულტატივი კი ამათაც ე- პრეფიქსიანი აქვთ მსგავსად ყველა სხვა ზმნისა და ამიტომ დამთხვევა არ იქნება. ასეც რომ არ იყოს¹, ებ-იანმა ზმნებმა II რეზულტატივსა და III კავშირებითში I რეზულტატივის ხაზი გააგრძელეს – დაირთეს -ებ თემისნიშანი, რამაც კიდევ უფრო განასხვავა მათი ფუძე პასივის წყვეტილისა და II კავშირებითის ფუძეებისაგან (-ებ სუფიქსის დართვა აქ გვიანდელი მოვლენაა. კიდევ უფრო გვიანდელი ჩანს -ნ-ს ჩართვა *გამეკეთ-ებ-ია* → *გამეკეთ-ებ-ი-ნ-ა*).

ძველ ქართულში II რეზულტატივსა და III კავშირებითის ფორმებს -ებ სუფიქსი არ დაერთვოდა: *გამეკეთა*, *ამეშენა*... ამგვარი „მოკლე“ ფორმები დღესაცაა შემორჩენილი ქართული ენის დიალექტებში.²

-ებ სუფიქსს ამ მწკრივებში, როგორც მოსალოდნელია, არ დაირთავენ ის ზმნები, რომელთაც იგი არა აქვთ I რეზულტატივში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ III სერიის მწკრივთაგან თანამედროვე სალიტერატურო ქართულში III კავშირებითის ზოგი ფუნქცია (კერძოდ, მომავლის გამოხატვა წარსულში *უნდა* ნაწილაკიან და *რათა/რომ* კავშირიან პიპოტაქსურ კონსტრუქციებში) II რეზულტატივმა იტვირთა: *უნდა/რათა/რომ გამეკეთებინა*, *წამელო*, *მომეტანა*... III კავშირებითის ფორმებს კი ძირითადად ოპტატივის

¹ ზოგჯერ დინამიკური ვნებითი -დ სუფიქსიანია, მაგრამ შესაბამის სტატიკურ ვნებითს წყვეტილი წესისამებრ ისევე ე-პრეფიქსიანი აქვს. მაგ.: დინამიკური – *გკეთდები* – *გაეკეთდი*, მაგრამ: სტატიკური – *მიკეთია* – *მეკეთა*, და, ამგვარად, II რეზულტატივი სტატიკური ვნებითის -ე პრეფიქსიან წყვეტილის ფორმას მაინც უნდა დამთხვეოდა. ასეც იყო ძველ ქართულში და დღეს კახურ დიალექტში: II რეზულტატივი – *გამეკეთა მე იგი*.

² აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში II რეზულტატივის ფორმათა განვითარების სამივე ეტაპია დადასტურებული: კახურ-ქიზიყურში – *გამეკეთა*, იმერულში – *გამეკეთებია*, ქართლურსა და ლიტერატურულში – *გამეკეთებინა*.

(სურვილის, ნატურის) ფუნქცია შერჩათ. მაგ. დალოცვის სურვილის ფორმულებში: *გაგვეკეთებინოს, შეგაძლებინოს, შეგაძლებოდეს, აგ სრულდებოდეს* და სხვ.

სტატიკური (პასივი):
აწმყო:

ვეწერივარ – მიწერია;
ვეუკეთივარ – მიკეთია;
ვეუგდივარ – მიგდია.

წყვეტილი:

ვეწერე – მეწერა;
ვეუკეთე – მეკეთა;

ვეგდე – მეგდო.

II კავშირებითი:

ვეწერო – მეწეროს;
ვეუკეთო – მეკეთოს;

ვეგდო – მეგდოს.

დინამიკური (აქტივი):

I რეზულტატივი:

დავეწერივარ – დამიწერია;
გავეუკეთებია – გამიკეთებია;
დავეუგდივარ – დამიგდია.

II რეზულტატივი:

დავეწერე – დამეწერა;
(გავეუკეთე – გამეკეთა) →
გავეუკეთებინე – გამეუკეთებინა
დავეგდე – დამეგდო.

III კავშირებითი:

დავეწერო – დამეწეროს;
(გავეუკეთო – გამეუკეთოს) →
გავეუკეთებინო – გამეუკეთებინოს
დავეგდო – დამეგდოს.

სერიებისა და მწკრივების (ღრ-კილოთა ჯგუფების)
ცხრილი

(მედიაქტივის, აქტივისა და პასივის უღლების ზოგადი ნიმუშებით)

I სერია

აწმყოს ჯგუფი		
აწმყო (რას ვშერებთ?) <i>ვგორავ – გორავს</i> <i>ვაგორებ – აგორებს</i> <i>ვგორდები – გორდება</i>	წყვეტილი (რას ვშერებოდით?) <i>ვგორავდი – გორავდა</i> <i>ვაგორებდი – აგორებდა</i> <i>ვგორდებოდი – გორდებოდა</i>	აწმყოს კავშირებითი (რას ვშერებოდეთ?) <i>ვგორავდეთ – გორავდეს</i> <i>ვაგორებდეთ – აგორებდეს</i> <i>ვგორდებოდეთ – გორდებოდეს</i>

მყოფადის ჯგუფი		
მყოფადი (რას ეიზამ?) ვიგორებ – იგორებ გაეგორებ – გაგორებ გაეგორდები – გაგორდება	ხოლმეობით-პირობითი¹ (რას ეიზამდი?) ვიგორებდი – იგორებდა გაეგორებდი – გაგორებდა გაეგორდებოდი – გაგორდებოდა	მყოფადის კაეშირებითი (რას ეიზამდე?) ვიგორებდე – იგორებდა, გაეგორებდე – გაგორებდა გაეგორდებოდე – გაგორდებოდა

II სერია

წყვილი (რა ექნა?) ვიგორე – იგორა გაეგორე – გაგორა გაეგორდი – გაგორდა	II კაეშირებითი (რა ექნა?) ვიგორო – იგოროს გაეგორო – გაგოროს გაეგორდე – გაგორდეს	ბრძანებითი² ვიგოროთ – იგორე/თ – იგოროს/ნ გაეგოროთ – გაგორე/თ – გაგოროს/ნ გაეგორდეთ – გაგორდი/თ – გაგორდეს/ნ
--	---	--

III სერია

I რეზულტატივი (რა შექნა?) მიგორია – უგორია გამეგორებია – გაუგორებია გაეგორებულეარ – გაგორებულა	II რეზულტატივი (რა შექნა?) მეგორა – ეგორა გამეგორებინა – გაეგორებინა გაეგორებულეიყ(ი) – გაგორებულეიყ	III კაეშირებითი (რა შექნას?) მეგოროს – ეგორის გამეგორებინოს – გაეგორებინოს გაეგორებულეიყ(ი) – გაგორებულეიყ(ი)
--	--	---

§8. ქართული ზმნის კონსტრუქცია: დიათეზა და გმარი

(აქტივის, რეფლექსივის, ვერსიის, აქტივის და პასივის ისტორიული ურთიერთმიმართება)

ზოგადენათმეცნიერულ თუ კერძო ენათა გრამატიკულ ლიტერატურაში გვარის ცნების ერთიანი გაგება არ არის გამომუშავებული. დიდი სირთულეები ახლავს გვარის კატეგორიის განსაზღვრას.

¹ ხოლმეობით-პირობითი მწკრივის ფორმებს თხრობით წინადადებაში ხოლმეობითის გაგება და წარსული დროის მნიშვნელობა აქვთ, პირობითი კილოს გაგება და მომავალი დროის მნიშვნელობა კი პირობით-შედეგობით წინადადებაში.

² პარადიგმებში თავისუფალი ადგილის შემთხვევაში II სერიის გრაფაში ბრძანებითის ფორმებსაც ეუწევენ.

ღვრასა და აქტიუ-პასივის, განსაკუთრებით კი მედიუმის, როგორც გეარის საოპოზიციო ცალკების გამოყოფის ფორმალურ-სემანტიკური თუ მორფოლოგიურ-სინტაქსური კრიტერიუმების დადგენას ქართულში.

საზოგადოდ, გეარის კვალიფიკაცია ეძლევა ისეთ ზმნურ ფორმებს, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლებიან სემანტიკისა და სინტაქსის ერთეულებს შორის შესატყვისობის შებრუნების შემთხვევაში – კერძოდ, სუბიექტ-ობიექტისა და ქვემდებარე-დამატების ურთიერთშენაცვლების (კონვერსიის) შემთხვევაში: აქტივად კვალიფიცირებულია ზმნის ფორმა, რომლის სუბიექტიც მოქმედია – აგენსია (რეალურად ქვემდებარის შესატყვისია), პასივად კი სახელდებულია ფორმა, რომლის სუბიექტიც მოქმედების განმცდელია, პაციენსია (რეალურად დამატების შესატყვისია). ამრიგად, „გეარის“ ფორმები ერთმანეთის მიმართ კონვერსიულ დამოკიდებულებაში არიან, ანუ ერთის სუბიექტი შეესატყვისება მეორის პირდაპირ ობიექტს (*მხატვარი ხატავს სურათს (O_{არ.}) – სურათი (S) იხატება მხატვრის მიერ*).

გეარის კატეგორიის ასეთი გააზრებისა და განსაზღვრის შემთხვევაში ქართულში ამ კატეგორიის გარეთ რჩება დიდი რაოდენობა მთელი რიგი ზმნებისა, რომლებიც გამოხატავენ ადამიანის სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობას (*წუხს, ტირის, კანკალებს, უყვარს, უჭირს* და სხვ.). ამ ზმნების მოქმედების აგენსიიკივე პაციენსია (*წუხს ის – თვითონვეა მწუხარე, კანკალებს ის თვითონ, ტირის ის თვითონ*). ამ მხრივ ისინი შინაარსობლივად ძალიან ჰგვანან ისტორიულად უგეარო დინამიკურ ზმნებს, რომელთაც დღეს ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში უნიშნო, III ტიპის („თბება“ ტიპის) ვნებითებს უწოდებენ: რაც თბება და გათბა (*განტყფე – განტყვა*) თვითონ არის გა-მ-თბ-არ-ი. არ არის შემთხვევითი, რომ ზმნათა ორივე ამ ტიპისაგან მხოლოდ მ- პრეფიქსიანი სასუბიექტო მიმღეობა იწარმოება: გათბარი არის ის, ვინც ან რაც გათბა (თვითონ), მწუხარე არის ის, ვინც წუხს (თვითონ). ხოლო გათბობილი არის ის, რაც გაათბეს, შეწუხებული არის ის, ვინც შეაწუხეს.

არც ის არის შემთხვევითი, რომ მ- პრეფიქსიანი კონვერსიული რეფლექსივებისგან სწორედ თბება ტიპის მიხედვით ჩამოყალიბდა დინამიკური პასივის მოდელი.

ამ ტიპის ზმნები, თუ შეიძლება ითქვას, მოქმედების მდგომარეობას გამოხატავენ. მათი სუბიექტი თვითმოქმედია, თვითმოძრა-

ვია, მისი მოქმედება უკუმიმართებისაა, უკუქცევითია (ამ მოქმედების გამოხატვა გრაფიკულად წრით შეიძლება), ასეთ ზმნებს შეიძლება ავტოტივები ვუწოდოთ (ი. ზიცარს ეს ტერმინი გამოყენებული აქვს ბასკური უკუქცევითი ზმნებისათვის).

ისინი შინაგანად შეიცავენ პირდაპირ ობიექტს და ამიტომ არასრული კონსტრუქცია აქვთ: *თამაშობს ის – ითამაშა მან, სწავლობს ის – ისწავლა მან*. ობიექტი შეიძლება გარეთ გამოვიდეს, ასე ვთქვათ, ამოტივტივდეს: *თამაშობს ის – თამაშობს ის მას, სწავლობს ის – სწავლობს ის მას, წუხს ის – წუხს ის მას, ტირის ის – ტირის ის მას*. მაშინ ამავე სტრუქტურის ზმნა პირდაპირ გარდამავალ მიმართებას გამოხატავს, სრული კონსტრუქციისად იქცევა და აქტივთა ჯგუფში გადადის. ასეთი ზმნები ლაბილური კონსტრუქციით ხასიათდებიან და მათ შეიძლება ლაბილურ-გარდამავალი ზმნები ვუწოდოთ: *წუხს ის, ტირის ის, კანკალებს ის, მეფობს ის, თამაშობს ის* და სხვ. ამ ტიპის ზმნები ბაზისური ფორმებია *ა-წუხ-ებ-ს ის მას, ა-ტირ-ებ-ს ის მას, ა-კანკალ-ებ-ს ის მას, ა-მეფ-ებ-ს ის მას, ა-თამაშ-ებ-ს ის მას* და სხვ. ფორმებისათვის, რომელთა სუბიექტის მოქმედებაც მიემართება პირდაპირი ობიექტისაკენ (ამიტომ იგი გრაფიკულად სწორი ხაზით შეიძლება გამოიხატოს ($S \rightarrow O_{dir}$)).

ეს ფორმები ბაზისურია ერთპირიანი (აბსოლუტური) კონსტრუქციის გარდაუვალი დინამიკური ზმნებისათვისაც: *წუხს – წუხდება, შურს – შეშურდება, ზანზარებს – აზანზარდება, ტირის – ატირდება, მეფობს – მეფდება* და სხვ.

ამ ტიპის ზმნებს ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში პირობითად „საშუალი გვარის“ (მედიუმთა) ჯგუფში ათავსებენ, როგორც ფორმალურად აქტივის მოდელის მქონეთ (ისინი აწმყოში -ი, -ავ, -ებ, -ობ თემატური სუფიქსის შემდეგ აქტივთა მსგავსად მხოლოდ პირის ნიშანს დაირთავენ, მაშინ, როდესაც პასივებს თემატური ნიშნის შემდეგ -ი მახასიათებელი დაერთვის), ხოლო შინაარსობლივად – როგორც გარდაუქმლებს (გარდამავლობის კატეგორია აქ განისაზღვრება პირდაპირი ობიექტის ყოფნა-არყოფნით) – პასივის მსგავსებს. ამავე დროს, თელიან, რომ ე.წ. „მედიუმებს“ მხოლოდ აწმყოს ჯგუფის ფორმათა წარმოება შეუძლიათ, დანარჩენ მწკრივებს კი აქტივის (სასუბიექტო ვერსიის) ფორმებისაგან სესხულობენო.

მაგრამ ეს ვერ წყვეტს პრობლემას. პრობლემა კი იმაში მდგომარეობს, რომ პასივის ცალკე გვარად გამოყოფის ზოგადად მიღე-

ბული სემანტიკური კრიტერიუმში, რომელიც ამ გვარის ზმნების სუბიექტის პასივობას გულისხმობს, ქართულში ყოველთვის – და შეიძლება ითქვას, უმეტეს შემთხვევაში ვერ მუშაობს. მაშინაც კი, როდესაც ეს ფორმები აქტივის ფორმათა კონვერსის შედეგადაა მიღებული (და-ი-მალ-ა მან იგი – და-ი-მალ-ა იგი თვითონ), რომ აღარაფერი ეთქვათ ზემოთნახსენებ პირველადს – „თბება“ ტიპისა და -დ სუფიქსიან ვნებითებზე (თეთრდება), რომელთა აბსოლუტურ ფორმათა სემანტიკა ე.წ. მედიოაქტივთა მსგავსად რეფლექსურია, ხოლო რელატიურებში სუბიექტი არა პაციენსად, არამედ რეალურად მოქმედად, აგენსად წარმოგვიდგება (ემალება, (გადა)ახტება, აცხრება, უწყრება, უჯავრდება, ეჩხუბება, ეჯაჯგურება, ეხეთქება, ეკვეთება, ეძგერება, ელაპარაკება, ესაუბრება, ეხუტება, ეზიდება, ექაჩება, ემუდარება, ემუქრება, ემტერება ის მას. და სხვ., იხ. ინდექსი). ხშირად ე.წ. „ვნებითი“ გვარის ერთპირიანი (აბსოლუტური) ზმნებიც კი სუბიექტს აქტიურად წარმოგვიდგენენ, რაც ასევე ეწინააღმდეგება სემანტიკური ოპოზიციის (აქტიური სუბიექტი – პასიური ობიექტი) მიღებულ კრიტერიუმს. ამიტომ მათ ცალკე ჯგუფადაც – დეკონენსებად გამოპყოფენ (ილანძლება,¹ იწყველება, იღრინება, ილუკმება, იგინება... იხ. ინდექსი).

აღსანიშნავია, რომ მრავალ გ-პრეფიქსიან (ძირითადად „მეტყველება“ წრის სემანტიკის) ვნებითს თავისი კანონზომიერი ცალი ი-პრეფიქსიანი ერთპირიანი ფორმა არა აქვს და ეწყვილება სწორედ ერთპირიან ე.წ. მედიოაქტივს (აეტოტივს): ლაპარაკობს – ელაპარაკება,² ბაასობს – ებაასება, მასხრობს – ემასხრება, უბნობს – ეუბნება, ხუმრობს – ეხუმრება, კამათობს – ეკამათება, მოწმობს – ემოწმება, თავხედობს – ეთავხედება, წვალობს – ეწვალება, და სხვ. ინვერსიული წყობის პასივის მოდელის ფორმები აქტივის და მედიოაქტივის (აეტოტივის) ფორმებთან მიმართებით ნებელობაუნებლობის სემანტიკურ ოპოზიციას ქმნიან: ვიეიწყებ – მაეიწყდება, ვიხსენებ – მახსენდება, ვიგვიანებ – მაგვიანდება, ვამთქნარებ – მემთქნარება, ვამცხიკებ – მემცხიკება, ენანობ – მენანება და სხვ.

გ-პრეფიქსი ირიბი ობიექტის სამიმართებო ნიშანია, ისევე როგორც უ-პრეფიქსი, და იგი R-ები / R-დ-ები სტრუქტურის ერთ-

¹ ილანძლება ოპონიშური ფორმაა პასიური შინაარსისა (ილანძლება ვილაცის მიერ) და დეკონენსია (ილანძლება თვითონ – ლანძლავს ვილაცას), ასევე იგრიხება.

² არ არის არც I რიგის სტრუქტურის ოპირიანი ფორმები.

პირიანი ზმნისაგან აწარმოებს ირიბი მიმართების ორპირიანს, ისევე, როგორც ა- პრეფიქსი ა-R-ებ სტრუქტურის პირდაპირი მიმართებისას (*წუხს – აწუხებს*).

ამგვარად, ევროპული ზმნის მიხედვით გვარის კატეგორიის განსაზღვრა, როგორც მორფოლოგიურ-სინტაქსური კატეგორიისა, რომელიც ზმნის გარკვეული ფორმით აღნიშნავს ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობას ქვემდებარის აქტიურ-პასიურობის თვალსაზრისით (ბ. ჯორბენაძე), ქართულისათვის ყოველთვის მისაღები არ არის ე.წ. დინამიკური ორგანული წარმოების ვნებითების შემთვევაში, თუმცა გამოდგება აღწერითი წარმოების (*წაღებულ იქნა, გაკეთებულ იქნა, გაგებულ იქნა*) ვნებითისათვის.

აშკარაა, რომ ქართულში გვარის კატეგორია არ არის მკვეთრად გამოყოფილი რეფლექსივისაგან და, თუმცა აკაკი შანიძემ თანამედროვე ქართული ზმნის სისტემაში წარმატებით მოახდინა დიფერენცირება გვარისა და ვერსიის (ქცევის) კატეგორიებისა, მაგრამ მაინც, ვერც ფორმალური და ვერც სემანტიკური თვალსაზრისით, ვნებითი და საშუალი გვარის კატეგორიათა გამოყოფა ვერ აკმაყოფილებს გვარის კატეგორიის იმ გაგებას, რომელიც ზოგად ენათმეცნიერებაშია მიღებული და უნივერსალურადაა მიჩნეული.

ევროპულ ენებში გვარის კატეგორიის გამოყოფას მორფოლოგიურთან ერთად ფუნქციური საფუძველიც აქვს. ამიტომაცაა, რომ ქართული ენის შესწავლით დაინტერესებულ უცხოელებს უჭირთ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში „ვნებითს“ (პასივის) სახელით ცნობილი ზმნების გააზრება ევროპული აღწერითი, სტატიკური პასივის შესატყვისად.

ყოველივე ამის მიზეზი კი ქართული ენის ზმნის პოლიპერსონალიზმსა და, აქედან გამომდინარე, სახელსა და ზმნას შორის თავისებურ სინტაქსურ სტრუქტურა-მექანიზმში უნდა ვეძიოთ. კერძოდ, აქტანტებისა და ზმნის სინტაქსური ურთიერთობის თავისებურ მორფოლოგიურ მოწესრიგებულობაში, რაც რადიკალურად არის განსხვავებული ევროპული ენებისაგან და, რამაც გამოიწვია ქართული და ქართველური ენების ზმნის სტრუქტურის კვლევისას განსხვავებული თვალსაზრისებისა და თეორიების ჩამოყალიბება (მაგ. ქართული ზმნის პასიურობის, ერგატიულობისა და აქტიურობის).

რადგანაც გვარის კატეგორია არა მხოლოდ მორფოლოგიური, არამედ სინტაქსური კატეგორიაცაა, ამიტომ ქართული პოლიპერსონალური ზმნის პირობებში სუბიექტური და ობიექტური პირების

გამოხატვის საკითხის გადაჭრა (ინვერსიის პრობლემა), ე.წ. ვნებიანი და საშუალო გვარის ფორმათა ფუნქციური გამიჯვნა (*მასხრობს – ემასხრება, საუბრობს – ესაუბრება*), მეორე მხრივ კი მოქმედებითი და საშუალო გვარის ფორმალური გამიჯვნა (*აქანკალებს ის მას – აქანკალებს მას*) რთულდება.

ყოველივე ამის გამო ქართული ზმნის კონსტრუქციისა და პირთა რელაციის გამოხატვის თავისებურებათა გათვალისწინებით გამოვეყოფთ უფრო ფართო გრამატიკულ კატეგორიას, რომელიც მოიცავს დესტინაციურ სისტემას, რეფლექსივისა და გვარის გაგებას და, რომელსაც დიათეზას დავარქმევდით.

დიათეზა არისტოტელესთან განმარტებულია, როგორც ნაწილთა გარკვეული რიგის (განლაგების – ἰαξιῶ) მქონე რამ. დიონისე თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნებაში“ კი დიათეზის გაგება თითქმის ემთხვევა თანამედროვე ენათმეცნიერებაში გვარის კატეგორიის გაგებას. ჩვენს შემთხვევაში დიათეზა არისტოტელეს ზოგადი დეფინიციიდან ამოსულთ – არის სინტაქსური სტრუქტურამექანიზმის ორგანიზაციისა და აქტანტების სინტაქსური რელაციის მორფოლოგიური გამოხატვის წესების ერთობლიობის სისტემა.

ასე რომ, დიათეზის ცნება ქართულში მოიცავს ზმნის ვალენტობისა და პირიანობის, სინტაქსური კონსტრუქციის, ზმნასა და სახელს შორის სინტაქსური ურთიერთობის (მართვა-შეთანხმების, ე.ი. ზმნის პირისა და რიცხვის მიხედვით (ცვლის) საკითხებს, დესტინაციურ სისტემას: აქტანტებს შორის პოსესიური დამოკიდებულების მორფოლოგიურ გამოხატვას, რეფლექსივის (ავტოტიემელიოაქტივი), კონვერსიის (აქტივი>პასივი) და ინვერსიის (პირის ნიშანთა ფუნქციების შებრუნებას, რაც სინტაქსურად თანასწორუფლებიან აქტანტთა პერსონალურობა – არაპერსონალურობის (ვინ და რა ჯგუფის) სულიერი – არასულიერის მიხედვით დაპირისპირების ნიადაგზეა გაჩენილი.


დიათეზების მიხედვით ქართული ზმნის სინქრონიული სტრუქტურისა და კონსტრუქციის ანალიზი ნათლად წარმოგვიდგენს ამ კატეგორიის კერძო გამოვლინებების (ვერსია, რეფლექსივი, გვარი, კაუზატივი) საფეხურებრივი ჩამოყალიბების ისტორიულ პროცესსაც.

ყოველივე ამის გამო წინამდებარე ნაშრომში ვარჩევთ უღლების ტიპების კლასიფიკაციას დიათეზების მიხედვით.

I დიათეზაში ვაერთიანებთ არასრული და სრული კონსტრუქციის აწმყოს იდენტური სტრუქტურის (მოდელის) ზმნებს – ავტოტიემებსა და აქტივებს, რომელთა MS ბრუნვაცვალებადია სე-

რიების მიხედვით. I არასრული დიათეზის – ავტოტივის სტრუქტურა და კონსტრუქცია ამოსავალია I სრული დიათეზის მქონე აქტივის თემატურსუფიქსიანი ფორმებისათვის, ხოლო I, II, III კლასის უსუფიქსო და ხმოვანმონაცვლე (აბლაუტიანი) ფორმები უძველესი, ძირეული ფორმაციისაა:

- ავტოტივი: *წუხს ის X – იწუხებს ის X – იწუხა მან X*
იღვიძებს ის X – გაიღვიძებს ის X – გაიღვიძა მან X
- აქტივი: *წუხს ის მას – იწუხებს ის მას (თავს) შეიწუხებს ის მას – შეიწუხა მან ის*
იღვიძებს ის მას (გრძნობას) – გაიღვიძებს ის მას X – გაიღვიძა მან ის



ავტოტივებისა და სასუბიექტო ვერსიის აქტივების მყოფად-წყვეტილის ჯგუფების ფორმები იდენტურია. ამიტომ ავტოტივებს ამ თვალსაზრისით შეიძლება ეწოდოს მედიოაქტივები.

II დიათეზაში გაერთიანებულია სრული კონსტრუქციის მქონე აბსოლუტურგარდაუვალი და რელატიურგარდაუვალი (ირიბგარდამავალი) დინამიკური ზმნები, რომელთა MS_{nom} და $MO_{ind,dat}$ ბრუნვაუცვლელია სერიების მიხედვით. მათი აწმყოს სტრუქტურაა $\emptyset-R-ებ-ი$, $\emptyset-ი/ე-R-ებ-ი$.

ამათგან ერთი ნაწილის სტრუქტურა ძირეულია (ე.წ. თბება ტიპის „უნიშნო ვნებითები“), მეორე ნაწილისა კი წარმოქმნილია აქტივის ფორმათა კონვერსიის გზით.

ამავე დიათეზას განეკუთვნება ამ დინამიკურ ზმნათა შესაბამისი არასრული კონსტრუქციის სტატიკური ზმნები (ე.წ. სტატიკური ვნებითები), რომელთა აწმყოს თემა ასევე \emptyset სუფიქსიანია, ოღონდ მარტივი (ე.ი. მადინამიკურებელი თემატური სუფიქსის გარეშე: *ეწერი-ვარ – ეი/ე-წერები*). ფორმით ესენი ორპირიანებია, მაგრამ კონსტრუქცია არასრული აქვთ (*ს-წერია ის X – ე-წერა ის X; ა-ფენია ის X – ე-ფინა ის X*). ამათი მყოფად-წყვეტილის ჯგუფის ფორმებიც ემთხვევა დინამიკური პასივის უზმნისწინო ფორმებს.

სტატიკური ს-წერია ის X – ეწერება ის X – ეწერა ის X
ეწერია ის მას – ეწერება ის მას – ეწერა ის მას
დინამიკური: ეწერება ის მას – და-ეწერება ის მას –
და-ეწერა ის მას

არასრული დიათეზის სტატიკურ ზმნათა ჯგუფს ამ თვალსაზრისით შეიძლება ეწოდოს შედიოპასივები.

III დიათეზაში ვაერთიანებთ მეორეული, ინვერსიული (დატივიური) კონსტრუქციის სხვადასხვა (ნარკვი) სტრუქტურის ზმნებს: *ი/უ-R-ღ (უყვარს)*, *ა-R-ებ (აკანკალებს)*, *ე-R-ებ-ი (ემღერება)*. ეს დიათეზა ზმნის პირების ინვერსიის გზითაა მიღებული და ხშირად პირის დაკარგვის შედეგად ჩამოყალიბებული. ამდენად, მათი კონსტრუქცია მეორეულია, წარმოქმნილია: *მაცახცახებს ის მე → მაცახცახებს მე, აცახცახებს მას; მაურჯოლებს ის მე → მაურჯოლებს მე, აურჯოლებს მას, გამაგებინა მან მე ის (ნეტავი გამაგებინა მე, მაცინებს ის მე → (რა) მაცინებს მე*. ამათ სტრუქტურა აქტივისა აქვთ, და შესაბამისად, პარადიგმაც აქტივის, ოღონდ დეფექტური. ამათვე რიგშია პასივის *ე-R-ები* სტრუქტურის მქონე ინვერსიული კონსტრუქციის ზმნები (*მეზარება, მეჯავრება, მეცინება, მაგვიანდება...*), რომელნიც შესაბამისად პასივის პარადიგმას მიჰყვებიან და სემანტიკურად სხვადასხვა ნიუანსს ქმნიან.

ამ დიათეზის ზმნათა მნიშვნელოვანი ნაწილი ძირეული სტრუქტურის სტატიკური ზმნებია, გრძნობა-აღქმის სემანტიკის მქონე (*მიყვარს, მიჭირს, მშოა, მწყურია, მეშინია*). ესენიც მიჰყვებიან პასივის პარადიგმას, ოღონდ ვერ აწარმოებენ ყველა დრო-კილოს და, ამ თვალსაზრისით, სხვადასხვა ქვეტიპს ქმნიან.

ამგვარად, სტატიკური ავტოტივები და დინამიკური აქტივები პირველი დიათეზის ორი განშტოებაა, უსრული და სრული კონსტრუქციით. ამის დამადასტურებელია ლაბილური კონსტრუქციის ავტოტივთა ფორმები, რომელთა შინაგანი პირდაპირი ობიექტი ხან ამოტივტივდება, ხან იკარგება (*თამაშობს ის – თამაშობს ის მას, ლაპარაკობს ის – ლაპარაკობს ის მას, სწავლობს ის – სწავლობს ის მას, უჩხიკინებს ის მას მას – უჩხიკინებს ის მას* და სხვ.). სტატიკური პასივები და დინამიკური პასივები, შესაბამისად უსრული და სრული კონსტრუქციით, ასევე მეორე დიათეზის ორი განშტოებაა აწმყოს -ი სუფიქსური და წყვეტილის *ე*- პრეფიქსული საერთო მახასიათებლით. მესამე დიათეზა კი ამ ორი დიათეზის ინვერსიის შედეგადაა ჩამოყალიბებული.

ისტორიულად სტატიკური ავტოტივების სტრუქტურა და კონსტრუქცია წინ უნდა უსწრებდეს და ამოსავალი უნდა იყოს დინამი-

კური აქტივისათვის, ისევე, როგორც სტატიკური ვნებითისა დინამიკური ვნებითისათვის.

დიათეზების სურათი შეიძლება შემდეგი დიაგრამით წარმოვადგინოთ:

I დიათეზა




<p>სტატიკური ავტოტივი (მედიოაქტივი) სტრუქტურა ძირეული R-Ø; Ø-R [ქ/ი] Ø/ი/უ. R-th suf.</p> <p>კონსტრუქცია არასრული [ის X – მან X; ის მას X – მან მას X]</p>	<p>დინამიკური (აქტივი) სტრუქტურა 1. ძირეული, 2. წა მოქმნილი Ø-R; Ø-R[ქ/ი] Ø/ი/უ. R-th suf.</p> <p>კონსტრუქცია სრული [ის მას – მან ის; ის მას მას – მან მას ის]</p>
--	--

II დიათეზა



<p>სტატიკური (მედიოპასივი) სტრუქტურა ძირეული Ø/ა/უ. R-ი</p> <p>კონსტრუქცია არასრული [ის X – ის X]</p>	<p>დინამიკური (პასივი) სტრუქტურა 1. ძირეული, 2. წარ- მოქმნილი Ø-R-ებ-ი ა-R-ებ-ი R-დ-ებ-ი ი-ე-R-ებ-ი</p> <p>კონსტრუქცია სრული [ის – მან; ის მას– ის მას]</p>
---	---

III დიათეზა



<p>სტატიკური სტრუქტურა ძირეული ი/უ-R ა-R-ი</p> <p>კონსტრუქცია სრული, არასრული [მას – მას; მას ის – მას ის]</p>	<p>სტატიკური, დინამიკური სტრუქტურა წარმოქმნილი ა-R-ებ ე-R-ებ-ი</p> <p>კონსტრუქცია არასრული [მას – მას; მას ის – მას ის]</p>
--	---

§9. უსიცივეების სტრუქტურა-მეძანიზმის აღწერისათვის ძართულში

ევროპული ზმნის მონოპერსონალური და ქართული ზმნის პოლიპერსონალური კონსტრუქცია ამ ენათა სინტაქსური სტრუქტურა-მექანიზმის განსხვავების მთავარი მიზეზია. მონოპერსონალური ზმნის მქონე ენებში მორფოლოგიური სუბიექტ-ობიექტის გარჩევა სინტაქსური ქვემდებარე-დამატებისაგან საჭირო არ არის, რადგანაც აქ მორფოლოგიური უდრის სინტაქსურს და, მაშასადამე, საზოგადოდ, გრამატიკულს. მაგრამ იმ ენებში, სადაც ზმნაში ორივე აქტანტის პირია წარმოდგენილი, მორფოლოგიური სუბიექტ-ობიექტი ყოველთვის არ უდრის სინტაქსურ ქვემდებარე-დამატებას და ამიტომ არ შეიძლება განზოგადდეს, როგორც გრამატიკული. გრამატიკული ანალიზის პრინციპები ჩამოყალიბებული იყო იმ გრამატიკაში და იმ მეცნიერთა მიერ, რომელთაც საქმე ჰქონდათ მონოპერსონალური ზმნის მქონე ენების მასალასთან. ქართული პოლიპერსონალური ზმნისა და სახელების სინტაქსური დამოკიდებულების (შესიტყვების) როგორც დიაქრონიულმა, ისე სინქრონიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ისტორიული განვითარების გზაზე აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის სტრუქტურული თუ სინტაქსურ-ფუნქციური თვალსაზრისით დაპირისპირება (ინვერსია) მოხდა. ამას კი, თავის მხრივ, შედეგად მოჰყვა მიცემითში დასმული სახელის პირთან ერთად მრავლობითი რიცხვის აღნიშვნაც ზმნაში, ამიტომ, ჯერ კიდევ 1928 წელს თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, არნ. ჩიქობავამ დასვა საკითხი სტრუქტურული და ფუნქციური ცნებებისათვის განსხვავებული ტერმინების შემოღება-შემუშავების თაობაზე და ამავე ნაშრომში ძირითადად გადაწყვიტა კიდევ იგი სინტაქსური ურთიერთობის აღწერისას სუბორდინაცია-კოორდინაციის ცნებების შემოტანით. თუ ამ თვალსაზრისს ბოლომდე განევაითარებთ, თავისთავად იგულისხმება, რომ ქართული შესიტყვების სტრუქტურა-მექანიზმის აღწერისას მოიხსნება სუბიექტ-ობიექტის ცნება-ტერმინთა გამოყენება.

ქართული ზმნისა და სახელის სინტაქსური ურთიერთობა მართვისა და შეთანხმების სახეს იღებს. განსხვავებით ევროპული ენებისაგან, ეს ურთიერთობა არ არის ცალმხრივი (ე.ი. სუბორდინაციული, როდესაც სახელი ოდენ მმართველია და ზმნა ოდენ მართული ან პირიქით), არამედ უფრო ხშირად საურთიერთოა (ე.ი.

კოორდინაციული). ერთსა და იმავე დროს, სახელიც მართავს ზმნას პირში და შეიძლება ითანხმებდეს რიცხვში (ასეთ შემთხვევაში სახელი დიდი კოორდინატი) და ზმნაც მართავს სახელს, ე.ი. მოითხოვს მისგან გარკვეულ ბრუნვას.

ზმნა კოორდინაციის ღერძია, ძირითადი კოორდინატი; მასთან შეწყობილი სახელი – აქტანტი, აგენსი იქნება იგი (A) თუ პაციენსი (P), მორფოლოგიური სუბიექტი (MS) თუ მორფოლოგიური ობიექტი (MO), კოორდინაციის წევრია. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ცვლის (მართავს) ზმნას პირის მიხედვით და თვითონაც იცვლება ბრუნვების მიხედვით.

თუ სახელი კოორდინაციის წევრია (ე.ი. ერთსა და იმავე დროს მმართველიცაა და მართულიც) და, ამავე დროს, ითანხმებს კიდევ ზმნას რიცხვში, იგი დიდ კოორდინატად იწოდება. ყოველთვის დიდი კოორდინატი $S_{1,2}$ და O_1 , ხოლო S_3 კი მხოლოდ მაშინ, როცა სულიერია, ადამიანია, პიროვნებაა; თუ სახელი კოორდინაციის წევრია, მაგრამ ვერ ითანხმებს ზმნას რიცხვში, იგი მცირე კოორდინატად იწოდება (ყოველთვის მცირე კოორდინატი O_3 პირდაპირი ობიექტი, O_3 ირიბი კი სამვალენტიან ზმნებში).

ქვემოთ ჩვენ შევეცდებით წარმოვადგინოთ ქართული შესიტყვების სტრუქტურა-მექანიზმის სრული აღწერა სინტაქსურ ტერმინებში არნოლდ ჩიქობავას მიერ მეთოდოლოგიური იმანენტიზმის საფუძველზე შემუშავებული ცნებებისა და ტერმინების გამოყენებით ქართული ზმნის ყველა სახეობისათვის ისე, რომ თავიდან ავიცილოთ ტრადიციულ აღწერითს გრამატიკებში მიღებული მორფოლოგიურ-ლოგიკური ცნება-ტერმინების – სუბიექტ-ობიექტის გამოყენება. უფრო სწორად – გამოვიყენოთ ისინი მხოლოდ ფუნქციური დანიშნულების ინდექსებად.

სახელსა და ზმნას შორის სინტაქსური დამოკიდებულების სუბორდინაცია-კოორდინაციული ურთიერთობის აღწერისას გამოიყოფა შემდეგი სახეობები:¹

I სახეობა: აბსოლუტური აგებულების ზმნის შემცველი შესიტყვება. აქ გამოიყოფა სამი ქვეჯგუფი:

1. ერთპირიანი პასივები (*იმალება, იხატება, თბება, თეთრდება, შენდება* ის) და უგვარო ზმნები (ე.წ. მედიოპასივები: *დგას, ზის,*

¹ აღწერისას მხედველობაში გვაქვს III პირის ნაცვალსახელის ბრუნვა, რადგანაც I და II პირის ნაცვალსახელები არ იბრუნვის. მათი ბრუნვა განისაზღვრება შესაბამისი პირის სახელისა და შესაძენი პირის ნაცვალსახელის ფორმების მიხედვით.

წესს...), რომელთა მორფოლოგიური სუბიექტი მუდამ სახელობით ბრუნვაში დგას, სინტაქსური თვალსაზრისით ოდენ მმართველია და არ არის მართული ზმნისაგან. ე.ი. ზმნასა და სახელს შორის სუბორდინაციაა: სახელობითში დასმული სახელი ($N_{nom.}$) დომინანტია, მთავარია, ზმნა კი დეპენდენტი, დამოკიდებული. სახელი ზმნას მართავს (აჩენს თავის პირის ნიშანს ზმნაში); ზმნა სახელს ვერ მართავს ბრუნვაში (*იმალება ის – დაიმალა ის*).

$$N_{nom.} \rightarrow V$$

ამ სქემაში სახელი მორფოლოგიური სუბიექტია (MS). იგი ფუნქციურად ემთხვევა რეალურ სუბიექტს (RS). სინტაქსურად ოდენ მმართველია, დომინანტია.

შენიშვნა: მაგრამ აქ უნდა შევნიშნოთ, რომ სუბორდინაცია ივლისხმება ერთი გვარის ფარგლებში. რადგანაც, თუ გაეითვალისწინებთ იმას, რომ პრეფიქსიანი პასივი აქტივის კონვერსიული ფორმაა და მისი $N_{nom.}$ რომელიც პასივის ფარგლებში მორფოლოგიური სუბიექტია, შესაბამისი აქტივის ბრუნვაცვალებადი, პირდაპირი ობიექტია ($O_{dir. dat-nom.}$), მაშინ გამოვა, რომ სახელობითი ბრუნვა ამ შემთხვევაშიც ზმნისაგან არის გამოწვეული, ე.ი. მართულია, და, მაშასადამე, კელაე კოორდინაციასთან გვაქვს საქმე.

2. აბსოლუტური აგებულების ავტოტივები ანუ მედიოაქტივები (*მეფობს, ტირის, გორავს, ცახცახებს*):

$$N_{nom. - erg.} \leftrightarrow V$$

სადაც სახელი (ფუნქციურად $MS=RS$) არის კოორდინაციის წევრი. ამ ტიპის ზმნათა სემანტიკიდან გამომდინარე, იგი თითქმის ყოველთვის პერსონალური პირია, რომელიც ყოველთვის ითანხმებს ზმნას რიცხვში და, ამდენად, დიდი კოორდინატია.

3. III დიათეზის მეორეული, აქტივისაგან პირის დაკარგვით მიღებული ინვერსიული ზმნები ერთვალენტისანი, ნაკლული კონსტრუქციისა, რომელთა რეალური სუბიექტი (RS) მიცემითშია და ყოველთვის დიდი კოორდინატია.

$$N_{dat.} \leftrightarrow V$$

$N_{nom.}$ გაუჩინარებულია, მაგრამ პირის ნიშანი შერჩენილი აქვთ: *მაკანკალებს მე; აკანკალებს მას; გვაკანკალებს ჩვენ; აკანკალებს მათ.*

ასეთივე სინტაქსური სტრუქტურა აქვთ III დიათეზისავე ინვერსიულ ე- პრეფიქსიან პირნაკლ პასივებს: *მემთქნარება, მემ-*

ცხიკვება, მემღერება ტიპისა. მათაც ორპირიანი ფორმა აქვთ, მაგრამ დაკარგული აქვთ ნომინატივში მდგარი პირი.

II სახეობა: რელატიურ-გარდაუვალი (შირიბგარ-დამავალი) ზმნების შემცველი შესიტყვება. აქ გამოიყოფა სამი ქვეჯგუფი:

1. II დიათეზის ორპირიანი (//ორვალენტიანი) პასივები (*გმალება ის მას, უშენდება ის მას, უთბება ის მას*). სახელი ნომინატივში – მორფოლოგიური სუბიექტი ფუნქციურად უდრის რეალურ სუბიექტს. $MS=RS_{nom}$. იგი ცელის (მართავს) ზმნას პირის მიხედვით, თვითონ უცვლელია, ე.ი. არ იმართვის ზმნისაგან ბრუნვაში, ხოლო დატივში დასმული სახელი კი კოორდინაციის წევრია (მიცემითი ბრუნვა ზმნისაგან არის გამოწვეული).

$$N_{nom. - nom.} \rightarrow V \leftrightarrow N_{dat. - dat.}$$

2. III დიათეზის „მიყვარს“ ტიპისა და პასივის სტრუქტურის ინვერსიული ზმნები (*მეძნელება, მერყენება, მემღერება, მეტკბილება...*), სადაც სახელი ნომინატივში ($MS_{nom.}=RO$) არ არის კოორდინაციის წევრი, იგი დომინანტია (მართავს ზმნას პირში, მაგრამ არ იმართვის ზმნისაგან), ხოლო სახელი დატივში ($MO_{dat.}=RS$) კოორდინაციის წევრია და დიდი კოორდინატია.

$$N_{nom. - nom.} \rightarrow V \leftrightarrow N_{dat. - dat.}$$

3. ნაკლული კონსტრუქციის ორვალენტიანი ავტოტივები (მედლიაქტივები) *უცქერს ის მას – უცქირა მან მას, უკივის ის მას – უკივლა მან მას...*

$$N_{nom. - erg.} \leftrightarrow V \leftrightarrow N_{dat.}$$

ორივე აქტანტთან კოორდინაციაა. $N_{nom. - erg.}$ ყოველთვის დიდი კოორდინატია. $N_{dat.}$ I პირი ყოველთვის დიდია, II ძირითადად დიდი, III – მცირე.

III სახეობას ქმნის რელატიური ორვალენტიანი (პირდაპირ) გარდასავალზმნიანი შესიტყვება, რომელშიც ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა:

1. ნეიტრალური ვერსიის ზმნის შემცველი შესიტყვება (*აკეთებს, აშენებს, ხატავს, წერს...* ტიპისა), სადაც $N_{nom. - erg.} = RS$ და სინტაქსურად დიდი კოორდინატია. რაც შეეხება $MO_{dir.}$ პირებს, O_1 დიდი კოორდინატია, O_2 – პირობითად დიდია, O_3 ყოველთვის მცირე კოორდინატია.

$$N_{nom. - erg.} \leftrightarrow V \leftrightarrow N_{dat. - nom.}$$

2. სასუბიექტო ვერსიის ისეთი ორვალენტიანი ზმნის შემცველი შესიტყვება, რომელსაც პირდაპირი ობიექტის მიხედვით ცვლის უნარი არა აქვს (ანუ პირის გამოხატვის თვალსაზრისით ერთპირიანია: ვიკეთებ, იკეთებ, იცვამ, იცვამ, იცვამს ის მას).

$N_{\text{nom. - erg.}} \leftrightarrow V \rightarrow N_{\text{dat. - nom.}}$

3. სასუბიექტო ვერსიისავე გარკვეული სემანტიკის ზმნები, რომელთაც პირდაპირი ობიექტის მიხედვით ცვლის უნარი აქვთ. ასეთებია: მომიშორა მან მე (თავიდან), დამითხოვა მან მე (სამსახურიდან), მომიცილა მან მე (თავიდან), დამიახლოვა მან მე, მომიტაცა მან მე, დამიჭირა მან მე, შემიფარა მან მე, მომიკითხა მან მე, ამიგდო მან მე (მასხრად), მომიგდო მან მე (ქვეშ), დამიყენა მან მე (მოსამსახურედ), დამივიწყა, მომიგონა, მომიწონა, დამიწუნა, შემინდო, შემიწყალა, შემიწყნარა, მომიხსენია, შემიკედლა, მიმიჯარა, შემიპირა და სხვა ამგვარი. ამათ სამივე ობიექტური პირის ფორმაში სასუბიექტო დესტინაციის (ვერსიის) პრეფიქსი *ი-* აქვთ: მომ-ი-შორა, მოგ-ი-შორა, მო-ი-შორა; შემ-ი-ფარა, შეგ-ი-ფარა, შე-ი-ფარა; მ-ი-პოვა, გ-ი-პოვა, ი-პოვა.

ამ ტიპის ზმნების სინტაქსური ურთიერთობის სქემა ასეთ სახეს მიიღებს:


$N_{\text{nom. - erg.}} \leftrightarrow V \leftrightarrow N_{\text{dat. - nom.}}$

შენიშვნა: იმავე ფორმებმა შეიძლება საობიექტო ვერსიის მიმართებაც გამოხატონ. მაშინ ისინი სამპირიანებად იქცევიან და O_3 პირში *ი-* პრეფიქსის ადგილს უდაბტერს: დამიყენა მან მე ის – დაუყენა მან მას ის (მოჯამაგირედ), მომიგდო მან მე ის – მიუგდო მან მას ის, დამივიწყა მან მე წყენა – დაუვიწყა მან მას ის, მომიწონა მან მე საქციელი – მოუწონა მან მას ის, დამიჭირა მან მე ის (ჩანთა) – დაუჭირა მან მას ის, მიპოვა მან მე ის – უპოვა მან მას ის და სხვ. ესენი სინტაქსური კონსტრუქციის IV ტიპს მიეკუთვნებიან.

IV სახეობა: რელატიურ-სამვალენტიანი (პირდაპირ)გარდამავალი ზმნის შემცველი შესიტყვება, რომელშიც სინტაქსური მექანიზმის თვალსაზრისით ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა:

1. სამვალენტიანი ზმნების შემცველი საობიექტო ვერსიის და შუალობითი კონტაქტის (კაუზატივის) ფორმები (გამიკეთა მან მე ის – გაუკეთა მან მას ის – გამაკეთებინა მან მე ის, ამიშენა მან მე ის – აუშენა მან მას ის – ამაშენებინა მან მე ის). მათ ერთდროულად მხოლოდ ორი პირის მიხედვით ცვლის უნარი აქვთ: კერძოდ, სუბიექტისა და ირიბი ობიექტის მიხედვით. შესაბამისად – ორი

პირის გამოხატვის შესაძლებლობა აქვთ, კერძოდ, MS და MO ირიბი ობიექტისა:




აქ MS (nom. – erg.) და MO_{ind.} (dat. – dat.) კოორდინაციის წევრებია, MO_{dir} (dat. – nom.) კი სუბორდინაციისა (დეკენდენტია, ოდენ მართულია ზმნისაგან, თვითონ კი ვერ მართავს ზმნას).

ასეთი სემანტიკის ზმნებში პირდაპირი ობიექტი მხოლოდ მესამე პირი შეიძლება იყოს.


2. მეორე ქვეჯგუფში შედის ისეთი სამვალენტიანი ზმნები, რომლებსაც ერთდროულად ასევე, მხოლოდ ორი პირის მიხედვით შეუძლიათ ცვალონ ზმნა, ოღონდ ერთ (2a) შემთხვევაში მორფოლოგიური სუბიექტისა და მორფოლოგიური პირდაპირი ობიექტის მიხედვით (*მიმაბარა მან მე მას, მიმცა მან მე მას*) ($N_{\text{nom. - erg. - N}_{\text{dat. - nom.}}$), მეორე (2b) შემთხვევაში კი ირიბი ობიექტის მიხედვით (*მომგვარა მან მე ის, მომცა მან მე ის*)

2a (*მიმგვარა მან მე მას, მიმცა მან მე მას, მომაშორა მან მე მას, მიმასრისა მან მე მას, დამალაპარაკა მან მე მას*)



სადაც $N_{\text{nom. - erg.}}$ მორფოლოგიური (და რეალურიც) სუბიექტი, სინტაქსურად დიდი კოორდინატია, $N_{\text{dat. - dat.}}$ მორფოლოგიური ირიბი ობიექტი სინტაქსურად დეკენდენტია (არ არის კოორდინაციის წევრი, ზმნასთან სუბორდინაციაშია, ე.ი. ვერ ცვლის ზმნას პირების მიხედვით, თვითონ კი მართულია ზმნისაგან მიცემით ბრუნვაში), $N_{\text{dat. - nom.}}$ კი – მორფოლოგიური პირდაპირი ობიექტი სინტაქსურად კოორდინატია (O_1 – დიდი, O_2 პირობითად დიდი, O_3 – მცირე).

2b (*მომგვარა მან მე ის, მომცა მან მე ის, მომაშორა მან მე ის, მიმასრისა მან მე ის, დამალაპარაკა მან მე ის*)



ამ შემთხვევაში კი ზმნა იცვლება სუბიექტისა და ირიბი ობიექტის მიხედვით. ზმნასთან კოორდინაციაში ირიბი ობიექტია და, შესაბამისად, მისი ნიშნებია. წარმოდგენილი: *მო-მ-აჩერა მან მე ის, მო-მ-გეარა მან მე ის*. პირდაპირი ობიექტი არ არის კოორდინაციის წევრი, რადგანაც ამ შემთხვევაში იგი ზმნას ვერ ცვლის პირების მიხედვით.

ასეთი სემანტიკის ზმნათა რიცხვს მიეკუთვნება:

იცვლება პირდ. ობიექტი

*მიმაბარა მან მე მას
მიმამაგრა მან მე მას
მიმცა მან მე მას
მიმაგდო მან მე მას
მიმამსგავესა მან მე მას
მიმგეარა მან მე მას
მიმასრისა მან მე მას
მიმაჭყლიტა მან მე მას
მიმაწერა მან მე მას
მიმაჩერა მან მე მას
მიმახატა მან მე მას
მიმახმარა მან მე მას
მი/დამაწერა მან მე მას
დამალაპარაკა მან მე მას
გამასაუბრა მან მე მას
წამაჩხუბა მან მე მას
დამაეიწყა მან მე მას
შემატოვა მან მე მას
დამაკისრა მან მე მას
შემატეუა მან მე მას
მომაცვილა მან მე მას
მომაშორა მან მე მას
მიმაკარა მან მე მას
მომწყვიტა მან მე მას*

იცვლება ირ. ობიექტი

*მომაბარა მან მე ის
მომამაგრა მან მე ის
მომცა მან მე ის
მომაგდო მან მე ის
მომამსგავესა მან მე ის
მომგეარა მან მე ის
მომასრისა მან მე ის
მომაჭყლიტა მან მე ის
მომაწერა მან მე ის
მომაჩერა მან მე ის
მომახატა მან მე ის
მომახმარა მან მე ის
მო/დამაწერა მან მე ის
დამალაპარაკა მან მე ის
გამასაუბრა მან მე ის
წამაჩხუბა მან მე ის
დამაეიწყა მან მე ის
შე(მო)მატოვა მან მე ის
დამაკისრა მან მე ის
შემომატეუა მან მე ის
მომაცვილა მან მე ის
მომაშორა მან მე ის
მომაკარა მან მე ის
მო/დამწყვიტა მან მე ის*

როგორც ვხედავთ, ამ ტიპის ზმნებში, ერთი მხრივ, I და II ირიბი ობიექტური პირების და, მეორე მხრივ, III ირიბი ობიექტური პირის ფორმათა განსხვავება ორ ქვეჯგუფს შორის ძირითადად მი- და მო- ზმნისწინების ოპოზიციით მყარდება (მი-ს შემთხვევაში ზმნა

იცვლება პირდაპირი ობიექტის $M_{dat. - nom.}$ -ის მიხედვით. მო-ს შემთხვევაში კი ირიბის, $MO_{dat. - dat.}$ -ის მიხედვით).

ამგვარად, სამვალენტთან ზმნებში კოორდინაცია ერთდროულად შესაძლებელია მხოლოდ ორ აქტანტთან: ერთ შემთხვევაში $N_{nom. - erg.} (MS)$ -თან და $N_{dat. - nom.} (MO_{dir.})$ -თან, მეორე შემთხვევაში კი $N_{nom. - erg.} (MS)$ -თან და $N_{dat. - dat.} (MO_{ind.})$ -თან.

სინტაქსური ურთიერთმიმართების სქემებში გამოხატვამ თვალნათლივ აჩვენა, რომ ქართულში მორფოლოგიური სუბიექტ-ობიექტი ყოველთვის არ უდრის რეალურ სუბიექტ-ობიექტს, რაც ქართული ზმნისა და სახელის სინტაქსური მექანიზმის ისტორიული ცვლილების შედეგია, დაკავშირებულია ინვერსიის პროცესის მორფოლოგიზაციასთან და ფორმალურად შესაძლებელი იყო განხორციელებულიყო პოლიპერსონალური კონსტრუქციის მქონე ზმნების შემთხვევაში.

ეს პროცესი კი, როგორც ზემოთ ვნახეთ (იხ. §4), პერსონალური (აქტიური) და არაპერსონალური (პასიური) პირების (სულიერი-აღამიანი-უსულო) ოპოზიციის გაძლიერებამ გამოიწვია, რასაც მიცემითში დასმული სახელის (პერსონალური პირის) მიერ ზმნის მრავლობით რიცხვში შეთანხმება მოჰყვა: ისტორიულად შეთანხმების ფორმალური პრინციპი სემანტიკურმა შეცვალა! აღსანიშნავია, რომ ქართულში ისტორიულად მრავლობითი რიცხვის ნიშნების მასალა სახელსა და ზმნაში ერთი და იგივეა, ე.ი. მრავლობითი რიცხვი სახელსა და ზმნაში ერთი და იმავე აფიქსებით გამოიხატება: ენ→ნ, ეთ→თ.

თანამედროვე ქართულში ზმნის რიცხვში შეთანხმება დამოკიდებულია აქტანტის აქტიურობაზე: პერსონალურია (სულიერი) იგი, თუ არაპერსონალური (უსულო).

აქტანტთა რიცხვში შეთანხმების ცხრილი:

MS_1 – ყოველთვის ითანხმებს ზმნას რიცხვში, დიდი კოორდინატია: *ჩვენ ვხატავთ მას/მათ.*

MS_2 – ყოველთვის დიდი კოორდინატია: *თქვენ ხატავთ მათ/მათ*

¹ ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულში ყოლა-ქონება ზმნების დაპირისპირება სულიერი-უსულოს მიხედვით არ არის გამოკვეთილი (*აქონდენ სამნი თიკანნი, მქონან ჩემ ქუეშე ერისა კაცნი, მაქუნდე შენ დაჰკედრებულად.*–)

MS₃ – პირობითად დიდი კოორდინატი: პერსონალური (სულიერი ან გასულიერებული) დიდია, არაპერსონალური (უსულს) – მცირეა: *ბავშვები ხატავენ სურათს, მგლები ყმუი-ან.*

როცა ზმნა გამოხატავს სულიერისათვის დამახასიათებელ მოქმედებას:

თვითმფრინავები დაფრინავენ, მანქანები დაქრი-ან

მაგრამ: *სახლები შენდება, საქმეები კეთდება...*

MO₁ პირდაპირიც და ირიბიც – (N_{dat-nom}; dat-dat.) ყოველთვის დიდი კოორდინატი:

ისინი გვ-ხატავენ ჩვენ

ისინი გვ-იხატავენ ჩვენ სურათს

MO₂ პირდაპირი (N_{dat-nom}) – პირობითად დიდი კოორდინატი. მცირეა, როცა მასთან კომბინაციაში მყოფი სუბიექტი მრავლობითშია, დიდია, როცა სუბიექტი მხოლოდითშია:

ის გიხატა-თ თქვენ მას/მათ

ისინი გიხატავენ თქვენ მას/მათ

MO₂ ირიბი (N_{dat-dat}) – ორვალენტიან (ორპირიან) ირიბგარდამავალ (გარდაუვალ) აქტიურ ზმნებში პერსონალური სუბიექტის მრავლობითობის შემთხვევაში მცირე კოორდინატი:

მასწავლებლები გეკითხები-ან თქვენ

ბავშვები (თვითონ) გემალება-ან თქვენ

მაგრამ, თუ MS უსულსა, MO₂ დიდი კოორდინატი:

ლექციები გეკითხება-თ თქვენ

ჩანთები (ვილაცის მიერ) გემალება-თ თქვენ

ასევე: MO₂ დიდი კოორდინატი, თუ MS სულიერი მხოლოდითშია:

ბავშვი გემალება-თ თქვენ

MO₂ ირიბი (N_{dat-dat}) – სამვალენტიან ზმნაში პირობითაა დიდი კოორდინატი: მაშინ, როცა სუბიექტი მხოლოდითშია:

ის გიხატა-თ თქვენ მას

თუ სუბიექტი მრავლობითშია, მცირე კოორდინატი:

ისინი გიხატავენ თქვენ მას

MO₃ პირდაპირი (N_{dat-nom}) – ყოველთვის მცირე კოორდინატი: *ხატავს ის მათ – უხატავს ის მას მათ (სურათებს)*

MO_3 ირიბი ($N_{dat} - dat.$) – სამუაღენტიან, ე.ი. (პირდაპირ) გარ-
ღამავალ ზმნებში ყოველთვის მცირე კოორდინატია:

*უნატავს ის მათ სურათს/სურათებს
ღაუხატა მან მათ სურათი*

MO_3 ირიბი ($N_{dat} - dat.$) – ორვალენტიან ზმნაში დიდი კოორდი-
ნატია, თუ MO_3 პერსონალური პირია, ხოლო MS უსულო პირია:

*ღექციები ეკითხება-თ მათ
ჩანთები ემაღება-თ მათ*

თუ MS პერსონალური პირი მხოლობითშია:

მასწავღებღელი ეკითხება-თ მათ

ბავშვი ემაღება-თ მათ

მაგრამ:

მასწავღებღები ეკითხები-ან მათ

ბავშვები ემაღები-ან მათ

$MO_3 = RS_3$ ($N_{dat} - dat.$) – III დიათეზის (ე.ი. ინვერსიულ ზმნებში)
დიდი კოორდინატია, როცა მასთან კომბინაციაშია $MS_3=RO_3$
($N_{3nom.} - nom.$):

უყვართ მათ ის/ისინი.

მცირე კოორდინატია, როცა მასთან კომბინაციაში არის $MS_{1,2} =$
 $RO_{1,2}$ ($N_{1,2nom.} - nom.$):

ეყყვართ მათ მე

ეყყვართ-თ მას ჩვენ

ეყყვართ-თ მათ ჩვენ

უყვართ მათ შენ

უყვართ-თ მას თქვენ

უყვართ-თ მათ თქვენ

მაგრამ: *უყვართ-ს მას ის/ისინი*

უყვართ-თ მათ ის/ისინი

ამგვარად, ზმნის რიცხვში შეთანხმებისას მუშაობს ძირითადი
პრინციპი: თუ აქტანტი პერსონალურია (სუღიერი), მაშასადამე, აქ-
ტიურია; თუ არაპერსონალურია (უსულო), მაშასადამე – პასიური.
ასეთ შემთხვევაში პირთა კომბინაციებში სინტაქსური ძალით I
პირი ყოველთვის აჭარბებს II-ს, ორივე კი III პირს.

ნაწილი II

I დიათეზა

კონსტრუქცია: ცვალებადი (უსრული, სრული)
სტრუქტურა: ძირეული, წარმოქმნილი

I დიათეზაში ვაერთიანებთ არასრული და სრული კონსტრუქციის აწმყოს იდენტური სტრუქტურის (მოდელის) ზმნებს – აეტოტივებსა (მედიაოქტივებს) და აქტივებს, რომელთა MS ბრუნვა ცვალებადია სერიების მიხედვით (იხ. ნაწ. I, §8).

I უსრული დიათეზა

ავტოტივი (მედიაოქტივი)

კონსტრუქცია: ის X – მან X; ის მას X – მან მას X
სტრუქტურა: R-Ø, R[ე/ი]-Ø, ა/ი/უ-R-th. suf.

1. ავტოტივის (მედიაოქტივის) უღლების სისტემა ისტორიული თვალსაზრისით

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ტერმინს „საშუალო გვარი“ პირობითად იყენებენ ერთი გარკვეული ჯგუფის ზმნების აღსანიშნავად, რომელთათვისაც ძირითადად სტატიკურობა და უკუქცევითობაა (რეფლექსურობა) დამახასიათებელი. „საშუალო გვარს“ ცალკე გვარად გამოყოფენ იმდენად, რამდენადაც ამ ტიპის ზმნები ზოგი ნიშნით მოქმედებითს ჰგვანან, ზოგი ნიშნით კი ვნებითს. ამ კრიტერიუმიდან ამოსვლით, აკაკი შანიძე გამოყოფს ორ ქვეჯგუფს: მედიაოქტივს, რომელიც ნაკლულ ფორმებს აქტივისაგან სესხულობს, და მედიაოქსივს, რომელიც ნაკლულ ფორმებს, შესაბამისად, პასივებისაგან სესხულობს. ე.წ. მედიალური ზმნები ქართულში უქველესი ფორმაციის ზმნებია. მათ არნოდდ ჩი-

ქობავა უგვარო სტატიკურ ზმნებს უწოდებს და ენის განვითარების იმ საფეხურის ამსახველად მიიჩნევს, როდესაც ზმნა მინიმალურად განსხვავდებოდა სახელისაგან: ზმნა მდგომარეობას აღნიშნავდა და ეს მდგომარეობა თვისების მსგავსად უცვლელი იყო. ამ ტიპის ზმნების სტატიკური ხასიათი პრინციპში უნდა გამოორიცხავდეს დროში ცვალებადობას, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ისინი უბრალოდ სიერცეში მდგომარეობას კი არ გამოხატავენ, არამედ, თუ შეიძლება ითქვას, მოქმედების მდგომარეობას, კერძოდ, ხმაურს, ხმის გამოცემას, სულის შინაგან მოქმედებას (ფსიქიკურ მდგომარეობას) ასახავენ. ამ ტიპის ზმნები ქართული ენის აქტიურ ლექსიკურ ფონდს განეკუთვნებიან და ამიტომ სიცოცხლის შესანარჩუნებლად მათ შეძლეს ზმნის უღლების საერთო სისტემაში მოქცევა. ზმნები, რომელთაც ვერ შეძლეს დრო-კილოთა ფორმების წარმოების საერთო სისტემაში ჩართვა, თანდათან გადაშენდნენ და მათი კვალი მხოლოდ აწმყოს, საწყისისა ან მიმღეობის ფორმებმა თუ შემონახა. „მედიაოქტივები“ როგორც სტრუქტურის, ისე სემანტიკის თვალსაზრისით, ძირეული ფორმებია და ამოსავალია აქტივისათვის. ისინი, ასე ვთქვათ, თვითმოქმედებას, თვითმოძრაობას გამოხატავენ და ამიტომ მათ ავტოტივები ვუწოდეთ (იხ. §8). ამ ზმნებს შინაგანი გარდამავლობა ახასიათებთ: ისინი შინაგანად შეიცავენ პირდაპირობიექტს (*აქანკალებს ის მას, მაგრამ კანკალებს ის თვითონ, ამეფებს ის მას, მაგრამ მეფობს ის თვითონ...*) და ზედაპირზე არასრული კონსტრუქცია აქვთ. ამიტომ, თუმცა მათ აბსოლუტური აგებულება აქვთ, მაგრამ კანონზომიერია, რომ მყოფად-წყვეტილის ჯგუფის მწკრივებს ისინი აწარმოებენ *o*- პრეფიქსის საშუალებით, რომელიც ავტოტივებშიც და პასივებშიც რეფლექსივის ნიშანია, ხოლო აქტივში სასუბიექტო ვერსიის ფუნქციას იძენს. უძველესი დროის ხანმეტ და უფრო გვიანდელ ტექსტებშიც დადასტურებულია I დიათეზის, ამ არასრული კონსტრუქციის ზმნების, *o*- პრეფიქსიანი ფორმები აწმყოსა და მისგან ნაწარმოებ მწკრივებშიც (უწყვეტელსა და აწმყოს კავშირებითში): *ხიტყუ, ვიტყუ, ხიტყვან, ხიხარებს, ხიტყებს, ხიმარხავს, ხიმოთხევს, ხიტყოდა, ხიღვიძებდა, ხიმოთხევედა, ხილოცვიდა, ვილოცვიდით, ისწავებს, იტყებდა, იბრდღუენს, იბრდღუენდა, ისიძავს, ისიძვიდა, იმრუშებდენ, ვიტყოდით, იტყოდა, იტყოდეს* და სხვ. (იხ. ასევე „ვეფხისტყაოსანში“ აწმყოს ფორმები: „*ილოცავს, იტყვის*“...). ამ ტიპის ზმნათა *o*- პრეფიქსიანი ფორმები (ისევე, როგორც I სრული დიათეზისა და II დი-

ათეზის ზმნისწინიანი ფორმები) მომავალ დროში გადაირიცხნენ იმ განსხვავებით, რომ ზმნისწინიან ფორმებს სრული ასპექტის მნიშვნელობა აქვთ, *o*- პრეფიქსიან მყოფადსა და წყვეტილს კი უსრულისა, როგორც ეს შეეფერება სტატიკურ ზმნებს, რომელთაც დიურატიული შინაარსი აქვთ. ამ დიათეზის ზოგ ზმნას არა მარტო უძველეს ძეგლებში, არამედ თანამედროვე ქართულშიც *o*- პრეფიქსიანი აწმყო აქვს: *იციინის, იმღერის, ინანის, ინატრის, იხარის, იჭირვის, იურვის, იჩქარის, იძინებს, იღვიძებს...*

ყოველივე ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ მყოფად-წყვეტილის *o*- პრეფიქსიანი ფორმები აქტივისაგან ნასესხებად კი არ ჩავთვალთ, არამედ ავტოტივ-რეფლექსივის კანონზომიერ ფორმებად, რომელთათვისაც რეფლექსივის (*resp.* სასუბიექტო ვერსიის) *o*- პრეფიქსი ამგვარი მიმართების აღმნიშვნელი ორგანული პრეფიქსია, რომელიც აქტივის სრულ კონსტრუქციაში სასუბიექტო ვერსიის შინაარსს იძენს. ამგვარად, ავტოტივს და აქტივს ფორმალური სტრუქტურა (მოდელი) საერთო აქვთ: **R-აგ, R-ი, R-გბ, R-ობ, R-Ø, R [ქი] -Ø** (*ვიწუხებ – მიწუხს, ძგერს – მიძგერს – უძგერს, ეჩქმებ – მიჩქმებს – მიჩქმებს, ბრწყინავს – მიბრწყინავს, ვშფოთავ – შფოთავს – მიშფოთავს, მშუამდგომლობს – მიშუამდგომლებს*), მაგრამ კონსტრუქცია განსხვავებული აქვთ: ავტოტივებს, როგორც ზემოთაც ვაჩვენეთ, აკლიათ პირდაპირი ობიექტი, რომელსაც შინაგანად შეიცავენ, როგორც რეფლექსიები.

ავტოტივები და აქტივები, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ერთი დიათეზის ორი განშტოებაა – უსრული: *ის X – მან X, ის მას მას – მან მას X* და სრული: *ის მას – მან ის, ისმას მას – მან მას ის* კონსტრუქციით. ამის დამადასტურებელია აგრეთვე ლაბილური კონსტრუქციის ავტოტივთა ფორმები, რომელთა შინაგანი პირდაპირი ობიექტი ხან ამოტივტივდება (გაჩნდება), ხან იკარგება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ზმნას მყოფად-წყვეტილი ორივე (სრული და უსრული) კონსტრუქციის შემთხვევაში ერთნაირად, *o*- -ვბ კონფიქსით ეწარმოება: *თამაშობს ის – ითამაშებს ის – ითამაშა მან; თამაშობს ის მას – ითამაშებს ის მას – ითამაშა მან ის ასევე: ლაპარაკობს, ილაპარაკებს ის//ის მას – ილაპარაკა მან//მან ის სწავლობს, ისწავლის ის//ის მას – ისწავლა მან//მან ის ; გალობს, იგალობებს ის // ის მას – იგალობა მან // მან ის; მღერის, იმღერებს ის // ის მას – იმღერა მან// მან ის; გლოვობს, იგლოვებს ის // ის მას – იგლოვა მან//მან ის; ზოგ შემთხვევაში კი ზმნისწინები განასხვავებენ სრული და უსრული კონსტრუქციის ფორმებს: *ტოპავს ის,**

შეწატოპა მან, მაგრამ – გატოპავს ის მას, გატოპა მან ის; ცურავს ის, შეცურა მან, მაგრამ – გაცურავს ის მას, გაცურა მან ის; ჭერეტს ის მას – (შე)უჭვერიტა მან მას, მაგრამ – განჭვერიტა მან ის აკოცა მან მას, მაგრამ – დაწაკოცნა მან ის; უბჭეინა მან მას, მაგრამ – დაბჭეინა მან ის და სხვ. ასე, უბან და აშბავ სახელთაგან მიღებული R-ობ სტრუქტურის ავტოტივის ერთვალენტიანი ფორმები დღეს ბრუნვაცვალებად ობიექტს შეიწყობენ: უბნობს ის → უბნობს ის მას, (ამბვობს) → ამბობს ის მას – იამბო მან ის.

2. ავტოტივების (მედიაოქტივების) უღლების კლასები ღრო-კილოთა ჯგუფებში თემის ცვლილების მიხედვით

ავტოტივების (მედიაოქტიური) ზმნების აწმყოს თემას იგივე სუფიქსები აწარმოებენ, რომლებიც აქტივისას: -ებ, -ობ, -ავ, -ი. ისინი მყოფადსა და წყვეტილს რეფლექსივის *ი-* პრეფიქსით აწარმოებენ, რომელიც სასუბიექტო მიმართების (ვერსიის) აქტივთან აქვთ საერთო: *იწუხებს ის მას (თავს, გულს, აწმყოში) – შეიწუხებს ის მას – შეიწუხა მან ის, მაგრამ: წუხს ის – იწუხებს ის (მომავალში) – იწუხა მან.* ამგვარად, მედიაოქტივებს და აქტივებს ფორმალური სტრუქტურა (მოდელი) საერთო აქვთ, მაგრამ, განსხვავებით აქტივებისაგან, ავტოტივებს ნაკლები კონსტრუქცია აქვთ: აქლიათ სახელობითში დასმული პირი. რელატიური ფორმები საობიექტო მიმართებით ყველას ვერ ეწარმოება (ამას ზმნის სემანტიკა განსაზღვრავს) და, თუ ეწარმოება, ინვერსიული შინაარსი დაჰკრავს: *წუხს ის – მიწუხს მე ის, დულს ის – მიდულს მე ის, ძგერს ის – მიძგერს მე ის, ჟღერს ის – მიჟღერს მე ის, ტირის ის – მიტირის ის მე, ფეთქავს ის – მიფეთქავს მე ის, კანკალებს ის – მიკანკალებს მე ის, ლაყლაყებს ის – მილაყლაყებს მე ის.* საობიექტო ვერსიის აწმყოს ფორმებს მყოფად-წყვეტილის მწკრივები ამ დიათეზის ფარგლებში ვერ ეწარმოებათ, მათ ეს მწკრივები II დიათეზის – პასივის პარადიგმით ევსებათ: *უწუხს ის მას – შეუწუხდება ის მას – შესწუხებია ის მას, უკანკალებს ის მას – აუკანკალდება ის მას – აუკანკალდა ის მას – აჰკანკალებია ის მას.* ასეთი შენაცვლების მიზეზი გასაგებია: საობიექტო მიმართების *ი/უ* ხმოვანპრეფიქსიანი აწმყოს ფორმები დაემთხვეოდა მყოფად-წყვეტილის ფორმებს.

ფუძედრეკადი და -ობ თემისნიშნიანი ზოგიერთი ზმნის აწმყოს ფორმაში ობიექტური მიმართება პირის მარკერებით აღინიშნება, ამიტომ აწმყოსა და მყოფადის ფორმების დამთხვევა გამორიცხუ-

ლია და მათ მყოფად-წყვეტილი ავტოტივების I უღლების ზოგადი წესით, *o/უ* - - ებ კონფიქსით ეწარმოებათ:

მრქენს ის მე, პრქენს ის მას - მი-რქენს ის მე, უ-რქენს ის მას - მი-რქინა მან მე, უ-რქინა მან მას; მჩქმეტს ის მე, (ს)ჩქმეტს ის მას - მი-ჩქმეტს ის მე, უ-ჩქმეტს ის მას; მპატრონობს ის მე, პპატრონობს ის მას - მი-პატრონებს ის მე, უ-პატრონებს ის მას; მხელმძღვანელობს ის მე, კხელმძღვანელობს ის მას - მი-ხელმძღვანელებს ის მე, უ-ხელმძღვანელებს ის მას.

იშვიათად შეიძლება *ა* პრეფიქსმაც აწარმოოს:

მწყენს ის მე, სწყენს ის მას - მა-წყენს ის მე, ა-წყენს ის მას - მა-წყინა მან მე, აწყინა მან მას; მეოცნის ის მე კეოცნის ის მას - მა-ეოცებს, ა-ეოცებს - მა-ეოცა, ა-ეოცა.

ხოლო, თუ ფუძედრეკად და (და ზოგიერთ ი- სუფიქსიან ზმნას) რელატიური კონსტრუქცია აწმყოშივე საობიექტო მიმართების ხმოვანპრეფიქსებით აქვს გამოხატული, მას მყოფადსა და წყვეტილში ამ ხმოვანპრეფიქსების წინ პრეფერბი დაერთვის:

მიღრენს, უღრენს - დამიღრენს, დაუღრენს - დამიღრინა, დაუღრინა; მიტყერს, უტყერს - მომიტყერს, მოუტყერს - მომიტირა მოუტირა; მისტვენს, უსტვენს - დამისტვენს, დაუსტვენს - დამისტვინა - დაუსტვინა; მიცინის, უცინის - გამიცინებს, გაუსცინებს - გამიცინა, გაუსცინა.

-ი სუფიქსიან, უთემისნიშნო და ფუძედრეკად ავტოტივებს ყოველთვის არა აქვთ ისე მწყობრად ჩამოყალიბებული უღლების სისტემა, როგორც აქტივებსა და პასივებს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ უთემისნიშნო და ფუძედრეკადი ზმნები აქტივშიც გარკვეულ თავისებურებებს იჩენენ.

მყოფად-წყვეტილის წარმოების თვალსაზრისით მედიოაქტიურ ზმნებში გამოვეყოფთ უღლების სამ ტიპს:

I ტიპი - ერთპირიანი *შ-R-th.suf.* (-ებ, -ობ, -აგ, -ი), *შ-R-ვარ* სტრუქტურის ზმნები, რომელთა მყოფადი *o* - - ებ კონფიქსით იწარმოება, წყვეტილი *o* - - ე კონფიქსით: *ვცახცახებ - ვიცახცახებ - ვიცახცახებ, ებობოქრობ - ვიბობოქრებ - ვიბობოქრე, ეგორავ - ვიგორებ - ვიგორე, ეტირი - ვიტირებ - ვიტირე*. III სერია კი აქტივისებური ინვერსიული წარმოებისა აქვთ (*მიცახცახია, მიბობოქრია, მიგორავს/მიგორია, მიტირია, მიწუხია*). ამათგან *o* - სუფიქსიანი (ტირის) და უსუფიქსო (*წუხს*) ზმნები აწმყოს I და II პირებში მეშველ ზმნას დაირთავენ: *ეტირივარ, ტირიხარ, ეწუხვარ, წუხხარ*. ეს პროცესი ახალ ქართულში აქტიურდება. III სერიაში თემატური სუფიქსის ნაცვლად ამ ზმნებმა შეიძლება ჩაირთონ *ნ* ელემენტი,

რომელიც განასხვავებს მედიალურ ფორმებს აქტივისაგან და, ამავე დროს, თემატური სუფიქსის კომპენსაციას ახდენს.

ამ ტიპის ზმნათა გარკვეული სემანტიკის (მეტყველება წრის, ხმის გამოცემის) ზმნებს *o-* პრეფიქსიანი მყოფად-წყვეტილის პარალელურად *prev.+o-R-*ებ/ე ფორმებიც ეწარმოებათ:

ვკივი - ვიკივლებ//დავიკივლებ - დავიკივლე; ეწივი - ეცივლებ//დავიწივლებ//დავიწივლე; ეჭკივი - ეჭკივლებ//დავიჭკივლებ; ღმუის - ღმუელლებს//დაიღმუელლებს; ბღაის - ბღაელლებს// დაიბღაელლებს. ასევე: ჩივის - იჩივლებს//დაიჩივლებს; ქუხს - იქუხებს//დაიქუხებს, კეფს - იეყეფებს//დაიეყეფებს; ბუტბუტებს - იბუტბუტებს // ჩა/წაიბუტბუტებს, ბურდლუნებს - იბურდლუნებს//ჩა/წაიბურდლუნებს, ზრიალებს - იზრიალებს//დაიზრიალებს, გრუხუნებს - იგრუხუნებს//დაიგრუხუნებს, ხრიალებს - იხრიალებს//დაიხრიალებს და სხვ.

განსხვავება ასპექტური ხასიათისაა: ოდენ *o-* პრეფიქსიანი უსრული ასპექტისაა, ზმნისწინიანი ფორმები კი სრულისა. ამგვარი პარალელური წარმოება ძირითადად უსუფიქსო და *-ი* და *-ებ* სუფიქსიან ზმნებს ახასიათებთ.

II ტიპში შედის *o-R-th.suf.*, *a-R-*ებ, და *მი-/გი-/უ-R-*ებ სტრუქტურის ზმნები, რომელთაც აწმყოში აქტივის სტრუქტურა (მოდელი) აქვთ. ამიტომ მისდევენ მთლიანად აქტივის უღლებას: მყოფადი ზმნისწინის მეშეუობით ეწარმოებათ, ისევე როგორც წყვეტილი: *prev.-R-th.suf.* III სერია ინვერსიული წყობისა აქვთ:

ვამთქნარებ - დავამთქნარებ - დავამთქნარე - დამიმთქნარებია, ვიძინებ - დავიძინებ - დავიძინე - დამიძინია, ვუღიტინებ - დავუღიტინებ - დავუღიტინე - დამიღიტინებია, მიღიტინებს - დამიღიტინებს - დამიღიტინა - დაუღიტინებია, იბოიღიშებს - მოიბოიღიშებს - მოიბოიღიშა, იბუღებს - დაიბუღებს - დაიბუღა, იზამთრებს - გამოიზამთრებს - გამოიზამთრა, უაღურსებს - მიუაღურსებს - მიუაღურსა და სხვ.

ეს მეორე ტიპი არ გააჩნია *-ობ* და *-ი* თემატურ ნიშნიან და უთემისნიშნო ზმნებს.

III ტიპს ძირითადად მოძრაობის გამოხატველი ზმნები შეადგენენ, რომელთაც აწმყოშივე დაერთვის ზმნისწინები *მი-*, *მო-*, *გა-*, *და-*, *წა-*, *შე-*, *ჩა-*. აწმყოს ზმნისწინიანი ფორმები არ ქმნიან ასპექტურ ოპოზიციას, ისინი უსრული ასპექტისა არიან. ზმნისწინი მათთან გამოხატავს მიმართულება-ორიენტაციას სივრცეში (*მიჩანჩალებს - მოჩანჩალებს, მიგორავს - მოგორავს, მიქრის - მოქრის*); ინტენსიურ მოქმედებას (*დაქრის, დაძრწის, დაწანწალებს, დაცოცავს, დაცურავს*), მოქმედების დიდ დიპაზონს (*გაჰყვირის,*

გაქვივის), მიახლოებითს მოქმედებას (*მოისულელებს, წაიმეცადინებს, წაიხეშებს*), მოქმედებას ზევიდან ქვევით ან ქვევიდან ზევით (*დასცქერის – შესცქერის, დასტირის – შესტირის*) და სხვ. მათ ნაკლებული პარადიგმა აქვთ: მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივები ეწარმოებათ.

საერთოდ, I, II და III კლასის ზმნები უძველესი ფორმაციის ზმნებია და მათ ხშირად მხოლოდ აწმყოს ჯგუფის ფორმები აქვთ, თუმცა კი ანალოგიის გზით მიისწრაფვიან პარადიგმის შევსებისაკენ.

I უსრული დიათეზის უღლებაში, ისევე, როგორც სხვა დიათეზების შემთხვევაში, კლასებს გამოეყოფთ აწმყოს თემის (-Ø, -ო, -ებ, -ობ, -ავ) მიხედვით. თითოეულის შიგნით კი მყოფად-წყვეტილის წარმოების ტიპის მიხედვით დაეახასიათებთ ზემოთ მითითებული სამი ტიპის პარადიგმებს. ასევე, ქვეჯგუფებს, რომლებიც ერთი კლასის ფარგლებში პარადიგმათა ნაირსახეობას იძლევიან.

I კლასი

აწმყოს მოდელი: Ø-R-Ø

ამ კლასის ზმნები Ø-R-Ø სტრუქტურის ათემატური ერთპირიანი მედიოაქტივებია, რომლებიც საერთო წესისამებრ, მყოფადს *ო-ებ*, წყვეტილს კი *ო-ებ* კონფიქსით აწარმოებენ. ისინი ძირითადად ბუნების მოვლენებს და ადამიანის სულიერ მდგომარეობას გამოხატავენ. ესენია:

წვიმს – იწვიმებს, ძვერს – იძვერებს, დულს – იდულებს, წუხს – იწუხებს, იგლოვს – იგლოვებს, ჩქეფს – იჩქეფებს, შხეფს – იშხეფებს, ჭექს – იჭექებს, ყეფს – იყეფებს/ დაიყეფებს, ვარგს – ივარგებს.

ამათგან ზოგს, მათი სემანტიკიდან გამომდინარე, I და II პირის ფორმები არა აქვთ (მაგ., არა გვაქვს *ეწვიმ, ეშხეფ*). ზოგიერთს I და II პირში მხოლოდ უმეშველზმნო ფორმები აქვთ: *ყეფ, ვჭექ, ზოგს კი მხოლოდ მეშველზმნიანი: ეწუხ-ვარ, ვდუმ-ვარ, ვვარგ-ვარ.*

პარადიგმა №1

წუხს (წუხილი), ყვეფს (ყვეფა)

I სერია

აწმყოს ჯგუფი					
აწმყო		უწყვერელი		აწმყოს კაეშირებითი	
ეწწხეარ/თ	ყვეფ/თ	ეწწხედ/თ	ყვეფდ/თ	ეწწხედე/თ	ყვეფდე/თ
წწხხარ/თ	ყვეფ/თ	წწხედ/თ	ყვეფდ/თ	წწხედე/თ	ყვეფდე/თ
წწხს/ან	ყვეფს/ენ	წწხედა/ნენ	ყვეფდა/ნენ	წწხედე/ს/ნენ	ყვეფდე/ს/ნენ
მყოფადის ჯგუფი					
მყოფადი		ხოლმეობ-პირობითი		მყოფადის კაეშირებ.	
ვიწწხებ/თ	ვიყვეფებ/თ	ვიწწხებდ/თ	ვიყვეფებდ/თ	ვიწწხებდე/თ	ვიყვეფებდე/თ
იწწხებ/თ	იყვეფებ/თ	იწწხებდ/თ	იყვეფებდ/თ	იწწხებდე/თ	იყვეფებდე/თ
იწწხებს/ენ	იყვეფებს/ენ	იწწხებდა/ნენ	იყვეფებდა/ნენ	იწწხებდეს/ნენ	იყვეფებდეს/ნენ

II სერია

წყვერელი		II კაეშირებითი		ბრძანებითი	
ვიწწხებ/თ	ვიყვეფებ/თ	ვიწწხობ/თ	ვიყვეფობ/თ	ვიყვეფობ	
იწწხებ/თ	იყვეფებ/თ	იწწხობ/თ	იყვეფობ/თ	იყვეფებ/თ	
იწწხებს/ენ	იყვეფებს/ენ	იწწხობს/ენ	იყვეფობს/ენ	იყვეფობს/ენ	

III სერია

I რეზულტატივი		II რეზულტატივი		III კაეშირებითი	
მ/გვიწწხიბა	მ/გვიყვეფიბა	მ/გვიწწხება	მ/გვიყვეფება	მ/გვიწწხობს-ს	მ/გვიყვეფობს
გვიწწხიბ/თ	გვიყვეფიბ/თ	გვიწწხება/თ	გვიყვეფება/თ	გვიწწხობს-ს/თ	გვიყვეფობს/თ
უწწხიბ/თ	უყვეფიბ/თ	ეწწხება/თ	ეყვეფება/თ	ეწწხობს/თ	ეყვეფობს/თ

II კლასი

აწმყოს მოღელე: \emptyset -ა-უ-R [ქი]- \emptyset

ამ კლასში ვათავსებთ უძველესი ფორმაციის ფუძედრეკადებს (აწმყოში [ე], ხოლო წყვეტილში – [ი] გახმოვანებით), რომელთაგან ერთპირიანები \emptyset - პრეფიქსით (რომელსაც შეიძლება ზმნისწინიც დაერთოს სრული ასპექტის ფუნქციით) აწარმოებენ მყოფადისა და წყვეტილის ჯგუფს, ორპირიანები კი ა- ან უ- პრეფიქსით ზმნისწინის გარეშე: ზმნისწინიანი ფორმა ხმოვანპრეფიქსების წინ ორპირიანებს არა აქვთ, ხოლო მხოლოდ ზმისწინიანი ფორმა მათ კონსტრუქციას უცვლის, როგორც ეს ზემოთ ვაჩვენეთ: *უბჭკინა მან მას*, მაგრამ: *დაბჭკინა მან ის*; *ურჭქმიტა მან მას*, მაგრამ: *დაჩქმიტა მან ის*; *უკბინა მან მას*, მაგრამ: *დაკბინა მან ის*; *უჭვერიტა მან მას* – *განჭვერიტა მან ის*. ასევე:

ფშენს ის – ფშენდა – იფშენს – იფშენია მან – უფშენია მას
ქშენს ის – ქშენდა – იქშენს – იქშენია მან – უქშენია მას
დენს/დის ის – დიოდა – იდენს – იდინა მან – უდენია მას
ილხენს ის – მოილხენს – (მო)ილხინა მან – მოულხენია მას
რბენს/რბის ის – რბენდა/რბოდა – ირბენს – ირბინა მან – ურბენია
ფრენს ის – ფრენდა – იფრენს – იფრინა მან – უფრენია მას
აფრენს ის – აფრენდა – (გა)აფრენს – (გა)აფრინა მან – (გა)უფრენია
თელემს ის – თელემდა – ჩათელემს – ჩათელიმა, ჩაუთელემია
ღრენს ის – იღრენს // დაიღრენს ის – დაიღრინა მან – დაულრენია

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორპირიან ზმნებს მყოფადში საობიექტო მიმართების უ- პრეფიქსი აწარმოებს:

(უ)სტვენს ის (მას) – (უ)სტვენდა – და(უ)სტვენს – და(უ)სტვენია მან (მას) – და(უ)სტვენია მას

ულრენს ის მას – ულრენდა – და/შე/ულრენს – ულრინა//და/შეულრინა მან მას – და/შეულრენია

სწვენს ის მას – სწვენდა – აწვენს – აწვინა მან მას – უწვენია მას

რქენს ის მას – რქენდა – ურქენს – ურქინა მან მას – ურქენია მას

ბწვენს ის მას – ბწვენდა – უბწვენს – უბწკინა მან მას – უბწვენია მას

პწვენს ის მას – პწვენდა – უპწვენს – უპწკინა მან მას – უპწვენია მას

კებენს ის მას – კებენდა – უკებენს – უკბინა მან მას – უკებენი მას

ჩქმეტს ის მას – ჩქმეტდა – უჩქმეტს – უჩქმიტა მან მან – უჩქმეტი მას

უმზერს ის მას – უმზერდა/უმზეროდა – უმზირა მან მას – უმზერია მას

ერთ შემთხვევაში ა- პრეფიქსიც გვაქვს:

მწვენს ის მე, სწვენს ის მას – მაწვენს ის მე, აწვენს ის მას – მაწვინა მან მე, აწვინა მან მას.

პარადიგმა №2

ფრენს ის (ფრენა)

I სერია

აწმყოს ჯგუფი		
აწმყო ეფრენ/თ ფრენ/თ ფრენს/ენ	უწვებელი ეფრენდი/თ ფრენდი/თ ფრენდა/ნენ	აწმყოს კავშირებითი ეფრენდე/თ ფრენდე/თ ფრენდეს/ნენ
მყოფადის ჯგუფი		
მყოფადი ვიფრენ/თ იფრენ/თ იფრენს/ენ	ხელმეობით-პირობითი ვიფრენდი/თ იფრენდი/თ იფრენდა/ნენ	მყოფადის კავშირებითი ვიფრენდე/თ იფრენდე/თ იფრენდეს/ნენ

II სერია

წვებელი	II კავშირებითი	ბრძანებითი
ვიფრინე/თ იფრინე/თ იფრინა/ეს	ვიფრინო/თ იფრინო/თ იფრინოს/ნ	ვიფრინოთ იფრინეთ იფრინოს/ნ

III სერია

I რეზულტატივი	II რეზულტატივი	III კავშირებითი
მ/გეიფრენ ია გიფრენია/თ უფრენია/თ	მ/გეეფრინა გეფრინა/თ ეფრინა/თ	მ/გე-ეფრინოს გეფრინოს/თ ეფრინოს/თ

შენიშვნა: ამათ რიგშივეა ერთვალენტიანი: უხვეეს (ის) გზას > უხვეეს ის – უხვეულა (ის) – მოუხვეეს (ის) – მოუხვია (მან) – მოუხვევია (მას).

ზოგს ამ ზმნათაგან თანამედროვე სალაპარაკო ენაში -ავ თემის ნიშანი დაერთვის ე ხმოვნის სათანადო მონაცვლეობით (ალტერნაციით): ფრენს – ფრინაეს, ქშენს – ქშინაეს, ფშენს – ფშეინაეს, ღრენს – ღრინაეს, ჩქმეტს – ჩქშიტაეს, ისევე, როგორც ეს ხდება I სრული დიათეზის (აქტივის) ფუძედრეკად ზმნებში (განჭყურეტს – განჭკურიტაეს, წყეტს – წყეიტაეს, გლეჯს – გლეჯაეს).

პარადიგმა №2 ა

ჩქმეტს ის მას (ჩქმეტა)

I სერია

აწმყოს ჯგუფი		
აწმყო ენქმეტ/თ – მ/გენქმეტს ჩქმეტ/თ – გინქმეტს/თ ჩქმეტს/ენ – ჩქმეტს/ენ	უწმვებელი ენქმეტლი/თ–მ/გენქმეტლა ჩქმეტლი/თ – გინქმეტლა/თ ჩქმეტლა/ენ – ჩქმეტლა/ენ	აწმყოს კაეწირებითი ენქმეტლე/თ – მ/გენქმეტლეს ჩქმეტლე/თ – გინქმეტლეს/თ ჩქმეტლეს/ენ – ჩქმეტლეს/ენ
მყოფადის ჯგუფი		
მყოფადი ენქმეტ/თ–მ/გენქმეტს უწმეტ/თ – გინქმეტს/თ უწმეტს/ენ–უწმეტს/ენ	ხოლმეობით-პირობითი ენქმეტლი/თ–მ/გენქმეტლა უწმეტლი/თ – გინქმეტლა/თ უწმეტლა/ენ–უწმეტლა/ენ	მყოფადის კაეწირებითი ენქმეტლე/თ – მ/გენქმეტლეს უწმეტლე/თ – გინქმეტლეს/თ უწმეტლეს/ენ – უწმეტლეს/ენ

II სერია

წმვებელი ენქმიტე/თ – მ/გენქმიტა უწმიტე/თ – გინქმიტა/თ უწმიტა/ენ – უწმიტა	II კაეწირებითი ენქმიტო/თ – მ/გენქმიტოს უწმიტო/თ – გინქმიტოს/თ უწმიტოს/ენ – უწმიტოს	ბრძანებითი ენქმიტო უწმიტე/თ უწმიტოს/ენ
---	---	---

III სერია

I რეზულტატიე მ/გენქმეტია გინქმეტია/თ უწმეტია/თ	II რეზულტატიე მ/გენქმეტა გენქმეტა /თ ენქმეტა/თ	III კაეწირებითი მ/გენქმიტოს გენქმიტოს/თ ენქმიტოს/თ
---	---	---

III კლასი

აწმყოს მოდელი Ø-R-ი

I ტიპის უღლებაში მყოფადი და წყვეტილი რეგულარულად ი- - უბ და ი- - უ კონფიქსით იწარმოება, რეზულტატივები - ინვერსიულად. ამათ, ისევე როგორც II დიათეზის ზმნებს (პასივებს), უწყვეტელში -ი სუფიქსი ჩამოსცილდებათ და, განსხვავებით სხვა თემატურსუფიქსიანი ზმნებისაგან, ნაცვლად -დ სუფიქსისა, -ოდ სუფიქსი დაერთვის, წყვეტლობითში კი შესაბამისად --ან.

ეს ზმნები ძირითადად ხმაურს, ადამიანის, ცხოველის, ფრინველის ხმის გამოცემას გამოხატავენ.

I ქვეკლასი

I ქვეკლასში ვათავსებთ ისეთ -ი სუფიქსიან ზმნებს, რომელთაც ი- პრეფიქსი ახლავს აწმყოშივე. ამათგან ზოგიერთს მყოფად-წყვეტილისა და III სერიის ფორმებში შეიძლება ამ ი-ს წინ პრეფერბი დაერთოს. ამ ზმნათაგან ზოგი ლაბილურგარდამავალია: *იძახის იძახს* - (და)იძახებს *ის (მას)* - (და)იძახა *მან (ის)* - *დაუძახ(ნ)ია*; *იკეხის ის (მას)* (და)იკეხებს - (და)იკეხა *მან(ის)*; *მღერის ის (მას)* - *იმღერებს* - *იმღერა მან (ის)*; *იცინის* - (გა)იცინებს - (გა)უცინია; *იხარის* - (გა)იხარებს - *გაუხარია*. ზმნისწინი აქ სრული ასპექტის შინაარსს სძენს ამ ფორმებს.

რამდენიმე ზმნა, რომელსაც არა აქვს ი- პრეფიქსი, ასევე ლაბილურგარდამავალია. მათ ასევე შეიძლება დაერთონ ზმნისწინები: *ევირის ის (მას)* - (და)იევირებს *ის (მას)*, *ტყუის იძ(მას)* - (მო)იტყუებს *იძ(მას)*; *(ს-)ტირის ის (მას)* - *იტირებს ის, მაგრამ და-იტირებს ის მას*. ამ ზმნებს აწმყოს I და II პირში მეშველზმნიანი ფორმები გაუჩნდათ: *ეტირი/ეტირივარ*, *ეევირი/ეევირივარ*, *ემღერი ემღერივარ*...

ი- პრეფიქსიან ზმნებს ძველი წარმოების *სი-*, *სი - იღ*, *სი - უღ* აფიქსებიანი საწყისი აქვთ: *იმღერის* - *სიმღერა*, *იცინის* - *სიცილი*, *იხარის* - *სიხარული*, *ინანის* - *სინანული*, *იურვის* - *სიურვილი* (*ახ. ურვა*), *იჩქარის* - *სიჩქარე*. მაგრამ: *კენესის* - *კენესა*, *იჭირვის* - (გა)ჭირვება, *ინაღლის* - *ძვ. ნაღელი*. ესენი უძველესი სტრუქტურის აეტოტივებია, რომელთაც, როგორც ვხედავთ, დღესაც შემორჩენილი აქვთ ი- პრეფიქსი აწმყოში და საწყისებიც ძველი წარმოებისა აქვთ.

პარადიგმა №3

იცინის ის (სიცილი)

I სერია

აწმყოს ჯგუფი		
აწმყო ეიცინი/თ იცინი/თ იცინის/ან	უწყვეტელი ეიცინოდი/თ იცინოდი/თ იცინოდა/ნენ	აწმყოს კავშირებითი ეიცინოდუ/თ იცინოდუ/თ იცინოდეს/ნენ
მყოფადის ჯგუფი		
მყოფადი (გა)ეიცინებ/თ (გა)იცინებ/თ (გა)იცინებს/ენ	ხოლმეობით-პირობითი (გა)ეიცინებდი/თ (გა)იცინებდი/თ (გა)იცინებდა/ნენ	მყოფადის კავშირებითი (გა)ეიცინებდუ/თ (გა)იცინებდუ/თ (გა)იცინებდეს/თ

II სერია

წყვეტილი (გა)ეიცინე/თ (გა)იცინე/თ (გა)იცინა/ეს	II კავშირებითი (გა)ეიცინო/თ (გა)იცინო/თ (გა)იცინოს/ნ	ბრძანებითი (გა)ეიცინოთ (გა)იცინეთ (გა)იცინოს/ნ
--	--	--

III სერია

I რეზულტატივი (გა)მ/გეიცინია (გა)გიცინია/თ (გა)უცინია/თ	II რეზულტატივი (გა)მ/გეეცინა (გა)გეეცინა/თ (გა)ეეცინა/თ	III კავშირებითი (გა)მ/გეეცინოს (გა)გეეცინოს/თ (გა)ეეცინოს/თ
---	---	---

შენიშვნა: ორპირიანთა შორის გამონაკლისს წარმოადგენს -ნ სუფიქსიანი საწყისის მქონე ორი ზმნა: *კოცნა – კოცნის, ჯობნა – ჯობნის*, რომლებიც უწყვეტელს -დ სუფიქსით და მყოფადს ა- -ებ კონფიქსით, წყვეტილს კი ა- -ე კონფიქსით აწარმოებენ: *აკოცებს ის მას – ვაკოცე მე მას – აკოცე შენ მას – აკოცა მან მას – უაკოცნია მას (მისთვის); აჯობებს ის მას – ვაჯობე მე მას – აჯობე შენ მას – აჯობა მან მას – უჯობნია (მას მისთვის).*

II ქვეკლასი

-ი სუფიქსიანთა კლასის II ქვეკლასში ვათავსებთ ისეთ ზმნებს, რომელთა ფუძეები ძირითადად ბოლოვდებიან ავ, ივ, უვ მარცვლებზე, რომლებიც სუფიქსურ ელემენტებს ჰგვანან, მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ ვ ჩართულია საწყისის ფორმაში -ილ სუფიქსის წინ:

ავ-ი-ს: ბღაველი – ბღავის, ჩხაველი – ჩხავის, ღნაველი – ღნავის, კნაველი – კნავის.

ივ-ი-ს: კივის, წივის, ჭივის, ჩივის, ჭყივის, სივის, ყივის, ყივის, ხივის, ღვივის.

უ(ვ)-ი-ს: (ვ იკარგვის უ და ი ხმოვნებს შორის). ბუის, ბზუის, ზუის, ბლუის, ბჟუის, ღმუის, ქშუის, ფშმუის, წკმუის, ტყუის, შუის, მხუის, ხუის, წუის.

ამათ ე.წ. ძველი წარმოების -ილ სუფიქსიანი საწყისი აქვთ:

ბღაველი – ბღავის, ჩხაველი – ჩხავის, კიველი – კივის, წიველი – წივის, ჩიველი – ჩივის, ჭყიველი – ჭყივის, ბზუილი – ბზუის, ტყუილი – ტყუის, ღმუილი – ღმუის...

საწყისის -ილ სუფიქსისეული ღ თანხმოვნითი ელემენტი თავს იჩენს მყოფადის, წყვეტილისა და რეზულტატივების მწკრივებში:

ბღავის – იბღაველებს – იბღაველა – უბღაველია

კივის – იკიველებს – იკიველა – უკიველია

ბზუის – იბზუელებს – იბზუელა – უბზუელია

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამათგან „მეტყველება წრის“, ხმის გამოცემის სემანტიკის ზმნებს პარალელურად ზმნისწინიანი ფორმებიც ეწარმოებათ მყოფადსა და წყვეტილში. ასეთ შემთხვევაში ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები ასპექტურ განსხვავებას იძლევიან:

კივის – დაიკიველებს – და/იკიველა

წივის – დაიწიველებს – და/იწიველა

ღნავის – დაიღნაველებს – და/იღნაველა

ჩივის – დაიჩიველებს – და/იჩიველა

ზმუის – დაიზმუელებს – და/იზმუელა

ჯღავის – დაიჯღაველებს – და/იჯღაველა

შენიშვნა 1: სოკიურთ სმნასთან დადასტურებულია პარალელური ფორმები სრული -ილ სუფიქსით. ასეთ შემთხვევაში ვ ელემენტი ამოვარდნილია: იბზუელებს/იბზუილებს, იყმუელებს/იყმუილებს, იზმუილებს, დაიწუილებს, გაიშხუი-

ლებს, ამოიფუშვილებს, ასევე: ტყუის – მოიტყუილებს/მოიტყუებს, ყვავის – იყვავილებს – დაიყვავილებს.

შენიშვნა 2: აწმყოში ამ ზმნებს I და II პირებში მარტივი ფორმების (კვივი, ვზზავი) პარალელურად შეშველ ზმნიანი ფორმები გაუნდათ (როგორც ვ.წ. სტატოკური პასივის ზმნებს: ვხატეარ – ხატეხარ): ვეივიეარ, ვწივიეარ, ვჩივიეარ.

შენიშვნა 3: გამონაკლისია ტირის, ყვირის, ჭყვირის, ღვივის, ტყუის ზმნები, რომელთაც საწყისის ფორმაში -ილ სუფიქსი აქვთ (ტირილი, ყვირილი), მაგრამ, როგორც ზემოთ ენახეთ (იხ. I ქვეკლასი), -ლ ელემენტი პირიან ფორმებში არ ჩაერთვის: ტირის – იტირებს, ყვირის – იყვირებს, ჭყვირის – იჭყვირებს, ღვივის – იღვივებს, ტყუის – (მო)იტყუებს.

გამონაკლისია აგრეთვე (უ)ფრთხის ზმნა, რომელსაც -ობა სუფიქსიანი საწყისი აქვს (ფრთხობა), მიმღეობა ფრთხილი ქცეულია ზედსართავად) მყოფად-წყვეტილი მასაც -ილ სუფიქსიანი აქვს: ფრთხის – იფრთხილებს.

შენიშვნა 4: ამ ტიპის ზმნებს ძირითადად და- ზმნისწინის საშუალებით სრული ასპექტის გამოხატვის საშუალება აქვთ. ამიტომ მყოფადის, წყვეტილისა და რეზულტატივების მწკრივებში ზმნისწინიანი ფორმებიც აქვთ: კივის: იკიელებს – დაიკიელებს; იკიელა – დაიკიელა; უკიელია – დაუკიელია, წივის – იწიელებს – დაიწიელებს; იწიელა – დაიწიელა; უწიელია – დაუწიელია; ბლავის – იბლავლებს – დაიბლავლებს; იბლავლა – დაიბლავლა; უბლავლია – დაუბლავლია.

შენიშვნა 5: იღვწის/იღწვის ზმნას (ღუაწილი > ღუაწლი) მყოფადში ღ იკარგება, ამავე დროს, ფუძეში აღუდგება ვ ხმოვანი: იღვაწილებს > იღვაწლებს > იღვაწებს.

პარადიგმა №4 (ილ-იანი)

ბლავის ის (ბლავილი)

I სერია

აწმყოს ჯგუფი		
აწმყო ებლავი/ეარ/თ ბლავი/ხარ/თ ბლავის/ან	უწყვეტელი ებლაოდი/თ ბლაოდი/თ ბლაოდა/ნენ	აწმყოს კავშირებითი ებლაოდე/თ ბლაოდე/თ ბლაოდეს/ნენ
მყოფადის ჯგუფი		
მყოფადი ეიბლაელე/თ იბლაელე/თ იბლაელე/ს/ენ	ხოლმეობით-პირობითი ეიბლაელე/ბდი/თ იბლაელე/ბდი/თ იბლაელე/ბდა/ნენ	მყოფადის კავშირებითი ეიბლაელე/ბდე/თ იბლაელე/ბდე/თ იბლაელე/ბდეს/ნენ

II სერია

წყვეტილი ეიბლაელე/თ იბლაელე/თ იბრაელა/ეს	II კავშირებითი ეიბლაელო/თ იბლაელო/თ იბლაელოს/ნ	ბრძანებითი ეიბლაელოთ იბლაელე/თ იბლაელოს/ნ
--	--	---

III სერია

I რეზულტატივი მ/გვიბლაელია გიბლაელია/თ უბლაელია/თ	II რეზულტატივი მ/გვებლაელა გებლაელა/თ ებლაელა/თ	III კავშირებითი მ/გვებლაელოს გებლაელოს/თ ებლაელოს/თ
---	---	---

ამავე პარადიგმას მიჰყვება *ყვირის, კივის, წივის, ჩივის, ყივის, ჭყივის* ზმნების ორპირიანი საობიექტო ვერსიის ფორმები, ოღონდ მი-, გი-, უ- პრეფიქსებით (ამათი მოქმედება მიემართება ობიექტს).

უჩივის ის მას (ჩივილი)

I სერია

აწმყოს ჯგუფი		
აწმყო ეუჩივი//ვარ მგვიჩივის უჩივი//ხარ გიჩივის/თ უჩივის/ან უჩივის/ან	უწყვეტელი ეუჩიოდ/თ მგვიჩიოდა უჩიოდ/თ გიჩიოდა/თ უჩიოდა/ნენ უჩიოდა/ნენ	აწმყოს კავშირებითი ეუჩიოდეთ მგვიჩიოდეს უჩიოდეთ გიჩიოდეს/თ უჩიოდეს/ნენ უჩიოდეს/ნენ
მყოფადის ჯგუფი		
მყოფადი ეუჩიელებ/თ უჩიელებ/თ უჩიელებს/ენ	ხლმყოფით-პირობითი ეუჩიელებდი/თ უჩიელებდი/თ უჩიელებდა/ნენ	მყოფადის კავშირებითი ეუჩიელებდეთ უჩიელებდეთ უჩიელებდეს/ნენ
მგვიჩიელებს გიჩიელებს/თ უჩიელებს/ენ	მგვიჩიელებდა გიჩიელებდა/თ უჩიელებდა/ნენ	მგვიჩიელებდეს/თ გიჩიელებდეს/თ უჩიელებდეს/თ

II სერია

წყვეტელი		II კავშირებითი	
ეუჩიელ/თ უჩიელ/თ უჩიელა/ეს	მგვიჩიელა გიჩიელა/თ უჩიელა/ეს	ეუჩიელო/თ უჩიელო/თ უჩიელოს/ნ	მგვიჩიელოს გიჩიელოს უჩიელოს/ნ

III სერია

I რეზულტატივი	II რეზულტატივი	III კავშირებითი
მგვიჩიელა გიჩიელა/თ უჩიელა/თ	მგვეჩიელა გეჩიელა/თ ეჩიელა/თ	მგვეჩიელოს გეჩიელოს/თ ეჩიელოს/თ

შენიშვნა: გამონაკლის წარმოდგენენ ამთგან სემანტიკურად განსხვავებული ზმნები: უტირის (მას ბავშვი), უწივის (მას ყური), უჟუის (მას მუხლები), უღვივის (მას ლოყები), უბზუის (მას ბუზი), უბრუის (მას თაყი), უკენესის (მას გული), უძრწის (მას ტანი), უზის (მას ბავშვი), რომელთა შინაარსი ინვერსიულია. ამათ მხოლოდ აწმყოს მწკრივები ეწარმოებათ. სხვა მწკრივებში (მყოფად-წყვეტილსა და III სერიაში), როგორც ზემოთაც აღენიშნეთ, პასივის ფორმები ენაცვლებათ (აუტირდება – აუტირდა) და სათანადო ადგილას იქნებიან განხილული.

უტყივის (მას ბებია) – გამოთქმაში „ბებია გიტყივის“ ინვერსიული შინაარსისა და ამ ზმნათა რიგს მიეკუთვნება, მაგრამ, თუ სახელობითში დასმული პირი მოქმედების აგენსია (ე.ი. ის მე მიტყივის ანუ მიკივის, მიყვირის), მაშინ მას წესისამებრ ეწარმოება მყოფადი; და-მიტყიელებს. ასევეა მიწივის ყური – ამიწიელდება, მაგრამ მიწივის ვინმე – მიწიელებს – მიწიელა.

III ქვეელასი

ცალკე ქვეელასში შედის -ოლ სუფიქსიანი საწყისების მქონე ზმნები, რომელთაც ეს სუფიქსი ყველგან გადაჰყვებათ, გარდა აწმყოს ჯგუფისა:

ქროლა – ქრის – ქროდა – იქროლებს – იქროლა – უქროლია.

ამ ზმნებსაც აწმყოს I და II პირში პარალელური მეშველზმნიანი ფორმები გაუჩნდათ ახალ ქართულში:

ეკრი – ეკრივარ – კრიხარ

ეძრწი – ეძრწივარ – ძრწიხარ

ეთრთი – ეთრთივარ – თრთიხარ

ეხტი – ეხტივარ – ხტიხარ.

შენიშვნა: ხტის (ხტობა) ზმნას საკუთარი მხოლოდ აწმყოს ჯგუფის ფორმები აქვს. მყოფად-წყვეტილს ივსებს -აჟ თემისნიშნიანი ხტუნავს ზმნის ფორმებით: იხტუნებს – იხტუნა.

ამ ზმნათა ორპირიანი ფორმებს, როგორც ზემოთაც აღენიშნეთ, მყოფად-წყვეტილის მწკრივები საკუთარი არა აქვთ, სესხულობენ ენებითაგან: მითრთის – ამითრთოლდება – ამითრთოლდა. მაგრამ ესენი დინამიკურებია.

პარადიგმა № 4a (ოლ-იანი)

თრთის (თრთოლა)

I სერია

აწმყოს ჯგუფი		
აწმყო ეთრთი/თ ეთრთიეარ/თ თრთი/თ თრთიხარ/თ თრთისქან	უწყვებელი ეთრთოდ/თ თრთოდ/თ თრთოდა/ნენ	აწმყოს კაეშირებითი ეთრთოდუ/თ თრთოდუ/თ თრთოდეს/ნენ
მყოფადის ჯგუფი		
მყოფადი ეთრთოლე/თ ითრთოლე/თ ითრთოლე/სენ	ხოლმეობით-პირობითი ეთრთოლე/თ ითრთოლე/თ ითრთოლე/და/ნენ	მყოფადის კაეშირებითი ეთრთოლე/თ ითრთოლე/თ ითრთოლე/და/ნენ

II სერია

წყვებელი ეთრთოდუ/თ ითრთოდუ/თ ითრთოლა/ეს	II კაეშირებითი ეთრთოლო/თ ითრთოლო/თ ითრთოლო/ს/ნ	ბრძანებითი ეთრთოლო/თ ითრთოდუ/თ ითრთოლო/ს/ნ
---	--	--

III სერია

I რეზულტატიეი მ/გეთრთოლია გეთრთოლია/თ უთრთოლია/თ	II რეზულტატიეი მ/გეთრთოლა გეთრთოლა/თ ეთრთოლა/თ	III კაეშირებითი მ/გეთრთოლოს გეთრთოლო/ს/თ ეთრთოლო/ს/თ
--	--	--

შენიშვნა: ამავე პარადიგმას მისდევს უთემისნიშნო ყარს ზმნა, რომელსაც -ოლ სუფიქსიანი საწყისი აქვს (ყროლა). ამ ზმნებს არა აქვთ II ტიპის (ზმნისწინიანი) უღლება აწმყოში.

III ტიპი

III ტიპის პარადიგმა აქვთ ზმნებს, რომლებიც აწმყოშივე დაირთავენ და-, გა-, მო-, შე- ზმნისწინებს. ამ შემთხვევაში ზმნისწინები არ აწარმოებენ ასპექტს. ისინი უჩვენებენ მიმართულებას ან საზედაო ლოკაციას ან ჩვეულებითს, ინტენსიურ მოქმედებას გამოხატავენ.

და- ზმნისწინი ერთპირიანებთან ინტენსივობას გამოხატავს: დახტის, დაქრის, დაბზუის ის. ორპირიანებთან კი გადმოსცემს ზემოდან ქვემოთ მოქმედებას: დასცქერის, დასტირის, დაჰყვირის, დაჰმღერის, დაჰხარის, დაჰბზუის, დაჰღმუის, დასჩხავის, დასწივის, დასტრფის (ის მას).

შე- ზმნისწინიანი ორპირიანებთან ქვემოდან ზემოთ მოქმედებას გადმოსცემს: შეჰხარის, შესცინის, შესჩივის, შესტირის, შესცქერის (ის მას).

მი-/მო-: მი/მო-სტირის (ის მას), მი/მო-სჩხავის (ის მას), მი/მო-იმღერის (ის) (მიდიხ/მოდიხ და თან მღერის)...

გა- ზმნისწინი ყვირის, წივის, კივის ტიპის ზმნებთან მოქმედების ინტენსივობას თუ დიდ დიაპაზონს გამოხატავს: გაჰყვირის, გაჰკივის, გასწივის, გასტყვირის, გასცქერის.

მოძრაობის შინაარსის ზმნებს მიმართულების ზმნისწინები დაერთვის: ჩაუბრბის, გა(დ)მოშხუის.

ერთსა და იმავე ზმნას შეიძლება სხვადასხვა ზმნისწინი დაერთოს: გადასცქერის, გადმოსცქერის, გასცქერის, შესცქერის, მო/მისცქერის – ჩასცქერის, ჩამოსცქერის.

შენიშვნა: ქრის ზმნა მნიშვნელობას იცვლის საობიექტო ქცევის ფორმებში: მიჭრის, გიჭრის, უჭრის (1. საიდანღაც, უანჯრიდან, ზევიდან, ქვევიდან... 2. უქრის თავში: თავქარიანი).

ამ ტიპის ზმნები მხოლოდ აწმყოს ჯგუფის ფორმებს აწარმოებენ.

პარადიგმა №5

დახტის ის

I სერია

აწმყოს ჯგუფი		
აწმყო დაეხტივარ/თ დახტიხარ/თ დახტის/ან	უწყვეტელი დაეხტოდ/თ დახტოდ/თ დახტოდ/ნენ	აწმყოს კავშირებითი დაეხტოდ/თ დახტოდ/თ/ დახტოდ/ნენ

IV კლასი

აწმყოს მოდელი *შ-R-აგ*

R-აგ სტრუქტურის მედიოაქტივები ძირითადად გადაადგილდებიან მოძრაობას გამოხატავენ:

1. *გორავს, ფოფხავს, ბობღავს, გოგავს, ლოღავს, ბორღღავს, ფორთხავს, პორტყავს, ჩოჩავს, ტოპავს, ცურავს, ფრინავს.* ასევე ადგილზე მოძრაობას: *ბრუნავს, ტოკავს, როკავს, ცეკვავს, ბუქნავს, ხტუნავს, ბოღავს, ღრჩოღავს | ხრჩოღავს.* ამათ საწყისი ნორმალურად ეწარმოებათ, აწმყოს ფუძეს ერთვის -ა სუფიქსი: *ტოკეა, ცქმუტეა, ცმუტეა, როკეა, ცეკეა, ბუქნეა (<ბუქნეა), ბრუნეა, ხტუნეა* (თუ სონანტი ხმოვნის მომდევნო პოზიციაშია, *ვინის* მეტათეზისის კანონი არ მოქმედებს).

2. ადამიანის ან ცხოველის სულიერი და ფიზიკური მდგომარეობის ხმოვან გადმოცემას: *გმინავს, ოხრავს, სუნთქავს, ქშინავს, ქსინავს, ფშეინავს, ფრთხეინავს, ბრღღეინავს, ღრინავს, კუთავს, კრუხავს, ხჩინავს.*

3. ადამიანის აღვლევებულ სულიერ მდგომარეობას: *ღელავს, ჭმუნავს, შფოთავს, ქოთავს, ბორგავს, ფეთქავს, ცმუკავს, ცქმუტავს, ჩქროღავს, ღრტეინავს, როტავს, შვრინავს.*

4. ფიზიკურ მოვლენებს: *ელავს, გრგვინავს, ქროღავს, ფიფქავს, წინწკლავს, ყინჭღლავს, ყოღავს, ჟონავს, ჟურავს, წვეთავს, ქირსლავს.*

5. სინათლის გამოცემას: *ბრწყინავს, ბრჭყეინავს, ბზინავს, ბჟუტავს, ჩუჟავს.*

I ტიპი

სტრუქტურა: მყოფადი: *o-R-ებ* წყვეტილი: *o-R-ე*

I ქვეკლასი: ერთპირიანი კონსტრუქციისა. **სტრუქტურა:** *R-აგ*

ამ ზმნებს საერთოდ უჭირთ გარდა აწმყოს წრისა სხვა მწკრივების წარმოება თავიანთი სემანტიკის გამო. მაგრამ, როცა აწარმოებენ, მისდევენ ავტოტივების (მედიოაქტივების) ზმნების საერთო მოდელს, რომელიც I პარადიგმაშია, იმ განსხვავებით, რომ აწმყოში მათ თემას -აგ სუფიქსი აწარმოებს.

პარალიზმა №6

ცეკავს ის (ცეკვა)

I სერია

აწმყოს ჯგუფი		
აწმყო ვიცეკავებ/თ ცეკავებ/თ ცეკავებს/ენ	უწყვეტილი ვიცეკავებდი/თ ცეკავებდი/თ ცეკავებდა/ნენ	აწმყოს კავშირებითი ვიცეკავებდებ/თ ცეკავებდებ/თ ცეკავებდეს/ნენ
მყოფადის ჯგუფი		
მყოფადი ვიცეკავებ/თ იცეკვებ/თ იცეკვებს/ენ	ხოლმეობით-პირობითი ვიცეკავებდი/თ იცეკვებდი/თ იცეკვებდა/ნენ	მყოფადის კავშირებითი ვიცეკავებდებ/თ იცეკვებდებ/თ იცეკვებდეს/ნენ

II სერია

წყვეტილი ვიცეკავებ/თ იცეკვებ/თ იცეკვებს/ენ	II კავშირებითი ვიცეკავებ/თ იცეკვებ/თ იცეკვებს/ენ	ბრძანებითი ვიცეკავებ/თ იცეკვებ/თ იცეკვებს/ენ
---	---	---

III სერია

I რეზულტატივი მ/გვეცეკვია გიცეკვია/თ უცეკვია/თ	II რეზულტატივი მ/გვეცეკვა გეცეკვა/თ ეცეკვა/თ	III კავშირებითი მ/გვეცეკვეს გეცეკვეს/თ ეცეკვეს/თ
---	---	---

შენიშვნა: ამ ტიპის ზმნათაგან ზოგს მხოლოდ აწმყოს ჯგუფის ფორმები ეწარმოება: ხოშაკლაავს – ხოშაკლაავდა – ხოშაკლაავდეს, ხმილაავს – ხმილაავდა – ხმილაავდეს.

II ქვეკლასი

რელატიურები. სტრუქტურა: მი-/გი-/უ-R-ავ/ს.

ამ ზმნათაგან ორპირიანი ფორმები სემანტიკური შეზღუდვის გამო მხოლოდ ზოგიერთს ეწარმოებათ საობიექტო ვერსიის მი-/გი-/უ-პრეფიქსებით. მათ მხოლოდ აწმყოს ჯგუფის მწკრივების წარმოება შეუძლიათ. მყოფად-წყვეტილის ჯგუფის ფორმების შევსება შესაძლებელია -დ სუფიქსიანი პასივის ფორმებით (*აუწქროლდება – აუწქროლდა / აუღელდება – აუღელდა*), თუმცა ეს უკანასკნელნი დინამიკურებია და მთლად არ შეესაბამება აეტოტივის შინაარსს. ამ რელატიურ ფორმებში რეალურ სუბიექტად მიცემითში დასმული სახელია გაგებული (მათ ვ-ს წყობა არა აქვთ) და ამ თვალსაზრისით ისინი მესამე, ინვერსიულ დიათეზას ეკუთვნიან.

*ბრუნავს – უბრუნავს (ბორბალი მას) – უბრუნავდა – უბრუნავდეს
გორავს – უგორავს (ბურთი მას) – უგორავდა – უგორავდეს
ჩქროლავს – უჩქროლავს (გული მას) – უჩქროლავდა – უჩქროლავდეს
ღელავს – უღელავს (გული მას) – უღელავდა – უღელავდეს
შფოთავს – უშფოთავს (სული მას) – უშფოთავდა – უშფოთავდეს
ფეთქავს – უფეთქავს (გული, პულსი მას) – უფეთქავდა – უფეთქავდეს
ელავს – უელავს (თვალეები მას) – უელავდა – უელავდეს.*

II ტიპი

მყოფადის სტრუქტურა: prev.-R-ავ

Ø-R-ავ სტრუქტურის ზოგი ერთპირიანი კონსტრუქციის ზმნა მყოფადს აქტივის მსგავსად, ზმნისწინით აწარმოებს და ინარჩუნებს ავ თემატურ სუფიქსს. შესაბამისად წყვეტილშიც დაირთავს სრული ასპექტის მნიშვნელობით ზმნისწინს.

Prev.-R-ავ:

*ტოპავს ის – ჩა/შეტოპავს – ჩა/შეტოპა – ჩა/შეუტოპავს/ჩა/შეუტოპია;
ყვინთავს – ჩაყვინთავს – ჩაყვინთა – ჩაუყვინთავს //ჩაუყვინთია, ცურავს
– შეცურავს – შეცურა, ბუქნავს – ჩაბუქნავს – ჩაბუქნა (იხ. ინდექსი, პარა-
დიგმა № 7).*

აღსანიშნავია, რომ ტოპავს და ცურავს ზმნების მყოფად-წყვეტილის გა-, გამო- ზმნისწინიანი ფორმები – გატოპავს, გამოტოპავს (ის მას) – გა/გამოტოპა მან ის; გაცურავს, გამოცურავს (ის მას) – გამოცურა (მან ის) სრული (ორპირიანი) კონსტრუქციის ხდება და აქტივებში გადაინაცვლებს.

ყვინთავს (ყვინთვა)

I სერია

აწმყოს ჯგუფი		
აწმყო ყვეინთაჲ/თ ყვინთაჲ/თ ყვინთაჲს/ენ	უწყვებელი ყვეინთაჲდი/თ ყვინთაჲდი/თ ყვინთაჲდა/ნენ	აწმყოს კაჲშირებითი ყვეინთაჲდჲ/თ ყვინთაჲდჲ/თ ყვინტაჲდჲს/ნენ
მყოფადის ჯგუფი		
მყოფადი ჩაყვეინთაჲ/თ ჩაყვინთაჲ/თ ჩაყვინთაჲს/ენ	ხოლმეობით-პირობითი ჩაყვეინთაჲდი/თ ჩაყვეინთაჲდი/თ ჩაყვეინთაჲდა/ნენ	მყოფადის კაჲშირებითი ჩაყვეინთაჲდჲ/თ ჩაყვეინთაჲდჲ/თ ჩაყვეინთაჲდჲს/ნენ

II სერია

წყვებელი ჩაყვეინთჲ/თ ჩაყვინთჲ/თ ჩაყვინთა/ეს	II კაჲშირებითი ჩაყვეინთო/თ ჩაყვეინთო/თ ჩაყვეინთო/ს	ბრძანებითი ჩაყვეინთოთ ჩაყვეინთჲ/თ ჩაყვეინთო/ს
--	---	--

III სერია

I რეზულტატივი ჩამ/გვეყვინთაჲს ჩამიყვინთია ჩაგვეყვინთაჲს/თ ჩაგიყვინთია/თ ჩაუყვეინთაჲს/თ ჩაუყვეინთია/თ	II რეზულტატივი ჩამ/გვეყვეინთა ჩაგვეყვეინთა/თ ჩაყვეინთა/თ	III კაჲშირებითი ჩამ/გვეყვეინთოს ჩაგვეყვეინთოს/თ ჩაყვეინთოს/თ
---	---	---

ამ სმნათა რიგ'შია:

(ჩა/შე)ტოპაჲს, (შე)ცურაჲს, (და)ცრემლაჲს, (მო)ცურცლაჲს, (გამო)კრუხაჲს, (გა)ქუსლაჲს, (მო)კურცხლაჲს, (ჩა)ბუქნაჲს.

III ტიპი

აწმყოს მოდელი prev.+R-აე

ამ ზმნათაგან ზოგი აწმყოშივე დაირთავს (და-, მი-, მო-, იშვიათად შე-) ზმნისწინებს, რომელნიც ასპექტური შინაარსისაგან დაცლილია. და- ზმნისწინი, როგორც სხვა შემთხვევაში, აქაც ინტენსივობას ან ჩვეულებითს მოქმედებას გამოხატავს:

დაცურავს, დაცოცავს, დახტუნავს, დაღოღავს, დაფორთხავს, დახობხავს, დაგოგავს, დაბობღავს, დაქროლავს, დაგორავს, დაჩოჩავს, დაფრინავს.

მი-/მო- ზმნისწინები მხოლოდ მიმართულებას უჩვენებენ:

მი/მო-ტოპავს, მი/მო-ბობღავს, მი/მო-ფორთხავს, მი/მო-გოგავს, მი/მო-ჩოჩავს, მი/მო-გორავს, მი/მო-ხტუნავს, მი/მო-ცურავს, მი/მო-ქროლავს, მი/მო-სთრავს.

შენიშვნა: ამავე პარადიგმას მისდევს *მოქარავს*, რომელსაც სემანტიკური გადახრა ახასიათებს, ნიშნავს „სისულელეს სწადის“. შდრ.: (თავში ქარი) „უქრის“.

ამათ, როგორც ყველა სხვა აწმყოს ზმნისწინიან ფორმებს, მხოლოდ აწმყოს წრის ფორმები ეწარმოებათ.

პარადიგმა №8* (ნაკლული)

I სერია

აწმყოს ჯგუფი		
აწმყო	უწყვებელი	აწმყოს კავშირებითი
დაჩიეცურაე/თ	დაჩიეცურაედ/თ	დაჩიეცურაედე/თ
დაჩიცურაე/თ	დაჩიცურაედ/თ	დაჩიცურაედე/თ
დაჩიცურაეს/თ	დაჩიცურაედ/ნენ	დაჩიცურაედეს/ნენ

V კლასი

აწმყოს მოდელი Ø-R-ებ

I ტიპი

მყოფადის სტრუქტურა o-R-ებ

თემატურსუფიქსიანი მედიოაქტივების უმეტესობა რედუპლიცი-რებული (ფუძეგაორკეცებული) ზმნებია, ძირითადად, ხედასხეა სახის ხმაურის გამომხატველი ხმაბაძვითი სიტყვებია. მათი რაოდენობა 200-ზე მეტია. აქედან 100-ზე მეტი მარტივი გაორკეცებით მიღებული ფუძეებია **Zxcvc** სტრუქტურისა (ფ. ერთელიშვილი): *ბაგბაგებს, ბუბბუებს, ლაპლაპებს, ჭიჭიჭებს, ვიშივიშებს, კისკისებს, ჩიჩიჩებს, ლულულებს, ფუსფუსებს, ფუთფუთებს, ბაჯბაჯებს, გიზგიზებს, გუზგუზებს, ძაგძაგებს, ჯაყჯაყებს* და სხვ. ხშირად გაორკეცება თანხმოვნის ჩაყარვით (*სისინებს, ტიტინებს*) ან II სეგმენტის თანხმოვნის დისიმილაციით ხდება:

ნ-ლ (*კანკალებს, თანთალებს, ცანცალებს, წანწალებს, ძუნძულებს, სუნსულებს, ყანყალებს, ცუნცუნებს*)

ნ-რ (*ზანზარებს, ცანცარებს, თქანთქარებს*)

რ-ლ (*ქირქილებს, ჩურჩულებს, ტარტალებს*)

რ-შ (*პარპაშებს, ფარფაშებს*)

რ-ც (*ბარბაცებს, ხორხოცებს*)

რ-ტ (*ფარფატებს, ყურყუტებს*)

ამ ტიპის ფუძეების რაოდენობა 46-ს აღწევს, მაგრამ ყველასაგან არ იწარმოება ზმნა.

რედუპლიცირებული ძირებისაგან შედგენილი ფუძეების სტრუქტურის ერთ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ არ დასტურდება ორივე სეგმენტის აუსლაუტში ნ სონანტის ხმარება. გვაქვს: *გურგური, გუმგუმი, ვიევიეი, ბაჯბაჯი, გუზგუზი, ძაგძაგი* და ა.შ., მაგრამ არა გვაქვს: *გუნგუნი, ჟანჟანი*. ჩაყარვითაა პირველი სეგმენტის ბოლო ნ სონანტი: *სისინი, კიკინი, ბაბანი, ლაღანი, ქაქანი, ჭაჭანი, ყაყანი, ბიბინი, წიწინი, ჭიჭინი, ვივინი, ყიყინი, ფიფინი, ხიხინი, ბუბუნი, ვუვუნი, გუგუნი, დუდუნი, ტუტუნი, ყუყუნი, ჩუჩუნი, ხუხუნი* და სხვ. ამ ტიპის ფუძეების რაოდენობა 50-ს აღემატება (ფ. ერთელიშვილი), მაგრამ ყველასგან არ იწარმოება ზმნა.

ორმარცვლიანი ფუძეების აუსლაუტში დადასტურებული აღ, ილ, ულ, ან, ინ, უნ, არ, ირ, ურ მარცვლები, რომელნიც ხშირად გვხვდება პირველადს საწყისებში და ამის გამო სუფიქსების შთაბეჭდილებას ტოვებენ, წარმომავლობით რედუპლიცირებული ძირების ბოლო სეგმენტებია ან მათი ანალოგიით გაჩენილი სუფიქსებია.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ **cvc (ccvc, cvcc)** სტრუქტურის ფუძეს **-ან, -ინ, -უნ, -ალ, -ილ, -ოლ, -არ** სუფიქსები დაერთვის:

ბაბანებს, კანკალებს, ჭაჭანებს, ჯაჯღანებს, ჭიხინებს, ჭიჭინებს, ხრიგინებს, შიშხინებს, ხიხინებს, ყროყინებს, ჯიჯღინებს, ტლიკინებს, ბლუკუნებს, ჟღარუნებს, ჩურუნებს, კრუსუნებს, ღრატუნებს, ღრუტუნებს, წრუწუნებს, დუდღუნებს, ზღუჭუნებს, ფარხალებს, ფართხალებს, ჭყამალებს, ბანდალებს, ჩინჩხილებს, წკანწკარებს, თოთქოლებს, ჩოჩქოლებს; თანხმოვნის ჩაყარდნით (ძირითადად I ნაწილში): წანწკარებს, ჭანჭყარებს).

R-რ-იალ-ზე დაბოლოებული ფუძეები (დაახლოებით 40-მდე) ძირითადად მოძრაობას გამოხატავენ. ყველა შემთხვევაში **-იალ-ს** წინ უძღვის **რ** სონანტი, რომელსაც წინ შეიძლება უძღოდეს ერთი, ორი, სამი თანხმოვანი:

გრიალებს, ტრიალებს, ფრიალებს, წრიალებს, ზრიალებს, ბზრიალებს, ჭრიალებს, ღრტიალებს, წრიალებს, წკრიალებს, ჩქრიალებს.

ამ კლასში შემავალ ზმნებს ყველა სერიის ფორმები ეწარმოებათ. წყვეტილის ჯგუფს ივსებენ **o**- პრეფიქსიანი (სასუბიექტო ვერსიის აქტივის) ფორმებით ნაკლები (*მან X*) კონსტრუქციით. მყოფადის ფორმები იწარმოება აორისტიდან ამოსვლით -ებ თემატური სუფიქსის დართვით. აორისტის სუფიქსია **-ე**, კავშირებითისა შესაბამისად **-ო**:

*ვიკისკისებ – ვიკისკისებ – ვიკისკისე – მიკისკი(ა)ნია
ვიჯაჯღანებ – ვიჯაჯღანებ – ვიჯაჯღანე – მიჯაჯღანია
ვიტრიალებ – ვიტრიალებ – ვიტრიალე – მიტრიალ(ა)ნია.*

III სერიის ფორმები ეწარმოებათ აქტივის ინვერსიული ფორმების მსგავსად იმ განსხვავებით, რომ **-ებ** თემატური ნიშანი არ ერთვის. მის საკომპენსაციოდ I თურმეობითში შეიძლება ჩაერთოს **-ნ** სუფიქსი: *უჭიკჭიკ(ა)ნია, უტრიალ(ა)ნია*, რომელიც II რეზულტატივშიც შეიძლება გადაწყვეს (*ეჭიკჭიკანა, ეტრიალანა*). ამგვარად, ჩნდება აქტივის ოპოზიციური მედიალური ფორმები (**ნ** არ ჩაერთვის, თუ ფუძე **ნ-ზე** ბოლოვდება): *აუჭიკჭიკებია მას ის – უჭიკჭიკნია მას; უტრიალებია მას ის – უტრიალნია მას.*

ეს ზმნები აბსოლუტურნი (ერთპირიანნი) არიან. მათ ორპირიანი ფორმები სასხვისო ქცევით ეწარმოებათ:

*კანკალებს ის – მიკანკალებს ის მე – უკანკალებს ის მას
კაწკაწებს ის – მიკაწკაწებს ის მე – უკაწკაწებს ის მას
თამთამებს ის – მითამთამებს ის მე – უთამთამებს ის მას*

ამ ტიპის ზმნებს I უსრული დიათეზის (მედიაოქტივის) ფარგლებში ორპირიანი ფორმები მხოლოდ ობიექტური წყობისა შეიძლება ჰქონდეთ (*მიკანკალებს მე მუხლები, მიკაწაწებს მე კბილები*). ობიექტური წყობის ეს ზმნებიც მყოფად-წყვეტილისა და რეზულტატივებისთვის -დ სუფიქსიანი პასივების ფორმებს იყენებენ. მაგრამ ესენი დინამიკურებია; სუბიექტური წყობის საობიექტო ვერსიის ფორმები სრული კონსტრუქციისა აქვთ და მაშასადამე აქტივებს ეკუთვნიან.

„მეტყველება“ წრის სემანტიკის ზმნებს შესაბამისი ორპირიანი ფორმები ე-პრეფიქსიანი რელატიური ვნებითით ეწარმოებათ:

ტიკტიკებს - ეტიკტიკება, ჩურჩულებს - ეჩურჩულება, ჭიკჭიკებს - ეჭიკჭიკება, ჯუჯღუნებს - ეჯუჯღუნება, ბუზღუნებს - ებუზღუნება...

ამათი ამოსავალი ფუძე პირველადი საწყისებია: *ჭიკჭიკი, წანწალი, ჩურჩული, სრიალი, კრიალი, ბრიალი, რომელთაგანაც იწარმოება, ერთი მხრივ, ერთპირიანი მედიალური ფორმები და მეორე მხრივ - ორპირიანი აქტივები:*

*ჭიკჭიკი - ჭიკჭიკებს ის - აჭიკჭიკებს ის მას
ტიკტიკი - ტიკტიკებს ის - ატიკტიკებს ის მას
ყანყალი - ყანყალებს ის - აყანყალებს ის მას
გუგუნი - გუგუნებს ის - აგუგუნებს ის მას
ჭრიჭინი - ჭრიჭინებს ის - აჭრიჭინებს ის მას
სრიალი - სრიალებს ის - ასრიალებს ის მას
ბრიალი - ბრიალებს ის - აბრიალებს ის მას
ჭრიალი - ჭრიალებს ის - აჭრიალებს ის მას
ღრიალი - ღრიალებს ის - აღრიალებს ის მას
ზრიალი - ზრიალებს ის - აზრიალებს ის მას და სხვ.*

პარაღიბმა №9

ჩურჩულებს (ჩურჩული)

I სერია

აწმყოს ჯგუფი		
აწმყო ენურჩულეებ/თ ჩურჩულეებ/თ ჩურჩულეებს/ენ	უწყვეტელი ენურჩულეებდი/თ ჩურჩულეებდი/თ ჩურჩულეებდა/ნენ	I კავშირებითი ენურჩულეებდე/თ ჩურჩულეებდე/თ ჩურჩულეებდეს/ნენ
მყოფადის ჯგუფი		
მყოფადი ენურჩულეებ/თ ინურჩულეებ/თ ინურჩულეებს/ენ	ხოლმეობით-პირობითი ენურჩულეებდი/თ ინურჩულეებდი/თ ინურჩულეებდა/ნენ	მყოფადის კავშირებითი ენურჩულეებდე/თ ინურჩულეებდე/თ ინურჩულეებდეს/ნენ

II სერია

წყვეტილი ენურჩულე/თ ინურჩულე/თ ინურჩულეა/ეს	II კავშირებითი ენურჩულეო/თ ინურჩულეო/თ ინურჩულეოს/ნ	ბრძანებითი ენურჩულეოთ ინურჩულეოთ ინურჩულეოს/ნ
---	---	---

III სერია

I რეზულტატივი მ/გენურჩულ(ნ)ია გენურჩულ(ნ)ია/თ ენურჩულ(ნ)ია/თ	II რეზულტატივი მ/გენურჩულ(ნ)ა გენურჩულ(ნ)ა/თ ენურჩულ(ნ)ა/თ	III კავშირებითი მ/გენურჩულოს გენურჩულოს/თ ენურჩულოს/თ
--	--	---

-იალ სუფიქსიანი

ტრიალებს (ტრიალი):

I სერია

აწმყო ეტრიალებ/თ ტრიალებ/თ ტრიალებს/ენ	უწვებელი ეტრიალებდი/თ ტრიალებდი/თ ტრიალებდა/ნენ	აწმყოთ ეტრიალებდეთ ტრიალებდეთ ტრიალებდეს/ნენ
---	--	---

მყოფადი ვიტრიალებ/თ იტრიალებ/თ იტრიალებს/ენ	ხოლმეობით-პირობითი ვიტრიალებდი/თ იტრიალებდი/თ იტრიალებდა/ნენ	მყოფადის ვიტრიალებდეთ იტრიალებდეთ იტრიალებდეს/ნენ
--	---	--

II სერია

წვებელი ვიტრიალებ/თ იტრიალებ/თ იტრიალებს/ენ	II კავშირებითი ვიტრიალო/თ იტრიალო/თ იტრიალოს/ნ	ბრძანებითი ვიტრიალოთ იტრიალებეთ იტრიალოსნ
--	---	--

III სერია

I რეზულტატივი მგვეტრიალ(ნ)ია გიტრიალ(ნ)ია/თ უტრიალ(ნ)ია/თ	II რეზულტატივი მგვეტრიალ(ნ)ა გვეტრიალ(ნ)ა/თ ეტრიალ(ნ)ა/თ	III კავშირებითი მგვეტრიალოს გვეტრიალოს/თ ეტრიალოს/თ
--	---	--

შენიშვნა: ეუტრიალებ – მიტრიალებს საობიექტო ვერსიის (ორპირიანი) ფორმებს არა აქვთ მყოფადისა და III სერიის ფორმები (აწმყოთ ჯგუფის ფორმები მყოფადის ფუნქციას ასრულებენ). ნაკლებად ფორმებს ისინიც, ისევე როგორც სხვა რელატიური ავტოტივები -დ სუფიქსიანი პასივით იხსენიები (აზიკანკალდება), მაგრამ ეს უკვე დინამიკური შინაარსის ფორმებია.

II ქვეკლასში შედის მცირე რაოდენობის (35-მდე) ნასახელარი ზმნა, რომელთაგან უმეტესობა -არჯ/-აღე სუფიქსით ნაწარმოები მიმღეობისაგანაა მიღებული, ასევე -ოვან/-იან სუფიქსიანი სახელებისაგან, მცირე რაოდენობა კი არსებითებისა და მარტივი ზედსართაუებისაგან:

აზროვნებს, დროებს, ფსალმუნებს, იმედოვნებს, მეუფებს, ღონებს, ვაგლახებს, ვალალებს, ნეტარებს, ყვავილოვნებს, ხელმწიფებს, სიაშოვნებს, ხშიანებს, ხმოვანებს, მქუხარებს, მჭექარებს, მხურვალებს, მგლოვოვარებს, მღელვარებს, მიქეფარებს, მჭმუნვარებს, მძეინვარებს, (თბრწყინვალებს, (თბზინვარებს, (თბდვინვარებს, მღუმარებს, მღინარებს, მეტყველებს, მჭკერმეტყველებს, მოქმედებს.

ამ ჯგუფის მასდარი -ება სუფიქსით იწარმოება: აზროვნება, ფსალმუნება, დროება, ბრწყინვალეობა, მღელვარება, მქუხარება, მღუმარება, მართლმსაჯულება, მოქმედება და სხვ.

სახელებისაგან ნაწარმოებ ზმნებს მიმღეობა მო- -ე, მე- -ე კონფიქსით ეწარმოებათ (მოაზროვნე, მეფსალმუნე, მოვაგლახე, მოამბე).

შენიშვნა: წესით მიმღეობათაგან წარმოებული ზმნებიც უნდა აწარმოებდნენ მიმღეობებს - მომქუხარე, მომჭექარე, მომძეინვარე, მაგრამ ამ ორმაგი წარმოების ხელოვნური ფორმების ნაცვლად მათთვის მიმღეობათა იგივე ფორმები გამოიყენება, რაც ამოსავალია ამ ზმნების საწარმოებლად (მაგალითად: მღელვარებს - მღელვარე, ბზინვარებს - (თბზინვარე, მეტყველებს - მეტყველი და სხვ.) მშ/ მო-არე წარმოებისა, რომელიც, თავის მხრივ, შესაბამისი შედიალური ზმნების მიმღეობებია: ქუხს - მქუხარე, წუხს - მწუხარე, დუღს - მღუღარე, დელავს - მღელვარე, ბზინავს მბზინვარე, (ოტყვის - მეტყველი და სხვ.

ამ ჯგუფის ზმნათაგან მიმღეობიდან წარმოქმნილებს ძნელად ეწარმოებათ აწმყოს ჯგუფის გარდა სხვა ფორმები. საჭიროების შემთხვევაში კი (თუ სემანტიკა იძლევა ამის საშუალებას), მაინც შეიძლება აწარმოონ: აზროვნებს - იაზროვნებს.

I სერია: ეაზროვნებ - ეაზროვნებდი - ეაზროვნებდე - ეიაზროვნებ - ეიაზროვნებდი - ეიაზროვნებდე.

II სერია: ეიაზროვნე - ეიაზროვნო.

III სერია: მიაზროვნია - მეაზროვნა - მეაზროვნოს

შენიშვნა: ცალკე დგას: გოდებს, სასოებს, წარმოებს, საჭიროებს, რომელთაც ძნელად, თუმცა საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ეწარმოოს სხვა ჯგუფები: გოდებს - გოდებდა - გოდებდეს - იგოდა - იგოდებს - უგოდა.

II ტიპი

აწმყოს სტრუქტურა: ა/ო/უ-R-ებ.

მყოფადის სტრუქტურა:
prev.-ა/ო/უ -R-ებ

ამ ტიპში ერთიანდებიან ა-, ი-, უ- პრეფიქსიანი ა/ო/უ-R-ებ სტრუქტურის ზმნები, რომელთაც მყოფადი და აორისტი ზმნისწინით ეწარმოებათ

იძინებს ის – და-იძინებს ის, და-იძინა მან; ასლოკინებს ის, და-ასლოკინებს ის, და-ასლოკინა მან; უჭყიტინებს ის მას – შე-უჭყიტინებს ის მას – შეუჭყიტინა მან მას. ამათ რიგშიევა R-ებ სტრუქტურის ზმნა ძლებს ის – გა-ძლებს – გა-ძლო მან.

I ქვეტიპი. სტრუქტურა: ი-R-ებ.

ერთპირიანი ი-R-ებ სტრუქტურის ზმნები (*იძინებს*).

ამ სტრუქტურის ზმნები ძირითადად ნასახელარებია:

მორცხვი – იმორცხვებს, კალათა – იკალათებს, ვაკე – ივაკებს, მწუხრი – იმწუხრებს, ზამთარი – იზამთრებს.

ამ ზმნების აწმყოს მოდელი ავტოტივის (რეფლექსივის) ფორმებია: ი – ებ.

აქტივი

რეფლექსივი – ავტოტივი (მედიააქტივი)

აძინებს ის მას

იძინებს ის (თვითონ: აძინებს თავის თავს)

აღვიძებს ის მას

იღვიძებს ის (თვითონ: აღვიძებს თავის თავს)

აგვიანებს ის მას

იგვიანებს ის (თვითონ: აგვიანებს თავის თავს)

აჩოქებს ის მას

იჩოქებს ის (თვითონ: აჩოქებს თავის თავს)

ასვენებს ის მას

ისვენებს ის (თვითონ: ასვენებს თავის თავს)

ამიტომაც მყოფადი და წყვეტილი მათ ზმნისწინით ეწარმოებათ:

იძინებს – და-იძინებს – და-იძინა

იღვიძებს – გა-იღვიძებს – გა-იღვიძა

იგვიანებს – და-იგვიანებს – და-იგვიანა

იჩოქებს – და-იჩოქებს – და-იჩოქა

ისვენებს – და-ისვენებს – და-ისვენა

იმატებს – მო-იმატებს – მო-იმატა

იზამთრებს – გამო-იზამთრებს – გამო-იზამთრა

იზაფხულებს – გამო-იზაფხულებს – გამო-იზაფხულა

მაგრამ აქტივისაგან განსხვავებით III სერიის ფორმებში მათ თემის ნიშანი არ ერთვის:

აქტივი

*აძინებს ის მას – დაუძინებია მას ის
აღვიძებს – გაუღვიძებია
აზამთრებს – გამოუზამთრებია
აბუდებს – დაუბუდებია
ასვენებს – დაუსვენებია
აგვიანებს – დაუგვიანებია
აჩოქებს – დაუჩოქებია
ამატებს – მიუმატებია*

ავტორტივი (მედიააქტივი)

*იძინებს ის – დაუძინია მას
იღვიძებს – გაუღვიძია
იზამთრებს – გამოუზამთრია
იბუდებს – დაუბუდებია
ისვენებს – დაუსვენია
იგვიანებს – დაუგვიანია
იჩოქებს – დაუჩოქია
იმატებს – მოუმატია*

შენიშვნა: გამონაკლისია *იკლებს* ზმნა: იგი ფუძეკუმშვადია, წყვეტილში *სა პირის* -*ა* სუფიქსი ფუძისეული *ე* ხმოვნის რედუქციას იწვევს: *დაეიკელ(ი) მოდაიკელ(ი) შენ, სა*-ში სუფიქსი -*ო* აქვს: *დაიკლო მან* (იხ. აქტივის პარადიგმა № 13 (30): *ეაკლებ – დაეაკლ – ეიკლებ – დაეიკელ*) და, შესაბამისად, III სერიაში თემატური -*ებ* ნიშანი არა აქვს.

ის ზმნები, რომელთა აქტივის *ა* – ებ სტრუქტურის ფორმები არ იხმარება (მაგ. *აპრიანებს, ათავექეეებს, ამორცხეებს* და სხვ.) III სერიაში შეიძლება თემატური ნიშნით წარმოდგენ, რადგანაც ამ შემთხვევაში აქტივის ფორმებთან დამთხვევა გამორიცხებულია:

იმორცხეებს – დაიმორცხეებს – დაიმორცხეა – დაუმორცხებია, იპრიანებს – მოიპრიანებს – მოიპრიანა – მოუპრიანა//მოუპრიანებია.

შენიშვნა 1: ამ ზმნათაგან ზოგიერთს აწმყოში უღ – ობ მრჩობლი (ორმაგი) სუფიქსი დაერთვის *თ*- პრეფიქსიანი მყოფადისაგან განსასხვავებლად: *იმატებს – მატულობს, იკლებს – კლებულობს, ილოცებს – ლოცულობს*. ამათ სხვა მწკრივები ევსებათ № 10 პარადიგმის მიხედვით.

შენიშვნა 2: თავისებურებას იჩენს ზმნა *იყოლიებს*, რომელიც არ დაირთავს ზმნისწინს და მომავლის მნიშვნელობა აქვს. წყვეტილში – *იყოლია* აწმყო და მესამე სერია არა აქვს. ამ ტიპის ზმნათაგან თავისებურებას იჩენენ ისინი, რომელთაც აწმყოშივე წა- და მო- ზმნისწინიანი ფორმები აქვთ და რომელნიც ოდნობას, მიახლოებას გამოხატავენ: *მოისუსტებს, მოიზანტებს, მოიქოსებს, მოიყრუებს*|| *წაიყრუებს, წაიხმსებს*. მათ არა აქვთ მყოფადი, საჭიროების შემთხვევაში შეიძლება წვეუტილი და III სერია აწარმოონ: *წაიყრუე – წამიყრუებია, მოვისუსტე*.

ამ ზმნათა (*თ* – ებ სტრუქტურის: *იძინებს, იღვიძებს*) სემანტიკა მოქმედების დაწყებას გვიჩვენებს, ამდენად დინამიკური შინაარსისაა. მათი სტატიკური ფორმებია: *სძინავს, ჰღვიძავს, ზაფხულობს, გვიანობს, მორცხვობს* და სხვ.

პარაღიბმა №10

იძინებს (ძილი)

I სერია

აწმყოს ჯგუფი		
აწმყო ვიძინებ/თ იძინებ/თ იძინებლ/ენ	უწყვერელი ვიძინებდ/თ იძინებდ/თ იძინებდა/ნენ	აწმყოს კავშირებითი ვიძინებდე/თ იძინებდე/თ იძინებდეს/ნენ
მყოფადის ჯგუფი		
მყოფადი დავიძინებ/თ დაიძინებ/თ დაიძინებლ/ენ	ხოლმეობით-პირობითი დავიძინებდ/თ დაიძინებდ/თ დაიძინებდა/ნენ	მყოფადის კავშირებითი დავიძინებდე/თ დაიძინებდე/თ დაიძინებდა/ნენ

II სერია

წყვერელი დავიძინე/თ დაიძინე/თ დაიძინა/ეს	II კავშირებითი დავიძინო/თ დაიძინო/თ დაიძინოს/ნ	ბრძანებითი დავიძინო/თ დაიძინე/თ დაიძინოს/ნ
---	---	---

III სერია

I რეზულტატივი დამ/გვეძინია დაგეძინია/თ დაუძინია/თ	II რეზულტატივი დამ/გვეძინა დაგეძინა/თ დაეძინა/თ	III კავშირებითი დამ/გვეძინოს დაგეძინოს/თ დაეძინოს/თ
--	--	--

II ქვეტიპი. სტრუქტურა: ა-R-ებ. II ქვეკლასში ვათავსებთ ა-R-ებ სტრუქტურის ერთპირიან ფორმებს. ესენი აქტივისებური ა - ებ სტრუქტურის ზმნებია, რომელთაც დაკარგული აქვთ პირდაპირი (სამოქმედო) ობიექტი და ერთპირიანებადაა ქცეული, მაგრამ ფორმა ორპირიანებისა აქვთ შენარჩუნებული. ეს ზმნები ძირითადად გამოხატავენ ფიზიკური (ავადმყოფობით თუ სხვა) მდგომარეობით გამოწვეულ მოქმედებას: *ამტყნარებს ის, ახველებს, ამცხვიკებს/აცხვიკებს*. ასეთებისაგან უმეტესობას -ინ სუფიქსიანი პირველადი საწყისი აქვს, საიდანაც -ინ სუფიქსი ზმნურ ფორმაშიც გადაჰყვებათ: *სლოკინი - ასლოკინებს, ბოყინი - აბოყინებს, ეოტინი - აეოტინებს*.

ეს -ინ კაუზატიური წარმოშობისა ჩანს, რასაც ორი ზმნა ადასტურებს *ღებინება - აღებინებს, ცემინება - აცემინებს*.

შენიშვნა: ამ ზმნებს ორივე წყობა აქვთ სუბიექტური: *ვახლოკინებ, ვახველებ* და ობიექტურიც *მასლოკინებს, მახველებს*. ობიექტური წყობის ფორმები ინვერსიულნი არიან და უღლების სხვა ტიპს, კერძოდ, უღლების IV (ინვერსიულთა) ტიპს მიეკუთვნებიან (იხ. §9, IV დიათეზა: *მაციებს* ტიპის ზმნები).

ამავე ჯგუფში შემოდის ხმაურის გამომხატველი ზმნები (ძირითადად კაკუნის ან სიარულის დროს), რომლებიც -უნ სუფიქსიანი პირველადი საწყისებისაგანაა მიღებული.

მათი სემანტიკიდან გამომდინარე, ისინი მხოლოდ სუბიექტური წყობით იხმარებიან, თუმცა ობიექტური წყობის ფორმების წარმოება შეუძლიათ:

ბაკუნი - აბაკუნებს ის, რახუნი - არახუნებს, ბრახუნი - აბრახუნებს, ბრავუნი - აბრავუნებს, ფრაშუნი - აფრაშუნებს, კაკუნი - აკაკუნებს, რაკუნი - არაკუნებს, ბზაკუნი - აბზაკუნებს, ლაკუნი - ალაკუნებს, ტლაკუნი - ატლაკუნებს.

ამ ზმნებს მიმღეობა მო- -ე კონფიქსით ეწარმოებათ: *მობაკუნე, მობრახუნე, მორაკუნე, მოტლაკუნე* და სხვ. მათ აწმყოში აქტივის სტრუქტურა აქვთ, აქედან გამომდინარე, ისინი მყოფადს, აორისტსა და რეზულტატივის ჯგუფს აქტივისებურად აწარმოებენ (ე.ი. ზმნისწინის დართვით): *ვაკაკუნებ - და-ვაკაკუნებ - და-ვაკაკუნე - და-მიკაკუნ-ებ-ია*.

ამავე ქვეკლასს მიეკუთვნება რამდენიმე R-ებ სტრუქტურის ორპირიანი ნაკლული კონსტრუქციის (*ის მას - მან მას*) არქაული ზმნა. ისინი მცირერიცხოვანი და ანომალიურებია: *პმონებს ის მას*

- სცინებს ის მას - ჰმორჩილებს ის მას - სცოდებს ის მას. ა- პრეფიქსის მაგივრობას აქ O₃ პირის ჰ-/ს- პრეფიქსი ეწევა. ამათ პარალელური -ე პრეფიქსიანი ენებითები აქეთ: *ემონება, ემორჩილება*. გამონაკლისია: *ეცოდება და ეცინება*, რომელთაც მნიშვნელობა ეცვლებათ: *სცოდებს ის მას (ცოდებას სჩადის მის მიმართ) - ეცოდება (ებრალება ის), სცინებს ის მას (საცინლად იგდებს მას, დასცინის) - ეცინება (უნებურად იცინის)*. ამ ზმნებს ნაკლული, დეფექტური პარადიგმა აქეთ: დღეს, ჩვეულებრივ, მხოლოდ აწმყოს ჯგუფის წარმოება შეუძლიათ, თუმცა ძველ ქართულში წყვეტილის უზმნისწინო ფორმები ჰქონდათ: *ჰმონა, სცოდა. სცოდებს, ჰვედრებს, სცინებს წარმოშობით სამპირიანი აქტივებია (სცოდებს ის მას მას), რომელთაც დაეკარგათ პირდაპირი ობიექტი და ნაკლული კონსტრუქციის გამო მედიოაქტივებში გადაინაცვლეს*. მათ, როგორც ამოსაეალში სრული (აქტივის) კონსტრუქციის ზმნებს, მყოფადი და წყვეტილი ზმნისწინიანი აქეთ: *შესცოდებს - შესცოდა - შეუცოდავს, შეჰვედრებს - შეჰვედრა - შეუვედრებია, დასცინებს - დასცინა - დაუცინია*.

შენიშვნა 1: *სცოდებს და ჰვედრებს* ლაბილური კონსტრუქციისაა - მათ ხან უნდებათ ობიექტი, ხან ეკარგებათ: *(შე)სცოდებს ის მას - შესცოდა მან მას ის; ჰვედრებს ის მას - შეჰვედრა მან მას ის*.

შენიშვნა 2: უღლების პარადიგმით ამ ზმნათა რიგს მიეკუთვნება აგრეთვე: *აფურთხებს, აცუებს, აკუებს*, რომელთაც სამპირიანის სტრუქტურა და კონსტრუქცია აქეთ, მაგრამ ერთპირიანად ქცეულან. ისინი ორპირიანის მნიშვნელობითაც იხმარებიან: *აფურთხებს ის - და/გადა/ჩა-აფურთხა მან; აფურთხებს ის მას - მი/მო-აფურთხა მან მას*.

პარაღიბმა №11

ამთქნარებს (მთქნარება)

I სერია

აწმყოს ჯგუფი		
აწმყო ვამთქნარებ/თ ამთქნარებ/თ ამთქნარებს/ენ	უწვევებელი ვამთქნარებდ/თ ამთქნარებდ/თ ამთქნარებდა/ნენ	აწმყ. კავშირებითი ვამთქნარებდ/თ ამთქნარებდ/თ ამთქნარებდეს/ნენ
მყოფადის ჯგუფი		
მყოფადი დავამთქნარებ/თ დაამთქნარებ/თ დაამთქნარებს/ენ	ხოლმეობით-პირობითი დავამთქნარებდ/თ დაამთქნარებდ/თ დაამთქნარებდა/ნენ	მყოფადის კავშირებითი დავამთქნარებდ/თ დაამთქნარებდ/თ დაამთქნარებდეს/ნენ

II სერია

წვევებილი დავამთქნარე/თ დაამთქნარე/თ დაამთქნარა/ეს	II კავშირებითი დავამთქნარო/თ დაამთქნარო/თ დაამთქნაროს/ნ	ბრძანებითი დავამთქნაროთ დაამთქნარე/თ დაამთქნაროს/ნ
---	--	---

III სერია

I რეზულტატივი დამ/გვიმთქნარებია დაგვიმთქნარებია/თ დავამთქნარებია/თ	II რეზულტატივი დამ/გვემთქნარებინა დაგვემთქნარებინა/თ დავამთქნარებინა/თ	III კავშირებითი დამ/გვემთქნარებინოს დაგვემთქნარებინოს/თ დავამთქნარებინოს/თ
---	---	---

III ქვეტიპი. სტრუქტურა: უ-R-ებ. ამ ქვეჯგუფში ვათავსებთ უ-R-ებ სტრუქტურის ორპირიან მედიოაქტივებს. წარმოშობით ისინი პირდაპირობიექტგაუჩინარებელი სამვალენტიანი აქტივებია, ძირითადად -ებ თემატურსუფიქსიანი მედიუმების საობიექტო ვერსიის ფორმებია, ნაკლული ის მას - მან მას კონსტრუქციისა: სუბიექტი მოთხრობითშია, სახელობითბრუნვიანი პირდაპირი ობიექტი დაკარგული აქვთ.

ესენი, ისევე როგორც ი- და ა- პრეფიქსიანები, როგორც აქტივის სტრუქტურის მქონე ზმნები (ისინი აქტივის პირდაკარგული ფორმებია), ზმნისწინით აწარმოებენ მყოფადის, წყვეტილისა და რეზულტატივების ჯგუფებს. ზმნისწინს აქ სრული ასპექტის გამოხატვის ფუნქცია აკისრია. წყვეტილში ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები ერთმანეთს უპირისპირდება, როგორც სრულ და უსრულასპექტიანი შინაარსისა:

უჩიკინებს ის მას - შეუჩიკინებს ის მას - შეუჩიკინა მან მას - შეუჩიკინება მას

*უჭყიტინებს - შეუჭყიტინებს - შეუჭყიტინა - შეუჭყიტინებია
ულუტუნებს - შე/დაულუტუნებს - შე/დაულუტუნა - შე/დაულუტუნებია
უალერსებს - მიუალერსებს - მიუალერსა - მიუალერსებია
უსამიძრებს - მიუსამიძრებს - მიუსამიძრა - მიუსამიძრებია
უმართლებს - გაუმართლებს - გაუმართლა - გაუმართლებია
უნქარებს (ის ფეხს) - აუნქარებს - აუნქარა (მან ფეხს) - აუნქარებია (მას)*

შენიშვნა: გამოწვეულია ეუნქარებ მე ფეხს - უნქარებს ის ფეხს, რომელსაც ობიექტური წყობა ამ მნიშვნელობით არა აქვს (ამიჩქარა მან მე გული სრული კონსტრუქციისა და, მაშასადამე, აქტივია).

ცხადია, ამ ზმნებს, როგორც ორპირიანებს, ორივე წყობა აქვთ: სუბიექტურიც და ობიექტურიც:

*ეუჭყიტინებ - მიჭყიტინებს - შემიჭყიტინებს - შემიჭყიტინა - შეუჭყიტინებია (მას ჩემთვის);
ეულუტუნებ - მილუტუნებს - დამილუტუნებს - დამილუტუნა - დაულუტუნებია (მას ჩემთვის);
ეუცაცხანებ - მიცაცხანებს - დამიცაცხანა - დაუცაცხანებია (მას ჩემთვის);
ეუსამიძრებ - მისამიძრებს - მომისამიძრებს - მომისამიძრა - მოუსამიძრებია (მას ჩემთვის);
ეუმართლებ - მიმართლებს - გამიმართლებს - გამიმართლა - გაუმართლებია (მას).*

შენიშვნა 1: *ეუალერსებ* ზმნის ნორმალური ფორმა III სერიაში უნდა იყოს *მოწალერსებია (მე შენთვის, მიისთვის) - მო/მიუალერსებია (მას ჩემთვის, შენთვის/ მისთვის), მაგრამ ამის ნაცვლად, ჩვეულებრივ, იხმარება ეუალერსები ორპირიანი პასივის მიუალერსებივარ (მე მას) - მოწალერსებია (ის მე) მიალერსებია (ის მას) ფორმები.*

უღუტუნებს (ღუტუნო)

I სერია

აწმყოს ჯგუფი		
აწმყო ეუღუტუნებ/თ უღუტუნებ/თ უღუტუნებს/ენ	უწყვეტილი ეუღუტუნებღი/თ უღუტუნებღი/თ უღუტუნებღა/ნენ	აწმყოს კაეშირებითი ეუღუტუნებღე/თ უღუტუნებღე/თ უღუტუნებღეს/ნენ
მყოფადის ჯგუფი		
მყოფადი დაეუღუტუნებ/თ დაუღუტუნებ/თ დაუღუტუნებს/ენ	ხოღმეობით-პირობითი დაეუღუტუნებღი/თ დაუღუტუნებღი/თ დაუღუტუნებღა/ნენ	მყოფადის კაეშირებითი დაეუღუტუნებღე/თ დაუღუტუნებღე/თ დაუღუტუნებღეს/ნენ

II სერია

წყვეტილი დაეუღუტუნე/თ დაუღუტუნე/თ დაუღუტუნა/ეს	II კაეშირებითი დაეუღუტუნო/თ დაუღუტუნო/თ დაუღუტუნოს/ნ	ბტბანებითი დაეუღუტუნოთ დაუღუტუნე/თ დაუღუტუნოს/ნ
--	--	---

III სერია

I რეზულტიტივი დამ/გვიღუტუნებია დაგიღუტუნებია/თ დაუღუტუნებია/თ	II რეზულტიტივი დამ/გვიღუტუნებინა დაგვიღუტუნებინა/თ დაეღუტუნებინა/თ	III კაეშირებითი დამ/გვიღუტუნებინოს დაგვიღუტუნებინოს/თ დაეღუტუნებინოს/თ
---	--	--

შენიშვნა 2: ზმნისწინს არ დაირთავენ შემდეგი ზმნები: *უთვალთვალებს, უყურებს, უერთგულებს, უორგულებს, უგანებს, უკურკურებს.*

(გა)უბართლებს, (გა)უმტყუნებს, (გადა)უქარაგმებს, (და)უტატანებს, (და) უცაცხანებს, (და)უთათრულებს, (და)უნანაეებს, (და)უჯლაგუნებს, (მი)უსაღბუნებს, (და-, შე-) უღიტინებს/ულუტუნებს, (შე)უხიციანებს, (შე)ულიზინებს, (შე)უჩიჩინებს/უჩუჩხუნებს/უჩუჩხურებს, (შე)უჩიციანებს, (შე)უცაცხანებს, (შე, შემო)უკურთხებს, (მი, მო)უაღერსებს, (მი/მო)ულოლიაეებს, (მი/მო)ულაღაეებს, (ნა)უკირკიტებს, (ნა)უნისკარტებს, (ნა)უკრიზანტულებს, (ნა)ურუსულებს, (წა)უდიღინებს, (წა)უხუმრებს, (წა)მოუგრძილებს, (წა)მოუშტიალებს.

III ტიპი

აწმყოს სტრუქტურა: prev.-R-ებ

ჩვეულებრივ, -ებ თემატურნიშნიანი რედუპლიცირებული მედიუმები აწმყოში ზმნისწინებს არ დაირთავენ. იშვიათად დაერთვის და-, მი-, ჩა- ზმნისწინები, რომელთაც არა აქვთ არც ასპექტის, არც მიმართულების ჩვენების ფუნქცია, არამედ დერივაციული. კერძოდ, და- ზმნისწინი ინტენსივობას გამოხატავს, მი- და მო- ზმნისწინები – აქვთა და იქითა მიმართულებას:

დამიბანდალებს, დამიხანხალებს, დამიტანტალებს, დამისან-სალებს, დამი/მოწანწალებს, დამილოლიალებს, დამიხეტიალებს, დაფათფათებს, დამიცანცარებს, დამიბლატუნებს, დამილაყუნებს, დამიფლატუნებს და სხვ.

ისინი ძირითადად მოძრაობის გამომხატველი ზმნებია – მოქმედების განმეორადობას, ზოგადობას, ჩვეულებითობას გამოხატავენ. ამ ტიპის ზმნებს ხშირად -ობ თემისნიშნიანი ფორმები ენაცვლება:

დაბაჩუნობს, დატანტალობს, დაწანწალობს, დაპარპაშობს, მოწანწკარობს, დაკურტრუშობს და სხვ.

დაწანწალებს

I სერია

აწმყოს ჯგუფი		
აწმყო	უწყებელი	აწმყოს კავშირებითი
დაეწანწალებ/თ	დაეწანწალებდი/თ	დაეწანწალებდეთ
დაწანწალებ/თ	დაწანწალებდი/თ	დაწანწალებდეთ
დაწანწალებს/ენ	დაწანწალებდა/ნენ	დაწანწალებდეს/ნენ

უღლების III ტიპს განეკუთვნებიან აგრეთვე, **prev.+R**ებ სტრუქტურის ორპირიანი ფორმები. ამ ქვეჯგუფში გამოიყოფა ზმნები, რომლებიც დაირთავენ და-, შე-, ჩა- ზმნისწინებს. ზოგი ზმნისწინი წარმოქმნის რელატიურ ირიბობიექტიან მიმართებას, რაზედმე (საზედაო ვერსია) ან რაიმეს მიმართ მოქმედებას:

ქვითქვითებს ის – დაქვითქვითებს ის მას – ციმციმებს ის – დასციმციმებს ის მას, კანკალებს ის – დაქკანკალებს ის მას, ტრიალებს ის – დასტრიალებს ის მას, ყაყანებს ის – შეყაყანებს ის მას, ლილინებს ის – შეპლილინებს ის მას, კირკიტებს – ჩაპკირკიტებს, ჩურჩულებს – ჩასჩურჩულებს, ჩიჩინებს – ჩასჩიჩინებს და სხვ.

*ქვითქვითებს (ის)
ციმციმებს (ის)
გიზგიზებს (ის)
კანკალებს (ის)
ტრფიალებს (ის)
ტრიალებს (ის)*

*დაქვითვითებს (ის მას)
დასციმციმებს (ის მას)
დაპგიზგიზებს (ის მას)
დაქკანკალებს (ის მას)
დასტრფიალებს (ის მას)
დასტრიალებს (ის მას)*

ასევე, შე- და ჩა- ზმნისწინიანი ფორმები:

*შეყაყანებს (ის მას)
შესციცინებს//შესციცქინებს (ის მას)
შესცაცანებს//შესცაცანებს (ის მას)
შეპლილინებს (ის მას)
შეპლიჭინებს (ის მას)
ჩაპკირკიტებს (ის მას)
ჩასჩიჩინებს (ის მას [მას])
ჩასჩურჩულებს (ის მას [მას])*

ამ ზმნებს ძირითადად მხოლოდ აწმყოს ჯგუფის ფორმები აქვთ და მიჰყვებიან №13 პარადიგმას:

ჩაპკირკიტებს – ჩაპკირკიტებდა – ჩაპკირკიტებდეს
შესციცინებს – შესციცინებდა – შესციცინებდეს
დასტრფიალებს – დასტრფიალებდა – დასტრფიალებდეს
გაპყურებს – გაპყურებდა – გაპყურებდეს

მათ არა აქვთ მყოფადის წრის ფორმები, რადგანაც ზმნის-წინიანებს აწმყოს შინაარსი აქვთ (ზმნისწინს ამ ფორმებში არა აქვს სრული ასპექტის ფუნქცია), ვერ ეწარმოებათ II და III სერიის ფორმები, თუმცა საჭიროების შემთხვევაში ზოგადი მოდელის მიხედვით შეიძლება ვაწარმოოთ: *შესციცინა – შეუციცინია*.

VI კლასი

აწმყოს მოდელი: Ø-R-ობ

ამ ზმნათა აბსოლუტური უმრავლესობა სახელთაგან არის წარმოქმნილი -ობ თემატური სუფიქსის დართვით. მათი შესატყვისი აქტივები ძირითადად ა-R-ებ სტრუქტურისაა, ეგრეთწოდებული პასივები კი -დ სუფიქსიანია: *მეფე – მეფობს – ამეფებს – მეფდება*. ხშირად ერთპირიანი მედიუმის („მეტყველება“ წრის სემანტიკის) შესატყვისი ორპირიანი ფორმა ფ-პრეფიქსიანი პასივია: *ხუმრობს – ეხუმრება (ის მას), ლაპარაკობს – ელაპარაკება (ის მას), ხმაურობს – ეხმაურება ის მას*.

-ობ სუფიქსი ძალზე პროდუქტიული მოდელია სახელებისაგან ზმნის ფორმათა წარმოებისას, მათ შორის – ნასესხებ სიტყვათაგან ზმნების საწარმოებლად. იგი ხასიათდება მეტად ფართო დისტრიბუციით, დაერთვის არსებითი სახელების როგორც მარტივ, ისე ნაწარმოებ ფუძეებს, კომპოზიტებს:

მეფობს, ნადირობს, მეგობრობს, კაცობს, ბავშვობს, თარჯიმნობს, ლიდერობს, კაეალორობს, დირიჟორობს, პარტნიორობს, თაოსნობს, მკურნალობს, ხშიანობს, თავკაცობს, კუდაბზიკობს, ხუროთმოძღვრობს, გულთმისნობს, წინაშელოლობს, სიტყვათქმობს...

შედარებით იშვიათად დაერთვის პირველადს ზედსართაევებს (*თეთრობს, ცხარობს, ცელქობს, ანცობს*), კიდევ უფრო იშვიათად – რიცხვითებს (*ერთობს, ასობს, ათასობს*), საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნას ნაცვალსახელებისაგან და ზმნი-

ზედებისაგან ზმნის საწარმოებლად (*იგივეობს, ჩემობს/ჩემულობს, ძე. წარმოობს, შთამოობს*).

-ობ-იანი ფორმები, ისევე როგორც -ებ-იანი სტრუქტურისა, სტატიკური შინაარსისაა; გამოხატავენ მოქმედების მდგომარეობას, ანუ მოქმედებას ერთ წერტილში, თავისთავში: ანუ შინაარსობლივად რეფლექსივებია, ავტოტივებია. ევროპულ ენებზე თარგმნისას ხშირად შეესატყვისებათ უკუქცევითი ფორმები: *ბავშვობს* – ბავშვივით იქცევა (*ребячится*), *მეუობს* – მეუობას ეწევა (*парствует*), *ნადირობს* – ნადირობას ეწევა (*охотится*).

ვიყოლიე, ვიქონებ – ვიქონიებ – ვიქონიე, ვიგერებ – ვიგერიებ, ვი-
ჯერებ (გულს) – ვიჯერიებ, ვიძღვანებ – ვიძღვანიებ, ვინანებ –
ვინანიებ, ვიხსენებ – ვიხსენიებ, ვიშველებ – ვიშველიებ.* ეს -ი, რო-
გორც ჩანს, ივ კაუზატიური სუფიქსისგან მომდინარეობს (ვ-ს
ჩაგარდნით ინტერვოკალურ პოზი(კიაში) და მნიშვნელობათა –
განსხვავების ფუნქცია ეკისრება: *ვინანებ* ფორმა არის *ენანობ* მე-
დილაქტივის მომავალი; *ვინანიებ* (*ცოდნებ*) აქტივის აწმყოა; *ვიხ-
სენებ* ვინმეს ან რამეს, *ვიხსენიებ* მიცვალებულის სულს.

ისინიც მისდევენ №11 (28) პარადიგმას.

პარადიგმა №11 (28) a* ნაკლული

ღაატარებს

აწმყოს ჯგუფი		
აწმყო ღაატარებ/თ მე/ჩვენ, მას ღაატარებ/თ ღაატარებს/ენ	უწყვეტელი ღაატარებდი/თ ღაატარებდი/თ ღაატარებდა/ნენ	აწმყოს კავშირებითი ღაატარებდეთ ღაატარებდეთ ღაატარებდეს/ნენ
ღამ/გეატარებს ის, მე/ჩვენ ღაატარებს/თ ღაატარებს	ღამ/გეატარებდა ღაატარებდა/თ ღაატარებდა	ღამ/გეატარებდეს ღაატარებდეს/თ ღაატარებდეს

3. ცალკე ტიპს ქმნიან ისეთი ზმნები, რომელთაც უმარცვლო ძირები აქვთ. განსხვავებით სხვა ებიან ზმნათაგან, წყვეტილის III პირში მათ აქვთ -ო ნიშანი (როგორც ფიქრობენ, მიღებულია გა კომპლექსისგან: *ვაქვე, აქვე, აქვე-ა→აქვა→აქო*. აღმოსავლურ დიალექტებში დღესაც გვხვდება ევიანი ფორმები I და II პირში: *ვაქვეი, წავიღვეი*. ისინი III სურიაში არ განავითარებენ უბ თემის ნიშანს: მათი რიცხვი სულ 14-ით ამოიწურება: *აგებს - აგ-ო - უგია; დებს - დად-ო - (და)უდ(ე)ია; აგდებს - აგდ-ო - (და)უგდია; აქებს - აქ-ო - უქია; აღებს - გააღ-ო - გაულია; ახებს - (შე)ახ-ო - (შე)უხია; აცხებს - მოაცხ-ო - (მო)უცხია; აწებს - (ჩა)აწ-ო - (ჩა)უწია; აუნებს/(ჰ)ენებს - აუნ-ო - უენია; აესებს - (გა)აეს-ო - (გა)უესია; აელებს - (და)აელ-ო - (და)უელია; არგებს - (მო)არგ-ო - (მო)ურგია; იწყებს - (და)იწყ-ო - დაუწყია.*

ამათგან გამონაკლისს წარმოადგენს *ანთებს - აანთო - აუნთია*, რომელსაც ფუძეში ა ხმოვანი აქვს: *ნათ - ანათებს - გაანათა (осветил)*, მაგრამ: *ანთებს - აანთო (зажечь)*.

4. ცალკე უნდა გამოვეყოთ რამდენიმე ზმნა: *აგნებს, აგზნებს, ახლებს, აკლებს* და *ასწრებს*. ესენი წყვეტილის S₁ და S₂ პირებში ფუძეში გვიჩვენებენ ე და ა გახმოვანებას, რის გამოც წყვეტილის ნიშნად აქვთ -ღ-ი: *მი-ე-ა-გენ/ი, აღვაგ ზენ/ი, ვახელ/ი, (და)ე-აკელ/ი, (მო)ე-ა-სწარ/ი*. მაგრამ სასაუბრო მეტყველებაში სხვა ზმნათა ანალოგიით ამათაც „რეგულარული“ ფორმები უჩნდებათ წყვეტილის ნიშნით: *მი-ე-ა-გენ-ე, და-ე-ა-კელ-ე, მო-ე-ა-სწარ-ე*. ამ უკანასკნელთან S₃ პირში ა ნიშანიც დასტურდება (*დაესწრო/დაესწრა*).

აღსანიშნავია, რომ II კავშირებითში მოსალოდნელი ა-ს ნაცვლად (რომელიც Ø სუფიქსიან წყვეტილს შეესაბამება) გვაქვს -ე ნიშნიანი წყვეტილის შესაბამისი *ო: დაეაკლ-ო, მოვასწრ-ო*.

შენიშვნა: *ვასწრებ* ზმნას წყვეტილში [ვ] გახმოვანება აქვს.

გამონაკლისია აგრეთვე ზმნა *ეუშეუბ*, რომელსაც წყვეტილში აქვს -ი ნიშანი (*გა)ე-უ-შე-ი, S₃ გა-უ-შე-ა*. შესაბამისად, კავშირებითში -ა ექნება: *გა-უ-უ-შე-ა*

ამათ სხვადასხვაგვარად ეწარმოებათ პასივის კონვერსიული ფორმები: *მივი-გნები, დაეაკლდები, ეეხლები, დაშოვესწრები* (იხ. ტაბ. №11 ბ, V ს-ბ).

პარადიგმა №12 (29)

აქებს ის მას (ქება)

I სერია

აწმყოს ჯგუფი		
აწმყო ვაქებ/თ აქებ/თ აქებს/ენ	უწვებელი ვაქებდი/თ აქებდი/თ აქებდა/ნენ	აწმყოს კავშირებითი ვაქებდუ/თ აქებდუ/თ აქებდეს/ნენ
მყოფადის ჯგუფი		
მყოფადი შევაქებ/თ შეაქებ/თ შეაქებს/ენ	ხოლმეობით პირობითი შევაქებდი/თ შეაქებდი/თ შეაქებდა/ნენ	მყოფადის კავშირებითი შევაქებდუ/თ შეაქებდუ/თ შეაქებდეს/ნენ

II სერია

წვებელი შევაქე/თ შეაქე/თ შეაქო/ენ	II კავშირებითი შევაქო/თ შეაქო/თ შეაქოს/ენ	ბრძანებითი შევაქოთ შეაქეთ შეაქოს/ენ
---	---	---

III სერია

I რეზულტატივი			
შემ/გვიქია მე ის/ისინი		შეეუქივარ/თ მას/მათ მე/ჩვენ	
შეგიქია/თ		შეუქიხარ/თ	
შეუქია/თ		შეუქია/თ	
II რეზულტატივი		III კავშირებითი	
შემ/გვიქო	შევიქე/თ	შემ/გვიქოს	შევიქო/თ
შეგიქო/თ	შევიქე/თ	შეგიქოს/თ	შევიქო/თ
შეიქო/თ	შევიქო/თ	შეიქოს/თ	შევიქოს/თ

პარადიგმა №13 (30)

აკლებს ის მას (კლება)

I სერია

აწმყოს ჯგუფი		
აწმყო ეაქლებ/თ აკლებ/თ აკლებს/ენ	უწვეებელი ეაქლებდი/თ აკლებდი/თ აკლებდა/ნენ	აწმყოს კავშირებითი ეაქლებდეთ აკლებდეთ აკლებდეს/ნენ
მყოფადის ჯგუფი		
მყოფადი დაეაქლებ/თ დააკლებ/თ დააკლებს/ენ	ხოლმეობით პირობითი დაეაქლებდი/თ დააკლებდი/თ დააკლებდა/ნენ	მყოფადის კავშირებითი დაეაქლებდეთ დააკლებდეთ დააკლებდეს/ნენ

II სერია

წვეებელი დაეაქელი/თ დააკელი/თ დააკელი/ენ	II კავშირებითი დაეაქლო/თ დააკლო/თ დააკლოს/ნ	ბრძანებითი დაეაქლოთ დააკელი/თ დააკლოს/ნ
---	--	--

III სერია

I რეზულტატივი დამ/გვეკლია დაგიკლია/თ დაუკლია/თ	II რეზულტატივი დამ/გვეკლო დაგეკლო/თ დაეკლო/თ	III კავშირებითი დამ/გვეკლოს დაგეკლოს/თ დაეკლოს/თ
---	---	---

აწმყოს ძირითადი მოდელი: ა-R-ობ; Ø-R-ობ

1. ამ ზმნათაგან 'ზოგი ნაწარმოებია ე.წ. უნიშნო ვნებითათაგან კაუზატიური ა- — ობ კონფიქსის საშუალებით (ეთბები — გათბობ, ეხმები — ეახმობ, ეშრები — გაშრობ და სხვ).

ბევრ ა-R-ობ სტრუქტურის ზმნას კი მისი კონვერსიული პრეფიქსიანი ვნებითი აქვს: აწრობს — იწრობს; ამკობს — იმკობს; აპობს — იპობს, აყრდნობს — ეყრდნობს და სხვ.

ყველა ამათ წყვეტილის ნიშნად რეგულარული უ აქვთ, ხოლო S₃-ის ნიშნად, როგორც წესი, -ო. I რეზულტატივში, განსხვავებით სხვა ზმნათაგან, მათზე აწმყოს თემის ანალოგია არ მოქმედებს: ისინი არ დაირთავენ ობ თემის ნიშანს: ეახმობ — (გა)ეახმე — გაახმო — გამიხმია, გაშრობ — გაეაშრე — გამიშრია, გაპობ — (და)ეაპე — (და)აპო — (და)მიპია და სხვ.

2. Ø-R-ობ სტრუქტურის აქტივები ავტოტივის (მედიააქტივის) მოდელს გვიჩვენებენ და ძირითადად ლაბილური კონსტრუქციისა არიან. პირდაპირი ობიექტი ხან ჩანს, ხან იკარგება: ფიქრობს ის/ის მას, სწავლობს ის/ის მას, თამაშობს ის/ის მას. აქედან გასაგებია, რომ ისინი მყოფად-წყვეტილს ო- პრეფიქსით აწარმოებენ: ჰგუობს — იგუებს — იგუა, ფიქრობს — იფიქრებს — იფიქრა, სწავლობს — ისწავლის (ძვ. ისწავებს) — ისწავლა, უკადრისობს — იუკარისებს — იუკადრისა. ასევეა: ნანობს, ნატრობს, კმარობს, რჩეობს, თამაშობს და სხვ. ამათ ობიექტური წყობის ფორმები არა აქვთ, ე.ი. პირდაპირ ობიექტური პირის მიხედვით არ იცვლებიან ორიოდე გამოწვევის გარდა: მგმობს, მნატრობს, მგუობს. საწყისის ფორმები სხვადასხვაგვარად ეწარმოებათ: რჩევა, ფიქრი, სწავლა, ნანვა, ნატერა, კმარობა, თამაში.

შენიშვნა 1. ხმობს და გრძნობს ზმნებს S₃ პირში აქვთ სუფიქსი -ო: იგრძნო, იხმო. გრძნობს ზმნა წყვეტილის I და II პირებში ძირისეულ ე გახმოვანებას აღიღვენს: ეიგრძემი — იგრძემი).

შენიშვნა 2. რამდენიმე ანომალიური Ø-R-ობ სტრუქტურის აქტივია აგრეთვე გმობს, სპობს, თმობს (ის მას). ისინი ნორმალურ №14 (31) პარადიგმას მისდევენ.

შენიშვნა 3. ცალკე გამოიყოფა ე-შობ (ე-შეობ) ზმნა, რომელსაც წინათ სრული, ე გახმოვანება ჰქონდა წყვეტილში (ე-შეე), დღეს კი ერთეის -ო სუფიქსი, რომელიც ამოაგდებს ე-ს: ე-შეი (<ე-შეე-ი).

პარადიგმა №14 (31)

ათობის ის მას (ჯათობა)

I სერია

აწმყოს ჯგუფი		
აწმყო ეათობ/თ ათობ/თ ათობს/ენ	უწყვეტელი ეათობდ/თ ათობდ/თ ათობდა/ნენ	აწმყოს კაეშირებითი ეათობდე/თ ათობდე/თ ათობდე/ს/ნენ
მყოფადის ჯგუფი		
მყოფადი გაეათობ/თ გაათობ/თ გაათობს/ენ	ხოღმეობით პირობითი გაეათობდ/თ გაათობდ/თ გაათობდა/ნენ	მყოფადის კაეშირებითი გაეათობდე/თ გაათობდე/თ გაათობდე/ს/ნენ

III სერია

წყვეტილი გაეათბე/თ გაათბე/თ გაათბო/ეს	II კაეშირებითი გაეათბო/თ გაათბო/თ გაათბოს/ნ	ბრძანებითი გაეათბოთ გაათბე/თ გაათბოს/ნ
---	---	--

III სერია

I რეზულტატიეი გამ/გეითბია მე/ნეენ ის/ისინი გაგითბია/თ გაუთბია/თ	გაეუთბიეარ/თ მას/მათ მე/ნეენ გაუთბიხარ/თ გაუთბია/თ
II რეზულტატიეი გამ/გეეთბო გაგეთბო/თ გაეთბო/თ	III კაეშირებითი გამ/გეეთბოს გაგეთბოს/თ გაეთბოს/თ

I სერია

აწმყოს ჯგუფი		
აწმყო ენანობ/თ ნანობ/თ ნანობს/ენ	უწვევებელი ენანობდი/თ ნანობდი/თ ნანობდა/ნენ	აწმყოს კაეშირებითი ენანობდე/თ ნანობდე/თ ნანობდეს/ნენ
მყოფადის ჯგუფი		
მყოფადი (შე)ეინანებ/თ (შე)ინანებ/თ (შე)ინანებს/ენ	ხოლმეობით პირობითი (შე)ეინანებდი/თ (შე)ინანებდი/თ (შე)ინანებდა/ნენ	მყოფადის კაეშირებითი (შე)ეინანებდე/თ (შე)ინანებდე/თ (შე)ინანებდეს/ნენ

II სერია

წვევებელი (შე)ეინანე/თ (შე)ინანე/თ (შე)ინანეს	II კაეშირებითი (შე)ეინანო/თ (შე)ინანო/თ (შე)ინანოს/ნ	ბრძანებითი (შე)ეინანოთ (შე)ინანოთ (შე)ინანოს/ნ
--	---	---

III სერია

I რეზულტატივი (შე)მ/გეინანია (შე)გეინანი/თ (შე)უნანი/თ	II რეზულტატივი (შე)მ/გუნანა (შე)გუნან/თ (შე)უნან/თ	III კაეშირებითი (შე)მ/გეუნანოს (შე)გეუნანოს/თ (შე)უნანოს/თ
---	---	---

3. თავისებური ანომალიური ზმნებია **Ø-R-ულ-ობ** სტრუქტურის ზმნები აწმყოში, რომელთაც ამ ფორმის აწმყო აწარმოეს მას შემდეგ, რაც სასუბიექტო ვერსიის ფორმებმა მომავალი დროის მნიშვნელობა მიიღეს:

ანატრებს – ინატრებს – ნატრულობს; ასესხებს – ისესხებს – სესხულობს; აკისრებს – იკისრებს – კისრულობს; იპოვის – პოულობს; იმოქმედებს – მოულობს.

სასუბიექტო ქცევის ზოგიერთ ფორმას დღესაც აქვს შერჩენილი ახლანდელი დროის მნიშვნელობა. ამათ მყოფადი ზმნისწინით ეწარმოებათ:

ინდომებს/ნდომულობს – მოინდომებს – მოინდომა; იფიცებს/ფიცულობს – დაიფიცებს – დაიფიცა; ირჩევს/რჩეულობს – აირჩევს – აირჩია; ითხოვს/თხოულობს – მოითხოვს – მოითხოვა; იწეებს/წეულობს – დაიწეებს – დაიწეა; იგებს/გებულობს – გაიგებს – გაიგო; იღებს/ღებულობს – აიღებს – აიღო.

როგორც ვხედავთ, ისინი წყვეტილში იქცევიან ისე, როგორც -ებ თემატურნიშნიანი აქტივები; S₃-ში აქვთ -ა სუფიქსი, ორ უხმოვნო ძირიანს კი, წესისამებრ, აქვს -ო სუფიქსი.

ამ ზმნებს დღეს აწმყოში მედიოაქტივთა სტრუქტურა ჩამოუყალიბდათ: **Ø-R-ულ-ობ**. თემატური სუფიქსი ა- პრეფიქსის გარეშე დაერთვის ზმნურ ფუძეს. წინა (2) ჯგუფისაგან მხოლოდ -ულ სუფიქსი განასხვავებს. სხვა მხრივ ერთნაირი პარადიგმა აქვთ.

ამათ წყვეტილის მაწარმოებლად -ე ნიშანი აქვთ, კავშირებითში -ო, წყვეტილი ი- პრეფიქსით ეწარმოებათ და მყოფადი ი- პრეფიქსით – თემატური ნიშნის შენაცვლებით:

*კადრულობს ის მას – იკადრა მან ის – იკადრებს ის მას
თხოულობს ის მას – ითხოვა მან ის – ითხოვს ის მას
შოულობს ის მას – იშოვა მან ის – იშოვის ის მას
სესხულობს ის მას – ისესხა მან ის – ისესხებს ის მას
ნდომულობს ის მას – (მო)ინდომა მან ის – მოინდომებს ის მას
ფიცულობს ის მას – (და)იფიცა მან ის – დაიფიცებს ის მას
გებულობს ის მას – გაიგო მან ის – გაიგებს ის მას
ნატრულობს ის მას – ინატრა მან ის – ინატრებს ის მას
რჩეულობს ის მას – ირჩია მან ის – ირჩევს ის მას
კისრულობს ის მას – იკისრა მან ის – იკისრებს ის მას
ფიცულობს ის მას – (და)იფიცა მან ის – (და)იფიცებს ის მას
პოულობს ის მას – იპოვა მან ის – იპოვის ის მას (ძე. პოვა – პოვებს)*

ეს აქტივის სასუბიექტო ქცევის ფორმებია (იპოვა, ისესხა, იკისრა, იკადრა მან ის), რომელთაც ნეიტრალური ვერსიის გაგება აქვთ. აქედან გასაგებია, რატომ შეენაცვლა მათ ნეიტრალური ვერსიის **Ø-R-ულ-ობ** კონფიქსიანი ფორმები აწმყოში. მათი ოპოზიციური სამპირიანი საობიექტო ქცევის ფორმებია: *ჰკადრა/აკადრა მან მას ის, უშოვა მან მას ის, უპოვა მან მას ის.*

სამიოდე გამონაკლისის გარდა (*სესხულობს, კისრულობს, შოულობს*) ყველას აქვს ობიექტური უღლება (*მიკადრა, მითხოვა, დამიფიცა, მომინდომა, მიპოვა, ამირჩია, გამიგო, მინატრა მან მე...*).

o- პრეფიქსიანი ფორმები სასუბიექტო ქცევის ფორმებია, რომელთაც ვერსიის გაგება დაკარგული აქვთ. o- ქცეულია მყოფადის მაწარმოებლად, როგორც ეს ავტოტივებშია (მედიაოქტივებშია). სასუბიექტო ქცევის ზოგიერთ o- პრეფიქსიან ფორმას აწმყოს მნიშვნელობა ჰქონდა და ეს მნიშვნელობა დღესაც აქვს შერჩენილი: *ითხოვს, იფიცებს, იგებს, ირჩევს.*

რადგანაც ისინიც მყოფად-წყვეტილს ისევე აწარმოებენ, როგორც *ნანობს* ტიპის ზმნები, ამიტომ მათაც №15 პარადიგმაში ვათავსებთ.

შენიშვნა 1. ზოგი ამ ზმნათაგან ლაბილური კონსტრუქციისაა: (*ფიქრობს ის – ფიქრობს ის მას, სწავლობს ის – სწავლობს ის მას, თამაშობს ის – თამაშობს ის მას, ფიცულობს ის – ფიცულობს ის მას*) და შესაბამისად ავტოტივებშიც არის განხილული.

შენიშვნა 2. *კითხულობს* ზმნას მყოფადში -ავ თემისნიშნიანი ფორმა აქვს: *იკითხავს – წაიკითხავს.*

შენიშვნა 3: *სწავლობს, შოულობს, პოულობს* ზმნებს მყოფადში o- თემატური სუფიქსი დაერთვის: *o-შოვ(ნ)-ის, o-პოვ(ნ)-ის, o-სწავლ-ის (ძვ. ისწავებს); რჩეობს* და *რჩეულობს* ზმნებს -ევ სუფიქსი: *ირჩევს; ხმობს* ზმნას კი -ობ სუფიქსი: *იხმობს.*

შენიშვნა 4: ამათგან ყველას არა აქვს შესაბამისი o- პრეფიქსიანი ვნებითის ფორმა. ხოლო თუ აქვს, ის ან დეპონენსია, ან შესაძლებლობის (პოსიბილური) სემანტიკისაა: *ფიცულობს – იფიცება, სწავლობს – ისწავლება, შოულობს – იშოვება, პოულობს – (მო)იპოვება.*

პარაღიზმა №15 (32)

სესხულობს ის მას (სესხება)

I სერია

აწმყოს ჯგუფი		
აწმყო ესესხულობ/თ სესხულობ/თ სესხულობს/ენ	უწვევრელი ესესხულობდი/თ სესხულობდი/თ სესხულობდა/ნენ	აწმყოს კავშირებითი ესესხულობდუ/თ სესხულობდუ/თ სესხულობდეს/ნენ
მყოფადის ჯგუფი		
მყოფადი ვისესხებ/თ ისესხებ/თ ისესხებს/ენ	ზოღმეობით პირობითი ვისესხებდი/თ ისესხებდი/თ ისესხებდა/ნენ	მყოფადის კავშირებითი ვისესხებდუ/თ ისესხებდუ/თ ისესხებდეს/ნენ

II სერია

წვეტილი ვისესხე/თ ისესხე/თ ისესხა/ეს	II კავშირებითი ვისესხო/თ ისესხო/თ ისესხოს/ნ	ბრძანებითი ვისესხოთ ისესხეთ ისესხოს/ნ
---	--	--

III სერია

I რეზულტატივი მ/გვისესხია გისესხია/თ უსესხია/თ	II რეზულტატივი მ/გვესესხა გესესხა/თ ესესხა/თ	III კავშირებითი მ/გვესესხოს გესესხოს/თ ესესხოს/თ
---	---	---

4. თავისებურებას იჩენს 7 ფუძეკუმშვადი ზმნა (იხ. ცხრილი: VI კლასი, №19, 20). მათ ძირის ბოლოკიდურად აქვთ ნ ან რ სონანტი. აწმყოში ფუძე შეკუმშული აქვთ, წვეტილში – სრული გახმოვანება. ოთხს -ა გახმოვანება, სამს კი -უ გახმოვანება. შესაბამისად წვეტილის ნიშანი არის უკვე არა -უ, არამედ Ø/-ი. აწ-ის -ა/-ო და II კავშირებითის -ა/-ო სუფიქსები კუმშავს ფუძეს:

- {
Ø-ა

ვიპურობ მე მას – შევიპყარ/ი – შემვიყურია

მივიაპურობ მე მას მას – მივიაპყარ – მიმიპყურია

ვიცნობ მე მას – ვიცან/ი – მიცენია

ვაცნობ მე მას მას – გავაცან/ი – გამიცენია

ვუთხრობ მე მას მას – ვუთხარ/ი – მითხრობია//მითქვამს

ვიმხრობ მე მას – მივიმხარ/ი – მიმიმხრია
- {
Ø-ე

ვაყრდნობ მე მას მას – მივაყრდენ/ი – მიმიყრდნია

ვამყნობ მე მას – დავამყენ/ი – დამიმყენია

ვერძნობ მე მას – ვივრძენ/ი – მივრძენია

კავშირებითში -ა//ო სუფიქსიან პარადელურ ფორმათაგან დღეს -ო სუფიქსია გაბატონებული: შეიპყრას//შეიპყროს, იცნას//იცნოს, მიეყრდნას//მიეყრდნოს, დაამყნას//დაამყნოს.

შენიშვნა: ვუთხრობ – ვუთხარ/ი-მითხრობია, უთხრა – უთხრა-ს უთხრობია იხმარება „თქმის“ მნიშვნელობით და ენაცვლება აწმყოს ვეუბრები ფორმას: (მო)ვუთხრობ ზმნის აწმყოს ფორმას დღეს სალიტერატუროში აქვს „ეუამბობ“ ზმნის მნიშვნელობა. ასეთ შემთხვევაში მას წყვეტილის S-ში აქვს ნიშანი -ო და კავშირებითის სუფიქსადაც -ო: მო-ვუთხარი – მოუთხრო – მოუთხრო-ს. აღსანიშნავია, რომ მითხრობია ფორმას გურულში აქვს მითქვამს, „თქმა“ ზმნის მნიშვნელობა.

VII კლასი

აწმყოს მოდელი: Ø-R-ამ

ამ ზმნათა რიცხვი მეტად მცირეა, სულ 17-იოდე ზმნაა და ისინიც დიდ ტენდენციას იჩენენ -ამ სუფიქსის -ავ ნიშნით შენაცვლებისას: აბამსა>აბავს, ნოქამს>ნოქავს, ასხამს>ასხავს. სწორი ფორმა მასდარში ვლინდება: ბმა, ნოქმა, სხმა. ამასთანავე, განსხვავებით -ავ სუფიქსიანებისაგან, მათ წყვეტილში აქვთ -ი დაბოლოება, კავშირებითში კი შესაბამისად – -ა სუფიქსი: ვაბამ – დავაბ-ი – დავაბა; ვასხამ – დავასხ-ი – დავასხ-ა; ვუსვამ – წავუსვ-ი – წავუსვა. ყველა მათგანი საკმაოდ თავისებურია ვნებითის ფორმათა წარმოების თვალსაზრისით. ამათ ი/ე პრეფიქსიანი პასივი აქვთ, მაგრამ განსხვავებით პრეფიქსიანი პასივის წყვეტილის რეგულარული -ე ნიშნისა (ვიხატები – დავიხატ-ე), წყვეტილში აქვთ -ი სუფიქსი (ვაბამ–ვიბამე-ი – დავებ-ი, ვნოქამ – ვინოქმე-ი – ჩავინოქ-ი, ვართხამ – გავერთხ-ი, ვუსვამ – ვესმე-ი – წავესვ-ი, ვასხამ – ვესხ-

მები – დავესხ-ი); ესეამ ზმნის S_1 და S_2 ფორმები სემანტიკურად გამორიცხულია (შევის-ი არ იხმარება), S_3 – შეის-ა.

ძველ ქართულში -ამ თემატურ ნიშანს დაერთვოდა ვნებითის მახასიათებელი -ი: ერტყმის, იდგმის, იბმის... თანამედროვე ქართულში ვნებითი -ებ თემატური ნიშნის უნიფიკაციის შედეგად -ამ თემისნიშნიან ფორმას -ი სუფიქსის წინ დაერთვის -ებ თემის ნიშანი: ვიბმები, იდგმები, ინტყმები და სხვ.

ერთ ზმნას სხვა ძირის ვნებითი აქვს: ესეამ – ეჯდები – დავსვი – დავეჯდ (ამისი შესაბამისი მოქმედებითი ნაწარმოებია კაუზატიური წესით: და-ე-ა-ჯ(დ)-ინ-ე), ხოლო აღიქვამ ზმნა ვნებითის წყვეტილს აღწერიტად აწარმოებს: აღქმულ ვიქემ(ი).

აღსანიშნავია ეუსეამ – წაეუსვი ზმნა, რომელიც დიალექტებში აღიდგენს ე ხმოვანს: წაეუსეე(ი). ჩაენტქი ფორმას კი აქვს პარალელური ე სუფიქსიანი ფორმაც ჩაენტქე.

I რეზულტატივში, როგორც წესი, -ამ თემისნიშანი განუვითარდებათ, მაგრამ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ. ძლიერი ტენდენცია იჩენს თავს -ამ სუფიქსის გარეშე ხმარებისა: ვაბამ – დამიბამს – დამიბია; ვარტყამ – დამირტყამს – დამირტყია.

მით უფრო MS_1 და MS_2 პირებში: დაეუბამ-ვარ – დაუბ-ი-ვარ; დაუბამ-ხარ – დაუბ-ი-ხარ.

პარადიგმა №17 (34)

არტყამს ის მას (დარტყმა)

აწმყოს ჯგუფი		
აწმყო ვარტყამ/თ არტყამ/თ არტყამს/ენ	უწყვერელი ვარტყამდი/თ არტყამდი/თ არტყამდა/ნენ	აწმყოს კავშირებითი ვარტყამდუ/თ არტყამდუ/თ არტყამდეს/ნენ
მყოფადის ჯგუფი		
მყოფადი დავარტყამ/თ დაარტყამ/თ დაარტყამს/ენ	ხოლმეობით პირობითი დავარტყამდი/თ დაარტყამდი/თ დაარტყამდა/ნენ	მყოფადის კავშირებითი დავარტყამდუ/თ დაარტყამდუ/თ დაარტყამდეს/ნენ

II სერია

წყვერელი დავარტყი/თ დაარტყი/თ დაარტყა/ეს	II კავშირებითი დავარტყა/თ დაარტყა/თ დაარტყას/ნ	ბრძანებითი დავარტყა/თ დაარტყი/თ დაარტყას/ნ
---	---	---

III სერია

I რეზულტატივი დამ/გვირტყამს დავირტყამს/თ დაურტყამს/თ	დამ/გვირტყია დავირტყია/თ დაურტყია/თ	II რეზულტატივი დამ/გვირტყა დავირტყა/თ დაურტყა/თ	III კავშირებითი დამ/გვირტყას დავირტყას/თ დაურტყას/თ
---	---	--	--

II დიათეზა

II დიათეზაში გაერთიანებულია სრული კონსტრუქციის მქონე აბსოლუტურგარდაუვალი და რელატიურგარდაუვალი (ირიბგარდამავეალი) დინამიკური ზმნები, რომელთა MS_{nom} და $MO_{ind\ dat}$ ბრუნვაუცვლელია სერიების მიხედვით. პრეფიქსიანების აწმყოს სტრუქტურაა $o/e-R-ებ-ი$; სუფიქსიანებისა – $o/-u-R-დ-ებ-ი$, „უნიშნობისა“ – $o/-a/-u-R-ებ-ი$. ამათგან „უნიშნოთა“ სტრუქტურა ძირეულია, პრეფიქსიანებისა კი წარმოქმნილია აქტივის ფორმათა კონვერსიის გზით.

ამავე დიათეზას განეკუთვნება ამ დინამიკურ ზმნათა შესაბამისი არასრული კონსტრუქციის სტატიკური ზმნები (ე.წ. „სტატიკური ვნებითები“), რომელთა აწმყოს თემა ასევე $-ი$ სუფიქსიანია, ოღონდ მარტივი და ამოსავალია დინამიკური ვნებითების აწმყოს თემისათვის (იხ. ნაწ. I, §8).

II დიათეზა. დინამიკური პასივი

კონსტრუქცია: სტაბილური, სრული (ის – ის, ის მას – ის მას)
სტრუქტურა: $o/e-R-ებ-ი$, $o/-a/-u-R-ებ-ი$

I. დინამიკური პასივის უღლების სისტემა ისტორიული თვალსაზრისით

დიათეზის ტიპოლოგიის თვალსაზრისით ქართული ენა მიეკუთვნება იმ ტიპს, რომელსაც დღეს დინამიკური რეფლექსივების (უკუქცევითების, ავტოტივების), ანუ როგორც ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში უწოდებენ, „პასივის“ ჩამოყალიბებული მორფოლოგია აქვს. ამ მოდელის ჩამოყალიბება ისტორიულად თანდათანობით ხდებოდა უგვარო გარდაუვალი დინამიკური ზმნების (არნ. ჩიქობავა, ქ. ლომთათიძე) მოდელის მიხედვით. როგორც ზემოთ იქნა ნაჩვენები, გარდაუვალ (ირიბგარდამავეალ) დინამიკურ ზმნებს (დღეს ე.წ. „უნიშნო პასივებს“) აწმყოს თემატური ნიშნის შემდეგ $-ი$ სუფიქსი ერთვის:

ე-თბ-ებ-ი, ე-ხმ-ებ-ი. ეს ზმნებიც თავისი შინაარსით რეფლექსივებია და ამ თვალსაზრისით ავტოტივებია, მაგრამ მათგან განსხვავებული კონსტრუქცია აქვთ. სუბიექტი თვითონ არის მოქმედიც და მოქმედების განმცდელიც: *დრეკება* თვითონ, მაგრამ – *იღრიკება* სხვის მიერ, *ხმება* თვითონ, მაგრამ – *იხმოდა* სხვის მიერ, *ვ(ლ)ჯება* თვითონ, მაგრამ – *ივლიჯება* სხვისაგან. ეს დაპირისპირება მიმდევობის ფორმებშიც არის ასახული: *გამხმარი არის ის, რაც გახმა თვითონ – გახმობილი კი, რაც გაახმო სხვამ* ასევეა *გაშშრალი – გაშრობილი...*). სწორედ ამ ზმნათა აწმყოს მოდელი იქნა გამოყენებული სასუბიექტო ევრსიის (აქტივის) კონვერსიული (პასივის) ფორმებისათვის აორისტიდან აწმყოს თემის წარმოებისას:

აორისტი:		აწმყო:
აქტივი: დაიხატა მან იგი	→	დაიხატ-აგ-ს იგი მას
პასივი: დაიხატა იგი	→	დაიხატ-ე-ი-ს იგი

განსხვავებით აქტივის ფორმებისაგან, რომელთაც აწმყოში თემატური ნიშნის შემდეგ უშუალოდ მოსდევს პირის ნიშანი; კონვერსიულ ფორმებს თემატური ნიშნის შემდეგ -ი სუფიქსი დაერთვის (ისტორიულად უგვარო დინამიკურ-გარდაუვალი (ირიბგარდა-მავალი) ძირეული ზმნების სტრუქტურის მიხედვით). აბსოლუტური აგებულების (ერთპირიან) ზმნათა მოქმედება რეფლექსურია (შიგნით მიემართება), რელატიურებისა კი გარეთ, ირიბი ობიექტისაკენ.

ამგვარად, ჩამოყალიბდა აქტივის კონვერსიული მოდელი აწმყოში **R-th.suf.-ი**. შემდეგი ეტაპი ე.წ. „პასივების“ ფორმათა განვითარებისა თემატური ნიშნების უნიფიცირებაში მდგომარეობს, ე.წ. უნიშნო და -დ სუფიქსიანი პასივებისათვის დამახასიათებელი -ებ თემატური ნიშნის განზოგადებაში:

იხატვის > იხატების, ეკრძალების > ეკრძალების, იმალების > იმალების, ისუბის > ისუმების, იბმის > იბმების და სხვ.

თუმცა იყო ცდები (მაგალითად, გელათის სალიტერატურო სკოლაში XII სკ.) -აც თემატური ნიშნის უნიფიცირებისა (მხედველობაში გვაქვს *ივმობვის* ტიპის მაგალითები).

შემდგომი ეტაპი პასივის სეპარაციისა იყო საკუთარი მოდელის ჩამოყალიბების გზაზე S₃ პირის ნიშნის განსხვავება და უნიფიცირება ავტოტივებისა და აქტივებისაგან (როგორც სტატიკური, ისე დინამიკური ზმნებისა):

იხატების – იხატ-ებ-ა, იმალების – იმალ-ებ-ა, უკეთივ-ს – უკეთი-ა

ამათ საკუთარი მოდელი ჩამოიყალიბებს III სერიაშიც. მწკრივთა წარმოება მეშველზმნინანია. მეშველი ზმნა ენკლიტიკად იქცევა და შეერწყმის ნამყო დროის საობიექტო მიმღეობის ფუძეს. უნიშნო პასივებში მეშველი ზმნა ერთეის მ- პრეფიქსიან სასუბიექტო მიმღეობის ფუძეს:

გამთბარ+ ვარ	→	გავმთბარვარ
გამთბარ + ხარ	→	გამთბარხარ
გამთბარ + არს	→	გამთბარა

პრეფიქსიან და სუფიქსიან ვნებითებში ნამყო დროის -ილ/-ულ სუფიქსიან საობიექტო მიმღეობას I რეზულტატივში მეშველი ზმნა ერთეის აწმყოს (ვარ – ხარ – ა < არს) ფორმით, II რეზულტატივში – წყვეტილის ფორმით (ვიყავ – იყავ – იყო), III კავშირებითში კი – II კავშირებითის ფორმით (ვიყო – იყო – იყოს):

ვიმალები

I რეზულტატივი

დამალულ ვარ → დაემალულვარ
 დამალულ ხარ → დამალულხარ
 დამალულ არს → დამალულა

II რეზულტატივი

დამალულ ვიყავ → დაემალულიყავ
 დამალულ იყავ → დამალულიყავ
 დამალულ იყო → დამალულიყო

III კავშირებითი

დამალულ ვიყო → დაემალულიყო
 დამალულ იყო → დამალულიყო
 დამალულ იყოს → დამალულიყო

ვშადებები: გავშადებულვარ – გაშადებულხარ – გაშადებულა
 ვთბები: გავმთბარვარ – გამთბარხარ – გამთბარა

ორპირიანი ზმნებისათვის აღებულია საუღლებელი ზმნის შესაბამისი აქტივის აწმყო დროის ფუძე, რომელსაც ძველ ქართულში ერთვოდა -ი-ე მრჩობლი (ორმაგი) სუფიქსი, ისევე, როგორც ე.წ. სტატიკურ ვნებითს (-ი პერმანსივისა, -ე კი წყვეტილის):

დაემალე-ი-ე მე მას
 დაემალე-ი-ე შენ მას
 დაემალე-ი-ე-ს ის მას

ამგვარად, სტატიკური შინაარსის ერთპირიანი ფორმები ანალიზური წარმოებიდან სინთეტურ წარმოებაზე გადასვლასთან ერთად იძენენ დინამიკურ შინაარსს, რამდენადაც ისინი ერთპირიანი დინამიკური ზმნების პარადიგმას აგრძელებენ. ესენიც, მსგავსად აქტივებისა, რეზულტატიურ – პერფექტულ შინაარსს გამოხატავენ, რასაც უნახაობა-უნებლიობის სემანტიკაც დაერთო (იხ. ნაწ. I §4).

ერთპირიან ზმნათა სინთეტურ წარმოებაზე გადასვლას ისტორიულად წინ უსწრებს პირდაპირობიექტიან გარდამავალ ზმნათა და ირიბობიექტიან (გარდაუვალ=ირიბგარდამავალ) ორპირიან ზმნათათვის სინთეტური მეშველზმნიანი ფორმების ჩამოყალიბება. ორპირიანი სტატიკური ზმნებიც, როგორც საერთოდ ყველა სტატიკური ზმნა, ირთავს მეშველ ზმნას და იძენს რარეზულტატიურ-პერფექტულ შინაარსს, აგრძელებს დინამიკური პასივის პარადიგმას:

I რეზულტატივი

დაემალეიე → დაემალეივარ

დამალეიე → დამალეიხარ

დამალეიეს → დამალეია

მესამე პირში ამ ზმნებში -ს სუფიქსს შეენაცვლა -ა სუფიქსი, ისევე როგორც დინამიკურ და სტატიკურ ვნებითებში (იხატების → იხატება, მიკეთიეს → მიკეთია).

II რეზულტატივში და III კავშირებითში კანონზომიერი გაგრძელება უნდა ყოფილიყო (და დიალექტებში არის კიდევაც) ვარ მეშველი ზმნის წყვეტილისა და II კავშირებითის ფორმით:

II რეზულტატივი

დაემალეიყავ მე მას

დამალეიყავ შენ მას

დამალეიყოს ის მას

III კავშირებითი

დაემალეიყო მე მას

დამალეიყო შენ მას

დამალეიყოს ის მას

მაგრამ სალიტერატურო ენაში დამკვიდრებულია და ნორმადაა მიღებული ძველი, -ოდ სუფიქსიანი უწყვეტლის მწკრივის მოღვლით წარმოება:

II რეზულტატივი

დაემალეოდი მე მას

დამალეოდი შენ მას

დამალეოდა ის მას

III კავშირებითი

დაემალეოდე მე მას

დამალეოდე შენ მას

დამალეოდეს ის მას

ამგვარად, პასივის ფორმებმაც, ისევე როგორც ავტოტივისა და აქტივის ფორმებმა, განივითარეს რეზულტატიურ-პერფექტული შინაარსის ფორმები სტატიკური ზმნებისაგან მეშველ ზმნიანი წარმოებით და გაერთიანდნენ ქართული ზმნის უღლების იმ საერთო სისტემაში, რომელიც დღეს სამი სერიით არის წარმოდგენილი.

როგორც ცხრილიდანაც ჩანს, პასივის I სერიის და III სერიის ფორმები განსხვავდება ავტოტივისა და აქტივის უღლებისაგან. II სერიაში აქტივის კონვერსიული ერთპირიანი *o*-პრეფიქსიანი პასივების ფორმები ემთხვევა შესაბამისი აქტივის სასუბიექტო ვერსიის ფორმებს, რაც დამატებით ადასტურებს იმას, რომ ეს კონვერსიული ფორმები იგივე სასუბიექტო დესტინაციის აქტივის ფორმებია (ამიტომაც მათ მიმღეობის საერთო ფორმები აქვთ, განსხვავებით ე.წ. უნიშნო ვნებითებისაგან, რომელთაც საკუთარი ფუძისაგან ეწარმოებათ სასუბიექტო შინაარსის მიმღეობა *მ* – *აწ* კონფიქსით: თბება – გა-მ-თ-ბ-არ-ი, ათბობს – გათბობ-ილ-ი). თუმცა ისინიც ცდილობენ II სერიაში დამოუკიდებელი, განსხვავებული მოდელი ჩამოიყალიბონ (აქტ. სასუბ. ვერსია – *დაეიმტკერი მე ის* – პასივი *დაეიმტკერი მე*, აქტ. *დაეინგრი მე ის* – პასივი *დაეინგერი მე*). რაც შეეხება ე.წ. უნიშნო და *ღ* სუფიქსიან პასივებს, აქაც განსხვავებული მოდელი აქვთ (*გაეაშრე* – *გაეაშრი*, *გაეაშრო* – *გაეაშრე*, *გაეაკეთე* – *გაეკეთდი*).

ამგვარად, II დიათეზიდან ჩამოყალიბდა საკუთარი მოდელის მქონე ფორმები, რომლებიც, როგორც აქტივის კონვერსიული კონსტრუქციის მქონე ზმნები, პასივად იწოდებიან, მაგრამ ევროპული პასივისაგან განსხვავდებიან იმით, რომ მათი გრამატიკული სუბიექტი (იგივე აქტივის პირდაპირი ობიექტი) ხშირად მოქმედების აგენსია (რეალურად მოქმედი პირია) და არა პაციენსი (ანუ მოქმედების, ვნების განმცდელი): მაგ. *o*-პრეფიქსიან ერთპირიან ზმნებში (დემონენსებში), ასევე, ელაპარაკება ტიპის რელატიურ (საობიექტო მიმართების) *ე*-პრეფიქსიან ზმნებში და „უნიშნო ვნებითების“ *ა*-პრეფიქსიან რელატიურ ფორმებში (*ილანძლება*, *იმუქრება*, *ილოცება*, *იწყევლება*, *იტყობინება*, *იხვეწება*, *ეხვეწება*, *ეტმასნება*, *ელაპარაკება*, *ელაზღანდარება*, *აცხრება*, *ახტება*, *აწყდება* და *სხე*). ერთი და იგივე ფორმა სხვადასხვა სტრუქტურის წინადადებაში შეიძლება სხვადასხვა გაგებას შეიცავდეს: *იბალება ბაეში*, *ემალება ბაეში დედას*: ამ შემთხვევაში მორფოლოგიური სუბიექტი მოქმედების აგენსად წარმოგვიდგება; მაგრამ: *იბალება ჩანთა ვილაცის მიერ*, *ან ემალება ჩანთა ბაეშს (ვილაცის მიერ)*: ამ

შემთხვევაში მორფოლოგიური სუბიექტი პაციენსია, განიცდის მოქმედებას. სხვათა შორის, მეორე შემთხვევასთან უფრო ხშირად მაშინ გვაქვს საქმე, როცა MO უსულო, არაპერსონალურია და თვითონ არ შეუძლია მოქმედება. ასეთ შემთხვევებში, ჩვეულებრივ, წყვეტილში აღწერითი პასივის ფორმა უფრო გამოიყენება (*ჩანთა დამალულ იქნა ვილაციის მიერ*), *ორგანული ფორმა (ჩანთა დაიმა-ლა)* არაბუნებრივია. ასევეა: *ის იმოძღვრება* (ის თვითონ მოძღვრავს), მაგრამ: *ის იმოძღვრება ვილაციის მიერ*; *ის იწყველება* (*წყველის*), მაგრამ *ის იწყველება ვილაციის მიერ* (წყვეტილი: *დაწყველილ იქნა*); *ის ილოცება* (*ლოცავს*), მაგრამ *ის ილოცება მის მიერ* (წყვეტილი: *დალოცვილ იქნა*). *ჭინჭარი ისუსხება (=სუსხავს)*, მაგრამ: *ჭინჭრისაგან ისუსხება ვილაცა*.

აქტივებს და პასივებს საერთო მასდარი (საწყისი) აქვთ რამდენიმე გამონაკლისის გარდა (*ტება – ტყდომა, ხეთქა – სკდომა, კელა – კედომა*). უფრო სწორად, კონვერსიულ პასივებს საკუთარი ფუძისაგან ნაწარმოები მასდარი არა აქვთ ისევე, როგორც არა აქვთ საკუთარი ფუძისაგან ნაწარმოები მიმღეობა. რამდენადაც პრეფიქსიანი პასივები აქტივის კონვერსიული ფორმებია, ამდენად, აქტივის ფუძისაგან ნაწარმოები პირდაპირი ობიექტის მიმართ მიმღეობა მათთვის სასუბიექტო შინაარსისაა (*დახატული არის ისიც, რაც „დახატეს“ და ისიც, რაც „დაიხატა“*). როგორც ზემოთაც აღინიშნა, საკუთარი ფუძისაგან მიმღეობას აწარმოებენ მხოლოდ ე.წ. უნიშნო, *თბება* ტიპის ვნებითები, რომელთაც მხოლოდ სასუბიექტო მიმღეობის ფორმებს აწარმოებენ მ – არ კონფიქსით: *გამთბარი არის ის, რაც გათბა – გათბობილი კი ის, რაც გაათბეს; გამხმარი არის ის, რაც გახმა, გახმობილი კი ის, რაც გაახმეს* ყოველივე ეს კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ ე.წ. III ტიპის ვნებითები გვარის კატეგორიის ჩამოყალიბებამდე უპირისპირდებოდნენ (პირდაპირ) გარდამავალ დინამიკურ ზმნებს, როგორც გარდაუვალი დინამიკური ზმნები (ქ. ლ. მ. თ. ა. თ. ი. ძ. ე.).

2. დინამიკური პასივის უღლების კლასები შესაბამისი აქტივების კლასებთან მიმართებით

აწმყოს ზოგადი მოდელი R-th.suf.-o

პასივის უღლების აღწერა ეყრდნობა შესაბამისი აქტივის კლასებს:

I. აქტივის I კლასს, R-Ø მოდელს (ათემატური აწმყოთი) შეესაბამება *o-/-* პრეფიქსიანი კონვერსიული პასივი (*წერს – იწერება, აწერება*).

II. აქტივის II კლასს, R-[-*ქ/ი*] ფუძედრეკადებს (აბლაუტიანს) შეესაბამება *o-/-* პრეფიქსიანი კონვერსიული პასივი. გამონაკლისს წარმოადგენს *ენ/ინ-*ზე დაბოლოებული ფუძედრეკადი აქტივები, რომელთაც, ძირითადად ძირეული, უნიშნო პასივები შეესაბამებათ და ეკუთვნიან შესაბამისად მეექვსე კლასის უღლებას (პარადიგმა 13 (47)).

III. აქტივის III კლასს, R-*o* მოდელს, შეესაბამება *o-/-* პრეფიქსიანი კონვერსიული პასივი.

IV. აქტივის IV კლასს, R-*ავ* სტრუქტურით შეესაბამება *o-/-* პრეფიქსიანი კონვერსიული პასივი.

V. აქტივის V კლასს, *ა-R-ებ* სტრუქტურის აქტივს, ძირითადად *-ღ* სუფიქსიანი, R-*დ-ები* მოდელის პასივი შეესაბამება (იხ. ტაბულა № V₁₃ ქვეჯგუფი). გამონაკლისია პატარა ჯგუფი უხმოვნობიანი *-ებ* თემატურნიშნიანი *აქებ* ტიპის აქტივებისა (იხ. ტაბულა № II_b, V₁₄ ქვეჯგუფი), რომელთაც პრეფიქსიანი (*o-/-R-ებ-ი*) სტრუქტურის პასივი შეესაბამება მთელი თავისი დამახასიათებელი ნიშნებით.

ამავე დროს, არის მთელი რიგი ზმნური და სახელური ძირიდან ნაწარმოები *ა-R-ებ* მოდელის აქტივები, რომელთაც მხოლოდ *ჟ* პრეფიქსიანი ირიბი მიმართების პასივები შეესაბამება (*ათამაშებს – ეთამაშება, აომებს – ეომება, ალაპარაკებს – ელაპარაკება*). ამათ არა აქვთ აბსოლუტური (ერთპირიანი) *o-R-ებ-ი* მოდელის პასივები, მათი საოპოზიციო ერთპირიანი ფორმები ავტოტივის (მედიააქტივის) R-*ობ* სტრუქტურისაა (*ათამაშობს ის – ეთამაშება ის მას ჩხუბობს ის – ეჩხუბება ის მას, ომობს ის – ეომება ის მას, ლაპარაკობს ის – ელაპარაკება ის მას*), რომელიც ამოსავალი უნდა იყოს როგორც პირდაპირი მიმართების აქტივისათვის (*ა-* მარკერით), ისე ირიბი მიმართების პასივისათვის (*ე-* მარკერით): *ათამაშობს – ა-თამაშებს – ე-თამაშება*.

VI. აქტივის VI კლასის *ა-R-ობ* სტრუქტურისას შეესაბამება R-*ებ* სტრუქტურის ე.წ. უნიშნო *თბება* ტიპის პირველადი პასივები (იხ. ტაბულა №5 VI₁₇ ქვეჯგუფი), რომელთაგანაც არის ნაწარმოები ამ კლასის აქტივები (*თბება – ა-თბობს, ხმება – ა-ხმობს, შრება – ა-შრობს..*).

ამავე კლასის აქტივებს შეესაბამება აგრეთვე მცირე რაოდენობა კონვერსიული **თ** / **უ** პრეფიქსიანი ვნებითებისა (*ვაყრდნობ – ვეყრდნობი, ვანდობ – ვენდობი, ვინდობ – ვინდობი, ვახრჩობ – ვი/ეხრჩობი*) (იხ. ტაბ. №5 VI_{18,19,20} ქვეჯგუფები, პარადიგმა №14(48)).

VII. აქტივის VII კლასს, **R-ამ** სტრუქტურის ზმნებს შეესაბამება მათი კონვერსიული **R-მ-ებ-ი**, **R-მ-ეე-ი** მოდელის პასივები (*აბამს – იბმება, ასხამს – ისხმება // ისხმევა*). მათი რაოდენობა თითოე ჩამოსათვლელია.

I კლასი

აწმყოს მოდელი: **ი-ე-R-ები**

როგორც ტაბულიდან ჩანს (იხ. ტაბულა №3), აქტივის I კლასის (ათემატური ზმნების) შესაბამისი კონვერსიული პასივის ფორმები პრეფიქსიანებია. ისინი აწმყოში დაირთავენ **ებ** თემატურ სუფიქსს, რომლის შემდეგაც, როგორც წესი, ერთვის პასივის მახასიათებელი **-ი** სუფიქსი. ასე რომ აწმყოში მათი მოდელია **ი-ე-R-ები-ი**. უწყვეტელსა და აწმყოს კავშირებითში (და მყოფადის შესაბამის მწკრივებში), რადგანაც თემა **ი** ხმოვანზე ბოლოვდება, აქტივისაგან განსხვავებით (რომელსაც **-დ-ი/ე** სუფიქსი ერთვის), აქ **-ოდ-ი/ე** სუფიქსია; რადგანაც ეს ზმნები ისტორიულად აქტივის სასუბიექტო (და საობიექტო) ქცევის კონვერსიული ფორმებია, მიღებული აორისტის ფუძისაგან – *დაითესა მან იგი → დაითესა იგი*, ამიტომ მათი წყვეტილის (აორისტის) და II კავშირებითის **ი** პრეფიქსიანი (ერთპირიანი) ფორმები ემთხვევა აქტივის სასუბიექტო ეერსიის ფორმებს: *დაეიხვეწე მე იგი [ჩემი თავი], დაიხვეწა მან იგი [თავისი თავი] – დაეიხვეწო მე იგი, დაიხვეწოს მან იგი*. მაგრამ: *დაეიხვეწე მე – დაეიხვეწო მე, დაიხვეწა იგი – დაიხვეწოს იგი*. ხოლო ორპირიანი (ე- პრეფიქსიანი) ფორმები მხოლოდ ამ პრეფიქსით განსხვავდებიან შესაბამისი საობიექტო ქცევის აქტივის უპრეფიქსიანი ფორმებისაგან: *დაეუხვეწე (მე მას ის), დაუხვეწა (მან მას ის), დაეუხვეწო (მე მას ის) – დაუხვეწოს (მან მას ის)*.

რაც შეეხება III სერიის ფორმებს, ისინი აქტივისაგან სრულიად განსხვავებული წესით იწარმოებიან, თანაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ერთპირიანი წარმოება განსხვავებულია ორპირიანებისაგან.

პარადიგმა №1 (35)

ი/ეწერება

I სერია

აწმყოს ჯგუფი		
აწმყო ვი/ეწერებო/თ ი/ეწერებო/თ ი/ეწერებოდა/ნენ	უწვეებელი ვი/ეწერებოდი/თ ი/ეწერებოდი/თ ი/ეწერებოდა/ნენ	აწმყოს კავშირებით ვიწერებოდე/თ იწერებოდე/თ იწერებოდე/ნენ
შყოფადის ჯგუფი		
შყოფადი ჩაეი/ეწერებო/თ ჩაი/ეწერებო/თ ჩაი/ეწერებოდა/ნენ	ხოლმეობითობითი ჩაეი/ეწერებოდი/თ ჩაი/ეწერებოდი/თ ჩაი/ეწერებოდა/ნენ	შყოფადის კავშირებითი ჩაეი/ეწერებოდე/თ ჩაი/ეწერებოდე/თ ჩაი/ეწერებოდე/ნენ

II სერია

წყვეტილი (აორისტი) ჩაეი/ეწერე/თ ჩაი/ეწერე/თ ჩაი/ეწერა/ნენ	II კავშირებითი ჩაეი/ეწერო/თ ჩაი/ეწერო/თ ჩაი/ეწეროს/ნ	ბრძანებითი ჩაეეწერო/თ ჩაი/ეწერე/თ ჩაი/ეწეროს/ნ
--	---	---

III სერია

I რეზულტატივი		
ერთპირიანი ჩაეწერილდარ/თ (მე/ჩვენ) ჩაწერილ ხარ/თ ჩაწერილდა/ნ	ორპირიანი ჩაეწერილარ/თ (მე/ჩვენ, მას) ჩასწერილხარ/თ ჩასწერიდა/ნ	ჩამგვეწერია (ის, მერევენ) ჩაგვეწერია/თ ჩასწერია/თ
II რეზულტატივი ჩაეწერილიყავ/თ ჩაწერილიყავ/თ ჩაწერილიყო/იყენენ	ჩაეწეროდი/თ იყავ(ი)/თ ჩასწეროდი/თ იყავ(ი)/თ ჩასწეროდა/ნენ ჩასწერიყო/იყენენ	
III კავშირებითი ჩაეწერილიყო/თ ჩაწერილიყო/თ ჩაწერილიყოს/იყენენ	ჩაეწეროდე/თ ჩიყო/თ ჩასწეროდე/თ იყო/თ ჩასწეროდე/ნენ იყენენ	

II კლასი

აწმყოს მოდელი: 1) R-ები; 2) o/ე-R[o]-ები-ი; 3) ი/ე-R[ინ]-ები-ი;
4) o/ე-R-ე-ი

1. ფუძედრეკად აქტივთა შესაბამისი პასივების ერთი რიგი უნიშნო, თბება ტიპისაა:

დრეკის მას – დრეკება ის – შედრეკა – შემდრეკალა
წყვეტს (<წყუედს) ის მას – წყედება ის – გაწყდა – გამწყადარა
ბნელს ის მას – ბნდება ის – დაბნდა
გლეჯს ის მას – გ(ლ)ჯება ის – დაგ(ლ)ჯა
წრეტს ის მას – წრეტება ის – დაწრტა

ისინი სათანადო, №14 (48) პარადიგმას მისდევენ და ინდექსში მათ რიცხეში აღირიცხებიან. ამადგან ბევრი პარადელურად პრეფიქსიან წარმოებაზეა გადასული და შესაბამისად მიმღეობებიც -ილ სუფიქსიანი აქვთ:

იწრიტება – დაიწრიტა – დაწრეტილა
იგლიჯება – დაიგლიჯა – დაგლეჯილა
იღრიკება – მოიღრიკა – მოღრეკილა
იბნილება – დაიბნილა – დაბნელილა

როგორც ვხედავთ, *დრეკ* ზმნა მო- ზმნისწინით პრეფიქსის საშუალებით აწარმოებს ვნებითს, *შე-* ზმნისწინით კი უნიშნოდ.

2. *o/ე-R[o]-ები-ი*. II კლასის ფუძედრეკად აქტივთა შესაბამისი ვნებითები პრეფიქსითაც იწარმოება. II კლასის I ქვეჯგუფის ზმნების შესაბამისი ერთპირიანი (o- პრეფიქსიანი) კონვერსიული ვნებითის ფორმები, რამდენადაც ისინი შესაბამისი მოქმედებითის სასუბიექტო ვერსიის წყვეტილისაგანაა მიღებული, აწმყოშივე o გახმოვანებას გეიჩვენებენ: act. – *ვდრეკ*; pass. – *ვიდრიკები – მოვიდრიკე*. მათი წყვეტილისა და II კავშირებითის ფორმები ემთხვევა შესაბამისი აქტივის სასუბიექტო ვერსიის ფორმებს:

აორისტი act.: *მოიდრიკა* მან ქელი pass.– *მოიდრიკა* იგი .

II კავშ.: act. – *მოიდრიკოს* მან ქელი – pass. *მოიდრიკოს* იგი

ასევე: *მოიღრიცა* მან იგი – *მოიღრიცა* იგი, *დაიფლითა* მან იგი – *დაიფლითა* იგი, *დაიგრიხა* მან იგი – *დაიგრიხა* იგი.

III სერიაში საუღლებელი ზმნის ფუძეში *ჟ* გახმოვანება აღდგება, რადგანაც იგი ნამყო დროის საობიექტო მიმღეობის შესაბამისი აქტივის აწმყოს ფუძისაგანაა ნაწარმოები: *მოვიდრეკილ-ვარ*.

პარაღიზმა №2 (36)

ი/ედრიკება

I სერია

აწმყოს ჯგუფი		
აწმყო ვი/ედრიკები/თ ი/ედრიკები/თ ი/ედრიკება/იან	უწყებელი ვი/ედრიკებოდი/თ ი/ედრიკებოდი/თ ილრიკებოდა/ნენ	აწმყოს კაეშირებითი ვი/ედრიკებოდე/თ ი/ედრიკებოდე/თ ი/ედრიკებოდე/ს/ნენ
მყოფადის ჯგუფი		
მყოფადი მივი/ედრიკები/თ მიი/ედრიკები/თ მიი/ედრიკება/იან	ხოლმეობითპირობითი მივი/ედრიკებოდი/თ მიი/ედრიკებოდი/თ მიი/ედრიკებოდა/ნენ	მყოფადის კაეშირებითი მივი/ედრიკებოდე/თ მიი/ედრიკებოდე/თ მიი/ედრიკებოდე/ს/ნენ

II სერია

წყებელი	II კაეშირებითი	ბრძანებითი
მივი/ედრიკე/თ მიი/ედრიკე/თ მიი/ედრიკა/ნენ	მივი/ედრიკო/თ მიი/ედრიკო/თ მიი/ედრიკო/ს/ნ	მივი/ედრიკოთ მიი/ედრიკო/თ მიი/ედრიკო/ს/ნ

III სერია

I რეზულტატივი		
ერთპირიანი მოედრეკილეარ/თ მოდრეკილეხარ/თ მოდრეკილეა/ან	ორპირიანი მოედრეკიეარ/თ (მეწეუნ მას) მოსდრეკიხარ/თ მოსდრეკიეა/ან	მომ/გედრეკია (ის მეწეუნ) მოგდრეკიეა/თ მოსდრეკიეა/თ
II რეზულტატივი		
ერთპირიანი მოედრეკილეიკაე(ი)თ მოდრეკილეიკაე(ი)თ მოდრეკილეიკაე/ს/ნენ	ორპირიანი მოედრეკიეადი/თ (მეწეუნ მას) მოსდრეკიეადი/თ მოსდრეკიეადა/ნენ	მომ/გედრეკიეადა (ის მეწეუნ) მოგდრეკიეადა/თ მოსდრეკიეადა/თ
III კაეშირებითი		
ერთპირიანი მოედრეკილეიკა/თ მოდრეკილეიკა/თ მოედრეკილეიკა/ს/ნენ	ორპირიანი მოედრეკიეოდე/თ (მეწეუნ) მოსდრეკიეოდე/თ მოსდრეკიეოდე/ს/ნენ	მომ/გედრეკიეოდე (მეწეუნ) მოგდრეკიეოდე/ს/თ მოსდრეკიეოდე/ს/თ

3. ი/ე-R[ი]-ებ-ი. II. ინ/ენ-ზე დაბოლოებულ II კლასის ფუძედრეკად აქტივებს ძირითადად პირველადი სტრუქტურის, ე.წ. უნიშნო პასივები შეესაბამებათ:

აღგენს - ღგება, აწეენს - წეება, აჯ(ღ)ენს - ჯღება, (ღა)არჩენს - (ღა)რჩება, (მო)არჩენს - (მო)რჩება, ატყვერენს - ტყვერება, აცდენს - ცდება, აძერენს - ძერება, აწვდენს - წვდება, ახდენს - ხდება, ასკდენს - სკდება.

ამ ზმნათა უღლებას სათანადო აღგილას განვიხილავთ (იხ. VI კლასი, პარადიგმა №13(47)).

შენიშვნა: აცვენს ზმნას შეესაბამება ანომალიური ცვივა, რომელსაც პარადიგმური ცვივლება ფორმაც აქვს. ასევე არენს ზმნას ღ-სუფიქსიანი რნდება პასივი შეესაბამება.

ამ ფუძედრეკადი აქტივებისაგან ი-პრეფიქსიანი კონვერსიული პასივები: ძნელად იწარმოება და, თუ იწარმოება, მათ მწკრივთა ფორმების წარმოებაც უჭირთ.

აბჯენს - ებჯინება - დაებჯინება - დაებჯინა - დაჰბჯენია
აღენს - მო/დაედინება - დაედინა - დასდენია
აღზენს - დაულხინება - მოულხინა - მოლხენია
სძენს - შეეძინება - შეეძინა - შესძენია
იძენს - შეიძინება - შეძენილ იქნა - შეძენილა
აღგენს - დაიდგინება - დადგენილ იქნა - დადგენილა
ი/უთმენს - მოი/უთმინება - მოთმენილ იქნა - მოთმენილა/მოსთმენია
აველენს - მიივლინება - მივლინებულ იქნა - მივლინებულა
ასმენს - დაისმინება - დასმენილ იქნა - დასმენილა
ისმენს - მოისმინება - მოსმენილ იქნა - მოსმენილა
დაკბენს - დაიკბინება - დაიკბინა - დაკბენილა
ფენს - იფინება - დაფენილ იქნა - დაფენილა

როგორც ვხედავთ, ეს ზმნები, ჩვეულებრივ, დეფექტურებია, ვერ ეწარმოებათ პრეფიქსიანი პასივის ფორმები და თუ ეწარმოებათ, მწკრივთა წარმოება უჭირთ. ი-პრეფიქსიანები II სერიის ფორმებს ძირითადად აღწერილობითად აწარმოებენ.

შენიშვნა: აწეენს - თეორიულად შეიძლება იწეინება - ეწეინება, მაგრამ არ იხმარება. რქენს და კბენს ზმნების ი-პრეფიქსიანი ვნებითები ირქინება და იკბინება დეპონენსებია.

საერთოდ არა აქვთ შესაბამისი პასივის ფორმები შემდეგ -ენ/-ინ ფუძედრეკად აქტივებს: აფრენს, აღრჭენს, არბენს, უშენს, იხჭენს. უნდა აღინიშნოს, რომ თვით ეს აქტივებიც ანომალიურებია.

4.1. **IIa. ი/ე-R-ე-ი.** ამ (4a) ქვეჯგუფში შედის -ეე-ზე დაბოლოებული აქტივების შესაბამისი კონვერსიული პასივები. ამ ტიპის პასივთა წარმოება მარტივად ხდება, მაგრამ განსხვავებით სხვა ფუძედრეკადი ზმნებისაგან, რომელთაც აწმყოში ი გახმოვანება აქვთ (*ვიგლიჯები, ვიდრიკები*) ამათ -ეე სუფიქსში ე გახმოვანება აქვთ შენარჩუნებული: *ე-ანძრეე/-ს – ე-ინძრეე-ი/-ა; ე-არყეე/-ს – ე-ირყეე-ი/-ა; ე-ათრეე/-ს – ე-ეთრეე-ი/-ა.*

ამასთანავე, წყვეტილში მათ ზმნურ ძირში სრული ე გახმოვანება აქვთ მსგავსად ე-წ. უნიშნო ვნებითებისა:

დაეინგერ/ი, წაეეთერ/ი, დაეიბენ/ი, გაეინძერ/ი, დაეიმსხვერ/ი.

აწმყოში -ეე სუფიქსის მიმატება იწვევს ე ხმოვნის სრულ რედუქციას: *ვინგრეეი, ვინძრეეი, ვიბნეეი, ვიმსხვერეეი.*

Act. sub.vers.: *ვინგრეე მე მას – დაეინგრეე მე ის – დაინგრია მან ის*

Pass.: *ვინგრეეი მე – დაეინგერი მე – დაინგრა ის*

act.: *ეთორეე მე მას – გაეითრეე მე ის – გაითრია მან ის*

pass.: *ეეთრეეი მე – გაეეთერი მე – გაეთრა ის*

act.: *ვიბნეე მე მას – დაეიბნეე მე ის – დაიბნია მან ის*

pass.: *ვიბნეეი მე – დაეიბენი მე – დაიბნა ის*

act.: *ვინძრეე მე მას – გაეინძრეე მე ის – გაინძრია მან ის*

pass.: *ვინძრეეი მე – გაეინძერი მე – გაინძრა ის*

act.: *ვიმსხვერეე მე მათ – დაეიმსხვერეე მე ისინი – დაიმსხვრია მან ისინი*

pass.: *ვიმსხვერეეით ჩვენ – დაეიმსხვერით ჩვენ – დაიმსხვრა ჭურჭელი*

act.: *ვიმტვრეე მე მას – დაეიმტვრეე მე ის – დაიმტვრია მან ის*

pass.: *ვიმტვრეეი მე – დაეიმტვერი მე – დაიმტვრა ის*

ამგეარად, ამ ზმნათაგან ერთი დიდი ჯგუფი, რომელთაც წყვეტილსა და II კავშირებითში სრული ე გახმოვანება აქვთ, პირველადი ზმნებია, რომელთაც აწმყოში -ეე თემატური ნიშანი ემატებათ და ფუძის რედუქციას ახდენს. ამათი წყვეტილი და კავშირებითი არ ემთხვევა შესაბამისი აქტივის წყვეტილსა და II კავშირებითს. ეს ზმნებია (ყველა ისინი რ, ნ სონანტებზე ბოლოვდება, გარდა ქვეც ძირისა):

ვინქლეეი, ეიბქლეეი, ეინთქლეეი, ეიმზღელეეი, ეინოქრეეი, ეიმტვრეეი, ეიმსხვერეეი, ეიანეეი, ეიბნეეი, (წა)ეეთრეეი, ეიმღერეეი, ეიმცვრეეი, ეინჯღლრეეი, ეინგრეეი, ეინძრეეი, ეიქცეეი (წაეიქცე/ი) ეეთრეეი.

ნამყოს საობიექტო მიმღეობა -ულ-ით ეწარმოებათ, რადგანაც -ეე სუფიქსი ე-ს შეიცავს. მაგ.: *დამსხვერეულ-ი, დაბნეულ-ი, დამტვრეულ-ი.*

პარაღიზმა №3 (37)

ინბრევა

I სერია

აწმყოს ჯგუფი		
აწმყო ვინძრევი/თ ინძრევი/თ ინძრევი/ინ	უწყვებელი ვინძრევი/თ ინძრევი/თ ინძრევი/ინ	აწმყოს კაეშირებითი ვინძრევი/თ ინძრევი/თ ინძრევი/ინ
მყოფადის ჯგუფი		
მყოფადი გაეინძრევი/თ გაინძრევი/თ გაინძრევი/ინ	ხოღმეოზითიპიროზითი გაეინძრევი/თ გაინძრევი/თ გაინძრევი/ინ	მყოფადის კაეშირებითი გაეინძრევი/თ გაინძრევი/თ გაინძრევი/ინ

II სერია

წყვებელი	II კაეშირებითი	ბრძანებითი
გაეინძრევი/თ გაინძრევი/თ გაინძრევი/ინ	გაეინძრევი /თ გაინძრევი/თ გაინძრევი/ინ	გაეინძრევი/თ გაინძრევი/თ გაინძრევი/ინ

III სერია

I რეზულტატიეი		
ერთიპირიანი გაეინძრევი/თ გაინძრევი/თ გაინძრევი/ინ	ორიპირიანი გაეინძრევი/თ (მეწეენ მას) გაინძრევი/თ გაინძრევი/ინ	გამ/გეინძრევი (ის მეწეენ) გაგინძრევი/თ გაინძრევი/თ
II რეზულტატიეი გაეინძრევი/თ გაინძრევი/თ გაინძრევი/ინ	გაეინძრევი/თ გაინძრევი/თ გაინძრევი/ინ	გამ/გეინძრევი გაგინძრევი/თ გაინძრევი/თ
III კაეშირებითი გაეინძრევი/თ გაინძრევი/თ გაინძრევი/ინ	გაეინძრევი/თ გაინძრევი/თ გაინძრევი/ინ	გამ/გეინძრევი გაგინძრევი/თ გაინძრევი/თ

4.2. II_{4b}. -ვე სუფიქსიანი ზმნების II ქვეჯგუფში (4b) II სერია -ვე სუფიქსის ისეთივე აბლაუტი (ევ>ოვ) ზღვბა, როგორც შესაბამის მოქმედებითში, გ- თანხმოვანიც იკარგება. ამიტომ წყვეტილის ვნუბითის ფორმები ემთხვევა აქტივის სასუბიექტო ქცევის ფორმებს. მაგრამ S₃ პირში ძლიერი ტენდენციაა ამ ფორმათაგან განსხვავებისა. პასივში გ-სთან ერთად III პირის ი-ც იკარგვის:

act.: ეიმწყდე მე მას – მოვიმწყდე მე ის – მოიმწყდა მან ის

pass.: ეიმწყდევი მე – მოვიმწყდევი მე – მოიმწყდა ის

act.: ეირღვე მე მას – დავირღვი მე ის – დაირღვა მან ის

pass.: ეირღვევი მე – დავირღვივი მე – დაირღვა იგი

act.: ეირწე მე მას – დავირწი მე ის – დაირწა მან იგი

pass.: ეირწევი მე – დავირწივი მე – დაირწა იგი

act.: ეირხე მე მას – დავირხი მე ის – დაირხია მან იგი

pass.: ეირხევი მე – შე/და-ვირხივი მე – შე/დაირხა იგი

act.: ეირყე მე მას – შევირყი მე ის – შეირყა მან ის,

pass.: ეირყევი მე – შევირყივი მე – შეირყა ის

ამავე ტიპისაა: ინთხევა – დაინთხა, იხევა – დაიხა, იფრქვევა – დაიფრქვა, ირჩევა – დაირჩა, იმშევა – დაიმშა, იმღლევა – აიმღლეა, ირბევა – დაირბა. ამათი II კავშირებითის ფორმებშიც არის ტენდენცია შესაბამისი აქტივის II კავშირებითისაგან განსხვავებისა: დაირღვიოს მან ის, მაგრამ – დაირღვეს ის; შეირყიოს მან ის, მაგრამ – შეირყეს ის, აიმღერიოს მან ის, მაგრამ აიმღერეს ის, დაიმწყდიოს მან ის, მაგრამ – დაიმწყდეს ის. II კავშირებითში -ვე სუფიქსის პარალელურად ა-ც შეიძლება იყოს (დაირღვას/ დაირღვეს, აიმღერას // აიმღერეს, შეირყეს/ შეირყას).

პარადიგმა №4 (38)

I სერია

ი/ერყევა (რყევა)

აწმყოს ჯგუფი		
აწმყო ვი/ერყევი/თ ი/ერყევი/თ ი/ერყევი/იან	უწვებელი ვირყევი/თ ირყევი/თ ირყევი/ან	აწმყოს კავშირებითი ვირყევი/თ ირყევი/თ ირყევი/ან
მყოფადის ჯგუფი		
მყოფადი შევი/ერყევი/თ შევი/ერყევი/თ შევი/ერყევი/იან	ხლმყოფით-პირობითი შევირყევი/თ შევირყევი/თ შევირყევი/ან	მყოფადის კავშირებითი შევირყევი/თ შევირყევი/თ შევირყევი/ან

II სერია

წვებელი	II კავშირებითი	ბრძანებითი
შევი/ერყევი /თ შევი/ერყევი/თ შევი/ერყევი/ან	შევი/ერყევი/თ შევი/ერყევი/თ შევი/ერყევი/ან	შევირყევი/თ შევირყევი/თ შევირყევი/ან

III სერია

I რეზულტატივი		
ერთპირიანი შევირყევი/თ შევირყევი/თ შევირყევი/ან	ორპირიანი შევირყევი/თ (მეწევი მას) შევირყევი/თ შევირყევი/ან	შემგერყევი (ის მეწევი) შემგერყევი/თ შემგერყევი/ან
II რეზულტატივი		
შევირყევი/თ შევირყევი/თ შევირყევი/იან	შევირყევი/თ (მეწევი მას) შევირყევი/თ შევირყევი/ან	შემგერყევი (ის მეწევი) შემგერყევი/თ შემგერყევი/ან
III კავშირებითი		
შევირყევი/თ შევირყევი/თ შევირყევი/იან	შევირყევი/თ (მეწევი მას) შევირყევი/თ შევირყევი/ან	შემგერყევი (ის მეწევი) შემგერყევი/თ შემგერყევი/ან

4.3 მესამე ქვეჯგუფში სამივე პირის ფორმაში წყვეტილსა და II კავშირებითში შენარჩუნებულია ევ/ივ სუფიქსისეული o ხმოვანი.

შენიშვნა 1: ამათ ყოველთვის არ ეწარმოებათ ორივე o- და ე- პრეფიქსიანი ფორმები: ხან ერთი აქვთ, ხან მეორე (იხ. ინდექსი).

- ეეწევი – დაეეწე – დაეწია*
- ეირევი – ავირე – აირია*
- ეერევი – მოეერე – მოერია*
- ეეკევი – დაეეკე – დაეკია*
- ეიძლევი – დაეიძლე – დაიძლია*
- ეილევი – დაეილე – დაილია*
- ეეწევი – ეეწევი – ეწეია*
- ეეხევი – მოეეხევი – მოეხეია/მოეხეა*

შენიშვნა 2: ერთპირიან ენებითებს ყოველთვის ვერ ეწარმოებათ ორგანული ფორმები, მათ ენაცვლებათ აღწერითი ფორმები, განსაკუთრებით კი იმათ, რომელთა აქტივის სასუბიექტო ქცევის ფორმა ნეიტრალური მნიშვნელობით იხმარება: *აქცა: დაიწყო მან ის, pass.: დაწყებულ იქნა ის*

- | | |
|--------------------------|---------------------------|
| <i>წაილო მან ის,</i> | <i>წაღებულ იქნა ის</i> |
| <i>მოიტანა მან ის,</i> | <i>მოტანილ იქნა ის</i> |
| <i>გაიტანა მან ის;</i> | <i>გატანილ იქნა ის</i> |
| <i>შეიძინა მან ის,</i> | <i>შექენილ იქნა ის</i> |
| <i>გაიგ ზაუნა მან ის</i> | <i>გაგ ზაენილ იქნა ის</i> |

ამ ზმნებს ზოგჯერ ვერ ეწარმოებათ ერთპირიანი (ინიანი) ორგანული ფორმები წყვეტილში, II კავშირებითში:

- ერევა – მოერია ის მას*
- ესევა – დაესია ის მას*
- ეტევა – ჩაეტია ის მას*
- ენეევა – შეენეია ის მას*
- ემთხეევა – და/შე-ემთხეა ის მას*
- ემთხეევა – ემთხეია ის მას*

შენიშვნა 3: სამი ზმნა თავისებურად აწარმოებს წყვეტილს:

- ერეჟეევა – დაეერეჟე – დამერეჟე – დამრეჟეევა*
- ერთმეევა – წაეერთე – წამერთე – წამრთმეევა*
- ემთხეევა – შეემთხეევი – შემმთხეა – შემმთხეეევა*

III კლასი

აწმყოს მოდელი: ი/ე-R[ნ,რ]-ებ-ი

როგორც ტაბულიდან ჩანს, ი- თემატურ სუფიქსიანი აქტივების შესაბამისი კონვერსიული ვნებითები პრეფიქსიანი წარმოებისაა.

III₅. ზმნური ძირი ნ და რ სონანტებზე ბოლოვდება. რამდენადაც შესაბამისი ვნებითები ამ აქტივთა სასუბიექტო ქცევის ფორმების კონვერსიულანია, აქაც წყვეტილის I და II სუბ. პირებში ფუძეში სრული [ე] გახმოვანება გვაქვს; და II კავშირებითის ფორმები ემთხვევა აქტივის სასუბიექტო ქცევის ფორმებს:

act.: ვიჭრი მე მას – გაეიჭერი მე ის – გაიჭრა მან ის

pass.: ვიჭრები მე – დაწმე/გაეიჭერი მე – დაწმე/გაიჭრა ის.

წყვეტილის და II კავშირებითის დაბოლოვანი იგივეა, რაც შესაბამისი აქტივის ფორმებში, ამიტომ ინიანები ემთხვევა აქტივების ფორმებს (-ე//Ø და S₃-ში -ა). III სერიაში საუღლებელი ზმნის -ილ სუფიქსიანი ნამყოს საობიექტო მიმღეობის ფუძეა გამოყენებული:

ი/ეჰ(რ)დღენება, ი/ეფშენება, ი/ეჰ(რ)ტყენება, ი/ეფხვრება, ი/ეჯრება, ი/ეჰმენება, ი/ეჭრება, ი/ელღენება, ი/ეფცქენება, (წა)ი/ერღენება, ი/ეფხენება, ი/ეწერთნება, ი/ეხრწნება, ი/ესკენება, ი/ეხსნება, ი/ეწვნება, ი/ეძღენება, ი/ეძღენება (იხ. პარადიგმა №5 (39)).

III₆ ქვეჯგუფში, ისევე როგორც აქტივებში, ზმნურ ფუძეში შესაბამის პასივებში წყვეტილსა და II კავშირებითში აღდგება [ა].

წყვეტილის ნიშანი არის -ჟ (S₃ -ა), II კავშირებითისა -ო. ი- პრეფიქსიანი ფორმები ემთხვევა შესაბამისი აქტივის წყვეტილისა და II კავშირებითის ფორმებს (იხ. პარადიგმა №6 (40)).

III₇ ქვეჯგუფში ნ სონანტზე დაბოლოებული ზმნური ძირებია. წყვეტილი და II კავშირებითის ი- პრეფიქსიანი ფორმები ემთხვევა შესაბამისი აქტივის ფორმებს. საუღლებელი ზმნის ნამყო დროის საობიექტო მიმღეობა -ილ საუფიქსიანია (იხ. პარადიგმა №7 (41)).

პარადიგმა №5 (39)

იჭრება (ჭრა)

I სერია

აწმყოს ჯგუფი		
აწმყო ეიტრები/თ იტრები/თ იტრება/იან	უწყებელი ეიტრებოდი/თ იტრებოდი/თ იტრებოდა/ნენ	აწმყოს კავშირებითი ეიტრებოდე/თ იტრებოდე/თ იტრებოდე/ს/ნენ
მყოფადის ჯგუფი		
მყოფადი გაეიტრები/თ გაიტრები /თ გაიტრება /იან	ხომეობით-პირობითი გაეიტრებოდი/თ გაიტრებოდი/თ გაიტრებოდა /ნენ	მყოფადის კავშირებითი გაეიტრებოდე/თ გაიტრებოდე/თ გაიტრებოდე/ს/ნენ

II სერია

წყებელი გაეიტრები/თ გაიტრები/თ გაიტრება /ეს	II კავშირებითი გაეიტრება/თ გაიტრება/თ გაიტრება/ს/ან	ბრძანებითი გაეიტრება/თ გაიტრები/თ გაიტრება/ს
--	--	---

III სერია

I რეზულტატივი ერთპირობიანი გაეიტრები/თ გაიტრები/თ გაიტრება /ან	ორპირობიანი გაეიტრები/თ (მე/ჩვენ მას) გაიტრები/თ გაიტრება	გამ/გეტრები (ის მე/ჩვენ) გაეტრები/თ გაეტრება/თ
II რეზულტატივი გაეიტრები/თ გაეტრები/თ გაეტრება/ნენ	გაეტრები/თ გაეტრები/თ გაეტრება/ნენ	გამ/გეტრება გაეტრება/თ გაეტრება/თ
III კავშირებითი გაეტრები/თ გაეტრები/თ გაეტრება/ნენ	გაეტრები/თ გაეტრები/თ გაეტრება/ნენ	გამ/გეტრება/თ გაეტრება/თ გაეტრება/თ

პარადიგმა №6 (40)

იზრდება (ზრდა)

I სერია

აწმყოს ჯგუფი		
აწმყო ვიზრდები/თ იზრდები/თ იზრდება/იან	უწყვეტილი ვიზრდებოდი/თ იზრდებოდი/თ იზრდებოდა/ნენ	აწმყოს კავშირებითი ვიზრდებოდე/თ იზრდებოდე/თ იზრდებოდე/ს/ნენ
მყოფადის ჯგუფი		
მყოფადი გავიზრდები/თ გაიზრდები/თ გაიზრდება/იან	მყოფადის ხოლმეობითი გავიზრდებოდი/თ გაიზრდებოდი/თ გაიზრდებოდა/ნენ	ხოლმეობით-პირობითი გავიზრდებოდე/თ გაიზრდებოდე/თ გაიზრდებოდე/ს/ნენ

II სერია

წყვეტილი გავიზარდე/თ გაიზარდე/(ენი)თ გაიზარდა/ნენ	II კავშირებითი გავიზარდო/თ გაიზარდო/თ გაიზარდოს/ნენ	ბრძანებითი გავიზარდოთ გაიზარდო/(ენი)თ გაიზარდოს/ნენ
--	--	--

III სერია

ერთპირობანი I რეზულტატივი გავსრდილეარ/თ გასრდილე ხარ /თ გასრდილეა/ნ	ოპირობანი გავსრდიეარ/თ (მე /ჩვენ მას) გასრდიე ხარ/თ გასრდია	გამ/გვესრდია (იხ/მე ჩვენ) გავსრდიათ გასრდიათ
II რეზულტატივი გავსრდილეიყაე(ი)/თ გასრდილეიყაე(ი)/თ გასრდილეიყო/იყენენ	გავსრდოდი/თ გავსრდიეყაე/თ გასრდოდი/თ გასრდიეყაე/თ გასრდოდა/(ნენ) გასრდიეყო/ენენ	გამ/გვესრდოდა გავსრდოდა/თ გასრდოდა/თ
III კავშირებითი გავსრდილეიყო/თ გასრდილეიყო/თ გასრდილეიყო/იყენენ	გავსრდოდე/თ გავსრდიეყო/თ გასრდოდე/თ გასრდიეყო/თ გასრდოდე/ს/(ნენ) გასრდიეყო/ენენ	გამ/გვესრდოდე/ს გავსრდოდე/ს/თ გასრდოდე/ს/თ

პარადიგმა №7 (41)

ი/ე-გზავენება (გზავენა)

I სერია

აწმყოს ჯგუფი		
აწმყო ვი/ეგზავენები/თ ი/ეგზავენები/თ ი/ეგზავენება/იან	უწვეებელი ვი/ეგზავენებოდი/თ ი/ეგზავენებოდი/თ ი/ეგზავენებოდა/ნენ	აწმყოს კავშირებითი ვი/ეგზავენებოდუ/თ ი/ეგზავენებოდუ/თ ი/ეგზავენებოდეს/ნენ
მყოფადის ჯგუფი		
მყოფადი გავი/ეგზავენები/თ გაი/ეგზავენები/თ გაი/ეგზავენება/იან	ხოლმეობით-პირობითი გავი/ეგზავენებოდი/თ გაი/ეგზავენებოდი/თ გაი/ეგზავენებოდა/ნენ	მყოფადის კავშირებითი გავი/ეგზავენებოდუ/თ გაი/ეგზავენებოდუ/თ გაი/ეგზავენებოდეს/ნენ

II სერია

წყვეტილი გავი/ეგზავენუ/თ (მე; მე/ჩვენ მას) გაი/ეგზავენუ/თ გაი/ეგზავენა/ნენ ობიექტური წყობა (ორპირობანი) გამ/გვეგზავენა (ის მე/ჩვენ) გაგვეგზავენა/თ გავეგზავენა/ნენ	II კავშირებითი გავი/ეგზავენო/თ (მე; მე/ჩვენ მას) გაი/ეგზავენო/თ გაი/ეგზავენოს/ნ გამ/გვეგზავენოს (ის მე/ჩვენ) გაგვეგზავენოს/თ გავეგზავენოს
--	--

III სერია

ერთპირობანი I რეზულტატივი გავეგზანილიყარ/თ გაგზაენილხარ/თ გაგზაენილან	ორპირობანი სუბ. წყობა გავეგზაენიყარ/თ გაგზაენიხარ/თ გავეგზაენია/(ნ)	ობ. წყობა გამ/გვეგზაენია გაგვეგზაენია/თ გავეგზაენია/თ
